

ძირითადი სასამართლო უნარები და კომპეტენციები

სახელმწიფო შესყიდვებთან
დაკავშირებული დავების
განმხილველი ტრიბუნალის წევრების
სახელმძღვანელო

ევროპის რეკონსტრუქციისა და
განვითარების ბანკი



European Bank
for Reconstruction and Development

სარჩევი

შესავალი	14
1.1 მიმოხილვა	14
1.2 სახელმწიფო შესყიდვების სექტორის შეფასება	15
1.3 შესაბამისობის უზრუნველყოფა.....	16
1.4 სამართლებრივი დაცვა.....	18
1.5 ტრიბუნალი, რომელიც საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას უზრუნველყოფს	19
1.6 დავების განხილვის და სამართლებრივი დაცვის პროცედურების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შემაჯერხებელი გარემოებები.....	22
1.7 სახელმძღვანელო	22
1.8 სტრუქტურა.....	24
პროცედურული სამართლიანობა და ზეპირი მოსმენები.....	26
2.1 მიმოხილვა	26
2.2 საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა დავების განხილვის საბჭოს მიერ	27
2.3 რას ნიშნავს პროცედურული სამართლიანობა?.....	31
2.4 რომელ უფლებებს მოიცავს პროცედურული სამართლიანობა?	32
2.4.1 ზეპირი მოსმენის უფლება	33
2.4.2 ინფორმაციის მიღების უფლება.....	35
2.4.3 წარმომადგენლობის უფლება	36
2.4.4 მტკიცებულების წარდგენის და გასაჩივრების უფლება.....	36
2.4.5 დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება.....	38
2.4.6 შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენების უფლება	39
2.4.7 თანაბარი მოპყრობის უფლება	41
2.4.8 საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ განხილვის უფლება.....	43
2.4.9 კანონის საფუძველზე შექმნილ ტრიბუნალზე წვდომის უფლება.....	45
2.4.10 გადაწყვეტილების მიღება გონივრულ ვადაში	45
2.4.11 გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება.....	46
2.5 რეზიუმე.....	46
3.1 მიმოხილვა	48
3.2 მიუკერძოებლობა და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა.....	48
3.3 რა არის ინტერესთა კონფლიქტი?.....	50
3.3.1 რეალური ინტერესთა კონფლიქტი	52
3.3.2 ხილული ინტერესთა კონფლიქტი.....	52
3.3.3 პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი	52
3.4 რას ნიშნავს პირადი ინტერესი?.....	53
3.4.1 პირადი ინტერესის ტიპები.....	54
3.4.1.1 პერსონალური ინტერესები.....	55
3.4.1.2 პოლიტიკური ინტერესები და პოლიტიკური საქმიანობა	56
3.4.1.3 სოციალური ინტერესები - საზოგადოებრივ ჯგუფებთან ან სხვა ორგანიზაციებთან ასოცირება	58
3.4.1.4 საჩუქრები	59
3.5 წინასწარგანწყობა და გადაწყვეტილების წინასწარ მიღება.....	61

3.6	ინტერესთა კონფლიქტზე რეაგირება.....	62
3.6.1	როგორ მოვახდინოთ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება?	63
3.6.2	როგორ მოვახდინოთ ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნება?	63
3.6.3	როგორ ავიცილოთ თავიდან ინტერესთა კონფლიქტი ან შევამსუბუქოთ მისი გავლენა? ..	65
3.6.4	რა მოხდება, თუ ტრიბუნალი არ მოახდენს ინტერესთა კონფლიქტზე რეაგირებას	66
3.6.5	დანიშვნა და დასაქმება თანამდებობის დატოვების შემდგომ.....	67
3.7	ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი წესები საქართველოსა და ავსტრიაში.....	67
3.8	კონკრეტული შემთხვევები	69
3.9	რეზიუმე.....	75

მტკიცებულება და პროცედურა78

4.1	მიმოხილვა	78
4.2	საქმის განხილვის პროცესის მოკვლევითი (საგამოძიებო) ბუნება	78
4.3	მტკიცებულების ცნება და როლი	79
4.4	მტკიცებულების სახეები	80
4.4.1	წერილობითი ახსნა-განმარტებები	81
4.4.2	ექსპერტის მოსაზრებები	83
4.4.3	მონშეები.....	85
4.5	მტკიცებულების რელევანტურობა	86
4.6	მტკიცებულების მოპოვება	89
4.6.1	მომჩინისგან მოპოვებული მტკიცებულება.....	89
4.6.2	შემსყიდველი ორგანიზაციისგან მოპოვებული მტკიცებულება	91
4.6.3	ტრიბუნალის მიერ მოპოვებული მტკიცებულება.....	92
4.7	მტკიცებულების გამჟღავნება	93
4.8	მტკიცებულების წონა ანუ მტკიცებულებითი ღირებულება	93
4.9	მტკიცებულების დასაშვებობა.....	96
4.10	მტკიცების ტვირთი	98
4.11	კონკრეტული შემთხვევა საქართველოში მოქმედი დავების განმხილველი ორგანოს პრაქტიკიდან – სეტყვის სანინააღმდეგო რაკეტების შესყიდვა	100
4.12	რეზიუმე.....	101
5.1	მოკლე მიმოხილვა	106
5.2	კონფიდენციალური ინფორმაცია	106
5.3	რა სახის ინფორმაციაა კონფიდენციალური?.....	109
5.3.1	კანონით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია	109
5.3.1.1	სახელმწიფო საიდუმლო	110
5.3.1.2	პერსონალური მონაცემები	111
5.3.2	ტრიბუნალის მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია.....	111
5.3.3	მესამე მხარეების მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია.....	111
5.3.4	კონფიდენციალურობის ტესტი	112
5.4	კონფიდენციალური ინფორმაციის მაგალითები.....	116
5.5	არა-კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია.....	118
5.6	როგორ მივიჩნიოთ ინფორმაცია კონფიდენციალურად?	118
5.7	კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა	120
5.8	ინფორმაციის უსაფრთხოება.....	121

5.9	კონფიდენციალურობა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ევროკავშირის სამართლის შესაბამისად	124
5.9.1	შესყიდვის ზოგადი წესები.....	124
5.9.1.1	შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა	125
5.9.1.2	ეკონომიკური ოპერატორების მიერ წარმოდგენილი სენსიტიური ინფორმაციის დაცვა კონკურენტული დიალოგის ფარგლებში.....	125
5.9.1.3	სენსიტიური ინფორმაციის დაცვა ჩარჩო შეთანხმების პროცედურის ფარგლებში	126
5.9.2	ევროკავშირის პრეცედენტული სამართალი სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონფიდენციალურობის შესახებ.....	126
5.10	კონკრეტული შემთხვევები	132
5.11	რეზიუმე.....	139

დაცვის საშუალებებისადმი მიდგომა..... 142

6.1	მიმოხილვა	142
6.2	დაცვის საშუალებების ტიპები.....	145
6.3	დროებითი ღონისძიებები.....	148
6.3.1	რას წარმოადგენს დროებითი ღონისძიება?	148
6.3.2	რა სახის დროებითი ღონისძიებების გამოყენებაა შესაძლებელი?.....	152
6.3.3	შუალედურ ღონისძიებებთან დაკავშირებული პროცედურა	154
6.4	გადაწყვეტილების გაუქმება	155
6.4.1	რას ნიშნავს გაუქმება?	155
6.4.2	რა შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტილების გაუქმების, როგორც დაცვის საშუალების გამოყენება?	156
6.4.3	როგორია შესაბამისი პროცედურა?.....	158
6.4.4	როდის უნდა იქნას გამოყენებული დაცვის საშუალება, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმებას მოიცავს?.....	159
6.4.4.1	კონტრაქტის მინიჭების პროცედურის გაუქმება.....	160
6.4.4.2	ინსტრუქციები შემსყიდველი ორგანიზაციების მიმართ	160
6.4.4.3	შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების ანულირება	162
6.4.4.4	საქართველოში დავების განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მავალითი – ურბანული მოხმარების სკამების შესყიდვა	164
6.5	მოცდის პერიოდი	167
6.6	კონტრაქტის ბათილობა	168
6.6.1	რას ნიშნავს კონტრაქტის ბათილობა?	169
6.6.2	ვის შეუძლია მოითხოვოს კონტრაქტის ბათილობა?	169
6.6.3	როდის უნდა გამოაცხადოს სასამართლომ ან დავის განმხილველმა ორგანომ ხელშეკრულება ბათილად?	169
6.6.3.1	ზოგადი წესი.....	169
6.6.3.2	გამონაკლისი.....	171
6.6.4	ბათილობის გავლენა.....	172
6.6.5	ალტერნატიული სანქცია	174
6.7	ზიანის ანაზღაურება	174
6.8	რეზიუმე.....	176
7.1	მოკლე მიმოხილვა	178
7.2	რა არის დისკრეცია?.....	178
7.3	დისკრეციის გამოყენება	180

7.3.1	რეკომენდაცია	180
7.3.2	ზოგადი რეკომენდაციები ტრიბუნალებისთვის	183
7.4	დისკრეციის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები	190
7.5	დისკრეცია პრაქტიკულ სიტუაციებში	192
7.5.1	დროებითი განკარგულების მიღება	192
7.5.2	საჩივართან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა	197
7.5.3	გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გამართვის თაობაზე	198
7.5.4	მტკიცებულების მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილება	199
7.6	საქართველოში დავების განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მაგალითი – არქიტექტურული მომსახურების შესყიდვა	201
7.7	რეზიუმე	203
8.1	მიმოხილვა	208
8.2	როგორ მივუდგეთ გადაწყვეტილების ტექსტის მომზადებას?	208
8.3	გადაწყვეტილების სტრუქტურა	210
8.3.1	შესავალი	211
8.3.3	არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების აღწერა	220
8.3.4	შესაბამისი კანონმდებლობის მიმოხილვა	220
8.3.5	ანალიზი - სამართლის შეფარდება	221
8.4	სტილი და გადახედვა	225
8.4.1	ლაკონური გადაწყვეტილება	225
8.4.2	აბზაცი	226
8.4.3	სათაურების გამოყენება	228
8.4.4	გადახედვა	229

**დანართი I - საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული
დაცვის სამართლებრივი სისტემის მიმოხილვა 234**

1.	სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში: სამართლებრივი ჩარჩო და შესყიდვების ელექტრონული სისტემა	234
1.1.	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა	234
1.2.	სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა და შესყიდვების პროცედურები	237
2.	სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული დაცვის სამართლებრივი სისტემა: რეფორმები და სამომავლო გზა	244
2.1.	დავების განხილვის ორგანო, რომელიც 2021 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს	244
2.2.	დავების განხილვის ახალი ორგანო (ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან)	250
2.2.1.	ინსტიტუციური მონყობა	250
2.2.2.	საბჭოს წევრები, მათი დანიშვნა და განთავისუფლება	250
2.2.3.	საბჭოს წევრების ანაზღაურება	252
2.2.4.	საბჭოს ბიუჯეტი, აპარატი და მატერიალური ბაზა	252
2.2.5.	საბჭოსთვის განკუთვნილი საპეციალური ელექტრონული მოდული	253
2.2.6.	საბჭოს საქმიანობის ორგანიზება	253
2.2.7.	ანგარიშგება	253
3.	დავების განხილვა საბჭოში	254
3.1.	საჩივრის წარდგენის უფლება (Locus Standi)	254
3.2.	საჩივრის დაუშვებლად ცნობა	257
3.3.	საჩივრის წარდგენის გავლენა შესყიდვის პროცედურაზე	258
3.4.	საჩივრის წარდგენის საფასური	258
3.5.	საჩივრების განხილვა საბჭოს მიერ	259

I. წინასიტყვაობა

ინვესტორისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და განჭვრეტადი სასამართლო გარემოს შექმნა ისეთ ქვეყნებში, სადაც ოპერირებს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) წარმოადგენს ბანკის ხანგრძლივი ისტორიის მქონე ინიციატივას.

EBRD ახორციელებს ინვესტიციას 30-ზე მეტ ქვეყანაში ადამიანთა ცხოვრებისა და გარემოს გასაუმჯობესებლად, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ისე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. მყარი და სტაბილური სამართლებრივი გარემო, მათ შორის, დავების გადაწყვეტის ეფექტური ჩარჩო, ეკონომიკის მიმართ ინვესტორთა ნდობისა და სამართლიანი ბიზნეს-გარემოს განვითარების გასაღებია.

სამართლებრივ რეფორმასთან დაკავშირებულ აქტივობებს, რომელიც EBRD-ის საქმიანობის უნიკალური განზომილებაა, ახორციელებს „სამართლებრივი ტრანზიციის პროგრამა“ (LTP). პროგრამა შედგება იურისტთა ჯგუფისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლებრივ კონსულტაციას. თითოეული მათგანს გააჩნია ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება კონკრეტულ სფეროში. LTP ფოკუსირებას ახდენს ისეთი სამართლებრივი რეგულაციების, ინსტიტუტებისა და კულტურის

განვითარებაზე, რომელიც ბაზარზე ორიენტირებული განვითარებული ეკონომიკის წინაპირობაა.

LTP მუშაობს იმ არაერთ სფეროში, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული EBRD-ის საინვესტიციო საქმიანობასთან და დაგროვილ გამოცდილებასთან. ეს სფეროებია, მათ შორის, სასამართლოებისა და სხვა მექანიზმების საშუალებით დავების მოგვარების ხელშეწყობა და EBRD-ის რეგიონში შესყიდვის ჯანსაღი პოლიტიკის ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ, სასამართლო შესაძლებლობების გაუმჯობესება, რათა ეფექტურად იქნას განხილული კომერციული საკითხები, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრები და დავები, LTP-ის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია.

სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს მთავრობის ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებას, ხოლო გამჭვირვალე, ეფექტური და ეფექტიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არ არსებობა პრობლემური საკითხია,

განსაკუთრებით გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. აღნიშნულ საკითხთან გასამკლავებლად, LTP აქტიურ როლს ასრულებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის შესაბამისი ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების შექმნაში და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების ხელშეწყობაში.

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავდა იმ ქვეყნებში, სადაც EBRD ოპერირებს, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის ეფექტურობის გაუმჯობესების საჭიროებიდან გამომდინარე. კერძოდ, სახელმძღვანელო ემსახურება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის ეროვნული ორგანოების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზანს. სახელმძღვანელოს შემუშავების იდეა გაჩნდა 2010 წელს, როდესაც EBRD-იმ განახორციელა სახელმწიფო შესყიდვების სექტორის რეგიონული შეფასება 29 ქვეყნის მასშტაბით, სადაც იმ დროისათვის EBRD ოპერირებდა.

რეგიონული შეფასების შედეგებმა გამოავლინა არაერთი პრობლემა დავების განხილვის და სამართლებრივი დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით. შეფასების საფუძველზე გაკეთებული ერთ-ერთი კონკრეტული დასკვნის თანახმად, EBRD-ის რეგიონში სიახლეს არ წარმოადგენს ისეთი ორგანოს იდეა,

რომელიც კონკრეტულად სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს, თუმცა, ასეთი ორგანოს წევრები ხშირად არ ფლობენ ადმინისტრაციული ტრიბუნალისათვის შესაფერის სამართლებრივ უნარებსა და კომპეტენციებს. ამრიგად, დავების განმხილველი ორგანოების შესაძლებლობების გაუმჯობესება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა ეროვნულ დონეზე არსებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია, შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ტრიბუნალების წევრთა უზრუნველყოფა რჩევებითა და რეკომენდაციებით, რომელსაც ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენებენ. სახელმძღვანელოს სამიზნეს წარმოადგენენ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ორგანოების (ადმინისტრაციული ტრიბუნალების) წევრები/მოხელეები, რომელთაც გააჩნიათ საკმაო ცოდნა შესყიდვების სფეროში, თუმცა არ გაუვლიათ სასამართლო მომზადება. სახელმძღვანელო ყურადღებას ამხვილებს საჩივრების პროცედურულ ასპექტებზე, საპროცესო ინსტრუმენტებზე და ძირითად სასამართლო უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელიც ტრიბუნალის წევრებმა ყოველდღიურ საქმიანობაში

უნდა გამოიყენონ. სახელმძღვანელო შეიცავს ზოგად რეკომენდაციებს და პრაქტიკულ რჩევებს, ისევე, როგორც კონკრეტული შემთხვევების განხილვას, ძირითადი საკითხებისა და „ნასწავლი გაკვეთილების“ დემონსტრირების მიზნით. ამასთან, სახელმძღვანელოში განხილულია ის ფაქტები და მტკიცებულებები, რომელზეცყურადღება უნდა გაამახვილონ ტრიბუნალის წევრებმა. სახელმძღვანელო, ასევე, შეიცავს ინფორმაციას ტრიბუნალის წევრებისა და საჩივრის განხილვის პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. სახელმძღვანელო შესაბამის მოხელეებს დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ პროცედურული სამართლიანობის პრინციპები და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის პროცესთან დაკავშირებული სხვა ძირითადი კონცეფციები.

სახელმძღვანელო ეფუძნება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის სტანდარტებს, რომელსაც განამტკიცებს UNCITRAL-ის მოდალური კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ევროკავშირის დირექტივა სამართლებრივი დაცვის შესახებ და სხვადასხვა ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილველი სასამართლო და კვაზი-სასამართლო ორგანოების

საუკეთესო პრაქტიკა (მათ შორის, ევროპის ქვეყნებსა და საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა და აშშ). მიუხედავად იმისა, რომ კვაზი-სასამართლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკა საერთო სამართლის ქვეყნებში, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოქალაქო სამართლის ქვეყნების პრაქტიკისგან, რისი მიზეზიც არის განსხვავებული სამართლებრივი სისტემები, ადმინისტრაციული წარმოების მთავარი პრინციპები და უნარები, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაინც რელევანტურია. ეს უნარები, გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი მიდგომა და პრინციპები, რომელიც ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება, მნიშვნელოვანწილად საერთო აქვს ორივე სამართლებრივ სისტემას. რეკომენდებულია, რომ შესაბამისი მოხელეები გაეცნონ წინამდებარე სახელმძღვანელოს და მასში წარმოდგენილი მიდგომები, პროცესები და მეთოდები გამოიყენონ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვისას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს თავდაპირველი ვერსია მომზადდა 2015 წელს, LTP-ის შესაძლებლობების განვითარების ტექნიკური

თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში, რომელიც EBRD-ის დაკვეთით განახორციელა White & Case-მა (ბრატისლავა, სლოვაკეთის რესპუბლიკა), ავსტრიის ფედერალური შესყიდვების სააგენტოსა და პოლონეთის ეროვნული სააპელაციო პალატის მხარდაჭერით. სახელმძღვანელო დაფინანსებულია EBRD-ის სლოვაკეთის რესპუბლიკის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის მიერ. სახელმძღვანელოს წინამდებარე ვერსია განახლდა 2020 წელს და იგი მორგებულია საქართველოზე. სახელმძღვანელოში აღწერილია ქვეყანაში არსებული სამართლებრივი დაცვის სისტემა და ბოლოდროინდელი განვითარებები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კონტექსტში. სახელმძღვანელოს ლოკალიზება განხორციელდა EBRD-ის UNCITRAL-ის პროექტის „საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ორგანოს ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება - სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ტრიბუნალების წევრთათვის განკუთვნილი ლოკალიზებული სახელმძღვანელოს გადახედა“ ფარგლებში.

წინამდებარე ვერსიის ლოკალიზება განხორციელდა 2021 წელს. ლოკალიზებული ტექსტი შეიცავს

მითითებებსა და განმარტებებს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი დავების განხილვისა და გადაწყვეტის სისტემის შესახებ. ამასთან, ლოკალიზებულ ვერსიაში წარმოდგენილია მაგალითები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პრაქტიკიდან. წინამდებარე სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია საქართველოში 2021 წლის 1 იანვრამდე მოქმედი კანონმდებლობა.



II. აკრონიმები

CE	Conformite Europeenne [ევროპული შესაბამისობა]
COE	ევროპის საბჭო
DHB	ჯანმრთელობის საოლქო საბჭო
DRB	დავების განხილვის საბჭო
DRC	დავების განხილვის ახალი საბჭო
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EC	ევროკომისია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECJ	მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო
EGC	ევროპის საერთო სასამართლო
EU	ევროკავშირი
GPA	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმება
LTP	სამართლებრივი ტრანზიციის პროგრამა
LTT	სამართლებრივი ტრანზიციის გუნდი
MoD	თავდაცვის სამინისტრო
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
SEMED	სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნები
USA	ამერიკის შეერთებული შტატები

განმარტებები

ადმინისტრაციული ტრიბუნალი

სახელმწიფოს მიერ შექმნილი ტრიბუნალი

ორგანო

საჯარო სამართლის ორგანო აღნიშნავს ყველა იმ ორგანოს, რომელიც შექმნილია საზოგადოებრივ ინტერესში შემავალი საქმეების დასაკმაყოფილებლად; არ აქვს ინდუსტრიული ან კომერციული ხასიათი; გააჩნია იურიდიული პასუხისმგებლობა; ძირითადად, დაფინანსებული სახელმწიფოს, რეგიონული ან ადგილობრივი ორგანოების ან საჯარო სამართლის სხვა ორგანოების მიერ.

კომერციული საიდუმლოება

მოიცავს ტექნიკურ ინფორმაციას და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი, რომელიც გამოიყენება პრაქტიკაში და მოაქვს ეკონომიკური სარგებელი აღნიშნული ინფორმაციის მფლობელისათვის, ხოლო მფლობელს მიღებული აქვს გარკვეული ზომები ამ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის მიზნით.

კონცესია

სახელმწიფოს მიერ კერძო მრეწველთან, უცხოეთის ფირმასთან დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მრეწველი (ფირმა) იღებს გარკვეულ სამრეწველო საწარმოთა, მთამადნეულისა და მისთ. ექსპლუატაციის უფლებას.

ინტერესთა კონფლიქტი - რეალური

საჯარო მოხელეს სამსახურეობრივ მოვალეობასა და კერძო ინტერესებს შორის კონფლიქტი, რომლის დროსაც საჯარო მოხელის კერძო ინტერესებმა, შესაძლოა, არასათანადო გავლენა იქონიოს მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებაზე.

ინტერესთა კონფლიქტი - ცხადი

როდესაც ცხადად ჩანს, რომ საჯარო მოხელის კერძო ინტერესებმა, შესაძლოა, არასათანადო გავლენა იქონიოს მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებაზე, თუმცა, აღნიშნულს რეალურად არ აქვს ადგილი.

ინტერესთა კონფლიქტი - პოტენციური

როდესაც საჯარო მოხელეს აქვს გარკვეული პირადი ინტერესები, რომელიც შეუთავსებელია მის ოფიციალურ მოვალეობებთან და იმ შემთხვევაში, თუ საჯარო მოხელე სამომავლოდ განახორციელებს აღნიშნულ მოვალეობებს, წარმოიქმნება ინტერესთა კონფლიქტი.

შემსყიდველი ორგანიზაცია

ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი ხელისუფლება, საჯარო სამართლის ორგანო; ასეთი ერთი ან რამოდენიმე ხელისუფლების მიერ ან ერთი ან რამოდენიმე საჯარო სამართლის ორგანოს მიერ შექმნილი ასოციაციები.

დისკრეცია

გარკვეულ ვითარებაში, გარკვეული პრინციპებისა და შეზღუდვების ფარგლებში, საკუთარი შეხედულების და სინდისის შესაბამისად მოქმედების უფლება.

ელექტრონული შესყიდვა

საინფორმაციო ტექნოლოგიის (განსაკუთრებით, ინტერნეტის) გამოყენება შემსყიდველი ორგანოების მიერ, მომწოდებლებისგან საჯარო სექტორისათვის საჭირო სამუშაოების, საქონლის ან საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით.

დროებითი ღონისძიება

როდესაც სასამართლო იღებს სარჩელს, სადავო საკითხის გადაწყვეტამდე იგი უფლებამოსილია, მიიღოს განჩინება, რომლითაც შემსყიდველ დანესებულებას დაავალებს გაკრვეული დროებითი ღონისძიებების განხორციელებას.

დროებითი ორდერი

შემდგომი მითითებების მიღებამდე გამოცემული ორდერი.

ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი რელევანტურობა

აღნიშნავს წარმოდგენილი მტკიცებულების ხარისხს, როდესაც მტკიცებულების დამამტკიცებელი ძალა გადაწონის მის დამაზიანებელ ეფექტს.

ლოგიკური რელევანტურობა

აღნიშნავს წარმოდგენილ მტკიცებულებასა და სადაო ფაქტს შორის ლოგიკურ კავშირს.

პროცედურული სამართლიანობა

მხარის უფლება, გამოხატოს საკუთარი პოზიცია და წარმოადგინოს არგუმენტები დავის განხილვის პროცესში.

პროცესის ეკონომიკა

ის აქტივობები, ქმედებები და ოპერაციები, რომელიც მოიცავს საქონლისა და მომსახურების წარმოებას და გაყიდვას და გავლენას ახდენს მატერიალური სიმდიდრის წარმოებაზე, განვითარებასა და მართვაზე.

სახელმწიფო შესყიდვა

პროცესი, რომლის ფარგლებშიც საჯარო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები ახდენენ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შეძენას მესამე მხარეებისგან.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის პროცესი

იმ პროცედურების ერთობლიობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვასთან დაკავშირებით ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს მითაცება

ფირმების ძალისხმევა, რათა სახელმწიფოში მოქმედი კანონები, პოლიტიკა და რეგულაციები მოარგონ საკუთარ ინტერესებს, რა მიზნითაც ისინი საჯარო მოხელეებს უკანონო პირადი სარგებელით უზრუნველყოფენ.

ტრიბუნალი

სასამართლოების იერარქიის ფარგლებს გარეთ მოქმედი ორგანო, რომელსაც ადმინისტრაციული ან სასამართლო ფუნქციები გააჩნია.

ტრიბუნალის წევრი

იმ ადმინისტრაციული ორგანოს წევრი, რომელიც განიხილავს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საჩივრებს და ახდენს სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენებას.

საზოგადოებრივი სარგებლობის დანესებულება

საზოგადოებრივი სარგებლობის დანესებულება საზოგადოებას უზრუნველყოფს პირველადი საჭიროების მომსახურებით.

საზოგადოებრივი სარგებლობის დანესებულება საზოგადოებისათვის უზრუნველყოფს წყალს, ელექტროობას, ბუნებრივ აირს, სატელეფონო მომსახურებას და სხვა პირველადი საჭიროების მომსახურებას და არის კერძო ან საჯარო საკუთრებაში.

შესავალი

შესავალი

1.1 მიმოხილვა

EBRD-ის „სამართლებრივი ტრანზიციის გუნდი“ (LTT) არაერთი წელია მუშაობს დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, რათა მათ ეფექტურად განიხილონ კომერციული სამართლის საკითხები იმ ქვეყნებში, სადაც ბანკი ოპერირებს. EBRD ამ მნიშვნელოვან საქმიანობას ახორციელებს „სამართლებრივი ტრანზიციის პროგრამის“ (LTP) საშუალებით, პროგრამა აქტიურ როლს თამაშობს ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების განვითარების და ახალი მეთოდებისა და ტექნიკების გამოყენების ხელშეწყობის კუთხით, რათა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს გაუზიაროს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და საერთაშორისო ინვესტორების მოთხოვნები.

LTT-ს, ევროპის ბანკის კომერციული სამართლის რეფორმის განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, დაეხმაროს ქვეყნებს, სადაც EBRD ოპერირებს, საბაზრო ეკონომიკაზე ეფექტურად გადასვლაში.

„სამართლებრივი ტრანზიციის გუნდი“ აღნიშნულ მიზანს აღწევს LTP ინიციატივის საშუალებით, ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესების გზით. LTP-ს ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ყველა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაუმჯობესება, რათა ისინი ეფექტურად გაუმკლავდნენ კომერციული სამართლის საკითხებს.

აღნიშნულ მიზანს შემდეგი ლოგიკური ახსნა აქვს: სავაჭრო დავების განჭვრეტადი, გამჭვირვალე და ეფექტური გადაწყვეტა უაღრესად მნიშვნელოვანია დემოკრატიის გასაუმჯობესებლად, საბაზრო ეკონომიკის განსავითარებლად, მყარი საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად და ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ხელშესაწყობად, რაც სოციალური და ეკონომიკური ტრანზიციის სახელმძღვანელო პრინციპებია.

ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო არეგულირებს სახელმწიფოსექტორის შესყიდვებსა და ბაზარს შორის ინტერაქციას, იგი უნდა განსაზღვრავდეს, თუ როგორ ახორციელებს მთავრობა საკუთარ მსყიდველობით ძალას კერძო, საჯარო

და მესამე სექტორის სანარმოებთან მიმართებით. სახელმწიფო შესყიდვები ნებისმიერი მთავრობის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული რეგულაციები საჯარო ფინანსების კანონმდებლობისა და ქვეყნის კომერციული სამართლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია.

ზოგიერთ შემთხვევაში, კომერციულ დავებს განიხილავენ არა სასამართლოები, არამედ, შესაბამისი სპეციალიზაციის ორგანოები. ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწიფო შესყიდვების სფეროს, სადაც საჩივრების განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად, ხშირად, ქმნიან სპეციალიზებულ ტრიბუნალებს ან დავების განმხილველ ორგანოს.

ამავდროულად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სხვადასხვა დამკვირვებლები და კომენტატორები ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ორგანოების ან ტრიბუნალების ეფექტურობას და შესაძლებლობებს. ნინამდებარე სახელმძღვანელო აღნიშნული ორგანოებისა და ტრიბუნალების

მოხელეებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საჩივრების ეფექტურად განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეაფასონ ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების პროცედურებისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ეფექტურად გამოყენებისა და აღსრულების შესაძლებლობა.

1.2 სახელმწიფო შესყიდვების სექტორის შეფასება

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 2010 წელს ჩაატარა სახელმწიფო შესყიდვების სექტორის შეფასება ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ბანკი ოპერირებდა. 2012 წელს, ბანკის მანდატის გაფართოების შემდგომ, EBRD-მ დაასრულა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მეორე შეფასება სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ოთხ ქვეყანაში, სადაც ბანკი ოპერირებს. ორივე შეფასებამ გამოავლინა არაერთი პრობლემური საკითხი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, კერძოდ კი დავების განხილვასთან და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებული პროცედურების კუთხით.

ორივე შეფასება, რომელიც LTT-ის ხელმძღვანელობით განხორციელდა, „სამართლებრივი ტრანზიციის პროგრამის“ შემადგენელი ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა სახელმწიფო შესყიდვების სექტორში კომპლექსური ბენჩმარკების (ათვლის წერტილების) უზრუნველყოფას. ამ მიზნით შესწავლილ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ეროვნულ დონეზე არსებული კანონმდებლობის მოქმედების სფერო („კანონი წიგნებში“) და შესაბამისი ადგილობრივი პრაქტიკა („კანონი პრაქტიკაში“). აღნიშნულ ნაშრომებში („კანონი წიგნებში“ და „კანონი პრაქტიკაში“) წარმოდგენილია საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივი რეგულირების ეფექტურობისა და დავების განხილვასთან და უფლების დაცვასთან დაკავშირებული პროცედურების ეფექტურობის ანალიზი.

შეფასება განხორციელდა კანონისა და პრაქტიკის იმ ელემენტების იდენტიფიცირების მიზნით, რომელიც ამცირებს სახელმწიფო შესყიდვების ეფექტურობას. შეფასება მოიცავდა დავების განხილვისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების იმ ტიპური შემთხვევების სამართლებრივ ანალიზს, რომელიც უკავშირდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის აკრძალულ ქცევას.

1.3 შესაბამისობის უზრუნველყოფა

სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, მთავრობა საკუთარ მსყიდველობით უნარს ახორციელებს მომწოდებლებისა და კონტრაქტორების მიმართ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ხშირად მთავრობა ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი ყველაზე მსხვილი შემსყიდველია. შესაბამისად, ძალთა ბალანსი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში იმთავითვე უთანასწოროა. აღნიშნული დისბალანსის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს მკაფიო და ადვილად აღსრულებადი. შესაბამისად, დავების განხილვასთან და უფლების სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული პროცედურები ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ სახელმწიფო შესყიდვების ეფექტური და ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფაში, რომელიც უზრუნველყოფს:

- ხარისხისა და ფასის საუკეთესო თანაფარდობას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში

- მთავრობის მიერ შესყიდვების სფეროში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას
- მთავრობის მიერ შესყიდვების განხორციელების პროცესში კერძო სექტორის ფართო მონაწილეობას
- ჯანსაღ ბაზარს
- სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ წესებთან შესაბამისობის შეფასებას, რაც მოიცავს პრაქტიკაში სისტემის მუშაობის შეფასებას, მონიტორინგს და აუდიტს.
- საჭირო მაკორექტირებელი ზომების მიღებას. აღნიშნული მოიცავს ქმედებებს დარღვეული უფლების აღსადგენად.

ისტორიულად, მთავრობების სახელმწიფო შესყიდვების აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს ზოგადი ფისკალური ადმინისტრირების საშუალებით უმკლავდებიან, რაც მოიცავს მონიტორინგისა და აუდიტის პროცედურებს. აუდიტის მიერ სახელმწიფო მოხელის მხრიდან

სერიოზული გადაცდომის ჩადენის პსოტ-ფაქტუმ გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობა დაზარალებულ კონტრაქტორს საშუალებას აძლევს, მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს კომპენსაციის მოთხოვნით. წარსულში არ არსებობდა აღსრულების ისეთი პროცედურა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა პრობლემებზე რეაგირებას შესყიდვების მიმდინარეობის პროცესში.

ცოტა ხნის წინ, მთავრობებმა აქტიურად დაიწყეს მაკორექტირებელი ღონისძიებების გამოყენება შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერამდე პერიოდში. გადანყვეტილების მიმღები პირები აღიარებენ იმ სარგებელს, რაც აღნიშნულს მოაქვს სამართლიანი კონკურსისა და ხარისხისა და ფასის საუკეთესო თანაფარდობის თვალსაზრისით. აღნიშნულ ძალისხმევას მხარს უჭერს სამართლებრივი ტრანზიციის გუნდი, სამართლებრივი ტრანზიციის პროგრამის საშუალებით. LTT დარწმუნებულია, რომ აღსრულების მყარი მექანიზმები - მათ შორის, ქმედებები დარღვეული უფლების აღსადგენად, სახელმწიფო შესყიდვების ნებისმიერი სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

1.4 სამართლებრივი დაცვა

სამართლებრივი დაცვის საშუალებები გულისხმობს იმ სამართლებრივ ღონისძიებებს, რომლის საშუალებითაც ხდება სავარაუდო დეფექტებისა და დარღვევების გამოსწორება სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, შესყიდვების მიმდინარეობის დროს. სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტენდერის სამართლიანობას, განარჩევენ კომპენსაციისგან. კომპენსაცია ენიჭება დაზარალებულ მხარეს ტენდერის პროცესის დასრულების შემდეგ და იგი არ გულისხმობს დარღვევის გამოსწორებას. ცოტა ხნის წინ, კომპენსაცია განიხილებოდა, როგორც სამართლებრივი დაცვის უკიდურესი საშუალება და აღიარება იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვის სისტემა სათანადოდ არ ოპერირებს. მომწოდებლის პერსპექტივიდან, სამართლებრივი დაცვის საშუალებები ხშირად აღიქმება, როგორც კვაზი-ოპტიმალური საშუალება, ვინაიდან როგორც წესი, კომპენსაციის სახით მინიჭებული თანხის ოდენობა, უმეტეს შემთხვევაში, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულებაზე გაცილებით მცირეა.

შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის სისტემა, რომელიც შესყიდვის პროცესის შეჩერების ან ანულირების შესაძლებლობას იძლევა, მისასალმებელია, თუმცა ამ ყოველივეს თავისი ფასი აქვს. ეროვნულ დონეზე

მოქმედმა მარეგულირებელმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული, ვინაიდან დაცვის განხილვამ და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულმა ქმედებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს შესყიდვის პროცესის გაჭიანურება. შედეგად, გაიზრდება ადმინისტრაციული ტვირთი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების სივრცე იქნება ფართო, ამან, შესაძლოა, არ გაამართლოს მათი გამოყენების 'ღირებულება'. შესყიდვების მარეგულირებელი წესების მცირე დარღვევა არ უნდა იწვევდეს პროცესის შეწყვეტას ან გაუქმებას. ასეთ შემთხვევებში, დაცვის განხილვისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის სისტემა გახდება არაეფექტური და ღია ბოროტად გამოყენებისა და კრიტიკის მიმართ. მეორეს მხრივ, დაცვის განხილვისა და სამართლებრივი დაცვის სისტემაზე წვდომა უაღრესად ვიწროდ იქნება განსაზღვრული და მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ კომპენსაცია, სისტემის სანდოობა დადგება ეჭვქვეშ, ხოლო მომხმარებელთა კმაყოფილება შემცირდება. შესაბამისად, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ბალანსი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტურობასა და სახელმწიფო შესყიდვების პროცესის სწრაფად და შეუფერხებლად განხორციელებას შორის.

1.5 ტრიბუნალი, რომელიც საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას უზრუნველყოფს

ტრიბუნალს, რომელიც საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას უზრუნველყოფს ენოდება დავების განხილვის საბჭო (DRC). სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში (შემდგომში, „კანონი“) განხორციელებული ცვლილებების თანახმად¹, კანონის საფუძველზე შექმნილი საბჭო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის მიზანია დავების სწრაფად, ეფექტურად და სამართლიანად გადაწყვეტა. კანონის თანახმად, საბჭო განცალკევებულია ყველა ორგანოსგან/პირისგან, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კანონით, საბჭოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო საბჭოსთვის უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის ადგილს, ბიუჯეტს და აპარატს. საბჭო ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კონკურენციის სააგენტოსთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან, იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციების შესრულებას და მის დამოუკიდებლობას. საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.

კანონის თანახმად, საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საბჭოს ჰყავს აპარატი. საბჭოს აპარატის თანამშრომელთა რიცხოვნობას და შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე. საბჭოს აპარატის დებულებასა და სტრუქტურას კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის წარდგინებით, სამართლებრივი აქტებით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საბჭოს აპარატი კონკურენციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია (დეპარტამენტი). ეს უკანასკნელი საბჭოს უზრუნველყოფს აპარატით და საჭირო მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით.

¹ წინამდებარე სახელმძღვანელოს დანართი 1, პუნქტი 2.3 შეიცავს დეტალურ ინფორმაციას საბჭოს და მისი საქმიანობის შესახებ.

² 2005 წლის 20 აპრილის კანონი, No 1388-ის, 2020 წლის 2 ივლისის შესწორებები.

საბჭო შედგება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ 5 წლის ვადით დანიშნული 5 წევრისგან. ერთი და იგივე პირი საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ორჯერ. საბჭოს წევრი სახელმწიფო მოსამსახურეა. ქვემოთ წარმოდგენილია საბჭოს საბჭოს წევრის მიმართ არსებული მინიმალური მოთხოვნები:

1. საქართველოს მოქალაქეობა;
2. ნასამართლობის არ ქონა;
3. უმაღლესი განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით;
4. მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

ამასთან, საბჭოს წევრთა არანაკლებ ნახევარს (de-facto, 3 პირი) უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სამართალში.

არ შეიძლება საბჭოს წევრი:

1. დასაქმებული იყოს სხვა საჯარო დაწესებულებაში ან/და კერძო დაწესებულებაში;

2. ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, პედაგოგიური საქმიანობისა ან/და შემოქმედებითი საქმიანობისა;
3. კონსულტაცია უწევდეს შესყიდვის პროცესში მონაწილე მხარეებს, მათ შორის, შემსყიდველ ორგანიზაციას და შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს;
4. იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან/და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ქმნის დამოუკიდებელ შესარჩევ კომისიას, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად, შედიან საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეები. საბჭოს წევრობის კანდიდატთა ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში შერჩევის მიზნით შესარჩევი კომისია აცხადებს საჯარო კონკურსს საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს საშუალებით (hr.gov.ge პორტალის გამოყენების გზით).

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საბჭოს წევრობის კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა კონკურსის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღის ვადა. განაცხადების მიღების შემდეგ, არაუგვიანეს 20 დღისა შესარჩევი კომისია იმ პირთაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ საბჭოს წევრობისთვის ამ კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეარჩევს საბჭოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე ორჯერ მეტ კანდიდატს (10 პირს). შესარჩევი კომისია შერჩეულ კანდიდატებს დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი 10 დღის ვადაში ნიშნავს საბჭოს წევრს/წევრებს ან უარს ამბობს მის/მათ დანიშვნაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესარჩევი კომისია ხელახლა აცხადებს კონკურსს.

საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება მისი ვადის გასვლისას, ან შემდეგ რომელიმე შემთხვევაში:

1. პირადი განცხადების წარდგენა;
2. გარდაცვალება;
3. სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

4. სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
5. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
6. სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
7. კანონით განსაზღვრული შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;
8. ბოლო 12 თვეში 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში უფლებამოსილების განუხორციელებლობა და სამედიცინო დასკვნის არსებობა, რომლითაც დასტურდება, რომ საბჭოს წევრი მომავალშიც ვერ შეძლებს უფლებამოსილების განხორციელებას.

საბჭოს წევრს უფლება აქვს, მანდატის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

1.6 დავების განხილვის და სამართლებრივი დაცვის პროცედურების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შემაფერხებელი გარემოებები

მიუხედავად იმისა, რომ EBRD-ის და SEMED-ის შეფასებებმა გამოავლინა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვისა და სამართლებრივი დაცვის პროცედურების მიმართ მხარდაჭერა, LTT-ის დეტალურმა ანალიზმა მოახდინა იმ ძირითადი პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება, რომელიც უკავშირდება გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ორივე რეგიონში სამართლებრივი დაცვის ორგანოთა ფუნქციონირებას. კერძოდ, ანალიზის შედეგების თანახმად, არაერთ ქვეყანაში დავების განხილვის და სამართლებრივი დაცვის პროცედურების ეფექტურობა და ეფექტიანობა ცალსახა პრობლემას წარმოადგენს. ამასთან, ორივე რეგიონში ეჭვქვეშ დგას სამართლებრივი დაცვის რამოდენიმე ორგანოს მიუკერძოებლობა. დამატებით პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტრიბუნალები, ხშირ შემთხვევაში, გამოირჩევიან მიკერძოებით, შემსყიდველი ორგანიზაციების სასარგებლოდ. აღნიშნული ამკარაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებში.

ორივე შეფასების თანახმად, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი მოხელეები არ ფლობენ სათანადო სამართლებრივ უნარებს და კომპეტენციებს, რათა ეფექტურად და ეფექტიანად გამოიყენონ დავების განხილვის საერთაშორისო სტანდარტები. დამატებით, მოხელეთა უმეტესობა შემსყიდველ ორგანიზაციისა და კერძო მიმწოდებელს შორის არსებული დავების დამოუკიდებლად და ობიექტურად განხილვას ვერ უზრუნველყოფს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ორივე შეფასებამ გამოავლინა მთავრობის ადმინისტრაციების მხრიდან პირდაპირი იერარქიული ჩარევის დამადასტურებელი მტკიცებულება. აღნიშნული არაჯანსაღი ჩარევა უარყოფით გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სათანადოდ და ეფექტურად წარმართვაზე, რაც ტრიბუნალის მიერ ოფიციალური მოვალეობების სამართლიანად განხორციელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

1.7 სახელმძღვანელო

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალის მოხელეები უზრუნველყოს მითითებებით, რომლითაც ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საქმეების განხილვისას და გადაწყვეტილებების მომზადებისას იხელმძღვანელებენ. წინამდებარე

დოკუმენტი ფოკუსირებას ახდენს ტრიბუნალის საქმიანობის პროცედურულ ასპექტებზე, სამართალწარმოების ინსტრუმენტებზე და ძირითად სამართლებრივ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელსაც ტრიბუნალის ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში იყენებენ კომისრები და ინსპექტორები.

სახელმძღვანელო შეიცავს ზოგად რჩევებს, პრაქტიკულ რეკომენდაციებსა და კაზუსებს, რომელიც მოხელეებს დაეხმარება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ძირითადი პრინციპების უკეთ გააზრებაში. ამასთან, სახელმძღვანელო შეიცავს მითითებებს იმ ფაქტების და მტკიცებულებების შესახებ, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილონ ტრიბუნალის მოხელეებმა, და ახდენს ტრიბუნალის და სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეების უფლებებისა და მოვალეობების იდენტიფიცირებას.

სახელმძღვანელო ეფუძნება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, ევროპულ ქვეყნებში და საერთო სამართლის ქვეყნებში (კერძოდ, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა და აშშ) მოქმედი კვაზი-სასამართლო და სასამართლო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ კვაზი-სასამართლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკა საერთო სამართლის ქვეყნებში, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოქალაქო სამართლის ქვეყნების

პრაქტიკისგან, რისი მიზეზიც არის განსხვავებული სამართლებრივი სისტემები, ადმინისტრაციული წარმოების მთავარი პრინციპები და უნარები, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაინც რელევანტურია. ეს უნარები, გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი მიდგომა და პრინციპები, რომელიც ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება, მნიშვნელოვანწილად საერთო აქვს ორივე სამართლებრივ სისტემას.

ინფორმაცია წარმოდგენილია ეროვნულ დონეზე მოქმედ შესაბამის სამართლებრივ დებულებებთან ერთად, რათა მკითხველი გაეცნოს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებსა და ქვეყნებს შორის არსებულ მსგავსებებს და განსხვავებებს და საუკეთესო პრაქტიკა დანერგოს თავის საქმიანობაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კანონი შეიცავს ხარვეზებს და ორაზროვან დებულებებს.

რეკომენდებულია, რომ კომისიის წევრები და ინსპექტორები ყურადღებით გაეცნონ წინამდებარე სახელმძღვანელოს შინაარსს და მასში შემოთავაზებული მიდგომები, პროცესები, მეთოდები და ინტერპრეტაციები გამოიყენონ დავების განხილვის პროცესში. ამავდროულად, წინამდებარე რეკომენდაციები და რჩევები არ არის ამომწურავი და არ წარმოადგენს ერთადერთ ხელმისაწვდომ ალტერნატივას.

შესაბამისად, კომისიის წევრებმა და ინსპექტორებმა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები უნდა გამოიყენონ თავიანთი შეხედულებების, ცოდნის, საღი აზრისა და გამოცდილების საფუძველზე, ტრიბუნალში შემოსულ საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

1.8 სტრუქტურა

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს 8 თავს.

წინამდებარე თავი სახელმძღვანელოს შესავალი ნაწილია და მიმოიხილავს დანარჩენ ნაწილს.

თავი 2 განიხილავს პროცედურული სამართლიანობისა და ზეპირი მოსმენების ძირითად პრინციპებს და აღწერს პროცედურული სამართლიანობის წესებსა და მათ გამოყენებას დავების განხილვის პროცესში.

თავი 3 ხაზს უსვამს ინტერესთა კონფლიქტის ტიპებს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ტრიბუნალის წევრთა შემთხვევაში და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ან მისი გავლენის შემცირების მექანიზმებს. აღნიშნული თავი, ასევე, შეიცავს რამოდენიმე მაგალითს და პრაქტიკულ რჩევებს ყოველდღიური საქმიანობისას ინტერესთა კონფლიქტის საკითხების დაძლევისათან დაკავშირებით.

თავი 4 შეეხება იმას, თუ რა ტიპის მტკიცებულება უნდა გამოიყენოს ტრიბუნალმა პრაქტიკაში და განიხილავს მტკიცებულების მოპოვების პროცედურებს და მეთოდებს, მათ შორის: მტკიცების ტვირთი, მტკიცებულების შეფასება, დასაშვებობა და წონა.

თავი 5 განიხილავს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასა და ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის მეთოდებს, კერძოდ, კონფიდენციალურობის ტესტის გამოყენებას. ამ თავში, ასევე, განხილულია კონფიდენციალური და არა-კონფიდენციალური ტიპის ინფორმაციები და კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა და მისი უსაფრთხოება. და ბოლოს, მე-5 თავში წარმოდგენილი კონკრეტული შემთხვევები მკითხველს დაეხმარება ტესტის პრაქტიკაში გამოყენების კუთხით.

თავი 6 ყურადღებას ამახვილებს ტრიბუნალის ფარგლებში ხელმისაწვდომ დაცვის საშუალებებზე. მასში აღწერილია დაცვის ინდივიდუალური საშუალებების მიზნები და მათი გამოყენება სიტუაციების მიხედვით.

თავი 7 მიმოიხილავს ტრიბუნალის წევრების მიერ დავების განხილვისას დისკრეციის გამოყენების საკითხს და დისკრეციის განხორციელებისას გასათვალისწინებელ ფაქტორებსა და ძირითად ნაბიჯებს.

თავი 8 მიმოიხილავს წერილობითი გადაწყვეტილების მომზადების რამოდენიმე მეთოდს, ისევე, როგორც გადაწყვეტილების სტრუქტურას, სათაურების გამოყენებას, წერის სტილს და მეთოდებს.

დანართი I აღწერს საქართველოში მანამდე არსებულ დავების განხილვის ორგანოს (DRB) და ამჟამად მოქმედ საბჭოს (DRC) და სამართლებრივი დაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების თანმიმდევრობას.



პროცედურული სამართლიანობა და ზეპირი მოსმენები

2.1 მიმოხილვა

საკუთარი მოვალეობების განხორციელების პროცესში, ტრიბუნალის ყველა ნევრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს პროცედურულ სამართლიანობას. პროცედურული სამართლიანობის პრინციპი სამართალწარმოების ყველა მხარეს აძლევს შესაძლებლობას, ტრიბუნალის ნევრები დაარწმუნოს თავიანთი პოზიციის მართებულობაში და განსახილველ საქმეში სასურველი შედეგის დადგომა უზრუნველყოს. შესაბამისად, პროცედურული სამართლიანობის პრინციპები ის საფუძველია, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ნებისმიერი ტრიბუნალი უნდა ეფუძნებოდეს.

წინამდებარე თავი მიმოხილავს პროცედურული სამართლიანობის პრინციპებს და მათ ინდივიდუალურ გამოყენებას დავების განხილვის

პროცესში. თავის დასაწყისში წარმოდგენილია პროცედურული სამართლიანობის განმარტება, ხოლო შემდგომ კი პროცედურულ სამართლიანობასთან და შესაბამისად, ზეპირ განხილვებთან დაკავშირებული უფლებების ძირითადი კატეგორიების მიმოხილვა. თითოეული კატეგორია განხილულია დეტალურად და წარმოდგენილია შესაბამისი მაგალითები, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების კონტექსტში მათი გამოყენების საილუსტრაციოდ. ზოგადად, შესყიდვებთან დაკავშირებულ პროცედურებს ერთი მიზანი აქვს - ხელშეკრულების გაფორმება. შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურები წინასახელშეკრულებო წარმოებას განეკუთვნება და მოიაზრება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში, „ევროპული კონვენცია“ - ECHR) მე-6 მუხლის (სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები) ქვეშ.^{3 4}

³ ECJ-ის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, Varec (C-450/06, ECR 2008, გვ. I-581) პ. 44 ff.

⁴ სამართლებრივი დავის საშუალებების შესახებ დირექტივის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის, კომუნალური მომსახურების სექტორისთვის სამართლებრივი დავის საშუალებების შესახებ დირექტივის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტისა და თავდაცვის დირექტივის 56-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, შესაძლებელი უნდა იყოს სასამართლოსთვის ან ტრიბუნალისათვის მიმართვა, TFEU-ს 267-ე მუხლის მნიშვნელობის შესაბამისად, რომლის თანახმადაც ასეთ საქმეში განხილვის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო უფლება.

ევროპული კონვენცია იმ სამართლებრივი ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია, რომლის საფუძველზეც განიხილება შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებული დავები. წინამდებარე თავში ზოგადად არის განხილული ევროპული კონვენცია, პროცედურული სამართლიანობისა და ზეპირი მოსმენების საკითხებთან და კერძოდ, პროცედურული სამართლიანობით მოცულ უფლებებთან დაკავშირებით.

2.2 საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა დავების განხილვის საბჭოს მიერ

კანონის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების საბჭოში გასაჩივრების უფლება აქვს შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს, პრეტენდენტს ან მომწოდებელს. საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერის შემთხვევაში, შერჩევის პროცესში მონაწილეობის მსურველს ან შერჩევის პროცესის მონაწილეს უფლება აქვს,

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით⁵ გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს/შესარჩევი კომისიის საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული გადაწყვეტილება/ქმედება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს საბჭოში. ტენდერის შედეგების შესახებ გადაწყვეტილების ატვირთვის მომენტში, e-Procurement სისტემა⁶ ტენდერის მონაწილეს ავტომატურად უგზავნის აღნიშნულ გადაწყვეტილებას.



⁵ 2018 წლის 4 მაისის კანონი, No 2273-III

⁶ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

როგორც შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს, ისე პრეტენდენტს აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება:

No	მომჩივნის ტიპი	გასაჩივრებული გადაწყვეტილების ტიპი	საჩივრის წარდგენის ბოლო ვადა
1	შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი და პრეტენდენტი	გადაწყვეტილება/ქმედება, რომელიც დაკავშირებულია სატენდერო/საკონკურსო განცხადებასთან და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციასთან	სატენდერო / საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყებამდე
2	შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი და პრეტენდენტი	ნებისმიერი გადაწყვეტილება / ქმედება, რომელიც არ ექვევა 1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მიღებულია / განხორციელებულია სატენდერო / საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყებამდე	გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 10 დღისა; ქმედების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მაგრამ მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ხელშეკრულების დადებამდე
3	შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი და პრეტენდენტი	გადაწყვეტილება, რომლითაც საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადაისინჯა 1 ან 2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება	გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 10 დღისა; ქმედების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მაგრამ მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ხელშეკრულების დადებამდე

4	პრეტენდენტი	სატენდერო / საკონკურსო წინადადებების მიღების დანყების შემდეგ მიღებული / განხორციელებული გადაწყვეტილება / ქმედება, რომელიც არ ექცევა 1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში	გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 10 დღისა; ქმედების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მაგრამ მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ხელშეკრულების დადებაამდე
5	შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით რეგისტრირებული პირი	გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში ⁷ , თუ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელებისას შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს და საჩივარი ეხება გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.	გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 10 დღისა

⁷ ერთი წყაროდან, პირდაპირი შესყიდვა

საბჭოს საჩივარი წარედგინება მხოლოდ ელექტრონულად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. საჩივრის ფორმა და წარდგენის წესი განისაზღვრება საბჭოს რეგლამენტით⁸.

საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, საბჭო განიხილავს საჩივრის დასაშვებობის საკითხს. საბჭო საჩივარს დაუშვებლად ცნობს, თუ:

1. იგი არაუფლებამოსილმა პირმა წარადგინა;
2. მისი წარდგენის ვადა გავიდა ან საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვის დროისთვის უკვე დადებულია ხელშეკრულება;
3. იგი არ ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის/უფლებამოსილი ორგანოს/შესარჩევი კომისიის გადანყვეტილებას/ქმედებას;
4. შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის/უფლებამოსილი ორგანოს/შესარჩევი კომისიის შესაბამისი გადანყვეტილება/ქმედება, ამ კანონის შესაბამისად,

საბჭოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

5. დავის საგანი არ არსებობს;
6. საბჭოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
7. არსებობს საბჭოს გადანყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
8. მასში მითითებული საკითხი სასამართლოს განსჯადია;
9. სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

თუ საჩივარი არ შეესაბამება კანონით და საბჭოს რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ არ არსებობს საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველი, საბჭო მომჩივანს აძლევს 1 სამუშაო დღის ვადას საჩივრის დასაზუსტებლად. თუ მომჩივანი არ დააზუსტებს საჩივარს, საჩივარი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად დაუშვებლად იქნება ცნობილი.

⁸ მიღებულია მთავრობის კანონქვემდებარე აქტით, 2020 წლის 31 დეკემბერს

თუ მომჩივანი არასრულყოფილად დააზუსტებს საჩივარს, იგი დაუშვებლად იქნება ცნობილი. თუ მომჩივანი დაზუსტებულ საჩივარს წარადგენს, **საბჭო დაზუსტებული საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა განიხილავს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.**

საბჭო საჩივარს დაუშვებლად ცნობს იმ შემთხვევაშიც, თუ საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძვლის არსებობა მისი დასაშვებად ცნობის შემდეგ გაირკვევა. საჩივრის დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ, საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით ქვეყნდება e-Procurement სისტემის სპეციალურ მოდულში.

გასაჩივრებელი სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურები საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე ავტომატურად ჩერდება. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია/სატენდერო კომისია/უფლებამოსილი ორგანო/შესარჩევი კომისია ვალდებულია არ მიიღოს გადაწყვეტილება ან არ განახორციელოს ქმედება გასაჩივრებულ სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურებთან დაკავშირებული საჩივრის განხილვის ვადაში. შემსყიდველი ორგანიზაცია/სატენდერო

კომისია/უფლებამოსილი ორგანო/შესარჩევი კომისია ასევე ვალდებულია იმავე საკითხზე არ გამოაცხადოს ან შეაჩეროს გამოცხადებული ხელახალი სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურები (არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით განახორციელოს შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას.

მომჩივანს უფლება აქვს, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს წერილობით გამოიხმოს საჩივარი. ამ შემთხვევაში საჩივარი აღარ განიხილება. მომჩივნის მიერ საჩივრის გამოხმობის შესახებ ინფორმაცია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით ქვეყნდება e-Procurement სისტემის ელექტრონულ მოდულში.

2.3 რას ნიშნავს პროცედურული სამართლიანობა?

პროცედურული სამართლიანობა (სამართლიანი სასამართლოს უფლება) ნიშნავს მხარის უფლებას, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება და წარადგინოს საკუთარი არგუმენტები სამართალწარმოების პროცესში. დავის განხილვისას, პროცედურული სამართლიანობის პროცედურები

უნდა უზრუნველყოფდეს, რომ როგორც მომჩივანს, ისე შემსყიდელ ორგანიზაციას აქვს რეალური და თანაბარი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ტრიბუნალზე.

ტრიბუნალი არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელზეც ვრცელდება პროცედურული სამართლიანობის მოვალეობა. ვინაიდან ტრიბუნალი გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ტრიბუნალის წევრები ახორციელებენ კვაზი-სასამართლოს როლს და შესაბამისად, ისინი თავს უნდა აღიქვამდნენ არა უბრალოდ დავების განხილვის პროცესის ადმინისტრატორებად, არამედ, გადაწყვეტილების მიმღებ დამოუკიდებელ პირებად. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ტრიბუნალი უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და შექმნილი კანონის საფუძველზე. აღნიშნული ეხება როგორც ტრიბუნალს, ისე მის წევრებს.

2.4 რომელ უფლებებს მოიცავს პროცედურული სამართლიანობა?

პროცედურულ სამართლიანობასთან დაკავშირებული უფლებების კუთხით, წამყვან სტანდარტად მიიჩნევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „ყოველი ადამიანი აღჭურვილია“⁹ ¹¹ ¹² გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით, კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“³ კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი პრეცედენტული სამართალი პროცედურულ სამართლიანობას განსაზღვრავს, როგორც შემდეგი უფლებების ერთობლიობას:

⁹ ECJ-ს 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, *Varec (C-450/06, ECR 2008, გვ. 1-581)* პ. 44 ff.

¹⁰ სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის, კომუნალური მომსახურების სექტორისთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტისა და თავდაცვის დირექტივის 56-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, შესაძლებელი უნდა იყოს სასამართლოსთვის ან ტრიბუნალისათვის მიმართვა, TFEU-ს 267-ე მუხლის მნიშვნელობის შესაბამისად, რომლის თანახმადაც ასეთ საქმეში განხილვის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო უფლება.

- საჯარო განხილვის უფლება. აღნიშნული მოიცავს ზეპირი მოსმენის უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს საგამონაკლისო ვითარება.
- საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას.
- საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლება.
- სამართლიანი განხილვის უფლება. აღნიშნული მოიცავს: სასამართლოზე წვდომის უფლებას და სასამართლოზე დასწრების უფლებას; მხარეთა თანასწორობის უფლებას, შეჯიბრებითი განხილვის უფლებას და დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას.^{11 12}

ქვემოთ წარმოდგენილი თერთმეტი ქვეთავი აღნიშნულ ინდივიდუალურ პროცედურულ უფლებებს განიხილავს.

2.4.1 ზეპირი მოსმენის უფლება

მომჩივნის მიმართ სამართლიანობის მოვალეობის გარდა, ტრიბუნალს, ასევე, ეკისრება მოვალეობა, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის და ნებისმიერ სხვა პირისათვის, რომელზეც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მიღებულმა გადაწყვეტილებამ - მაგალითად, ტენდერის მონაწილე, რომელმაც წარადგინა საკუთარი წინადადება, უზრუნველყოს ადექვატური შესაძლებლობა, რათა მათ ზეპირი მოსმენის დროს წარმოადგინონ თავიანთი არგუმენტები. აღნიშნული მოცავს ზეპირი განხილვის დროს არგუმენტების როგორც წერილობით, ისე ზეპირი სახით წარდგენის უფლებას.

სახელმწიფო შესყიდვების კონტექსტში, ზეპირი მოსმენა, როგორც წესი, მოიცავს მომჩივნის მიერ ტრიბუნალისათვის და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წერილობითი მასალის წარდგენას. საჩივრის მიღების შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ტრიბუნალს წარუდგინოს საკუთარი არგუმენტები დავის საგანთან დაკავშირებით. ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტრიბუნალს უნდა წარუდგინოს შესყიდვასთან

¹¹ ECHR-ის დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება ზვედება მე-6 მუხლის მოქმედების ქვეშ.

¹² მომზადებულია შემდეგი სახელმძღვანელოს საფუძველზე: *The Right to a Fair Trial; A Guide to the Implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights, Human Rights Handbook No. 3, 2006.*

დაკავშირებული მასალები. წერილობითი მოსმენა მომჩივანს ანიჭებს უფლებას, მიიღოს და უპასუხოს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაგებელს, გარკვეულ ვადაში. იგივე უფლება ვრცელდება სხვა მხარეებზეც. მაგალითად, ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელსაც სამართლებრივად დაცული პოზიცია გააჩნია.

არაერთი ტრიბუნალი მომჩივანს არ ანიჭებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე პასუხის გაცემის უფლებას, რასაც ძირითადად განაპირობებს დროის დაზოგვის მიზანი და შესყიდვის პროცესში ვადების დაცვის მნიშვნელობა. ამავდროულად, ზოგიერთ სახელმწიფოში - მაგალითად, ავსტრია და გერმანია - ზეპირი მოსმენის დროს მომჩივანს უფლება აქვს, ტრიბუნალს წარუდგინოს შემსყიდველი ორგანიზაციის არგუმენტების საპირისპირო არგუმენტები. თუ ტრიბუნალის წინაშე საჯარო მოსმენის გამართვა არ ხდება, აღნიშნული, შესაძლოა, დააკომპენსიროს საჯარო მოსმენის გამართვამ მაღალ ინსტანციაში. ზეპირი მოსმენა ორივე მხარეს აძლევს შესაძლებლობას, უპასუხოს მეორე მხარის პოზიციას.

საქართველოში, კანონის თანახმად, საბჭო სარივარს იხილავს ღია სხდომაზე. საბჭოს სხდომაზე იმართება ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც საბჭო უსმენს მხარეებსა და დაინტერესებულ პირებს (არსებობის შემთხვევაში). საბჭოს სხდომაზე საჩივრის განხილვის დღესა და საათს

საბჭოს აპარატის წარდგინებით ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე. ეს ინფორმაცია ელექტრონული მოდულის მეშვეობით ეცნობებათ მხარეებსა და დაინტერესებულ პირებს (არსებობის შემთხვევაში). დადგენილი წესით მოწვეულ მხარეთა და დაინტერესებულ პირთა საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გათვალისწინებით, გარკვეული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ზეპირი მოსმენა ნებისმიერ შემთხვევაში სავალდებულოა. ეს საგამონაკლისო შემთხვევებია:

- პირველი ან ბოლო ინსტანციის ტრიბუნალი გადაწყვეტილებას იღებს მარტივ სამართლებრივ საკითხებზე ან მარტივ ტექნიკურ საკითხებზე.
- მეორე ინსტანციაში შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გამოტოვება. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი გარემოებები არის მკაფიო და პირველ ინსტანციაში ზეპირი მოსმენა უკვე გაიმართა, შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გამოტოვება.
- მხარეები არ ითხოვენ ზეპირ მოსმენას და ინფორმირებულები არიან ამ უფლების შესახებ.

- ტრიბუნალმა საჩივარი დაუშვებლად ცნო ისეთი მიზეზის გამო, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია. მაგალითად, საჩივარი დაგვიანებით იქნა წარდგენილი.
- გადანყვეტილება არის პროცედურული სახის. მაგალითად, მხარე ითხოვს ექსპერტის დანიშვნას.

ზეპირი მოსმენა უნდა იყოს საჯარო. ზეპირი მოსმენა სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ზეპირი მოსმენის დახურვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ემსახურება მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ინტერესს, ან აღნიშნული განპირობებულია მცირეწლოვნების ინტერესების ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობით, ან იმდენად, რამდენადაც სასამართლოს მოსაზრებით, ზეპირი მოსმენის დახურვა აუცილებელია, ვინაიდან საჯაროობა დააზიანებს მართლმსაჯულების ინტერესებს.

2.4.2 ინფორმაციის მიღების უფლება

თითველ მხარეს უნდა ჰქონდეს ჩანიშნული მოსმენების შესახებ და სამართალწარმოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, რათა მან შეძლოს საკუთარი არგუმენტების სათანადოდ მომზადება ან ჰქონდეს წვდომა შესაბამის მასალებზე, რათა გაეცნოს მეორე მხარის პოზიციას. ზეპირი მოსმენისთვის მოსამზადებლად, მხარეებს შეუძლიათ, გადაიღონ შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლი, ან ამ დოკუმენტებს მათ ტრიბუნალი მიაწვდით. ტრიბუნალი არ არის ვალდებული, მხარეებს მოუწოდოს, გაეცნონ შესყიდვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. მხარეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მოითხოვონ დოკუმენტებზე წვდომა, ზეპირი მოსმენის გამართვამდე გარკვეული პერიოდით ადრე, რათა მათ ჰქონდეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა ზეპირი მოსმენისთვის მოსამზადებლად.

მომჩივანს უნდა ჰქონდეს უფლება, წარადგინოს კომენტარები და უპასუხოს შემსყიდველი ორგანიზაციის არგუმენტებს, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს ახალ გარემოებას ან მტკიცებულებას. იგივე უფლება უნდა ენიჭებოდეს პროცესის ყველა მხარეს, რათა თითველმა შეძლოს საკუთარი უფლებების ეფექტურად დაცვა. ინფორმაციის მიღების უფლების პატივისცემის მოთხოვნა მესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ:

- ტრიბუნალი გამართავს ზეპირ მოსმენას ყველა იმ მხარის თანდასწრებით, რომელსაც აქვს ინტერესი დავის განხილვის შედეგების მიმართ;
- გამართავს ზეპირ მოსმენას, როგორც მინიმუმ, მომჩივნისა და შემსყიდველი ორგანიზაციის თანდასწრებით;
- ორივე მხარეს უზრუნველყოფს საქმისწარმოების მასალებზე წვდომის უფლებით.

ზეპირი მოსმენის გამართვის შემთხვევაში, მომჩივანს და შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს მთლიან მოსმენაზე დასწრების უფლება, რათა მათ შეძლონ, პასუხი გასცენ მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას და არგუმენტებს. ტრიბუნალს უფლება აქვს, განხილვის პროცედურა დაასრულოს ზეპირი მოსმენის შემდეგ, თუ შედეგ(ებ)ი მიუთითებს, რომ ახალი არგუმენტების ან მტკიცებულებების წარდგენა არ მოხდება.

2.4.3 წარმომადგენლობის უფლება

მომჩივანს და შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვთ, დავის განხილვის პროცესში თავად წარადგინონ არგუმენტები ან აღნიშნული უზრუნველყოფონ ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის საშუალებით, რომელსაც თავად

აირჩევენ. ამავდროულად, ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ ვის აქვს უფლება, შეასრულოს წარმომადგენლის მოვალეობა. ტრიბუნალი მხარეების წარმომადგენლობის უფლებას ვერ შეზღუდავს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეზღუდვა კანონით არის გათვალისწინებული. სავალდებულო წარმომადგენლობა შემზღუდავ მოთხოვნას წარმოადგენს, მაგრამ გამართლებულია კომპლექსურ შემთხვევებში. ზოგადად, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავები შეეხება დიდი ოდენობის ფულად და სხვა სახის რესურსებს და მოითხოვს კომპლექსური სამართლებრივი საკითხების განხილვას. შესაბამისად, მხარეებს, შესაძლოა, დაეკისროთ იურიდიული წარმომადგენლის ყოლის ვალდებულება.

2.4.4 მტკიცებულების წარდგენის და გასაჩივრების უფლება

მტკიცებულების წარდგენის უფლება ემსახურება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზანს. ფაქტების დადგენის შემდეგ სასამართლო მსჯელობს იმაზე, თუ როგორ მიესადაგება კანონი ამ ფაქტებს. მტკიცებულების წარდგენის უფლებასთან ერთად, ტრიბუნალს უნდა გააჩნდეს სათანადო მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც მხარე სხვა პირებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის ტრიბუნალისთვის წარდგენას მოსთხოვს.¹³

აღნიშნული გამოხატავს პრინციპს, რომლის თანახმადაც მხარე, რომელიც „ფლობს“ მტკიცებულებას, ვალდებულია, იგი ტრიბუნალს წარუდგინოს, თუ ეს მტკიცებულება საჭიროა საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად.

მხარეებს უფლება აქვთ, წარადგინონ ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მათ პოზიციებს გაამყარებს. ტრიბუნალის მოვალეობაა, შეაფასოს ნებისმიერი მტკიცებულება, რომელსაც მხარეები წარადგენენ და გადაწყვიტოს, ადგენს თუ არა წარდგენილი მტკიცებულება ძირითად ფაქტობრივ გარემოებებს ან საჭიროა თუ არა დამატებითი მტკიცებულება.

საქართველოში, კანონის თანახმად, საბჭოს წევრი წარდგენილ მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. შესაბამისად, მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებას, არ აქვს რაიმე წინასწარ განსაზღვრული დამამტკიცებელი ღირებულება.

თითოეულ მხარეს, ასევე, უფლება აქვს, გაასაჩივროს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულება და ტრიბუნალს წარუდგინოს საპასუხო

არგუმენტები იმ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომელიც მის პოზიციას ეწინააღმდეგება. დავის განხილვის ფარგლებში, შემსყიდველ ორგანიზაციას ეგზავნება საჩივარი. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს მომჩივნის არგუმენტებს და მათ საკუთარი არგუმენტები დაუპირისპიროს. მეორეს მხრივ, მომჩივანს მხოლოდ ტენდერის დოკუმენტაციაზე ან შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებაზე აქვს წვდომა, რაც წარმოადგენს კიდევ მისი საჩივრის საფუძველს. ამავდროულად, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, საჩივრის პასუხად წარადგინოს ახალი არგუმენტები, ხოლო მომჩივანი ვერ ისარგებლებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი მტკიცებულების გასაჩივრების უფლებით, თუ მას არ ექნება მტკიცებულების გაცნობის და საპასუხო არგუმენტების წარდგენის უფლება. ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონი მომჩივანს უზღუდავს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საპასუხოდ წარდგენილი მტკიცებულებების გასაჩივრების უფლებას.

ამგვარი შეზღუდვა, შესაძლოა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს.

¹³ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 46.

2.4.5 დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება

ყველა მხარეს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელსაც ეფუძნება ტრიბუნალის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების დასაბუთება საჭიროებს საგამოძიებო პროცედურის შედეგების მოკლე მიმოხილვას, არგუმენტებს მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით, ტრიბუნალის მიერ დადგენილ ფაქტებს და იმ სამართლებრივი საკითხების გათვალისწინებას, რომელიც გადაწყვეტილებისათვის რელევანტურია.

ამრიგად, ტრიბუნალის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს, რომელიც დადასტურებულია მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, მოთხოვნილია ტრიბუნალის მიერ ან საჯარო სივრცეშია ხელმისაწვდომი. მაგალითად, ტექნიკური ნორმები, საბაზრო პრაქტიკა, ინტერნეტში ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ინფორმაცია კონკრეტული ინდუსტრიის შესახებ და ა.შ.... გადაწყვეტილება ცალსახად უნდა მიუთითებდეს შესაბამის კანონმდებლობაზე და

დადგენილ ფაქტებზე, რის საფუძველზეც ტრიბუნალს გამოაქვს სამართლებრივი დასკვნები. მხარეებს უნდა ესმოდეთ, თუ რის საფუძველზე მიიღო ტრიბუნალმა კონკრეტული გადაწყვეტილება.

საქმეში *Albina v. Romania*¹⁴, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით დაცული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, მათ შორის, მოიცავს მხარეთა უფლებას, წარადგინონ თავიანთი არგუმენტები, რომელიც მათ თავიანთი საქმისათვის რელევანტურად მიაჩნიათ. ვინაიდან კონვენციის მიზანია უზრუნველყოს რეალური და ეფექტური უფლებების დაცვა, ნაცვლად თეორიული ან ილუზორული უფლებებისა, ეს უფლებები ვერ ჩაითვლება ეფექტურად, თუ არ მოხდება ასეთი არგუმენტების რეალურად „მოსმენა“, ე.ი. თუ სასამართლო არ შეისწავლის მათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე-6 მუხლის თანახმად, „სასამართლოს“ მოვალეობაა, უზრუნველყოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ეფექტურად განხილვა, როგორც მინიმუმ, მათი რელევანტურობის შესაფასებლად.

¹⁴ ECtHR-ის პრეცედენტული სამართალი, საქმე: *Albina vs. Romania*, 2005 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება.

ამავე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება, რათა მხარეებს ჰქონდეთ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობა და მხარეები არ დატოვოს გაურკვევლობაში ან მხარეებს არ უნდა დარჩეთ ისეთი შეგრძნება, რომ სასამართლომ მათი პოზიცია არ მოისმინა. სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ ყველა შესაბამის მოთხოვნას, მხარეებისათვის უნდა იყოს მკაფიოდ გასაგები და მტკიცედ უნდა პასუხობდეს მხარეების მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს.

ამასთან, სამართლებრივი ლიტერატურის თანახმად, კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილება ამცირებს მოგვიანებით მაღალი ინსტანციის სასამართლოში მისი გასაჩივრების ალბათობას.

საქართველოში, კანონის თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან. საბჭოს გადაწყვეტილება მიღებისთანავე ქვეყნდება ელექტრონულ მოდულში, საჯარო და მხარისა და დაინტერესებული პირისთვის (არსებობის შემთხვევაში) ჩაბარებულად ითვლება.

2.4.6 შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენების უფლება

ტრიბუნალის წევრები ვალდებულები არიან, დაიცვან შესაბამისი კანონმდებლობა და თითოეულ საქმეში თანმიმდევრულად გამოიყენონ იგი. აღნიშნული ტრიბუნალის წევრთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს. ტრიბუნალმა კანონი სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი პრინციპების შესაბამისად უნდა გამოიყენოს, რაც, საქართველოს შემთხვევაში, მოიცავს:

- მონაწილეთა მიმართ ჰ რ ო კ ო რ ც ი უ ლ ი , ა რ ა დ ი ს კ რ ი მ ი ნ ა ც ი უ ლ ი მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვე-პუნქტი)
- შესყიდვის პროცედურების გამჭვირვალობა - სახელმწიფო შესყიდვის საჯაროობის უზრუნველყოფა (ამავე მუხლის „დ“ პუნქტი)
- სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა (ამავე მუხლის „ა“ პუნქტი).

ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები უნდა იყოს სწრაფი, ეფექტური და ადექვატური. ამ მხრივ, კანონის 23^ა-ე მუხლის 1 პუნქტი ითვალისწინებს საბჭოს მიერ საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მიღების მოვალეობას. თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვერ ესწრება, საბჭოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით. ტრიბუნალმა, ასევე, უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფო შესყიდვების მთავარი პრინციპები, როგორცაა საჯარო სახსრების რაციონალური ხარჯვა, ღია და ეფექტიანი კონკურენციის, ანგარიშვალდებულების და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფა.

ამავდროულად, ტრიბუნალმა არ უნდა დაინდოს დავის განხილვის პროცედურა იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის წარდგენის საფასური არ არის გადახდილი, წარდგენილი დოკუმენტები არასრულია ან საჩივარში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამო შეუძლებელია მისი განხილვა. ზოგიერთ სახელმწიფოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის

თანახმად, მომჩივანს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია ტრიბუნალისგან ასეთი ხარვეზის არსებობის შესახებ. ტრიბუნალმა მას უნდა მისცეს შესაძლებლობა, ხარვეზი კონკრეტულ ვადაში გამოასწოროს.¹⁵ გასაჩივრების ვადების გათვალისწინებით, ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია. მომჩივნებს ნებისმიერ შემთხვევაში აქვთ უფლება, მიიღონ ტრიბუნალის გადაწყვეტილება, როგორც საქმის არსებითი მხარესთან, ისე ფორმალურ საკითხებთან დაკავშირებით.

თუ ტრიბუნალი საჩივარს უარყოფს იმის გამო, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს, ტრიბუნალმა შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა გაუგზავნოს მომჩივანს, ხოლო გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ მომჩივანს აქვს გასაჩივრების უფლება. ამავდროულად, ტრიბუნალმა გადაწყვეტილება შემსყიდველ ორგანიზაციას და დავის ყველა სხვა მხარესაც უნდა გაუგზავნოს, რათა გაგრძელდეს კონტრაქტის მინიჭების პროცედურა.

განსხვავებული ნესები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ სამართლებრივ მოთხოვნებს. მაგალითად, თუ მომჩივანმა შესაბამის

¹⁵ მაგალითად, ავსტრიაში

ვადაში ვერ წარადგინა საჩივარი ან მას არ ჰქონდა საჩივრის წარდგენის უფლება. ასეთ შემთხვევაში ტრიბუნალი უფლებამოსილია, უარყოს საჩივარი, როგორც დაუშვებელი.


საქართველოში, თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ კანონითა და საბჭოს რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ არ არსებობს საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველი, საბჭო მომჩივანს აძლევს 1 სამუშაო დღის ვადას საჩივრის დასაზუსტებლად. თუ მომჩივანი დაზუსტებულ საჩივარს წარადგენს, საბჭო დაზუსტებული საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა განიხილავს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

თუ საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძვლის არსებობა მისი დასაშვებად ცნობის შემდეგ გაირკვევა, საბჭო საჩივარს დაუშვებლად ცნობს. საჩივრის დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ, საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით ქვეყნდება ელექტრონულ მოდულში.

2.4.7 თანაბარი მოპყრობის უფლება

ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი ითვალისწინებს მხარეთა თანაბარ მოპყრობას და მხარეებს იცავს დისკრიმინაციისგან.

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, თავის მხრივ,



ადგენს, რომ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ეფუძნება, მათ შორის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპს, ყველა მონაწილის მიმართ (მუხლი 2, პუნქტი „დ“).

ამასთან, ამავე კანონის 232 მუხლის (1) პუნქტის თანახმად, საბჭო არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება რომელიმე სახელმწიფო ორგანოს ან დაწესებულებას და იგი ვალდებულია, დაიცვას განსახილველი დავის ყველა მხარის ლეგიტიმური უფლებები და ინტერესები, ყოველგვარი მიკერძოების და დისკრიმინაციის გარეშე.

დისკრიმინაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებს სახელმწიფო განსხვავებულად ეპყრობა, ხოლო ამგვარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება არ არსებობს. ამავდროულად, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, დაუშვებელია დისკრიმინაცია კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობისას. აღნიშნული უფლების დარღვევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე, სახელმწიფო არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს არ ეპყრობა განსხვავებულად.¹⁶

შესაბამისად, მსგავს საქმეებში ტრიბუნალი მხარეებს ერთნაირად უნდა მოეპყროს და უზრუნველყოს ერთნაირი უფლებებით. ამავდროულად, საჩივრის არსებით მხარესთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებისას ან დავის მხარეთა მიმართ პროცედურული წესების გამოყენებისას, ტრიბუნალი განსხვავებულად უნდა მოეპყროს არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ მხარეებს.

მაგალითი

ტენდერის ორი მონაწილე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ასაჩივრებს შემსყიდველი ორგანო ზაციის ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას, სახელმწიფო შესყიდვების ერთსა და იმავე პროცედურასთან დაკავშირებით. ტრიბუნალმა ცალ-ცალკე უნდა შეაფასოს თითოეული მომჩივნის მდგომარეობა, მომჩივნის პოზიციაზე და შესაბამის მტკიცებულებაზე დაყრდნობით. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ პირველი მომჩივნის საჩივარი არის დასაშვები და მას მოგების კარგი შანსი აქვს, მაშინ, როდესაც მეორე მომჩივნის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესაბამისად, საჩივრები ტრიბუნალმა განსხვავებულად უნდა შეაფასოს.

¹⁶ ECHR-ის მიერ განხილული საქმე - *Thlimmenos v. Greece*, 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, პ. 44.

2.4.8 საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ განხილვის უფლება

თითველ მხარეს უფლება აქვს, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ტრიბუნალმა, რომელიც, შესაძლოა, იყოს სასამართლო. სასამართლო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოა. თუ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ორგანო არ არის სასამართლო, იგი დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ტრიბუნალი დამოუკიდებლად მიიჩნევა, თუ იგი არ ექვემდებარება რომელიმე სხვა ორგანოს მითითებებს საქმის გადაწყვეტისას, ხოლო ტრიბუნალის წევრებს დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ დამოუკიდებლად, საკუთარი მოსაზრების შესაბამისად. ამავდროულად, ტრიბუნალი არ არის მიუკერძოებელი, თუ მის წევრებს აქვთ ინტერესთა კონფლიქტი განსახილველ საკითხთან საკითხთან ან რომელიმე მხარესთან მიმართებით. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალის წესდება უნდა ადგენდეს, რომ შესაბამის პირს (ან პირებს) არ აქვს უფლება, მონაწილეობა

მიიღოს დავის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში.

ევროპული სასამართლოს დამოუკიდებელი ტრიბუნალის ტესტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- წევრების დანიშვნის წესი
- უფლებამოსილების ვადა
- გარე ზეწოლისგან დაცვის მექანიზმები
- აღიქმება თუ არა ტრიბუნალი დამოუკიდებელ ორგანოდ¹⁷

ტრიბუნალი არ არის დამოუკიდებელი ორგანო, თუ დავის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მთავრობა, ხოლო მთავრობის წარმომადგენელი არის ტრიბუნალის მომხსენებელი წევრის იერარქიული ზედამხედველი.¹⁸ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ დანიშვნის ფაქტი არ წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას¹⁹, თუმცა, მე-6 მუხლის დარღვევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დანიშვნის მიზანია სამართალწარმოების შედეგზე გავლენის მოხდენა.²⁰

¹⁷ *The Right to a Fair Trial: A Guide to the Implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights*, in Nuala Mole, Catharina Harby, *Human Rights Handbook* No. 3, 2006, გვ. 30.

¹⁸ ECHR-ის მიერ განხილული საქმე - *Sramek v. Austria*, 1984 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

¹⁹ ECHR-ის მიერ განხილული საქმე - *Campbell and Fell v. the United Kingdom*, 1984 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, 3. 79.

საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, საბჭო სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მონაწილე ყველა მხარისაგან დამოუკიდებელი ორგანოა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრებს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს, მიჩნეულია, რომ მას აქვს საკმარისი დამოუკიდებლობა, ვინაიდან პრემიერ-მინისტრი საბჭოს წევრებს ირჩევს სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატებიდან, კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე. ამასთან, კომიტეტის შერჩევაში მონაწილეობას იღებენ პარლამენტის წევრები, რაც უზრუნველყოფს პროცესზე საპარლამენტო ზედამხედველობას. ამავდროულად, ის, თუ რის საფუძველზე (პოლიტიკური თუ სამართლებრივი) არის პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილი მიიღოს კონკრეტული კანდიდატის დანიშვნის ან არ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება, ბოლომდე ნათელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო ფინანსდება კონკურენციის სააგენტოს ბიუჯეტიდან, იგი ფინანსურად დამოუკიდებელ ორგანოდ არის მიჩნეული. ამ მხრივ, კანონი ადგენს საბჭოს

დამოუკიდებლობისა და საბჭოს მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მოთხოვნას.

ტრიბუნალის წევრების დანიშვნა უნდა მოხდეს გარკვეული ვადით ან უვადოთ. თუ წევრების დანიშვნა ხდება 6 წლის ვადით, მათი დამოუკიდებლობის ხარისხი საკმარისად მიიჩნევა.²¹ ტრიბუნალის გადაწყვეტილებებს უნდა ჰქონდეს შესასრულებლად სავალდებულო ძალა, ხოლო მათი შეცვლის ან გაუქმების უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს უნდა ჰქონდეს.²² სახელმძღვანელო პრინციპები დასაშვებია იმ პირობით, თუ ისინი არ წარმოადგენს ინსტრუქციებს გარკვეული საქმეების გადაწყვეტის თაობაზე.²³

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი არეგულირებს საბჭოს წევრთა დანიშვნის პროცესს. დანიშვნის და განთავისუფლების კრიტერიუმები და პროცესი მკაფიოდ არის დადგენილი და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნებს შეესაბამება. საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს

²⁰ კომისია - *Zand v. Austria*, 1977 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, 15 DR 70, გვ. 77.

²¹ ECHR-ის მიერ განხილული საქმე - *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება.

²² კომისია - *Van de Hurk v. the Netherlands*, 1994 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, და *Findlay v. the United Kingdom*, 1997 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, პ. 77.

²³ კომისია - *Campbell and Fell v. the United Kingdom*, 1984 წლის 28 ივნისი, პ. 79; *Sovtransavto Holdings v. Ukraine*, 2002 წლის 25 ივლისი.

აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა, ხოლო მათი შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2.4.9 კანონის საფუძველზე შექმნილ ტრიბუნალზე წვდომის უფლება

მხარეებს აქვთ კანონის საფუძველზე შექმნილ ტრიბუნალზე წვდომის უფლება. შესაბამისად, ad hoc ტრიბუნალი ან საარბიტრაჟო სასამართლო, რომლის წევრების დანიშვნაც ხდება მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, არ აკმაყოფილებს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. კანონის საფუძველზე შექმნა მოიცავს როგორც თავად ტრიბუნალის შექმნას, ისე მისი წევრების დანიშვნას, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების (პალატები და სენატები) შემადგენლობას, და საქმეთა განაწილებას. მხარეებს შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ დავების განხილველი ტრიბუნალი და, საჭიროების შემთხვევაში, ტრიბუნალის შესაბამისი ორგანო.

საქართველოში, საბჭო აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ სტანდარტებს, ვინაიდან იგი წარმოადგენს კანონის საფუძველზე შექმნილ მუდმივმოქმედ დაწესებულებას.

2.4.10 გადაწყვეტილების მიღება გონივრულ ვადაში

კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ტრიბუნალმა გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში უნდა მიიღოს. მომჩივნის და შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესშია, რომ ტრიბუნალმა მათ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოს ისეთ ვადაში, რომ შესყიდვების პროცესის გაგრძელებას აზრი ჰქონდეს. შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების სპეციფიური ბუნება მოითხოვს დავის განხილვის სწრაფ და ეფექტურ პროცედურებს, ვინაიდან პროცესის ზედმეტად გაჭიანურების შემთხვევაში, შესაძლოა, დავის განხილვას აზრი დაეკარგოს. კერძოდ, ბიუჯეტები და ფასები დიდი ხნის მანძილზე ვერ შენარჩუნდება. შესაძლოა, ისინი მოძველდეს და გახდეს არასწორი. ამრიგად, სამართლებრივი დაცვის შესახებ ევროპული დირექტივების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს წევრი სახელმწიფოს მიერ დავის განხილვის პროცედურების სწრაფად წარმართვის უზრუნველყოფა.²⁴

საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი და კერძოდ, მისი 239(1) მუხლი ადგენს, რომ საბჭო საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების

²⁴ See e.g. ECJ judgement of 12 February 2004, *Grossmann Air* (C-230/02, ECR 2004, p. I-1829) paragraph 36.

დადგენა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვერ ესწრება, საბჭოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით. აღნიშნული შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას. კერძოდ, კანონით გათვალისწინებული ვადები დავის სწრაფად განხილვის შესაძლებლობას იძლევა და აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

2.4.11 გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ტრიბუნალმა გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოაცხადოს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება აუცილებლად ხმამაღლა უნდა წაკითხოს. გადაწყვეტილება საჯარო, შესაძლოა, სხვა მეთოდების გამოყენებითაც გახდეს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება განთავსდება სასამართლოს რეესტრში ან გამოქვეყნდება ინტერნეტში.²⁵ ყველა გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს, რაც ჩაანაცვლებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ხმამაღლა წაკითხვის მოთხოვნას.²⁶

საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულში უნდა გამოქვეყნდეს, რომელიც საჯაროა. ამრიგად, მოდულში გამოქვეყნებული გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება, რომ იგი მხარეების და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ოფიციალურად გაეგზავნა.

2.5 რეზიუმე

წინამდებარე თავი სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალის წევრებს აცნობს პროცედურული სამართლიანობის პრინციპებს და განიხილავს დავის განხილვის პროცესში მათი გამოყენების საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ პროცედურული სამართლიანობის პრინციპები როგორც მომჩივანს, ისე შემსყიდველს აძლევს შესაძლებლობას, ტრიბუნალის წევრები დაარწმუნოს თავიანთი პოზიციის მართებულობაში. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს, რომ ტრიბუნალი უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კანონის საფუძველზე შექმნილი. იგი, ასევე, უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებას,

²⁵ Austria, e.g. publishes all judgements of review bodies in the internet (www.bva.gv.at; ris.bka.gv.at/Verg/).

²⁶ ECHR court case *Werner v. Austria*, Judgement of 24 November 1997; ECHR court case *Szucs v. Austria*, judgement of 24 November 1997; ECHR court case *Campbell and Fell v. The United Kingdom*, judgement of 28 June 1984.

გონივრულ ვადაში და პროცედურული სამართლიანობის უფლებას, ფართო გაგებით.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, პროცედურული სამართლიანობა საახელმწიფო შესყიდვების კონტექსტში რამოდენიმე უფლებას უკავშირდება. კერძოდ, ეს უფლებებია: საჯარო (ზეპირი) მოსმენის უფლება; გასამართი მოსმენების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; სამართლებრივი წარმომადგენლობის უფლება; საქმის გარემოებების დადგენის მიზნით მტკიცებულებების წარდგენის და გასაჩივრების უფლება; ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; ისეთ ტრიბუნალზე წვდომის უფლება, რომლის წევრებიც შესაბამის კანონმდებლობას თანმიმდევრულად იყენებენ; მხარეთა თანასწორი მოპყრობის უფლება - რომელიც გათალისწინებს ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი; საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ განხილვის უფლება - რომელიც, შესაძლოა, იყოს სასამართლო; კანონის საფუძველზე შექმნი ტრიბუნალზე წვდომის უფლება; ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში მიღების უფლება; და ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების უფლება.

პროცედურული სამართლიანობისა და მხარეთა შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების განხილვის შემდეგ, სახელმძღვანელოს მომდევნო თავში განხილულია ტრიბუნალის წევრთათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - ინტერესთა კონფლიქტი.



ინტერესთა კონფლიქტი

3.1 მიმოხილვა

წინა თავი მიმოხილავდა პროცედურული სამართლიანობის და ტრიბუნალის წევრთა დამოუკიდებლობისა და გავლენებისგან თავისუფლების პრინციპებს, რათა მათ მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება შეძლონ. მართლაც, მართლმსაჯულების ადმინისტრირების უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს ტრიბუნალის წევრთა მიუკერძოებლობა, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისინი არ დაექვემდებარონ რაიმე გავლენას. აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, მართლმსაჯულების საყრდენი პრინციპი მოითხოვს გადაწყვეტილების მიმღებთა მიუკერძოებლობას, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების დაფუძნებას ობიექტურ კრიტერიუმებზე და გარე და შიდა კონფლიქტის გავლენებისგან თავისუფლებას. წინამდებარე თავი ფართოდ და სიღრმისეულად განიხილავს ინტერესთა კონფლიქტის რამოდენიმე კატეგორიას და უზრუნველყოფს სახელმძღვანელო ინსტრუქციებს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევის იდენტიფიცირებასთან და გამჟღავნებასთან დაკავშირებით. თავში წარმოდგენილია ის ქმედებები, რომელთა მიღებაც აუცილებელია

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ან მისი გავლენების შესამსუბუქებლად. თავი, ასევე, შეიცავს რამოდენიმე დეტალურ კაზუსს და პრაქტიკულ რჩევებს ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში ინტერესთა კონფლიქტის საკითხების დაძლევისათან დაკავშირებით. წინამდებარე თავი, პირველ რიგში, ხაზს უსვამს მიუკერძოებლობის მნიშვნელობას, რის შემდეგაც განმარტავს ინტერესთა კონფლიქტის მნიშვნელობას სახელმწიფო შესყიდვების კონტექსტში.

3.2 მიუკერძოებლობა და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა

მართლმსაჯულების ადმინისტრირების ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებების მიუკერძოებლობა. არის მართლმსაჯულების პრინციპი, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს, ნაცვლად მიკერძოებისა, წინასწარგანწყობისა ან არასათანადო საფუძვლის გამო რომელიმე პირისათვის უპირატესობის მინიჭებისა.²⁷ მიუკერძოებლობა ყველა სამართლებრივი, კვაზი-

სამართლებრივი და ადმინისტრაციული დაწესებულების ფუნდამენტური პრინციპია, ხოლო მიუკერძოებლობის მოვალეობას ითვალისწინებს საჯარო მოხელეთა და მოსამართლეთა არაერთი კოდექსი მსოფლიოს მასშტაბით.²⁸ იმისათვის, რომ ტრიბუნალმა მიაღწიოს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ ხარისხს, მან უნდა შეასრულოს ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნა - ტრიბუნალის წევრთა მიუკერძოებლობა.

ინტერესთა კონფლიქტს,²⁹ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ საქმის განხილვა არ მოხდება მიუკერძოებლად და ტრიბუნალის წევრი უპირატეს ან არახელსაყრელ

მდგომარეობაში ჩააყენებს რომელიმე მხარეს. ზოგადად, ტრიბუნალის წევრებს გააჩნიათ პროფესიული როლი და პირადი ინტერესები. ზოგჯერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელია და ამაში დამნაშავე არავინ არ არის. შესაბამისად, OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, აუცილებელია მკაფიოდ გაიწეროს ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა და მიდგომა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ინტერესთა კონფლიქტის ძირითადი მახასიათებლების განმარტება

²⁷ <http://en.wikipedia.org/wiki/impartiality>.

²⁸ იხ. მაგალითად: *Guidance for Promoting Judicial Independence and Impartiality*, მომზადებულია USAID-ის მიერ, 2022 წლის იანვარი http://www.usaid.gov/our_work/democracy_and_governance/publications/pdfs/pnacm007.pdf, ასევე, იხ. საჯარო მოხელეთა ქვევის კოდექსის მოდელი, რეკომენდაცია No. R (2000)10, მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, ხელმისაწვდომია აქ: [http://www.coe.int/A/dghl/monitoring/greco/documents/Rec\(2000\)10_EN.pdf](http://www.coe.int/A/dghl/monitoring/greco/documents/Rec(2000)10_EN.pdf). OECD ქვეყნების ეთიკის კოდექსები ხელმისაწვდომია აქ: http://http://www.oecd.org/document/13/0,33n3,en_2649_34135_35532W8_1_1_1_37447,00.html. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეთიკის კოდექსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია იოლანტა პალიდაუსკაიტის ნაშრომში: *Codes of Conduct for Public Servants in Eastern and Central European Countries, Comparative Perspective*, ან შემდეგ დოკუმენტში: *European principles for public administration/ SIGMA papers Nr. 27*, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.oecd.org/dataoecd/26/30/36972467.pdf>.

²⁹ წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ტერმინი „ინტერესთა კონფლიქტი“, ასევე, აღნიშნავს მიკერძოებას. „მიკერძოება“ ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთი სახეობაა და უკავშირდება წიანწარგანწყობის ქონას.

- ინტერესთა კონფლიქტის ისეთი კონკრეტული შემთხვევების იდენტიფიცირება, რომელიც დაუშვებელია
- ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელობა
- ცნობიერების ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ინტერესთა კონფლიქტის წესებთან შესაბამისობას და სარისკო მიმართულებების წინასწარ იდენტიფიცირებას, პრევენციის მიზნით
- ინტერესთა კონფლიქტის დაუყოვნებლივ გამჟღავნების მოვალეობა
- სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა
- ისეთი ქმედებების იდენტიფიკაცია, რომელიც აუცილებელია ინტერესთა კონფლიქტის შედეგების თავიდან ასაცილებლად და სავალდებულო მოვალეობების შესასრულებლად.²¹

3.3 რა არის ინტერესთა კონფლიქტი?

OECD-ის „საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები“ (2005) ინტერესთა კონფლიქტს განმარტავს

შემდეგნაირად: „საჯარო მოსამსახურის საჯარო მოვალეობასა და პირად ინტერესებს შორის შეუთავსებლობა, რა დროსაც საჯარო მოსამსახურეს გააჩნია პირადი ინტერესები, რომელმაც, შესაძლოა, არასათანადო გავლენა იქონიოს მის მიერ ოფიციალური მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განხორციელებაზე.“²²

ამრიგად, ინტერესთა კონფლიქტი მოიცავს არა მხოლოდ ისეთ სიტუაციას, სადაც არსებობს დაუშვებელი კონფლიქტი მოხელის, როგორც კერძო მოქალაქის ინტერესებსა და მის სამსახურეობრივ მოვალეობებს შორის, არამედ, ასევე, ისეთ სიტუაციას, სადაც არსებობს აშკარა ინტერესთა კონფლიქტი ან შესაძლო (პოტენციური) ინტერესთა შეუთავსებლობა. ამ ორი კატეგორიის განმასხვავებელი ელემენტია ის, თუ რამდენად იქონია, აქვს ან იქონიებს საჯარო მოხელის პირადი ინტერესები გავლენას მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებაზე. განარჩევენ ინტერესთა კონფლიქტის რამოდენიმე ტიპს:

- რეალური ინტერესთა კონფლიქტი - მდგომარეობა, რომელშიც ტრიბუნალის წევრის კერძო ინტერესებმა იქონია ან სავარაუდოდ იქონია არასათანადო გავლენა მისი,

როგორც ტრიბუნალის წევრის უფლებამოსილება შესრულებამდე.

- ხილული ინტერესთა კონფლიქტი - მდგომარეობა, რომელშიც ერთი შეხედვით ჩანს, რომ ტრიბუნალის წევრის პირადმა ინტერესებმა იქონია, აქვს ან შესაძლოა, იქონიოს არასათანადო გავლენა მისი, როგორც ტრიბუნალის წევრის უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე, თუმცა, აღნიშნული ფაქტებით არ დასტურდება.
- პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი - მდგომარეობა, რომელშიც ტრიბუნალის წევრის პირადმა ინტერესებმა, შესაძლოა, სამომავლოდ, გამოიწვიოს რეალური ან ხილული ინტერესთა კონფლიქტი, იმ შემთხვევაში, თუ იგი განახორციელებს კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს.

აღნიშნულის მსგავსად, OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპები ერთმანეთისაგან განარჩევს რეალურ, ხილულ და პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს. კერძოდ, სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, „ხილული ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ ერთი შეხედვით ჩანს, რომ საჯარო მოხელის პირადმა ინტერესებმა, შესაძლოა, არასათანადო გავლენა იქონიოს მისი მოვალეობების განხორციელებაზე, თუმცა, აღნიშნულს რეალურად არ აქვს ადგილი. პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც საჯარო მოხელეს აქვს ისეთი პირადი ინტერესები, რომელმაც, შესაძლოა, წარმოშოს ინტერესთა კონფლიქტი.³⁰

³¹ ამასთან, არსებობს ინტერესთა კონფლიქტის ცალკეული (case-by-case) და მიმდინარე შემთხვევები. OECD-ის კიდევ ერთი დოკუმენტის - „საჯარო სექტორში ინტერესთა კონფლიქტის მართვის ინსტრუმენტთა კრებული“ (‘OECD-ის ინსტრუმენტთა კრებული’) -თანახმად, რეალური, ხილული და

³⁰ OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე (2003), გვ.4, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.oecd.org/dataoecd/17/23/33967052.pdf>, გვ. 6, ან www.oecd.org/gov/ethics/conflictofinterest.

³¹ OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე (2003), გვ.4. ასევე, იხ: OECD/SIGMA ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა და პრაქტიკა ევროკავშირის ცხრა წევრ-სახელმწიფოში: შედარებითი მიმოხილვა (2005), Sigma დოკუმენტი No. 36, ხელმისაწვდომია აქ: [http://www.oecd.org/officialdocuments/displaydocumentpdf/?cote=gov/sigma\(2006\)1/REV1&doclanguage=en](http://www.oecd.org/officialdocuments/displaydocumentpdf/?cote=gov/sigma(2006)1/REV1&doclanguage=en) და <http://dx.doi.org/10.1787/5kml60r7g5zq-en>.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენება რამოდენიმე ინსტრუმენტი.²⁴

3.3.1 რეალური ინტერესთა კონფლიქტი

რეალურ ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ტრიბუნალის წევრის პირადი ინტერესის თვისებრივი (მაგ. ერთ-ერთ მხარესთან არსებული ურთიერთობა) ან რაოდენობრივი (მაგ. სარგებელი, რომელიც შესაძლოა მიიღოს) მახასიათებლიდან გამომდინარე, გონივრულია ვარაუდი, რომ აღნიშნულმა პირადმა ინტერესმა, შესაძლოა, არასათანადო გავლენა მოახდინოს ტრიბუნალის წევრის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. რეალური ინტერესთა კონფლიქტი დაუშვებელია და თავიდან უნდა იქნას აცილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია გასაჩივრდეს გადაწყვეტილება, რომელზეც გავლენა მოახდინა ტრიბუნალის წევრის პირადმა ინტერესმა.

3.3.2 ხილული ინტერესთა კონფლიქტი

OECD-ის ინსტრუმენტთა კრებულის თანახმად, ხილული

ინტერესთა კონფლიქტი რეალური ინტერესთა კონფლიქტის მსგავსად დამაზიანებელია. შესაბამისად, ხილული ინტერესთა კონფლიქტი მიჩნეული უნდა იქნას რეალურ ინტერესთა კონფლიქტად მანამ, სანამ იარსებებს ეჭვები პირადი ინტერესების შესახებ.^{32 33 34}

3.3.3 პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის განმარტების თანახმად, ტრიბუნალის წევრის პირადი ინტერესი არსებულია, თუმცა, ვინაიდან იგი არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ინტერესთა კონფლიქტი პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემა შეიქმნება მაშინ, თუ ტრიბუნალის წევრის როლი შეიცვლება და იგი მონაწილეობას მიიღებს მოცემულ საქმეში.

3.4 რას ნიშნავს პირადი ინტერესი?

ძირითადი ტერმინი, რომელიც ინტერესთა კონფლიქტს განსაზღვრავს, არის 'პირადი ინტერესი'. მოცემულ კონტექსტში 'ინტერესი' ნიშნავს ყველაფერს, რამაც, შესაძლოა, გავლენა

³² OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე (2003), გვ.4.

³³ OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე, ინსტრუმენტთა კრებული (2005), გვ. 23-25.

³⁴ OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე, ინსტრუმენტთა კრებული (2005), გვ. 23-25.

იქონიოს ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე. ტერმინი 'პირადი ინტერესი' მოიცავს არა მხოლოდ ტრიბუნალის წევრის პერსონალურ, პროფესიულ ან საქმიან ინტერესებს, არამედ, ასევე, იმ ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფების პერსონალურ, პროფესიულ ან საქმიან ინტერესებს, რომელთანაც ტრიბუნალის წევრს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს ნათესავს, მეგობარს, მეტოქეს და მტერსაც კი.³⁵ ეს ინტერესები შეესაბამება, შეიცავს, ეფუძნება ან მომდინარეობს შემდეგიდან:

- საკუთრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის უფლებები და მოვალეობები
- ნებისმიერი სხვა სამართლებრივი სამოქალაქო ურთიერთობა
- საჩუქარი, დაპირება, დახმარება, პრეფერენციული მოპყრობა
- მოლაპარაკებები სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით, ოფიციალური ფუნქციების განხორციელებისას

- მოლაპარაკებები ნებისმიერი ფორმის სამომავლო ურთიერთობების შესახებ, რომელიც უკავშირდება მოხელის პირად ინტერესს, თანამდებობიდან წასვლის შემდგომ
- სარგებელის მიღების მიზნით პირად საქმიანობაში ან ნებისმიერ სხვა აქტივობაში ჩართულობა, რომელიც ქმნის შემოსავალს; ასევე, მომგებიანი და არა-მომგებიანი ორგანიზაციების, სინდიკატების ან პროფესიული, პოლიტიკური თუ სახელმწიფო ორგანიზაციების და ნებისმიერი სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა
- ურთიერთობები:
 - ოჯახში ან იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთად ცხოვრობენ
 - საზოგადოებაში
 - ეთნიკური
 - რელიგიური
 - მტრული ან მეგობრული

³⁵ *In whose interests? Preventing and managing conflicts of interest in the APS, Australian Public Service Commission, 2009, გვ. 2. სააკტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.*

- მანამდე არსებული ურთიერთობები, რომლის საფუძველზეც წარმოიქმნება ან შესაძლოა წარმოიქმნას ზემოთ ჩამოთვლილი ინტერესები.

პირადი ინტერესის ზემოთ მითითებული განმარტება მკაფიოდ განსაზღვრავს იმ სიტუაციებს, რომელშიც ინტერესთა კონფლიქტი არსებობს. შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები არის OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპებში წარმოდგენილ რეკომენდაციებთან შესაბამისობაში.³⁶

3.4.1 პირადი ინტერესის ტიპები

პირადი ინტერესი შესაძლოა დაიყოს ოთხ³⁷ კატეგორიად:

1. პერსონალური ინტერესი მოიცავს ოჯახური კავშირის ან პირადი ურთიერთობების ქონას მომჩინის ან შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ამ ტიპის ინტერესი ტრიბუნალის წევრებზე

ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ მათ ნათესავს ან ახლო მეგობარს გააჩნია რომელიმე ასეთი პირადი ინტერესი, ან ტრიბუნალის გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, პირდაპირი გავლენა იქონიოს ასეთ ნათესავზე ან ახლო მეგობარზე.

2. პოლიტიკური ინტერესი უკავშირდება სხვა საჯარო თანამდებობის დაკავებას და ასევე, ვრცელდება ნათესავზე ან ახლო მეგობარზე, თუ დაუშვებელია ტრიბუნალის წევრის მიერ სხვა თანამდებობის დაკავება. პოლიტიკური ინტერესი მოიცავს მტკიცე პოლიტიკური ან პერსონალური მოსაზრებების ქონას ან გამოხატვას, რომელმაც შესაძლოა განაპირობოს წინასწარგანწყობა ან გადაწყვეტილების წინასწარ მიღება რომელიმე მხარის ან საკითხის სასარგებლოდ ან საზიანოდ.

3. ფინანსური ინტერესები: როდესაც ტრიბუნალის წევრი არის სხვა ბიზნესის ან ორგანიზაციის თანამშრომელი, მრჩეველი, დირექტორი ან პარტნიორი; როდესაც მას აქვს პროფესიული ან სამართლებრივი მოვალეობა მომჩინის ან შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე; როდესაც

³⁶ OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე(2003), გვ. 7.

³⁷ გამოყენებული მაგალითების წყარო: *Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007*, გვ. 6-7, მოდიფიცირებულია კონტექსტის შესაბამისად.

იგი ფლობს აქტივებს, რომელზეც, შესაძლოა, გადანყვეტილებამ პირდაპირი ან ირიბი გავლენა იქონიოს - მაგალითად, მიწის, კომპანიის აქტივების ან სხვა ინვესტიციების ფლობა. მომჩივნისგან ან შემსყიდველი ორგანიზაციისგან ან მომჩივანთან ან შემსყიდველ ორგანიზაციასთან დაკავშირებული პირისგან სამომავლო დასაქმების შესახებ დანაპირების, საჩუქრის ან სხვა რაიმე სარგებლის მიღება.

4. სოციალური ინტერესები მოიცავს კლუბის, საზოგადოების ან ასოციაციის, კონკრეტული რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის წევრობას; ისეთ საკითხზე გადანყვეტილების მიღებას, რომელიც უკავშირდება ტრიბუნალის წევრის საცხოვრებელ ქალაქს ან სოფელს.

3.4.1.1 პერსონალური ინტერესები

ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია იმის შეფასება, თუ რა წარმოადგენს პირად ურთიერთობას - კერძოდ, იმის განსაზღვრა, თუ რომელი ურთიერთობები უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას. პერსონალური ურთიერთობები, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგს:

ოჯახის წევრები. თუ გადანყვეტილება ახდენს გავლენას ოჯახის უახლოეს წევრებზე - კერძოდ, ტრიბუნალის წევრის მეუღლეზე ან შვილზე, რომელსაც ის არჩენს, - ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, ტრიბუნალის წევრმა თავი უნდა შეიკავოს საკითხის გადანყვეტაში მონაწილეობის მიღებისგან.

ნათესავები. ზოგადად, ნათესავებთან დაკავშირებით სიტუაცია ოდნავ განსხვავდება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მჭიდროა ეს ურთიერთობები და რამდენად მოახდენს ტრიბუნალის გადანყვეტილება ან აქტივობა მათზე გავლენას, პირდაპირ ან არსებითად. ურთიერთობა მჭიდროდ ითვლება, თუ საქმე გვაქვს სისხლით ნათესაობასთან ან ქორწინების საფუძველზე კავშირთან. არ არსებობს მკაფიო წესები, რადგან ამ საკითხების განსაზღვრა, პირველ რიგში, ურთიერთობის ხარისხს უკავშირდება. თუმცა, სასურველია, რომ ტრიბუნალის წევრმა არ მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვაში, თუ ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მის ნათესავებზე.³⁸

მეგობრები და სხვა დაკავშირებული პირები. მსგავსი მოთხოვნები ვრცელდება მეგობრებსა და

³⁸ *Managing conflicts of interest: Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007*, გვ. 19.

სხვა დაკავშირებულ პირებზე. არარეალისტურია იმის მოლოდინი, რომ ტრიბუნალის წევრსანმოხელესარექნება არანაირი კავშირი შესაბამის პირთან. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ტრიბუნალის წევრი ან მოხელე იცნობს კონკრეტულ პირს ან მასთან უმუშავია, ან მასთან ფორმალური ურთიერთობა აკავშირებს, როგორც წესი, რაიმე პრობლემას არ წარმოქმნის. ამავდროულად, ხანგრძლივი ურთიერთობა ან კავშირი, შესაძლოა, პრობლემატური აღმოჩნდეს. იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალის გადანყვეტილება ან აქტივობა გავლენას ახდენს იმ ორგანიზაციაზე, რომელშიც მუშაობს ტრიბუნალის წევრის ნათესავი ან მეგობარი, გათვალისწინებული უნდა იქნას დაკავებული თანამდებობის ტიპი. განსხვავებას შექმნის ის, თუ რა თანამდებობა უკავია შესაბამის პირს - აღმასრულებელი დირექტორის ან მფლობლის, თუ უმცროსი რანგის თანამშრომლის, რომელიც არ არის პირადად ჩართული მოცემულ საქმეში, ხოლო მიღებული გადანყვეტილება პირადად მასზე გავლენას არ იქონიებს.³⁹

3.4.1.2 პოლიტიკური ინტერესები და პოლიტიკური საქმიანობა

არ არსებობს რაიმე მტკიცე წესები იმასთან დაკავშირებით, თუ რა დოზით შეუძლია ტრიბუნალის წევრს ჰქონდეს კავშირები სხვადასხვა ჯგუფებთან და ახორციელებდეს საქმიანობას ტრიბუნალის გარეთ. საჯარო ინტერესს უპირატესობა უნდა მიენიჭოს კერძო ინტერესთან ნებისმიერი პოტენციური კონფლიქტის არსებობისას, ხოლო ტრიბუნალის წევრმა უნდა გაითვალისწინოს, თუ როგორ შეიძლება აღიქვას მისი ქცევა მესამე მხარემ და რამდენად დააზიანებს მისი საქმიანობა ან კავშირები ტრიბუნალის რეპუტაციას.

ზოგადი პრინციპის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჯარო მოხელემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ საქმიანობაში, თუ ეს გონივრულობის ფარგლებში, შესაძლოა, აღქმული იქნას როგორც საჯარო მოხელის მოვალეობებთან შეუთავსებელი საქმიანობა ან შეაფერხოს მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების პოლიტიკურად მიუკერძოებლად განხორციელების შესაძლებლობა, ან ეჭვქვეშ დააყენოს მისი, როგორც საჯარო მოხელის კეთილსინდისიერება და მიუკერძოებლობა.⁴⁰ იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალის წევრი

³⁹ *Managing conflicts of interest: Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007*, გვ. 19.

⁴⁰ *Information Handbook for Employment Insurance Board of Referees, Employment Insurance Appeals Division, 2010*, გვ. 16.

პოლიტიკური პარტიის წევრი ან მტკიცე მხარდამჭერი, მისი პოლიტიკური მოსაზრებები გადაწყვეტილების მიღების პროცესისგან უნდა გაიმიჯნოს, ვინაიდან აღნიშნული ტრიბუნალის წევრის პროფესიონალიზმისა და მიუკერძოებლობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამავდროულად, არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, რომ, მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაცია ტრიბუნალის წევრის 'რჩეულ' პარტიის კონტროლის ქვეშ იმყოფება, რამაც, შედეგად, შესაძლოა გამოიწვიოს შემსყიდველი ორგანიზაციის პრეფერენციული მოპყრობა ან მასთან დაპირისპირებული მხარის ნეგატიური მოპყრობა.

ზოგადად, საჯარო მოხელეები არ უნდა მონაწილეობდნენ რაიმე გარე საქმიანობაში, რომელიც შეაფერხებს მათი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას ან მათგან მოითხოვს იმგვარ გონებრივ ან ფიზიკურ ჩართულობას, რაც მოვალეობების შესრულებას შეუძლებელს გახდის ან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლის რეპუტაციას. თუ იარსებებს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად

დაშვებულია ან არ არის დაშვებული კონკრეტული საქმიანობა ტრიბუნალის წევრისთვის, ეს უკანასკნელი ვალდებულია, კონსულტაცია გაიაროს ტრიბუნალის ხელმძღვანელთან. შესაბამისად, ტრიბუნალის წევრებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ საქმიანობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული მათი მოვალეობების შესრულებას აფერხებს. გარკვეული დოზით დაშვებულია ზოგიერთი აქტივობა, რომელიც არ შექმნის ინტერესთა კონფლიქტს, მათ შორის:

- პოლიტიკური პარტიის წევრობა
- პოლიტიკური პარტიისთვის თანხის შეწირვა
- პოლიტიკური პარტიის ღონისძიებებზე დასწრება, კამპანიასთან დაკავშირებული ნივთების ტარება ან პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვა საჯარო გარემოში⁴¹

⁴¹ Information Handbook for Employment Insurance Board of Referees, Employment Insurance Appeals Division, 2010, გვ. 16.

3.4.1.3 სოციალური ინტერესები - საზოგადოებრივ ჯგუფებთან ან სხვა ორგანიზაციებთან ასოცირება

ტრიბუნალის წევრთა მიერ ორგანიზაციების წევრობას ცალსახად სარგებელი მოაქვს ტრიბუნალისთვის. თუმცა, ტრიბუნალის წევრებმა უნდა გაითვალისწინონ ის პოტენციური პრობლემები, რომლებიც შესაძლოა, შექმნას ასეთი ორგანიზაციების წევრობამ. გადაწყვეტილების მიუკერძოებლობა, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალის წევრი გარკვეული საკითხის შესახებ საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავს როგორც არა-სამთავრობო ორგანიზაციის წევრი, ხოლო მოგვიანებით, აღნიშნულ საკითხს განიხილავს ტრიბუნალი.⁴²

ორგანიზაციის წევრობა, შესაძლოა, პრობლემას არ წარმოადგენდეს. ზოგიერთ შემთხვევაში, ორგანიზაციისადმი მხარდაჭერამ, შესაძლოა, იგივენაირი უარყოფითი გავლენა იქონიოს, განსაკუთრებით, საჯარო კომენტარებთან ან წერილობით განცხადებებთან დაკავშირებით. შესაძლოა, ასევე პრობლემური იყოს კონკრეტული ორგანიზაციისადმი განხორციელებული შემონიშნულობები.

ანონიმურმა შემონიშნულობებმაც კი, შესაძლოა, დაარღვიოს შესაბამისი პრინციპები. საკუთარი ჩართულობის ბუნების შეფასებისას, ტრიბუნალის წევრი უნდა დაფიქრდეს, თუ რა რეაქცია შეიძლება ჰქონდეს „გონივრულ, კარგად ინფორმირებულ დამკვირვებელს“ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო გახდება ასეთი ინტერესი ან ჩართულობა. შესაბამისად, თუ ტრიბუნალის წევრის მიერ განხორციელებული შემონიშნულობის მიმღები ორგანიზაცია ტრიბუნალის მიერ განსახილველი დავის მონაწილე მხარეა, ტრიბუნალის წევრმა უარი უნდა თქვას მონაწილეობაზე, ვინაიდან მის მიერ ორგანიზაციის სასარგებლოდ განხორციელებულმა შემონიშნულობებმა, შესაძლოა, წარმოშოს ინტერესთა კონფლიქტი.

თუ ტრიბუნალის წევრი ისეთი კომიტეტის ან საკონსულტაციო ორგანოს წევრია, რომელიც მუშაობს საკანონმდებლო რეფორმაზე ან სხვა სამართლებრივ საკითხებზე, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ არ არის მიზანშეწონილი ისეთ საკითხებზე მუშაობა, რომელიც ტრიბუნალის როლთან შეუთავსებელია ან ტრიბუნალის როლს ეწინააღმდეგება. საწინააღმდეგო მოსაზრების გამოხატვამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს

⁴² Administrative Review Council, Commonwealth of Australia, Guide to Standards of Conduct of Tribunal Members, 2009, გვ. 30. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

აღნიშნული წევრისადმი პატივისცემაზე და ტრიბუნალის ავტორიტეტზე.⁴³

3.4.1.4 საჩუქრები

ტრიბუნალის წევრის მიერ წევრს ეკრძალება პირდაპირ ან ირიბად საჩუქრების, სარგებლის, დანაპირების ან შეღავათიანი მოპყრობის მოთხოვნა ან მიღება თავისი თანამდებობის გამო, იმ შემთხვევაში, თუ ამან შესაძლოა შექმნას ინტერესთა კონფლიქტი. ტრიბუნალის წევრი, რომელსაც შესთავაზეს საჩუქარი, სარგებელი, დანაპირები ან შეღავათიანი მოპყრობა, ვალდებულია:

- დააბრუნოს ან უარი თქვას აღნიშნულის მიღებაზე. თუ ეს შეუძლებელია, აღნიშნული ოფიციალურად უნდა გადასცეს ტრიბუნალის ხელმძღვანელ პირს ან ზემდგომ დანესებულებას.
- მოახდინოს შეთავაზების ავტორის, მისი მოტივებისა და ინტერესების იდენტიფიცირება.
- დაუყოვნებლივ შეატყობინოს ტრიბუნალის ხელმძღვანელს ან ზემდგომ დანესებულებას

შეთავაზებული ან მიღებული საჩუქრის, სარგებლის, დანაპირების ან შეღავათიანი მოპყრობის შესახებ, იმ პირის ვინაობის შესახებ, რომელმაც აღნიშნული შესთავაზა და, ასევე, შესაბამისი გარემოებებისა და სავარაუდო მიზეზების შესახებ და რა კავშირი აქვს მათ ტრიბუნალის წევრის უფლება-მოვალეობებთან.

- იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზება ექვემდებარება სანქციას, ტრიბუნალის წევრმა შესაბამის ორგანოებს უნდა შეატყოს შეთავაზების და ყველა რელევანტური ფაქტობრივი გარემოების შესახებ. მაგალითად - ვინ და რა შესთავაზა მას, რა მიზნისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს სამართლებრივი დევნის დაწყება.
- გააგრძელოს მოვალეობების ჩვეულებრივად შესრულება, განსაკუთრებით იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომლის გამოც მას შესთავაზეს საჩუქარი, სარგებელი,

⁴³ Administrative Review Council, Commonwealth of Australia, Guide to Standards of Conduct of Tribunal Members, 2009, გვ. 31. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუქცირებულია ნებართვის საფუძველზე..

დანაპირები ან შეღავათიანი მოპყრობა, და ზედამხედველებს შეატყობინოს განვითარებული მოვლენების შესახებ.

- თუ შეთავაზება უკავშირდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას, აღნიშნულის შესახებ კომპეტენტურ სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებს შეატყობინოს.

OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, დასაშვებია გარკვეული საჩუქრების მიღება, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას. მაგალითად, სოციალური წეს-ჩვეულებების შესაბამისი საჩუქრები - კერძოდ, დაბადების დღეებზე ან დღესასწაულებზე, ან სამსახურეობრივი დამსახურების აღსანიშნავად გადაცემული საჩუქრები.⁴⁴ ამასთან, ტრიბუნალის წევრმა უარი უნდა თქვას საჩუქრის მიღებაზე, თუ გონივრულობის ფარგლებში, შესაძლოა, მიჩნეულ იქნას, რომ საჩუქარი საჯარო მოხელის მიუკერძოებლობას აზიანებს.⁴⁵ შესაბამისად, ტრიბუნალის წევრმა უნდა გაითვალისწინოს:

- საჩუქრის ხასიათი და ღირებულება
- პირი, რომელიც მას საჩუქარს სთავაზობს და მისი ურთიერთობა ტრიბუნალთან, და კონტექსტი, რომელშიც ხდება საჩუქრის შეთავაზება.

აღნიშნული მიდგომა, ასევე, ასახულია OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპებში, რომლის თანახმადაც საჩუქრის მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

გ უ ლ ნ რ ფ ე ლ ი
არის თუ არა საჩუქარი გულწრფელი და ემსახურება თუ არა იგი ჩემი, როგორც საჯარო მოხელის მიერ განეული საქმიანობის დაფასებას?

დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი
თუ ამ საჩუქარს მივიღებ, გონიერი ადამიანი შეიტანს ეჭვს ჩემს დამოუკიდებლობაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ საჩუქრის ავტორი განსახილველი დავის მხარეა ან მასზე გავლენას ახდენს ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

⁴⁴ OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე, ინსტრუმენტთა კრებული (2005), გვ. 45.

⁴⁵ Administrative Review Council, Commonwealth of Australia, Guide to Standards of Conduct of Tribunal Members, 2009, გვ. 34. საავტორო უფლებები დაფუძვლილია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი
თუ ამ საჩუქარს მივიღებ, ვიქნები თუ არა თავისუფალი ვალდებულებისგან, რომ საჩუქრის ავტორს ან მის ოჯახს, მეგობრებს თუ კოლეგებს სანაცვლოდ გავუკეთო რამე?

გ ა მ ქ ვ ი რ ვ ა ლ ე
მზად ვარ, საჩუქრის და მისი წყაროს შესახებ ინფორმაცია გავუმუღავნო ჩემს ორგანიზაციას და მის კლიენტებს, ჩემს კოლეგებს, მედიას და ფართო საზოგადოებას?⁴⁶

ტრიბუნალის წევრმა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება უნდა გააგრძელოს, თუ ყველა ამ კითხვაზე პასუხი დადებითია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან თავი უნდა შეიკავოს მონაწილეობის მიღებისგან და იგი სხვა წევრმა უნდა ჩაანაცვლოს.

3.5 წინასწარგანწყობა და გადაწყვეტილების წინასწარ მიღება

ტრიბუნალის წევრებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ საკუთარი მოსაზრებები. მართლაც, ხშირად ტრიბუნალის წევრები საკუთარი აზრებით და იდეებით ხელმძღვანელობენ საქმიანობის განხორციელების პროცესში. თუმცა, გარკვეული საკითხის შესახებ მტკიცე მოსაზრების ქონამ, შესაძლოა შექმნას

წინასწარგანწყობის ან გადაწყვეტილების წინასწარ მიღების რისკი. ტრიბუნალის წევრები, შესაძლოა, აღქმული იქნან ინტერესთა კონფლიქტის მქონედ (მიკერძოებულად), თუ მათი ქცევა და მოსაზრებები (განსაკუთრებით, საჯარო განცხადების სახით გამოხატული) მიუთითებს, რომ მათ კონკრეტული საკითხის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული აქვთ წინასწარ, ამ საკითხის განხილვამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრიბუნალის წევრებს აქვთ „დახურული გონება“ ან „მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია“ და მათ არ სურთ, გაითვალისწინონ შესაბამისი ინფორმაცია და არგუმენტები.⁴⁷ ასეთი ტიპის წინასწარგანწყობა და გადაწყვეტილების წინასწარ მიღება არღვევს მიუკერძოებლობის მოვალეობას და ამგვარად, წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს.

ზოგადი პიროვნული ფაქტორები, როგორცაა ტრიბუნალის წევრის ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური კუთვნილება, ეროვნული წარმომავლობა, ასაკი, პოლიტიკა ან ფილოსოფიური სწავლებები, სიმდიდრე ან პროფესიული წარმომავლობა, როგორც წესი, არ წარმოადგენს გადაწყვეტილების წინასწარ მიღების განმაპირობებელ

⁴⁶ OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე, ინსტრუმენტთა კრებული (2005), გვ. 43.

⁴⁷ *Managing conflicts of interest: Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007*, გვ. 20.

ფაქტორს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოქმნის მტკიცე პიროვნულ რწმენას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება განსახილველ საქმეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება იგი ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად.

3.6 ინტერესთა კონფლიქტზე რეაგირება

ტრიბუნალის წევრს ეკისრება მოვალეობა, უზრუნველყოს მისი პირადი ინტერესით ან სხვა შეუთავსებელი ინტერესით განპირობებული ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტა როგორც კი იგი აღნიშნულის შესახებ შეიტყობს. იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალის წევრს აქვს ეჭვი ინტერესთა კონფლიქტის არსებობასთან დაკავშირებით, მან ტრიბუნალის ხელმძღვანელს უნდა მიმართოს. კონკრეტულ სიტუაციებზე რეაგირების ორი ასპექტი არსებობს. პირველ რიგში, უნდა მოხდეს ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება და გამჟღავნება, რაც ტრიბუნალის წევრის პასუხისმგებლობაა. მან, ასევე, აღნიშნულის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს ტრიბუნალის ხელმძღვანელს. მეორე, მიღებული უნდა იქნას გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა ქმედება უნდა განხორციელდეს ინტერესთა კონფლიქტის

შედეგების შესამსუბუქებლად ან თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული ტრიბუნალის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.⁴⁸

ნებისმიერ სიტუაციაში, როდესაც ტრიბუნალის წევრი მოახდენს ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებას, მან აღნიშნულის შესახებ უნდა შეატყობინოს ტრიბუნალის ხელმძღვანელს და პრობლემის სწრაფად გადაჭრა უნდა სცადოს. აღნიშნული აუცილებელია არა მხოლოდ ტრიბუნალის მიუკერძოებლობის დასაცავად, არამედ, ტრიბუნალის წევრის პირადი პრობლემებისგან დასაცავად.

ამ კონტექსტში, საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი (მუხლი 23⁹(7)) ადგენს, რომ დავების განხილვის საბჭოს წევრი საჩივრის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, თუ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.⁴⁹ ეს საფუძველია:

- ა) ტრიბუნალის წევრი თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;
- ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

⁴⁸ *Managing conflicts of interest: Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007*, გვ.20.

⁴⁹ 1999 წლის 25 ივნისის კანონი, No N 2181-IIS

- გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი;
- დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
- ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
- ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწვავებს კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
- ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

ასეთ შემთხვევაში, საბჭოს წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაც ილების შესახებ. ამასთანავე, მხარესა და დაინტერესებულ პირს უფლება აქვთ, საბჭოს სხდომის დასრულებამდე წერილობით წარადგინონ შუამდგომლობა საბჭოს წევრის აცილების შესახებ. საბჭოს წევრის აცილების საკითხის მის დაუსწრებლად წყვეტენ საბჭოს სხვა წევრები ხმების უმრავლესობით. საბჭოს სხვა წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საბჭოს წევრი აცილებულად ითვლება.

3.6.1 როგორ მოვახდინოთ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება?

მნიშვნელოვანია, რომ ფოკუსირება მოვახდინოთ ორ ინტერესს შორის

კვეთაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წევრის სხვა ინტერესი არის თუ არა კავშირში ტრიბუნალის მიერ განსახილველ კონკრეტულ საკითხთან.

ტრიბუნალის წევრის მიერ ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო შემთხვევის გამჟღავნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უმჯობესია, რომ უპირატესობა მიენიჭოს ღიაობას. თუმცა, თუ საკითხი ბუნდოვანია და ტრიბუნალის წევრი არ არის დარწმუნებული, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული შემთხვევა ინტერესთა კონფლიქტს, უმჯობესია, რომ მან ინტერესის შესახებ ტრიბუნალის ხელმძღვანელს შეატყობინოს და ამ უკანასკნელის რჩევის შესაბამისად, ტრიბუნალის შეხვედრაზე საკითხის შესახებ დანარჩენ წევრებსაც აცნობოს.

საკითხის გამჟღავნების შემდგომ, ტრიბუნალის წევრთა ექსპერტული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული სიტუაცია ინტერესთა კონფლიქტს, რამდენად სერიოზულია იგი და საჭიროებს თუ არა რეაგირებას.⁵⁰ ტრიბუნალის შესაბამისმა წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3.6.2 როგორ მოვახდინოთ ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნება?

ცოდნისა და კეთილსინდისიერების

საფუძველზე უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების პროცესში, თითოეული საჯარო მოხელე უნდა იყოს ვალდებული, წინასწარ გაამუშავოს ისეთი პირადი ინტერესების არსებობა, რომელმაც, შესაძლოა, წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი. მოხელემ, ზემდგომი პირის ან ზემდგომი დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე, უნდა შეავსოს პირადი ინტერესების დეკლარაციის ფორმა. როგორც წესი, დეკლარაციის შევსების მოთხოვნა და შევსება ხდება წინასწარ.

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ტრიბუნალის წევრი ვალდებულია, წინასწარ გაამუშავოს ინტერესთა კონფლიქტი და ტრიბუნალის ხელმძღვანელს აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს. ხელმძღვანელი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს და ტრიბუნალის წევრს გადაწყვეტილების მიღების პროცესს ჩამოაშორებს.

თუ ტრიბუნალის წევრი ფლობს ინფორმაციას სხვა წევრის ან ტრიბუნალის ხელმძღვანელის პირადი ინტერესის შესახებ, რომელმაც შესაძლოა, შესაბამისი პირის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების

განხორციელებაზე იქონიოს გავლენა, იგი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს ტრიბუნალის ხელმძღვანელს ან ზემდგომ დაწესებულებას, თუ საქმე ეხება ტრიბუნალის ხელმძღვანელს.

თუ ტრიბუნალის პირად ინტერესებში შემავალი საკითხი ფორმალურ შეხვედრაზე წამოიჭრება, ტრიბუნალის წევრი ვალდებულია, შეხვედრაზე განაცხადოს, რომ მას აქვს ინტერესი განსახილველი საკითხის მიმართ. აღნიშნული უნდა აისახოს შეხვედრის ოქმში. სხვა შემთხვევაში, პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისთანავე უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხის წამოჭრა და შესაბამის პირთან განხილვა.⁵¹ ტრიბუნალის წევრმა თავი უნდა შეიკავოს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებისგან.

თუ დავის მხარეები მოითხოვენ ტრიბუნალის წევრის აცილებას, შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ტრიბუნალის ხელმძღვანელი. თუ მხარეები მოითხოვენ ტრიბუნალის ხელმძღვანელის აცილებას, მოთხოვნას განიხილავს ტრიბუნალი, ტრიბუნალის ხელმძღვანელის მოადგილის ხელმძღვანელობით.

⁵⁰ *Managing conflicts of interest: Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007, გვ.27-28.*

⁵¹ *Managing conflicts of interest: Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007, გვ. 28.*

3.6.3 როგორ ავიცილოთ თავიდან ინტერესთა კონფლიქტი ან შევამსუბუქოთ მისი გავლენა?

ტრიბუნალის მიუკერძოებლობის პრინციპის თანახმად, ტრიბუნალის წევრებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა დავის განხილვაში, თუ მათ გადაწყვეტილების მიმართ პირადი ინტერესი გააჩნიათ. მაგალითად, ტრიბუნალის წევრს, შესაძლოა, ჰქონდეს პირადი ინტერესი იმ შემთხვევაში, თუ წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს პირადად მასზე ან მის ნათესავზე. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალის წევრი ინარჩუნებს თანამდებობას, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობს. კერძოდ, იგი არ მონაწილეობს კენჭისყრაში, შესაბამისი წინადადებებისა და გეგმების განხილვაში და მის პირად ინტერესთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და სხვა ინფორმაციას არ იღებს.

ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დროს დავის განხილვაში მონაწილეობის მიღების აკრძალვა საკანონმდებლო დონეზე მოქმედებს, ალტერნატიული სანქციები არ არის ხელმისაწვდომი, ვინაიდან სამართლებრივი დაცვის ერთადერთ საშუალებას მონაწილეობის აკრძალვა წარმოადგენს. ამავდროულად, თუ მომავალში კანონმდებლობაში განხორციელდება ცვლილებები

ან იარსებებს კონკრეტული ტიპის პირადი ინტერესი, რომელიც სანქციის სახით არ გამოიწვევს საკითხის განხილვის პროცესიდან ტრიბუნალის წევრის ავტომატურად ჩამოშორებას, ტრიბუნალს უნდა ჰქონდეს მომდევნო ნაბიჯების განსაზღვრისა და ინტერესთა კონფლიქტის მქონე წევრისათვის შესაბამისი ინსტრუქციების მიცემის უფლებამოსილება. შემდგომი ნაბიჯების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ტრიბუნალმა სიფრთხილით უნდა შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტის სერიოზულობა და მასზე რეაგირების საშუალებები.

ეს საშუალებებია:

- ქმედების განუხორციელებლობა
- იმის გარკვევა, თუ რამდენად ეთანხმება ან არ ეთანხმება ყველა მხარე (შემსყიდველი ორგანიზაცია და მომჩივანი) შესაბამისი წევრის მონაწილეობას დავის განხილვის პროცესში
- ტრიბუნალის წევრისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლების მიცემა, გამონაკლისის სახით (მსგავსი უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში)
- ტრიბუნალის წევრზე დამატებითი ზედამხედველობის დაწესება

- ტრიბუნალის წევრის გამორიცხვა კონკრეტულ საკითხზე დისკუსიიდან ან კენჭისყრიდან
- ტრიბუნალის წევრის გამორიცხვა კომიტეტიდან ან სამუშაო ჯგუფიდან, რომელიც შესაბამის საკითხზე მუშაობს
- გარკვეული მოვალეობების ან დავალებების ტრიბუნალის სხვა წევრისათვის მიცემა
- ტრიბუნალის ხელმძღვანელი გასცემს მითითებას, რომ შესაბამისმა წევრმა არაფერი მოიმოქმედოს
- გარკვეულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა
- ტრიბუნალის წევრის დროებით ან მუდმივად გადაყვანა სხვა თანამდებობაზე ან პროექტზე
- პირადი ინტერესის დათმობა⁵²

ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, ტრიბუნალის წევრმა თავი უნდა შეიკავოს შესაბამის საკითხზე მუშაობისგან, ვინაიდან ტრიბუნალის მიუკერძოებლობის შესახებ ყველაზე მცირე ეჭვებმაც კი, შესაძლოა, დააზიანოს ტრიბუნალის სანდოობა.

3.6.4 რა მოხდება, თუ ტრიბუნალი არ მოახდენს ინტერესთა კონფლიქტზე რეაგირებას

თუ ტრიბუნალი არ მოახდენს ინტერესთა კონფლიქტზე სათანადოდ რეაგირებას, ხოლო ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღება მოხდება რეალური ან ხილული ინტერესთა კონფლიქტის პირობებში, ასეთი გადაწყვეტილება, შესაძლოა, სასამართლოში გასაჩივრდეს. თუ დადასტურდება ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, სასამართლო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას ძალადაკარგულად გამოაცხადებს. შესაბამისად, გადაწყვეტილებას არ ექნება სამართლებრივი გავლენა.

⁵² ჩამონათვალი მომზადდა შემდეგ დოკუმენტზე დაყრდნობით: *Managing conflicts of interest: Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007*, გვ. 31. მსგავსი ჩამონათვალი ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრის გზების შესახებ, ასევე, ხელმისაწვდომია OECD-ის რეკომენდაციაში *საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე* (2003), გვ. 8.

3.6.5 დანიშვნა და დასაქმება თანამდებობის დატოვების შემდგომ

OECD-ის ინსტრუმენტთა კრებულის თანახმად,⁵³ თანამდებობის დატოვებიდან ორი წლის განმავლობაში, ტრიბუნალის ყოფილმა წევრმა არ უნდა დაიცვას იმ პირის ან ორგანიზაციის ინტერესები, რომელსაც ტრიბუნალის წევრის უფლებამოვალეობების განხორციელებასთან შეუთავსებელი ინტერესები აქვს.

3.7 ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი წესები საქართველოსა და ავსტრიაში

საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლში წარმოდგენილია ზოგადად, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ძირითადი პირობები. კონკრეტულად დავების განმხილველ საბჭოსთან დაკავშირებით, კანონი მიუთითებს, რომ არ შეიძლება საბჭოს წევრი

1. დასაქმებული იყოს სხვა საჯარო დაწესებულებაში ან/და კერძო დაწესებულებაში;

2. ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, პედაგოგიური საქმიანობისა ან/და შემოქმედებითი საქმიანობისა;
3. კონსულტაციას უწევდეს შესყიდვებში მონაწილე მხარეებს, მათ შორის, შემსყიდველ ორგანიზაციას და შესყიდვის პროცესის მონაწილეებს;
4. იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი და/ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

ავსტრიაში შესაბამისი დებულებები წარმოდგენილია ზოგადი ადმინისტრაციული პროცედურის 1991 წლის აქტში. აქტის თანახმად, გარკვეულ შემთხვევებში ადმინისტრაციულმა მოხელემ თავი უნდა შეიკავოს მოვალეობების განხორციელებისგან და იგი უნდა ჩაანაცვლოს სათანადო მოხელემ. ეს შემთხვევებია:

⁵³ OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე, ინსტრუმენტთა კრებული (2005), გვ. 41.

1. ისეთი საკითხის განხილვა, რომელიც შეეხება პირადად მას, მის რომელიმე ნათესავს ან მისი მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს. კანონის თანახმად, ნათესავში იგულისხმება მეუღლე, პირდაპირი შტოს ნათესავი და მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხის ნათესავი ნათესაობის გვერდითა ხაზიდან, მეუღლის ნათესავი პირდაპირი შტოდან და მეუღლის მეორე ხარისხის ნათესავი ნათესაობის გვერდითა ხაზიდან, მშვილებელი და ნაშვილები და მინდობით აღმზრდელი და მინდობით აღსაზრდელი, ერთ ჭერ-ქვეშ მცხოვრები პირები, რომლებიც ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას, ისევე, როგორც აღნიშნული რომელიმე პირის შვილი ან შვილიშვილი, მეორე პირთან მიმართებით, და რეგისტრირებული პარტნიორი. ქორწინებით შექმნილი ნათესავი კვლავ ნათესავად ჩაითვლება ქორწინების დასრულების შემთხვევაშიც.
2. ისეთი საქმის განხილვა, რომელშიც მოხელე წარმოადგენდა ან კვლავ წარმოადგენს რომელიმე მხარეს.

3. თუ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზები, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მოხელის მიუკერძოებლობას.
4. სააპელაციო წარმოებაში, თუ მოხელე მონაწილეობას იღებდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში ან საჩივრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მიღებაში.

1, 2 და 4 შემთხვევებში, ადმინისტრაციული მოხელე დაუყოვნებლივ წყვეტს საქმეზე მუშაობას, ყოველგვარი დამატებითი მოკვლევის გარეშე. მოხელე ზედამხედველს ატყობინებს და საქმის მასალებს მოადგილეს გადასცემს. მე-3 შემთხვევაში საჭიროა დამატებითი მოკვლევა, რომელიც ზედამხედველმა უნდა განახორციელოს. მოხელემ თავადვე და დაუყოვნებლივ უნდა გაამჟღავნოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა. აღნიშნული დებულებები მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიმღები პირების მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას. თუ ადმინისტრაციული მოხელე ამ დებულებას დაარღვევს და ინტერესთა კონფლიქტს უგულებელყოფს, გადაწყვეტილება შესაძლოა მხოლოდ ამ მიზეზით ძალადაკარგულად გამოცხადდეს და მიღებულ იქნას დისციპლინური ზომები.

3.8 კონკრეტული შემთხვევები

ქვემოთ წარმოდგენილი კონკრეტული შემთხვევების მიზანია, მოახდინოს ილუსტრირება იმისა, თუ როგორ შეიძლება წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი და რა გზები არსებობს ინტერესთა კონფლიქტის სამართავად. კაზუსები არ წარმოადგენს კონკრეტულ სიტუაციასთან გამკლავების ინსტრუქციებს. მათი მიზანია მაგალითების ილუსტრირება და ისინი არ შეიცავს კონკრეტული სიტუაციის გადაჭრის დადგენილ წესებს. პრაქტიკაში, კონტექსტში არსებული მცირე განსხვავება და დეტალი, შესაძლოა, კრიტიკული აღმოჩნდეს და აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა მოითხოვოს. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალის წევრებმა ინტერესთა კონფლიქტის კონკრეტული შემთხვევის გადაჭრა საკუთარ უნარებსა და მსჯელობაზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყონ.

კონკრეტული შემთხვევა 1

ნათესაური კავშირი მომჩივანთან⁵⁴

სიტუაცია

A არის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ტრიბუნალის წევრი. იგი განიხილავს საჩივარს ჯანდაცვის საოლქო კომისიის წინააღმდეგ. კომისიამ კონტრაქტის საფუძველზე რამოდენიმე

მომწოდებლისგან შეისყიდა სხვადასხვა მომსახურება. საჩივარი წარდგენილ იქნა ტენდერში მონაწილე წარუმატებელი კომპანიის მიერ, რომლის მმართველი დირექტორი და აქციების მნიშვნელოვანი წილის მფლობელია A-ს სიძე.

პრობლემა

ამ შემთხვევაში არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. თუმცა, ეს არ არის ფინანსურ ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან A არ არის დაკავშირებული მომჩივანთან და არ არის ფინანსურად დამოკიდებული მის სიძეზე. თუმცა, მას მომჩივანთან ახლო ნათესაური კავშირი აქვს, ხოლო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენს მომჩივანზე. სავარაუდოდ, A განიცდის ერთგულებას საკუთარი სიძის მიმართ ან, როგორც მინიმუმ, მათ შორის არსებული ნათესაური კავშირი ტრიბუნალის გადაწყვეტილებას მიკერძოების ელფერს მისცემს.

პრობლემის გადაწყვეტა

მას შემდეგ, რაც A შეიტყობს ტრიბუნალში შეტანილი საჩივრის შესახებ, იგი ვალდებულია, ტრიბუნალის ხელმძღვანელს დაუყოვნებლივ აცნობოს, რომ მასა და მომჩივანს შორის ნათესაური კავშირი არსებობს. ტრიბუნალის ხელმძღვანელი ვალდებულია, A ჩამოაშოროს საქმის შეფასების,

⁵⁴ კონკრეტული შემთხვევა მოდიფიცირებულია წინამდებარე თავის მიზნების შესაბამისად, წყარო: *Managing conflicts of interest: Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007, გვ. 34-35.*

ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ასევე, მიზანშეწონილია, რომ გადაიდგას ნაბიჯები, რათა A-ს არ ჰქონდეს წვდომა დოკუმენტებსა და ინფორმაციაზე, რომელიც ჯანდაცვის საოლქო კომისიის მიერ გამოცხადებულ ტენდერს უკავშირდება. ეს განსაკუთრებით შეეხება მომჩივნის კონკურენტების მიერ წარმოდგენილ კონფიდენციალურ ინფორმაციას. ის ფაქტი, რომ A-ს ნათესავს მნიშვნელოვანი როლი აქვს მომჩივნის კომპანიაში, წინამდებარე სიტუაციისათვის რელევანტურ გარემოებას წარმოადგენს. პასუხი, სავარაუდოდ, განსხვავებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, A-ს ნათესავი მომჩივან კომპანიაში შედარებით უმნიშვნელო თანამდებობაზე რომ ყოფილიყო და მომჩივნის სატენდერო განაცხადში პირადად არ ყოფილიყო ჩართული. პასუხი, სავარაუდოდ, ასევე განსხვავებული იქნებოდა, მომჩივანი კომპანია რომ ყოფილიყო დიდი ზომის კომპანია, ხოლო A-სა და კომპანიის აქციონერს შორეული ნათესაური კავშირი რომ ჰქონოდათ. ასეთ სიტუაციებში, საჭიროა, სიფრთხილით შეფასდეს არსებული პერსონალური კავშირის სიმჭიდროვე ან სიმჭიდროვის აღქმა.

კონკრეტული შემთხვევა 2

პერსონალური კავშირი მომჩივანთან⁵⁵ სიტუაცია

E არის ტრიბუნალის წევრი, რომელიც განიხილავს ერთ-ერთი სამთავრობო უწყების მიერ შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ საჩივარს. კერძოდ, მომჩივანი ასაჩივრებს ტენდერის კომპანია Constructions SA-სთვის მინიჭებას.

E კარგად იცნობს Constructions SA-ს, ვინაიდან მან აღნიშნული კომპანია გასულ წელს საკუთარი სახლის ასაშენებლად დაიქირავა. ამჟამად კომპანია E-ს საკუთრებაში მყოფ სხვა ობიექტზე სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, E კარგად იცნობს კომპანიის დირექტორს და პატივს სცემს კომპანიის საქმიანობას.

პრობლემა

აღნიშნულმა სიტუაციამ, შესაძლოა, წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ, ერთის მხრივ, არსებობს მოლოდინი, რომ E იქნება მიუკერძოებელი და საჩივარს პროფესიონალურად შეაფასებს, ხოლო მეორეს მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ E-ს ახლო ურთიერთობა აქვს ტენდერის ერთ-ერთ მონაწილესთან.

⁵⁵ კონკრეტული შემთხვევა მოდიფიცირებულია წინამდებარე თავის მიზნების შესაბამისად, წყარო: *Guidance for public entities, Controller and Auditor General, New Zealand, 2007, გვ. 41-42.*

პრობლემის გადანყვება

მოცემულ შემთხვევაში, სასურველია, რომ E-მ არ მიიღოს მონაწილეობა საჩივრის შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში. იგი ტრიბუნალის სხვა წევრის მიერ უნდა იქნას ჩანაცვლებული, რადგან E-ს აღნიშნულ კომპანიასთან მნიშვნელოვანი ურთიერთობა ჰქონდა ახლო წარსულში.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საჩივრის უარყოფა, Constructions SA -თან E-ს პერსონალური კავშირის გამო, შესაძლოა მომჩივანმა განაცხადოს, რომ ტრიბუნალის გადანყვეტილება ფავორიტობით იყო მოტივირებული.

ასეთი სიტუაციები ყოველთვის არ არის მკაფიო. მცირე ზომის ან სპეციალიზებულ ინდუსტრიებში ადამიანებს, ხშირად, გარკვეული პერსონალური კავშირები ან ურთიერთობები აქვთ სხვა ადამიანებთან და კომპანიებთან, რომელთა შესახებაც მათ გადანყვეტილება უნდა მიიღონ. თუმცა, არაერთ შემთხვევაში აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან ეს კავშირები ხშირად არ არის მჭიდრო ან მნიშვნელოვანი. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში პასუხი განსხვავებული იქნებოდა, კომპანიას ტრიბუნალის წევრისთვის ერთჯერადად, მხოლოდ მცირე ზომის სამუშაოები რომ შეესრულებინა, რამოდენიმე წლით ადრე.

ამასთან, მომჩივან კომპანიას ან კომპანიას, რომლებიც გავლენას მოახდენს საჩივარი, E-ს მეგობარი ან ნაცნობი რომ მართავდეს, სიტუაციის სიფრთხილით განსჯა იქნებოდა საჭირო. მაგალითად, პრობლემური იქნებოდა E-ს მონაწილეობა საჩივრის განხილვის პროცესში, იმ შემთხვევაში, თუ Constructions SA-ს მართავს მისი ახლო მეგობარი, რომელსაც E არაერთი წელია იცნობს და რომლის ქორწილსაც იგი ესწრებოდა. იგივე წესი იმოქმედებს მაშინ, თუ შემსყიდველ ორგანიზაციაში E-ს ახლო მეგობარი მუშაობს, რომელიც შესყიდვაზეა პასუხისმგებელი. მეორეს მხრივ, პრობლემა არ იქნება, თუ E უბრალოდ იცნობს აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელს, ვინაიდან, მაგალითად, ისინი ერთი და იგივე სპორტული კლუბის წევრები არიან. სიტუაციის სიფრთხილით შეფასება იქნება საჭირო იმ შემთხვევაში, თუ E მუშაობს აღნიშნულ კომპანიაში. მაგალითად, სიტუაცია პრობლემური იქნებოდა ბოლო 1 წლის მანძილზე E კომპანიის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი რომ ყოფილიყო. მეორეს მხრივ, E კომპანიის თანამშრომელი წლების წინ რომ ყოფილიყო, ეს არ იქნებოდა პრობლემა.

კონკრეტული შემთხვევა 3

პერსონალური კავშირი დავის ერთ-ერთი მხარის ადვოკატთან⁵⁶

სიტუაცია

A ტრიბუნალის წევრია. იგი ცხოვრობს B-სთან, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მომუშავე იურისტია. A განიხილავს C-ს საჩივარს. მას შემდეგ, რაც მოხდა შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმირება საჩივრის შესახებ, A-ს შეატყობინეს, რომ B-ს იურიდიული ფირმა იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

პრობლემა

B მოცემულ საქმეზე რომც არ მუშაობდეს, მას გარკვეული ინტერესი გააჩნია საქმის მოგების მიმართ. B-მ, შესაძლოა, სცადოს A-ზე გავლენის მოხდენა დავის განხილვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. A, შესაძლოა, იმყოფებოდეს ზენოლის ქვეშ, ვინაიდან მას არ სურს, რომ იმოქმედოს მისი პარტნიორის წინააღმდეგ და ზიანი მიაყენოს მათ ურთიერთობას.

პრობლემის გადაწყვეტა

A-მ ტრიბუნალის ხელმძღვანელს უნდა შეატყობინოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ტრიბუნალის ხელმძღვანელი A-ს ჩამოაშორებს საქმეს, პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტის გამო.

კონკრეტული შემთხვევა 4

სოციალური კავშირი მომჩივანთან ან შემსყიდველ ორგანიზაციასთან

სიტუაცია

დროდადრო ტრიბუნალის მაღალი რანგის მოხელეები ესწრებიან სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებს (სადილებს და ვახშმებს) განსხვავებული სოციალური და კომერციული ინტერესების მქონე ადამიანებთან, მათ შორის, სკოლების, ეკლესიების, დეველოპერებისა და კონსულტანტების წარმომადგენლებთან ან შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნული აღიქმება, როგორც მაღალი რანგის მოხელეების ზოგადი საქმიანობის შემადგენელი ნაწილი და სანაცვლოდ, ისინი არ იღებენ რაიმე თანხას. აღნიშნული აქტივობა ტრიბუნალისთვის არასოდეს ყოფილა პრობლემური. ტრიბუნალის ორი წევრი ცოტა ხნის წინ ესწრებოდა ღონისძიებას, რომელსაც მასპინძლობდა ცნობილი ადგილობრივი სამშენებლო კომპანია და რომელიც გაშუქდა გაზეთში. ღონისძიებიდან ერთი კვირის შემდეგ, ტრიბუნალმა სამშენებლო კომპანიის მიერ წარდგენილი საჩივარი დააკმაყოფილა.

⁵⁶ კონკრეტული შემთხვევა ამოღებულია Bundesvergabeamt-ის პრაქტიკიდან და ადაპტირებულია.

პრობლემა

გარკვეული სოციალური კონტაქტი ტრიბუნალის წევრებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს ან შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის არის გარდაუვალი და, ზოგ შემთხვევაში, სასურველიც კი. თუმცა, ის ფაქტი, რომ აღნიშნული ღონისძიება დაემთხვა საჩივრის დაკმაყოფილების დროს, გარკვეულ ეჭვებს წარმოშობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე ტრიბუნალის წევრებისა და ზოგადად, ტრიბუნალში მიმდინარე დავის განხილვის პროცესის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. იგი, ასევე, ქმნის, როგორც მინიმუმ, ხილულ ინტერესთა კონფლიქტს ტრიბუნალის წევრებისთვის. ამ მაგალითში რელევანტურია ის, თუ როდის გაიმართა აღნიშნული ღონისძიება (სადილი). თუ იგი სამუშაო დროს გაიმართა, ტრიბუნალის წევრთა არგუმენტი ვერ იქნება ის, რომ ღონისძიებაზე კერძო პირების სტატუსით იმყოფებოდნენ.

პრობლემის გადაწყვეტა

ტრიბუნალმა უნდა შეძლოს დემონსტრირება იმისა, რომ საჩივრის განხილვა არასათანადო და კორუფციული გავლენებისგან თავისუფალი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული, შესაძლოა, წარმოადგენდეს „სახელმწიფო

მიტაცების“ ფორმას, რომლის დროსაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება მოხდა კორუფციული მეთოდების გამოყენებით ფარული გავლენის განხორციელების გზით. შესაბამისად, მოცემული შემთხვევა გამოძიებას მოითხოვს.⁵⁷

ამრიგად, ტრიბუნალის წევრებმა სიფრთხილით უნდა შეაფასონ იმ სოციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა, სადაც, ასევე, წარმოდგენილები იქნებიან მომჩივნები ან შემსყიდველი ორგანიზაციები. ამასთან, ტრიბუნალმა უნდა გააანალიზოს, ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობა ხომ არ იქნება აღქმული ტრიბუნალის გადაწყვეტილებაზე არასათანადო გავლენად.

კონკრეტული შემთხვევა 5

პირადი ინტერესი

სიტუაცია

კომპიუტერულმა კომპანიამ ერთ-ერთ სკოლას, რომელშიც ტრიბუნალის წევრის ახლო მეგობრის ძმისშვილი დადის, ძველი კომპიუტერები შესწირა. ამასთან, კომპიუტერული კომპანია სკოლაში კონკურსის საფუძველზე შერჩეულ მოსწავლეებს სტაჟირებას სთავაზობს. ტრიბუნალის წევრისთვის ამ ფაქტის შესახებ ცნობილია, ვინაიდან მან

⁵⁷ კონკრეტული შემთხვევა მოდიფიცირებულია წინამდებარე თავის მიზნების შესაბამისად, წყარო: OECD-ის რეკომენდაცია საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებზე, ინსტრუმენტთა კრებული (2005), გვ. 85.

აღნიშნული შესაძლებლობა მეგობართან ერთად განიხილა, ვახშმის დროს. მეგობარი დარწმუნებულია, რომ მის ძმისშვილს სტაჟირებისთვის შეარჩევნენ, რადგან იგი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტია.

კომპიუტერულმა კომპანიამ ტრიბუნალში საჩივარი შეიტანა. კომპანიისათვის არ არის ცნობილი ტრიბუნალის წევრსა და სტაჟირების კონკურსში მონაწილე მოსწავლეს შორის არსებული კავშირი. თუმცა, შესაძლებელია, რომ აღნიშნული ინფორმაცია კომპანიისთვის ცნობილი გახდეს. საქმე არის კომპლექსური და ტენდერის პირობების ინტერპრეტაციაში მცირე ცვლილებამაც კი, შესაძლოა, მომჩივნის წარმატება ან წარუმატებლობა გამოიწვიოს.

პრობლემა

ტრიბუნალის წევრს გარკვეული შორეული პირადი ინტერესი გააჩნია მოცემულ საქმეში, რადგან იგი ძალიან კარგად იცნობს იმ მოსწავლის ბიძას, რომელსაც კომპანიაში სტაჟირების გავლა სურს. ბიძასთან არსებული კავშირის გათვალისწინებით, შესაძლოა, მიჩნეულ იქნას, რომ ტრიბუნალის წევრს სურს, დაეხმაროს მეგობარს და ხელი შეუწყოს მეგობრის ბიძაშვილს სტაჟირების მიღებაში, რა მიზნითაც იგი გადაწყვეტილებას კომპიუტერული კომპანიის სასარგებლოდ იღებს. პრობლემის გადაწყვეტა

ტრიბუნალის წევრმა აღნიშნული კონტექსტის შესახებ ტრიბუნალის ხელმძღვანელს უნდა შეატყობინოს.

ტრიბუნალის წევრსა და მისი მეგობრის ძმისშვილს (რომელმაც, შესაძლოა, კომპიუტერული კომპანიის მიერ შეტანილი სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად გარკვეული სარგებელი მიიღოს) შორის ურთიერთობა არის შორეული. ამასთან, მომჩივანი - კომპიუტერული კომპანია არ ფლობს ინფორმაციას სტაჟირების კონკურსის მონაწილესა და ტრიბუნალის წევრს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ. ამასთან, მოსწავლეს არავინ „აიძულებს“ სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მიღებას. ამ საკითხების გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ ტრიბუნალის წევრმა გადაწყვეტილებას მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღოს.

კონკრეტული შემთხვევა 6

პოლიტიკური ინტერესი

სიტუაცია

ტრიბუნალის წევრი პოლიტიკური პარტიის ჩვეულებრივი წევრია. შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამავე პარტიის წევრია. ამის შესახებ ინფორმირებულია როგორც ტრიბუნალის წევრი, ისე შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მომჩივანმა, ასევე, იცის, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ტრიბუნალის წევრი ერთი და იგივე პოლიტიკური პარტიის წევრები არიან.

პრობლემა

ტრიბუნალის წევრს, შესაძლოა, პოლიტიკური ინტერესი ჰქონდეს საქმის მიმართ.

პრობლემის გადაჭრა

თუ ტრიბუნალის წევრის ქცევა მიუთითებს, რომ მას მყარი პოლიტიკური შეხედულებები აქვს და ერთგულია მისი პოლიტიკური პარტიისა - რაც მან საჯაროდაც გამოხატა - ტრიბუნალის წევრი, შესაძლოა, მიკერძოებულად ჩაითვალოს. შესაბამისად, ტრიბუნალის ხელმძღვანელმა მას უნდა სთხოვოს, არ მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა არ შეიქმნას პოლიტიკური პრეფერენციების ატმოსფერო. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მომჩივანი მიუთითებს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ -სამინისტრომ არ შეასრულა შესყიდვებთან დაკავშირებული წესები, ხოლო ნებისმიერმა უარყოფითმა ამბავმა, შესაძლოა, იმოქმედოს არჩევნებში იმ პოლიტიკური პარტიის წარმატებაზე, რომლის წევრიც არის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

მეორეს მხრივ, თუ ტრიბუნალის წევრი პოლიტიკური პარტიის მხოლოდ ჩვეულებრივი წევრია, ხოლო პარტიისადმი მხარდაჭერას საჯაროდ არ გამოხატავს, არ არსებობს რაიმე საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ მისმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს კანონის მიუკერძოებლად გამოყენებაზე. შესაბამისად, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან ტრიბუნალის წევრის ჩამოშორების საფუძველი არ არსებობს.

3.9 რეზიუმე

მართლმსაჯულების ადმინისტრირების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ტრიბუნალის წევრთა მიუკერძოებლობა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისინი არ უნდა დაექვემდებარონ გარე და შიდა გავლენებს. ამ მოთხოვნის გათვალისწინებით, მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპია გადაწყვეტილების მიმღები პირების მიუკერძოებლობა. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილებები ეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმებს, ნაცვლად მიკერძოებისა და წინასწარგანწყობებისა, ან ტრიბუნალის წევრების მიერ დავის რომელიმე მხარისათვის უპირატესობის მინიჭებას, არასათანადომიზღებების გამო. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვის პროცესში რეალურ ინტერესთა კონფლიქტს, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ მოცემული საქმისადმი ტრიბუნალის რომელიმე წევრის მიდგომა არ ეფუძნება მიუკერძოებლობას. ამ შემთხვევაში, იარსებებს საფრთხე, რომ ტრიბუნალის წევრი საქმეს არ განიხილავს სამართლიანად და უსაფუძვლო უპირატესობას მიანიჭებს რომელიმე მხარეს.

ასეთ სიტუაციაში, ტრიბუნალის წევრის პირადმა ინტერესმა, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების სწორად შესრულებაზე.

ამიტომ, ტრიბუნალმა უნდა შექმნას, გამოაქვეყნოს და ტრიბუნალის წევრებს გააცნოს ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციებთან დაკავშირებულ ყველა ზოგად საკითხს, ახდენს ინტერესთა კონფლიქტის კონკრეტული პრობლემური შემთხვევების იდენტიფიცირებას, ადგენს ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების მოვალეობას და იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია ინტერესთა კონფლიქტის შედეგების თავიდან ასაცილებლად. რეალური ინტერესთა კონფლიქტის გარდა, ასევე, არსებობს ინტერესთა კონფლიქტის ორი ტიპი. ესენია, ხილული ინტერესთა კონფლიქტი - როდესაც ერთი შეხედვით ჩანს, რომ ტრიბუნალის წევრის პირადმა ინტერესებმა იქონია, აქვს ან შესაძლოა, იქონიოს არასათანადო გავლენა მისი, როგორც ტრიბუნალის წევრის უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე, და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი - როდესაც ტრიბუნალის წევრის პირადმა ინტერესებმა, შესაძლოა, სამომავლოდ, გამოიწვიოს რეალური ან ხილული ინტერესთა კონფლიქტი. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალების კონტექსტში, პირადი ინტერესი გულისხმობს ყველაფერ იმას, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ინდივიდუალზე ან ჯგუფზე. კერძოდ, პირადი ინტერესი მოიცავს

ტრიბუნალის წევრის პერსონალურ, პოლიტიკურ, პროფესიულ, ფინანსურ და სოციალურ ინტერესებს, ისევე, როგორც მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ინდივიდუალების ან ჯგუფების პერსონალურ, პოლიტიკურ, პროფესიულ, ფინანსურ და სოციალურ ინტერესებს.

წინამდებარე თავი შეიცავს საკმაოდ მოცულობით ინფორმაციას, რომელიც ტრიბუნალის წევრებს ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებაში დაეხმარება. ამავდროულად, იგი ასრულებს ერთგვარი ხიდის მოვალეობას და ითვალისწინებს, რომ ტრიბუნალის წევრებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ საკუთარი მოსაზრებები. მართლაც, ტრიბუნალის წევრებს საქმიანობის განხორციელების პროცესში საკუთარი მოსაზრებებისა და იდეების გამოყენება მოეთხოვებათ. რაიმე საგნისა თუ თემის მიმართ ზოგადი ინტერესის ქონა მისასალმებელია, თუმცა, კონკრეტულ საკითხზე მყარი მოსაზრებებისა და ღრმად ფესვადგმული შეხედულებების ქონა აღნიშნულისგან აბსოლუტურად განსხვავდება და ამან, შესაძლოა შექმნას წინასწარგანწყობისა და გადაწყვეტილების წინასწარ მიღების რისკი.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, ტრიბუნალის წევრს მოეთხოვება, ინტერესთა კონფლიქტი მაქსიმალურად მოკლე ვადებში გადაჭრას. ასეთდროს, ტრიბუნალის წევრი

ვალდებულია, მოახდინოს ტრიბუნალის ხელმძღვანელის ინფორმირება და მაქსიმალურად შეეცადოს საკითხის სწრაფად გადაწყვეტა. თუ ტრიბუნალის წევრი არ არის დარწმუნებული ინტერესთა კონფლიქტის არსებობაში, მან კონსულტაციისთვის ტრიბუნალის ხელმძღვანელს უნდა მიმართოს. თუ ინტერესთა კონფლიქტის არსებობა დადგინდა, საჭიროა გადაწყვეტილება იქნას მიღებული განსახორციელებელი ქმედების შესახებ, ინტერესთა კონფლიქტის შედეგების შერბილების ან თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული ტრიბუნალის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტზე რეაგირების შესაძლებლობები და მოახდინოს შესაბამისი ვარიანტის სათანადოდ იმპლემენტაცია, რათა მოხდეს იდენტიფიცირებული ინტერესთა კონფლიქტის უარყოფა.

ტრიბუნალმა ეფექტური რეაგირება უნდა მოახდინოს იდენტიფიცირებულ ინტერესთა კონფლიქტზე. მან, ასევე, უნდა დანერგოს გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ხილული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შემსუბუქებას, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალი არ მოახდენს ინტერესთა კონფლიქტზე რეაგირებას, ამას, შესაძლოა, ფართომასშტაბიანი სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს. მიუხედავად დამატებითი ხარჯებისა, ტრიბუნალის

გადაწყვეტილება, შესაძლოა, სასამართლოში გასაჩივრდეს, ხოლო ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოაცხადოს. აღნიშნული ტრიბუნალის მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებების კანონიერებას ჩრდილს მიაყენებს და ეჭვქვეშ დააყენებს ტრიბუნალის მომავალს. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ინტერესთა კონფლიქტი, შესაძლოა ნებისმიერ ეტაპზე წარმოიშვას. შესაბამისად, მცდარია განცხადება იმის თაობაზე, რომ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება მხოლოდ სამართალწარმოების საწყის ეტაპზე ხდება. ინტერესთა კონფლიქტი, შესაძლოა, გამოვლინდეს მტკიცებულების მოპოვების და შესწავლის პროცესში ან უშუალოდ პრეტენზიების განხილვისას. ინტერესთა კონფლიქტი, ასევე, უკავშირდება მტკიცებულებებსა და პროცედურას, რომელიც მომდევნო თავშია განხილული.

მტკიცებულება და პროცედურა

4.1 მიმოხილვა

როგორც წინა თავებში აღინიშნა, უაღრესად მნიშვნელოვანია ტრიბუნალის წევრების მიერ შესაბამისი პროცედურის დაცვა და დავის განხილვის მკაფიო და მიუკერძოებელი სტრუქტურის არსებობა, რომლის შედეგადაც მხარეებს ჩაბარდება დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ფაქტებს ეყრდნობა. წინამდებარე თავი ეფუძნება აღნიშნულ პრეამბულას და განიხილავს ტრიბუნალის საქმიანობის ანალიტიკურ და მოკვლევით ასპექტებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინამდებარე თავი შეეხება ფაქტებზე დაფუძნებული მტკიცებულების მოპოვებას, შეფასებას და ანალიზს. შესაბამისად, მასში განხილულია სხვადასხვა ტიპის მტკიცებულებები, რომელსაც ტრიბუნალი იყენებს პრაქტიკაში. ვინაიდან დოკუმენტური მტკიცებულება წარმოადგენს იმ ძირითად მტკიცებულებას, რომელსაც ეფუძნება ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, წინამდებარე თავის რამოდენიმე სექციაში დეტალურად არის განხილული აღნიშნული ტიპის მტკიცებულება. ამასთან, მე-4 თავი, ასევე, ეთმობა მტკიცებულების შეგროვების, მოპოვებისა და რელევანტურობის შეფასების მეთოდებს. და ბოლოს, იგი განსაკუთრებულ

ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულების გამჟღავნების, ღირებულებისა და დასაშვებობის საკითხებზე. წინამდებარე თავის დასაწყისში განხილულია შესაბამისი კონტექსტი - კერძოდ, საქმის განხილვის პროცესის მოკვლევითი (საგამოძიებო) ბუნება და ის, თუ რა როლს ასრულებს მტკიცებულება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალების საქმიანობაში.

4.2 საქმის განხილვის პროცესის მოკვლევითი (საგამოძიებო) ბუნება

საქმის განხილვის პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, ტრიბუნალმა აქტიური როლი უნდა შეასრულოს და უნდა გამოიყენოს მოკვლევითი (საგამოძიებო) მიდგომა. აღნიშნული მიდგომის თანახმად, ტრიბუნალმა უნდა შეაგროვოს და შეაფასოს არა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხი და მომჩივნის მიერ წარდგენილი საჩივარი, არამედ, ყველა რელევანტური დოკუმენტაცია, რომელიც ტენდერს უკავშირდება. ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ტენდერის სრული დოკუმენტაციის შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, მტკიცებულების გამოთხოვას.

ტრიბუნალის მიგნებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს მთლიანი ტენდერის, საკვალიფიკაციო კრიტერიუმების ან ხელშეკრულების პირობების გაუქმება. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა, მომჩივნამა ვერ შეძლოს ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება, ვინაიდან მას არ აქვს სრული წვდომა სატენდერო დოკუმენტაციაზე. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ტრიბუნალმა უნდა მოიძიოს შესაბამისი მტკიცებულებები, განსაკუთრებით შემსყიდველი ორგანიზაციიდან.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტების შექმნა (ატვირთვა) და შენახვა ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, იგი სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოსთვის სრულად არის ხელმისაწვდომი. ელექტრონულ მოდულში არსებული ინფორმაცია საჯაროა, გარდა იმ პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნებას არ ექვემდებარება.

4.3 მტკიცებულების ცნება და როლი

როგორც ნებისმიერი სხვა საქმის წარმოების დროს, შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვისას მტკიცებულება უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მტკიცებულება არის ფაქტი, რომლის მოპოვებაც ხდება კანონიერად და რომელიც ემსახურება დავის მხარეთა პრეტენზიების ან კონტრპრეტენზიების გამყარების ან უარყოფის მიზანს. მტკიცებულება მკაფიოს ხდის ან ადგენს სიმართლეს, განსახილველ ფაქტობრივ გარემოებასთან ან საკითხთან დაკავშირებით. თუ ტრიბუნალი გადაწყვეტილებას ყველა საჭირო მტკიცებულების გათვალისწინების გარეშე მიიღებს, შესაძლებელია, რომ მისი გადაწყვეტილება ძალადაკარგულად იქნას გამოცხადებული სასამართლოს მიერ, იმ ფუნდამენტური პრინციპის დარღვევის გამო, რომლის თანახმადაც ტრიბუნალის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს ან სხვა დასაშვებ მტკიცებულებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცებულება უნდა იყოს

⁵⁸ Patrice Garant and Philippe Garant; *The Tribunal Proceedings Relating to Employment insurance, 2001*, თავი 3.1. http://www.ae-el.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3-1.shtml

ტრიბუნალისათვის წარდგენილი და ტრიბუნალის მიერ დასაშვებად ცნობილი.⁵⁸

გადაწყვეტილების მიღება მტკიცებულებაზე დაყრდნობით ნიშნავს სანდო ინფორმაციის გამოყენებას, რომელიც ლოგიკურად ადასტურებს განსახილველი საკითხის შესაბამისი ფაქტების არსებობას ან არ-არსებობას. მტკიცებულება, შესაძლოა, განისაზღვროს, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც მხარე იყენებს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად და დასადასტურებლად ან მეორე მხარის პოზიციის უარყოფის მიზნით. მტკიცებულება, ასევე, გამოიყენება საქმის გარემოებების ობიექტურად დადგენის მიზნით, რომელთა მიმართაც შემდგომ გამოიყენება კანონი.

4.4 მტკიცებულების სახეები

მტკიცებულებები იყოფა შემდეგ ოთხ კატეგორიად: დოკუმენტური მტკიცებულება, ჩვენება ან გარემოებითი (არაპირდაპირი) მტკიცებულება.

ამავდროულად, მტკიცებულება იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ექსპერტის ჩვენება, ფიზიკური მტკიცებულება, წარმომადგენლობითი მტკიცებულება, აღიარება და სხვა. მტკიცებულება,

ასევე, შესაძლოა, იყოს პირდაპირი და ირიბი, ან ძირითადი (საუკუთესო) და მეორადი. პირდაპირი მტკიცებულება მოიცავს წერილობით მასალებს, მატერიალურ მტკიცებულებას (ტენდერის დოკუმენტაცია) და პირდაპირ და მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, რისი დემონსტრირებაც სურს მხარეს. ირიბი მტკიცებულება მოიცავს ჩვენებებს, წერილობით დოკუმენტებს და ა.შ. და მასზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის მტკიცება, რისი დემონსტრირებაც სურს მხარეს. ირიბი მტკიცებულების მაგალითებია: ირიბი ჩვენება, გარემოებითი მტკიცებულება, მსგავსი ფაქტის მტკიცებულება და ფაქტობრივი პრეზუმფციები. გარემოებითი მტკიცებულება მოიცავს დროზე, ადგილზე ან ადამიანებზე მითითებას, ფაქტის ან მოვლენის დადასტურების მიზნით. მსგავსი ფაქტის მტკიცებულება ითვალისწინებს ფაქტების ან

გარემოებების წარდგენას, რომელიც სადაო ფაქტის მსგავსია.⁵⁹ მტკიცებულება, რომელიც წარედგინება ტრიბუნალს, ძირითადად დოკუმენტური მტკიცებულებისგან შედგება, როგორცაა წერილობითი ახსნა-განმარტებები, სატენდერო

⁵⁹ Patrice Garant and Philippe Garant; *The Tribunal Proceedings Relating to Employment insurance, 2001*, თავი 3.4. http://www.ae-ei.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3-4.shtml

დოკუმენტაცია, მათ შორის, ფოტოები და ტექნიკური დოკუმენტები, შეხვედრის ოქმები და ექსპერტის მოსაზრებები, ელ-ფოსტით გაგზავნილი წერილები და შეხვედრის ჩანაწერები. თუ ტრიბუნალი გადაწყვეტს მხარეების, მოწმეების ან ექსპერტების გამოკითხვას ზეპირი მოსმენის ფარგლებში, მტკიცებულება, შესაძლოა, ასევე, იყოს ზეპირი ჩვენება. ამასთან, ყველაფერი, რასაც თავად ტრიბუნალის წევრები მოიპოვებენ, ჩაითვლება მტკიცებულებად.

როგორც წესი, არ არის აუცილებელი საჯარო მტკიცებულების ან ტრიბუნალისათვის ხელთ არსებული მტკიცებულების შემოწმება, თუმცა, მტკიცებულების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მხარეებს. უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული საფუძვლები მტკიცებულებას არ წარმოადგენს. კანონი, კანონქვემდებარე აქტები და სასამართლოს გადაწყვეტილებები ფაქტებს არ ადასტურებს. როგორც წესი, ისინი საჯარო და შესაბამისად, ყველასათვის ცნობილი. ტრიბუნალის ხელთარსებული მტკიცებულებამოიცავს: მინისტრის ბრძანებებს, სახელმწიფო ადმინისტრაციის ზოგად აქტებს და საკონსტიტუციო სასამართლოს, ECHR-ის უზენაესი სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებებზე მითითებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია ერთიანი

სასამართლო პრაქტიკა, ან ტრიბუნალის პრეცედენტულ გადაწყვეტილებას. ვინაიდან დოკუმენტური მტკიცებულება არის ის ძირითადი მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც ტრიბუნალი იღებს გადაწყვეტილებას, მომდევნო სექციებში იგი უფრო დეტალურად არის განხილული.

4.4.1 ნერილობითი ახსნა-განმარტებები

არსებობს ნერილობითი ახსნა-განმარტებების ორი ძირითადი წყარო, რომელიც ქმნის ტრიბუნალის გადაწყვეტილებების საფუძველს. პირველ რიგში, აღნიშნული მოიცავს მომჩივნის მიერ წარდგენილ საჩივარს, რომელიც შედგება ძირითადი ნაწილისგან და დანართებისგან. მეორე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, რომელიც, როგორც მინიმუმ, შედგება სატენდერო დოკუმენტაციისგან და საჩივარზე შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისგან. სხვა ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და რომლის მოპოვების შესაძლებლობაც აქვს ტრიბუნალს, მოიცავს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო შეტყობინებას და მომჩივნისა და ტენდერის სხვა მონაწილეების მიერ წარდგენილ სატენდერო წინადადებებს.

სატენდერო დოკუმენტაცია ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია საჩივრის განხილვის პროცესში. იგი ასახავს შესყიდვის პროცესში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ქმედებებს. თუ დოკუმენტაცია არ არის სრული ან არ მომხდარა მნიშვნელოვანი ნაბიჯების დოკუმენტირება, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ტენდერი არ ჩატარდა გამჭვირვალედ. შესაძლებელია, რომ ტრიბუნალმა საჩივარი მხოლოდ აღნიშნულ საფუძველზე მითითებით დააკმაყოფილოს.

პრაქტიკაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ, შესაძლოა, უარი თქვას სატენდერო დოკუმენტაციის დროულად წარდგენაზე. აღნიშნულ შემთხვევაში და ტრიბუნალის მიერ საჩივართან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების ვადის გასვლის შემთხვევაში, ტრიბუნალი უფლებამოსილია, გადანყვეტილება მიიღოს მხოლოდ საჩივრისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. თუმცა, გადანყვეტილება უნდა იყოს კარგად დასაბუთებული, ხოლო საქმის ფაქტობრივი გარემოებები უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ მტკიცებულებას.

შესაბამისი მტკიცებულების მოპოვების მიზნით, ტრიბუნალმა უნდა ითანამშრომლოს საჯარო ადმინისტრაციასთან და ტენდერის კონკრეტულ პროცედურასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციისგან უნდა მოიპოვოს.⁶⁰ ამასთან, ტრიბუნალს უფლება აქვს, მოითხოვოს განმარტება ან ინფორმაცია ცენტრალური ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოსგან და მოიპოვოს დავის განხილვისთვის საჭირო ნებისმიერი დოკუმენტი ან მტკიცებულება. რელევანტური მტკიცებულების დროულად მოსაპოვებლად, ტრიბუნალმა უნდა დაუწესოს კონკრეტული ვადა სახელმწიფო ორგანოს, ხოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას ადმინისტრაციული სანქციები.

მაგალითი

346-ე მუხლის თანახმად, შესყიდვის პროცედურა არ შედის TFEU-ს და შესაბამისად, შესყიდვის შესახებ დირექტივების მოქმედების სფეროში იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან

⁶⁰ სახელმწიფო შესყიდვების კომისიის ფუნქციონირებისა და ორგანიზების შესახებ ინსტრუქცია, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება No. 184, მუხლი 9.

დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვის აუცილებლობა. წევრმა სახელმწიფომ ტრიბუნალის წინაშე უნდა დაადასტუროს ასეთი ინტერესების არსებობა. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა შესყიდვა სამხედრო შვეულმფრენების ადაპტირების მიზნით, რათა ისინი მორგებოდა უსაფრთხოების ახალ სტანდარტებს. შესყიდვა ჩატარდა შესაბამისი კანონმდებლობის გვერდის ავლით. საჩივრის განხილვის პროცესში, თავდაცვის სამინისტრომ ვერ დაადასტურა სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვის აუცილებლობა. შესაბამისად, ტრიბუნალმა გადაწყვიტილება მიიღო საჩივარში მითითებული გარემოებების საფუძველზე და შესყიდვების შესახებ კანონიდან დაშვებული გამონაკლისის გამოყენების უფლება არ მისცა თავდაცვის სამინისტროს.

4.4.2 ექსპერტის მოსაზრებები

როგორც მომჩივანს, ისე შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, წარადგინოს ექსპერტის მოსაზრება ან დანიშნოს საკუთარი ექსპერტი. ამასთან, ტრიბუნალი უფლებამოსილია, დანიშნოს საკუთარი ექსპერტი, რაც ექსპერტის

მოსაზრების მიღების საუკეთესო გზას წარმოადგენს, რადგან ამ შემთხვევაში, ვერც ერთი მხარე ვერ მოახდენს ექსპერტზე გავლენას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მხარე ექსპერტს ანაზღაურებას გადაუხდის იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტის მოსაზრება მის სასარგებლოდ არ იმოქმედებს. შესაბამისად, რომელიმე მხარის მიერ დანიშნული ექსპერტი, როგორც წესი, აზნადებს კლიენტისათვის სასურველ დასკვნას.

ზოგადად, ექსპერტებს გააჩნიათ გარკვეული სპეციალიზებული ცოდნა და მათი მიზანია, ტრიბუნალი უზრუნველყონ მიუკერძოებელი დახმარებით სპეციფიურ, უმეტესად ტექნიკურ ან ბიზნეს საკითხებზე. დაუშვებელია მათი მოსაზრების უსაფუძვლოდ უგულებელყოფა. ტრიბუნალი ვალდებულია, გაითვალისწინოს ექსპერტის მოსაზრება სპეციფიური საკითხის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ჩვენებას აძლევენ იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელსაც დააკვირდნენ, მათ მიერ გამოხატული მოსაზრებებს საკმაო წონა აქვს.

თუ არსებობს ექსპერტთა ოფიციალური ჩამონათვალი, ტრიბუნალმა უნდა მოახდინოს ამ ჩამონათვალიდან ერთ-ერთი ექსპერტის დანიშვნა. ტრიბუნალმა უნდა მიიღოს ex-officio გადანყვეტილება იმასთან დაკავსირებით, თუ რამდენად

საჭიროა ექსპერტი მტკიცებულების შესაფასებლად ან ფაქტის დასადაგენად. როგორც წესი, ექსპერტის დანიშვნა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალს არ აქვს შესაძლებლობა, რომ შეაფასოს მტკიცებულება ან დაადგინოს ფაქტები, განსახილველი საქმის მეცნიერული, სამართლებრივი ან ტექნიკური ბუნებიდან გამომდინარე. ტრიბუნალმა უნდა მოახდინოს ექსპერტის ან ექსპერტების დანიშვნა ექსპერტთა ჩამონათვალზე დაყრდნობით, მათი სპეციალიზაციის შესაბამისად. ექსპერტმა თავი უნდა შეიკავოს საკუთარი მოსაზრების წარდგენისგან, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ტრიბუნალმა მხარეებს უნდა შესთავაზოს კონკრეტული ექსპერტი, ხოლო მათ უნდა წარმოადგინონ თავიანთი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ექსპერტს. მომჩივანს, შემსყიდველ ორგანიზაციას ან დავის ნებისმიერ სხვა მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს შერჩეული ექსპერტის აცილება, ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ტრიბუნალი იღებს გადაწყვეტილებას აცილების მოთხოვნის უარყოფის თაობაზე, ან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის თაობაზე, რა შემთხვევაშიც უნდა მოხდეს ახალი ექსპერტის შერჩევა. თუ ტრიბუნალი გადაწყვეტს, დააკმაყოფილოს აცილების მოთხოვნა, მისი გადაწყვეტილება,

რომელიც ეფუძნება აღნიშნული ექსპერტის მოსაზრებას, შესაძლოა, გაუქმებული იქნას.

ტრიბუნალმა მხარეებს უნდა სთხოვოს, წარმოადგინონ კითხვები ექსპერტისთვის. გარდა ამისა, ტრიბუნალმა უნდა გაიაროს კონსულტაცია ექსპერტთან და მხარეებთან, რათა განისაზღვროს ის ტესტები, გამოკვლევები და სხვა მეთოდები და პროცედურები, რომელსაც ექსპერტი გამოიყენებს. და ბოლოს, ტრიბუნალმა ოფიციალურად უნდა დანიშნოს ექსპერტი და შეარჩიოს კითხვები, რომელსაც ექსპერტმა უნდა გასცეს პასუხი, წარადგინოს მოპოვებული დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებები (ნიმუშები), განსაზღვროს, თუ რა ტექნიკას და პროცედურებს გამოიყენებს ექსპერტი ან ექსპერტები, დაარეგულიროს ექსპერტის მიერ ჩასატარებელი ტესტების, გამოკვლევებისა და კვლევის ნებისმიერი სხვა ასპექტები, განსაზღვროს, თუ რა ფორმით წარადგენს ექსპერტი თავის დასკვნას - ზეპირად თუ წერილობით.

ტრიბუნალის ექსპერტი უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, იგი არ უნდა დაექვემდებაროს მხარეების გავლენას. თუ ექსპერტის მიგნებები არაგონივრულია, ტრიბუნალმა უნდა უარყოს აღნიშნული მიგნებები, დანიშნოს სხვა ექსპერტი ან, საჭიროების შემთხვევაში, დაამტკიცოს მხარეთა

ექსპერტის მიგნებები. იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალი უარყოფს ექსპერტის მიგნებებს, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დასაბუთება. ტრიბუნალმა, შესაძლოა, ასევე, ექსპერტებს მიუთითოს, მოითათბირონ ერთმანეთთან, რათა ნათელი მოჰფინონ რომელიმე საკითხს, ან მივიდნენ ერთი და იგივე დასკვნამდე. ექსპერტის ჩვენება, როგორც წესი, შედგება ფაქტობრივი კომპონენტისგან და მოსაზრებისგან. ფაქტობრივი კომპონენტის შეფასება შესაძლებელია ექსპერტის მიერ განხორციელებული კვლევის შესწავლითა და იმის შეფასებით, თუ რამდენად გონივრულია ექსპერტის მიერ გაკეთებული დასკვნები. შესაბამისად, ექსპერტმა უნდა წარმოადგინოს ყველა გამოყენებული წყარო. მოსაზრების კომპონენტის შეფასება შესაძლებელია მოსაზრების ფაქტობრივი საფუძვლის, ექსპერტის შეფასებების, ექსპერტული ცოდნისა და ობიექტურობის შეფასებით.⁶¹

ტრიბუნალის კონტექსტში გამოიყენება რელევანტურობისა და დასაშვებობის ჩვეულებრივი წესები. ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს ექსპერტის ჩვენების ბუნება და მიზანი, ექსპერტის

კვალიფიკაცია და ობიექტურობა, მის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლები და საფუძვლიანობა, და ექსპერტის მოსაზრებებსა და წარდგენილ მტკიცებულებებს შორის არსებული კავშირი.⁶² ექსპერტის ჩვენების შეფასებისას, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ თითოეული მხარე ყოველთვის შეეცდება, იპოვოს ექსპერტი, რომელიც მის მოსაზრებებს იზიარებს.

4.4.3 მონშეები

ზოგ შემთხვევაში, მონშის ჩვენება, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს საჩივრის განხილვისთვის. მონშის გამოკითხვა უნდა მოხდეს ზეპირი მოსმენის დროს, რომელსაც ესწრება დავის ყველა მხარე. ყველა მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, კითხვები დაუსვას მონშეს მას შემდეგ, რაც ტრიბუნალი გამოკითხავს მას.

მაგალითები

1. *ზეპირი მოსმენის ფარგლებში, პროფესიულგამოცდილებასთან დაკავშირებით გამოიკითხა მშენებლობის მენეჯერი,*

⁶¹ *Decision Making: Evidence, Facts and Findings, Best-practice guide 3, Administrative Review Council, 2007 წლის აგვისტო. გვ. 9. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.*

⁶² *Patrice Garant and Philippe Garant; The Tribunal Proceedings Relating to Employment Insurance, 2001, თავი 3.7.2.2. http://www.ae-ei.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3-7-2.shtml*

ვინაიდან პროფესიული გამოცდილება შერჩევის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა. მომჩივანი აცხადებდა, რომ აღნიშნული კრიტერიუმის საფუძველზე, ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს უსაფუძვლოდ მიენიჭა მაღალი ქულა. გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ მშენებლობის მენეჯერს არ ჰქონდა იმ დონის პროფესიული გამოცდილება, რომელიც ტენდერის დოკუმენტში იყო მითითებული, რამაც დაადასტურა მომჩივნის აღნიშნული პრეტენზია. შედეგად, ტრიბუნალმა მიიღო გადაწყვეტილება გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

2. მეორე შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მომჩივნის წინადადება უარყო იმ მოტივით, რომ იგი არ იქნა დროულად წარდგენილი. მომჩივანი

აცხადებდა, რომ მან წინადადება მითითებულ ვადაში წარადგინა. გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა საკანცელარიო განყოფილების ხელმძღვანელი, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ მომჩივანს წინადადება მითითებულ ვადაში ჰქონდა წარდგენილი, თუმცა, არ მოხდა ამ წინადადების შესაბამისი დ ე კ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ი ს ა თ ვ ი ს დროულად მიწოდება.

4.5 მტკიცებულების რელევანტურობა

მტკიცებულება უნდა იყოს დასაშვები და რელევანტური. მტკიცებულება რელევანტურია, თუ იგი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება განსახილველ ფაქტს ან საკითხს და ხელს უწყობს მოკვლევის წინ წანევას. მტკიცებულება მეთად ან ნაკლებად სავარაუდოს უნდა ხდიდეს იმ ფაქტის ან სიტუაციის არსებობას ან არ-არსებობას, რომელიც უნდა დადასტურდეს.⁶³

რელევანტურობას წყვიტავს ტრიბუნალი. ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს მისი იურისდიქციის ფარგლები, დავის საგანი და კანონით მინიჭებული

⁶³ Patrice Garant and Philippe Garant; *The Tribunal Proceedings Relating to Employment insurance, 2001*, თავი 3.5. http://www.ae-ei.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3-5.shtml

უფლებამოსილება. ტრიბუნალი მოითხოვს და განიხილავს ყველა საჭირო მტკიცებულებას, რათა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ამ მიზნით, იგი იყენებს კანონით გათვალისწინებულ ყველა მეთოდს. რელევანტური მტკიცებულების დაუშვებლად გამოცხადება წარმოადგენს ბუნებრივი მართლმსაჯულების პრინციპების დარღვევას⁶⁴ და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს ეწინააღმდეგება.⁶⁵

არ არსებობს რელევანტურობის ზუსტი განმარტება. სწორედ ამიტომ, რელევანტურობას, ზოგჯერ წონასთან აიგივებენ, რაც შეცდომაა. არარელევანტურ ფაქტებს არ აქვს რეალური კავშირი განსახილველ საკითხებთან და განაპირობებს ბუნდოვანებას, განხილვის გაჭიანურებას ან აზიანებს მეორე მხარის ინტერესებს. სწორედ ამას უწოდებს ლოგიკურ რელევანტურობას იურიდიული პროფესიის ზოგიერთი წარმომადგენელი. მტკიცებულების დამამტკიცებელ ძალას კი ეწოდება სამართლებრივი რელევანტურობა. წინამდებარე სახელმძღვანელოს

მიზნებისთვის, არარელევანტური მტკიცებულება არის ის მტკიცებულება, რომელსაც ტრიბუნალი დაუშვებლად გამოაცხადებს იმ საფუძვლით, რომ იგი არ არის დაკავშირებული განსახილველ საკითხებთან.⁶⁶ ლოგიკურ რელევანტურობასა და სამართლებრივ რელევანტურობას შორის არსებული განსხვავება გააზრებული უნდა იქნას და ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ეს ორი ტერმინი.

მტკიცებულება რელევანტურად არის მიჩნეული, თუ იგი ხელს უწყობს იმ საითხებზე პასუხის გაცემას, რომელიც ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში უნდა იქნას განხილული. უფრო კონკრეტულად, იგი ხელს უნდა უწყობდეს იმ ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებას, რომელიც გადაწყვეტილების საფუძველია. შესაბამისად, მტკიცებულება ჩაითვლება რელევანტურად, თუ იგი ამტკიცებს ან უარყოფს კონკრეტულ საკითხს, ან თუ მას გონივრული და სამართლიანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ტრიბუნალის წევრთა რწმენაზე, ასეთ საკითხთან დაკავშირებით.⁶⁷ ტრიბუნალმა არ უნდა მოახდინოს იმ მტკიცებულებაზე

⁶⁴ *Patrice Garant and Philippe Garant; The Tribunal Proceedings Relating to Employment insurance, 2001, თავი 3.5. http://www.ae-ei.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3-5.shtml*

⁶⁵ *ECHR-ის მიერ განხილული საქმე -Dombo Beheer BV v. The Netherlands, 1993 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება.*

⁶⁶ *Patrice Garant and Philippe Garant; The Tribunal Proceedings Relating to Employment insurance, 2001, თავი 3.5. http://www.ae-ei.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3-5.shtml*

ფოკუსირება, რომელიც მოცემულ საკითხს არ უკავშირდება.

შესაბამისად, მტკიცებულების მოძიებასა და შეფასებამდე მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ საჩივარში წარმოდგენილი რა საკითხები საჭიროებს დადასტურებას/ დამტკიცებას. ეს საკითხები უნდა იყოს კონკრეტული. ნაცვლად ზოგადი კითხვებისა, როგორცაა „შესყიდვის მეთოდის კანონიერება“, ტრიბუნალმა ყურადღება უნდა გაამახვილოს დეტალებზე და დასვას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული კითხვები. როგორც ასეთი, კითხვები განსაზღვრავს სამართლებრივ ჩარჩოს და წინაპირობებს. ამასთან, მკაფიოდ განისაზღვრება ის ფაქტები, რომელთა დამტკიცებაც არის საჭირო, და ის მტკიცებულებები, რომელთაც მოძიებაც არის აუცილებელი.

მაგალითები

1. “შესაძლებელია შეზღუდული პროცედურის გამოცხადება სატენდერო წინადადეგების წარდგენამდე 10 დღით ადრე?” ტრიბუნალმა უნდა მოიპოვოს მტკიცებულება იმის შესახებ,

თუ რა ტიპის პროცედურა იქნა გამოყენებული და რა ვადაში უნდა წარდგენილიყო სატენდერო წინადადეგები. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია გამოქვეყნებული განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით.

2. “უნდა გამოქვეყნდეს სატენდერო განცხადება?” ტრიბუნალმა უნდა დაადგინოს შესყიდვის პროცედურის ტიპი და კონკტრაქტის სავარაუდო ღირებულება. ამასთან, ტრიბუნალმა უნდა მოიძიოს ინფორმაცია ტენდერის მარეგულირებელი წესებიდან დაშვებული გამონაკლისი შემთხვევების შესახებ. მაგალითად, ტექნიკური ექსკლუზიურობა, რომელიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაადასტუროს.

3. “რამი მდგომარეობს უსაფრთხოების სერვისების მიწოდების რელევანტური ტექნიკური კრიტერიუმში?” ტრიბუნალმა უნდა შეისწავლოს
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს თ ა ნ

⁶⁷ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 105.

დაკავშირებული დოკუმენტები და, სავარაუდოდ, უსაფრთხოების სერვისების მარეგულირებელი კანონები და კანონქვემდებარე აქტები.

4. “რა ფორმალური კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს წარდგენილმა დოკუმენტებმა?” შემსყიდველმა ორგანიზაციამ სატენდერო დოკუმენტები უნდა შეაფასოს შესაბამისი კანონის და სატენდერო დოკუმენტების გათვალისწინებით. შესაბამისად, მტკიცებულებას წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტები.



4.6 მტკიცებულების მოპოვება

გადაწყვეტილების მიღებამდე, ტრიბუნალმა მკაფიოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ვინაიდან ტრიბუნალს აქვს საგამოძიებო როლი საქმის განხილვის პროცესში, მას არ აქვს უფლება, გადაწყვეტილება მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე მიიღოს. ტრიბუნალმა აქტიური როლი უნდა შეასრულოს მტკიცებულებების მოპოვებაში, თუ ამას სიტუაცია მოითხოვს. ტრიბუნალს შეუძლია, მტკიცებულება მოიპოვოს სხვადასხვა წყაროებიდან (მომჩივანი, შემსყიდველი ორგანიზაცია) და/ან საკუთარი ძალისხმევის საფუძველზე.

4.6.1 მომჩივნისგან მოპოვებული მტკიცებულება

ტრიბუნალმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივარში წარმოდგენილ ინფორმაციაზე და მტკიცებულებაზე დაყრდნობით.

მომჩივნის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წარდგენილი პრეტენზიები უნდა შეიცავდეს ყველა იმ გარემოებას, რომლის საფუძველზეც მომჩივანი ასაჩივრებს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას. ამავდროულად, თუ აღნიშნული პრეტენზიები არ შეიცავს რაიმე ახლადგამოვლენილ გარემოებას, რომელიც მომჩივნის პოზიციებს

ამყარებს, ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ტრიბუნალის მიერ. თუმცა, ახლადგამოვლენილი გარემოების გათვალისწინებას, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა ჰქონდეს დავის განხილვის პროცესზე და დაზიანდეს სისტემის განჭვრეტადობა, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მომჩივნის სასარგებლოდ მიიღებდა გადაწყვეტილებას აღნიშნული ახლადგამოვლენილი გარემოების შესახებ ინფორმაცია რომ ჰქონოდა. ამან, შესაძლოა, შემსყიდველი ორგანიზაციის ფრუსტრაცია გამოიწვიოს, თუ მისი გადაწყვეტილების გადასინჯვა მოხდება არა მის მიერ დაშვებული შეცდომის, არამედ, ახლადგამოვლენილი გარემოების გამო. დავის განხილვისას ტრიბუნალი განიხილავს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ თავდაპირველად მიღებულ გადაწყვეტილებას, ნაცვლად შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედების გონივრულობისა.⁶⁸ ამავედროულად, ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს ის ახლადგამოვლენილი გარემოება, რომელიც მომჩივანმა ობიექტური მიზეზების გამო ვერ წარმოადგინა. მომჩივანს ვერასოდეს ექნება სრული ინფორმაცია შესყიდვის მთლიანი

პროცესის შესახებ, მათ შორის, სხვა სატენდერო წინადადებების შესახებ. აღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტორია ისეთ საქმეებში, სადაც მომჩივანი აცხადებს, რომ უნდა მომხდარიყო სხვა წინადადებების უარყოფა. შესაბამისად, ტრიბუნალს არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი იმისა, რომ მომჩივანი წარმოადგენს სრულ ინფორმაციას, არამედ, მან ინფორმაციის ნაწილი შემსყიდველი ორგანიზაციისგან უნდა მოიპოვოს.

ყველაზე გავრცელებული მტკიცებულება, რომლის მოპოვებაც ხდება მომჩივნისგან, არის მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ან სხვა სატენდერო დოკუმენტაცია. ამასთან, მომჩივანს შეუძლია, წარადგინოს ექსპერტის ახსნა-განმარტებები, კონკრეტულ სექტორში ან ინდუსტრიაში არსებული საბაზრო პრაქტიკის აღწერა, ტექნიკური კვლევები და ინფორმაცია მანამდე ჩატარებული მსგავსი ტენდერების შესახებ ან რელევანტური კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი. დამატებით, მომჩივანს შეუძლია წარადგინოს დოკუმენტები, რომელსაც შეიცავდა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის

⁶⁸ *Administrative Review Council, Better Decisions: review of Commonwealth Merits Review Tribunals, Report 39, 1995, გვ. 42.* სააკტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

გაგზავნილი პრეტენზიები და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აღნიშნულ პრეტენზიებზე გაცემული პასუხი. ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს კონცესიის ხელშეკრულებები.

მომჩივანს უფლება აქვს, ტრიბუნალს მიმართოს თხოვნით, რათა ტრიბუნალმა მესამე მხარეს დაავალოს გარკვეული მტკიცებულების წარდგენა. ამავდროულად, ეს მესამე მხარე უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო. როდესაც მომჩივანს არ აქვს შესაძლებლობა, უფლება ან უფლებამოსილება, მოიპოვოს გარკვეული მტკიცებულება, ან მას სახელმწიფო ორგანომ უარი უთხრა მტკიცებულების მიწოდებაზე, ტრიბუნალმა უნდა გასწიოს ძალისხმევა ასეთი დოკუმენტაციის მოპოვების მიზნით. თუმცა, ტრიბუნალმა ეს ძალისხმევა უნდა გასწიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვლის რომ მტკიცებულება საქმისთვის რელევანტურია.

4.6.2 შემსყიდველი ორგანიზაციისგან მოპოვებული მტკიცებულება

როდესაც საჩივარი წარედგინება ტრიბუნალს და შემსყიდველ ორგანიზაციას, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტრიბუნალს უნდა გადასცეს სრული სატენდერო დოკუმენტაცია. ეს მასალა წარმოადგენს ტრიბუნალის მიერ მომჩივნის საქმის არსებითი მხარის შეფასების საწყის საფუძველს.⁶⁹

ტრიბუნალის მოთხოვნის საფუძველზე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტრიბუნალს უნდა წარუდგინოს სრული სატენდერო დოკუმენტაცია და მისი პასუხი საჩივარზე. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტრიბუნალისთვის წარსადგენი დოკუმენტაციის ფარგლები, შესაძლოა, დავიწროვდეს ტრიბუნალის ორდერის თანახმად. მნიშვნელოვანია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტრიბუნალისათვის წარსადგენ მასალებში გაითვალისწინოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი დაეყრდნო სადავო გადაწყვეტილების მიღებისას. მომჩივნის მსგავსად, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია წარადგინოს სხვა დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც მის არგუმენტებს გაამყარებს.

⁶⁹ Administrative Review Council, *Better Decisions: review of Commonwealth Merits Review Tribunals*, Report 39, 1995, გვ. 39. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

4.6.3 ტრიბუნალის მიერ მოპოვებული მტკიცებულება

გარდა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებისა, ტრიბუნალმა, ასევე, უნდა შეძლოს მტკიცებულების მოპოვება შესყიდვების ელექტრონული პლატფორმიდან. პლატფორმის საშუალებით, ტრიბუნალის წევრებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ყველა სატენდერო დოკუმენტებზე, რომელიც მოამზადეს ტენდერის მონაწილეებმა და, ასევე, შემსყიდველი ორგანიზაციის შეფასებებსა და რეკომენდაციებზე.

მომჩინვისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შემდეგ, ტრიბუნალს, შესაძლოა, დამატებითი ინფორმაცია დასჭირდეს საჩივრის არსებით მხარეზე გადაწყვეტილების მისაღებად და საჩივრის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალს უფლება აქვს, მოითხოვოს ექსპერტის ახსნა-განმარტებები ან ცენტრალური თუ ადგილობრივი საჯარო ორგანოების წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებები, ტენდერის სხვადასხვა ასპექტების შეფასების მიზნით. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ და ტექნიკურ კრიტერიუმებს ან პირობებს.

არ არის მიზანშეწონილი ტრიბუნალის მიერ მტკიცებულებების მოპოვება

რომელიმე მხარესთან გამართული პირადი შეხვედრების საშუალებით, რომელსაც მეორე მხარე არ ესწრება. ამავდროულად, გარკვეულ შემთხვევებში, რომელიც საჭიროებს ღრმა მოკვლევას ან თუ შესყიდვის პროცესი არის კომპლექსური, შესაძლოა, პრაქტიკულ გადაწყვეტას წარმოადგენდეს დოკუმენტური მტკიცებულების მოპოვება შემსყიდველი ორგანიზაციის შენობაში ვიზიტის გზით - მაგალითად, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია უარს აცხადებს მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენაზე.

შეხვედრის წერილობითი ჩანაწერები/ოქმები და ორიგინალი დოკუმენტები, რომელიც ასეთი ვიზიტის საშუალებით მოიპოვება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომჩინისთვის. ტრიბუნალმა ასლი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, თუ ორიგინალი არ არის ხელმისაწვდომი. მტკიცებულების მოპოვებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს გამჭვირვალობის ნესზე. როგორც ზემოთ განიმარტა, ტრიბუნალს უფლება აქვს, მოითხოვოს განმარტებები და ინფორმაცია ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან და ნებისმიერი დოკუმენტი ან მტკიცებულება, რომელიც ადმინისტრაციულ გამოძიებას უკავშირდება. მტკიცებულების

მოპოვებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასეთი მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი.

4.7 მტკიცებულების გამჟღავნება

ზოგადად, მხარეებს უფლება აქვთ, დავის განხილვის პროცესში ჰქონდეთ წვდომა ტრიბუნალის მასალებზე. გამონაკლისს წარმოადგენს კონფიდენციალური ინფორმაცია. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სავალდებულოა ყველა მტკიცებულების გამჟღავნება, ხოლო ყველა მხარეს უნდა ჰქონდეს მტკიცებულების გასაბათილებლად საკუთარი არგუმენტების წარდგენის უფლება. მეორეს მხრივ, კონვენციის მე-8 მუხლი იცავს კომერციულ საიდუმლოებას, რომელიც სასამართლომ არ უნდა გააჟღავნოს.⁷⁰

ამავდროულად, ტრიბუნალს ეკისრება ვალდებულება, მხარეებს მიაწოდოს ის მტკიცებულება, რომელიც საკუთარი ინიციატივით განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე მოიპოვა ან რომელიც ტრიბუნალს წარუდგინეს სხვა მხარეებმა, თუ ტრიბუნალი აპირებს, რომ ამ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და მისი შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ტრიბუნალს

უფლება აქვს, წინასწარ შეარჩიოს, თუ რომელ დოკუმენტებს გაამჟღავნებს სრულად და რომელს - ნაწილობრივ. თუ ტრიბუნალი გადაწყვეტს მტკიცებულების გამჟღავნებას, იგი ვალდებულია, დაიცვას სენსიტიური მონაცემები, რომელთა მხარეებისათვის გამჟღავნებაც დაუშვებელია. სენსიტიური მონაცემები, შესაძლოა, მოიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო საიდუმლოებას და მომჩინის ან შემსყიდველი ორგანიზაციის კომერციულ საიდუმლოებას. ვინაიდან პრაქტიკაში, პერსონალურ მონაცემებს ან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მტკიცებულებას იშვიათად იყენებენ დავის განხილვის პროცესში, ტრიბუნალის წევრებმა, ძირითადად, ფოკუსირება უნდა მოახდინონ კომერციული საიდუმლოების დაცვაზე, რომელიც კონფიდენციალურ ინფორმაციად ითვლება.

4.8 მტკიცებულების წონა ანუ მტკიცებულებითი ღირებულება

საჭიროა მტკიცებულების გულდასმით გაანალიზება და შეფასება, რათა განისაზღვროს, არსებობს თუ არა კონფლიქტი მატერიალურ ფაქტთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ შემოწმდეს მტკიცებულების წარმოშობა,

⁷⁰ ECJ-ის გადაწყვეტილება, 2008 წლის 14 თებერვალი, Varec (C-450/06, ECR 2008, გვ. 1-581).

ავთენტურობა და სიზუსტე. როგორც წესი, მომჩივნისგან მოპოვებულ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილ ან სხვა წყაროებისგან მოპოვებულ მტკიცებულებას ტრიბუნალი უნდა მოეპყრას თანაბრად, სამართლიანად და გამჭვირვალედ. მტკიცებულების წონის შეფასება ითვალისწინებს ლოგიკის, სადი აზრისა და გამოცდილების გამოყენებას.

მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ, ტრიბუნალი მათ საფუძველზე ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს. ტრიბუნალმა უნდა უპასუხოს კითხვას, გონივრულობის ფარგლებში მიიჩნევს თუ არა, რომ ლოგიკურ მტკიცებულებაზე დაყრდნობით კონკრეტული ფაქტი შეესაბამება სიმართლეს.⁷¹ თუ კონკრეტულ ფაქტს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საბოლოო გადაწყვეტილებაზე, მის დასადასტურებლად, შესაძლოა, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება იყოს საჭირო. მტკიცებულების წონა უნდა განისაზღვროს საქმის ყველა გარემოებისა და მტკიცებულების მხედველობაში მიღებით. ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს მომჩივნისგან, შემსყიდველი ორგანიზაციისგან და საკუთარი ინიციატივით მოპოვებული

მტკიცებულება. ტრიბუნალის მიერ საქმის განხილვის პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, მხარეთა ახსნა-განმარტებები იქნება ურთიერთგამომრიცხავი. ამრიგად, ტრიბუნალმა შესაბამისი წონა უნდა მიანიჭოს მტკიცებულებას, რათა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელ ფაქტები უნდა ჩაითვალოს დადგენილად.

მაგალითი

მომჩივანი აცხადებს, რომ საკვალიფიკაციო კრიტერიუმები არის დისკრიმინაციული. შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს, რომ საკვალიფიკაციო კრიტერიუმები შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს და ასეთი კვალიფიკაციის არსებობას საჭიროებს კონკრეტული საქონლისა და მომსახურების მიწოდება. მომჩივანი წარადგენს ბაზრის ანალიზს ან ექსპერტის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც დადგენილ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს ბაზრის მხოლოდ ერთი ან ორი მოწოდებელი, ხოლო სხვა მიმწოდებლებს კონკრეტული

⁷¹ *Decision Making: Evidence, Facts and Findings, Best-practice guide 3, Administrative Review Council, 2007 წლის აგვისტო. გვ. 7-8. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუქტირებულია ნებართვის საფუძველზე.*

სერვისების მიწოდება შეუძლიათ კრიტერიუმების დაკმაყოფილების გარეშე. შემსყიდველი ორგანიზაცია წარმოდგენილი მტკიცებულების გაქარწყლებას ცდილობს და აცხადებს, რომ უფრო მეტი წონა უნდა მიენიჭოს პირველი მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას.

ტიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბაზრის ანალიზი, შესაძლოა, იყოს მიკერძოებული. შესაბამისად, მტკიცებულების შეფასებისას მან მხედველობაში უნდა მიიღოს სხვადასხვა ფაქტორები. ეს ფაქტორებია: ბაზრის ანალიზი და ბაზრის ანალიზის ავტორის რეპუტაცია და კვალიფიკაცია; ფაქტები და კვლევა, რომელსაც ეფუძნება ბაზრის ანალიზი; ბაზრის განსაზღვრება და მისი გამოყენებადობა კონკრეტულ ინდუსტრიაში და ა.შ. მტკიცებულების შეფასებისას, ტრიბუნალმა პატივი უნდა სცეს შესყიდვების ძირითად პრინციპებს, როგორცაა გამჭვირვალობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, პროპორციულობა, თანაბარი მოპყრობა და შესყიდვების შესახებ კანონის სათანადო გამოყენების დაცვის მოვალეობა. ტრიბუნალმა, ასევე, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- მტკიცებულების თარიღი. მტკიცებულება გამოყენებადი და რელევანტურია? მაგალითად, კონკრეტულ ინდუსტრიაში საბაზო პრაქტიკის ამსახველი მტკიცებულება, შესაძლოა, იყოს მოძველებული;
- მტკიცებულების წყარო. მომჩივანი, შემსყიდველი ორგანიზაცია, მესამე მხარე;
- მტკიცებულების წყაროს კვალიფიკაციები და ექსპერტული გამოცდილება, საკითხის ცოდნა. იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელმაც წარადგინა მტკიცებულება და რამდენად რელევანტურია ეს მტკიცებულება. მაგალითად, სახელმწიფო ორგანოს ან პროფესორის ახსნა-განმარტება კონკრეტულ სფეროში;
- ავტორის რეპუტაცია. მასთან წარსულში თანამშრომლობის გამოცდილება და მისი პოზიცია ბაზარზე;
- ავტორის პოტენციური მიკერძოება. მხარეებთან კავშირი;

- ინფორმაცია, რომელსაც ეყრდნობა დოკუმენტი. დოკუმენტი ასახავს რელევანტური ინფორმაციას? ინფორმაცია განახლებულია? ინფორმაცია სრულია თუ არ შეიცავს გარკვეულ მნიშვნელოვან ინფორმაციას?
- დოკუმენტის შესაბამისობა საქმეში არსებულ სანდო მტკიცებულებასთან. დოკუმენტი შესაბამეობა იმ ფაქტებს, რომელიც უკვე დადგინდა ტრიბუნალის მიერ?
- ავტორის მიერ გამოყენებული წყაროები, ლიტერატურა და ა.შ.
- გადამონმების შესაძლებლობა. ტრიბუნალს აქვს შესაძლებლობა, რომ ავტორს დაუსვას კითხვები ინფორმაციის ან დასკვნების გადამონმების მიზნით?
- დოკუმენტის „ტონი“. მიუკერძოებელია დოკუმენტი?
- ის, თუ რამდენად ეფუძნება დოკუმენტი მოსაზრებას. არსებობს შესაბამისი ფაქტები, თუ ეს მხოლოდ მოსაზრებას წარმოადგენს?

- რამდენად ეფუძნება დოკუმენტი დაკვირვებად ფაქტებს. შესაძლებელია ამ ფაქტების გადამონმება? მაგალითად, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს, რომ საკვალიფიკაციო კრიტერიუმები არ იყო დისკრიმინაციული, ასეთი განცხადება უნდა ეყრდნობოდეს ფაქტებს.
- ის, თუ რა მიზნისთვის მომზადდა დოკუმენტი. ეს დოკუმენტი დავის წარმოშობამდე არსებობდა, თუ კონკრეტულად მოცემული საქმის განხილვის მიზნებისთვის შეიქმნა?
- დოკუმენტის შედარება ცნობილ, სანდო დოკუმენტთან. ან მისი შედარება მსგავს თემაზე არსებულ დოკუმენტებთან.⁷²

4.9 მტკიცებულების დასაშვებობა

მტკიცებულების დასაშვებობა და რელევანტურობა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს მტკიცებულების

⁷² Weighting Evidence, Legal Services, immigration and Refugee Board, 2003, თავი 5.1. ადაპტირებულია წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნების შესაბამისად.

წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა, ხოლო ტრიბუნალს არ აქვს უფლება, რომელიმე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება გამოაცხადოს დაუშვებლად და ამ სახით დასაჯოს აღნიშნული მხარე მტკიცებულების დაგვიანებით წარდგენისთვის.⁷³ თუ ტრიბუნალი მტკიცებულებას დასაშვებად ცნობს, მან მეორე მხარეს უნდა მისცეს რელევანტური საწინააღმდეგო მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა.⁷⁴ ასეთ დროს მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ დასაშვებობა და რელევანტურობა. რელევანტური მტკიცებულება, შესაძლოა, არ იყოს დასაშვები. თუმცა, ტრიბუნალი ითვალისწინებს მტკიცებულებას, რომელიც არა მხოლოდ რელევანტურია, არამედ, ასევე, არის სანდო და არ არსებობს რაიმე მიზეზი, რომლის გამოც აღნიშნული მტკიცებულების ტრიბუნალისთვის წარდგენა არ იქნება სამართლიანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაცია, ასევე, უნდა იყოს დასაშვები. დასაშვებობა განისაზღვრება მტკიცებულების წესებით.⁷⁵

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვის პროცესში, მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი, შესაძლოა, წამოიჭრას ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით. ირიბი ჩვენება გულისხმობს სხვისი სიტყვების მიხედვით მიცემულ ჩვენებას, რომელიც ეფუძნება პირის მიერ მოსმენილ, წაკითხულ ან ტელევიზიით მიღებულ ინფორმაციას.⁷⁶ მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საკვალიფიკაციო კრიტერიუმების სავარაუდო მანიპულაცია, შესყიდვების კონკრეტული მონაწილის სასარგებლოდ - აღნიშნული საქმისათვის რელევანტური საკითხია. ტრიბუნალმა ყურადღებით უნდა შეაფასოს აღნიშნული ბრალდება, წინა თავეში წარმოდგენილ კითხვებზე დაყრდნობით. ამასთან, მტკიცებულება, რომელიც უკანონოდ ან არასათანადოდ არის მოპოვებული, შესაძლოა, უარყოფილი იქნას. ის, თუ რამდენად კანონიერად ან სათანადოდ არის მოპოვებული მტკიცებულება, ფასდება ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

⁷³ Patrice Garant and Philippe Garant; *The Tribunal Proceedings Relating to Employment insurance, 2001*, თავი 3. http://www.ae-ei.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3.shtml.

⁷⁴ Patrice Garant and Philippe Garant; *The Tribunal Proceedings Relating to Employment insurance, 2001*, თავი 3. http://www.ae-ei.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3.shtml.

⁷⁵ *A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000*, გვ. 105.

⁷⁶ Patrice Garant and Philippe Garant; *The Tribunal Proceedings Relating to Employment insurance, 2001*, თავი 3.3.6. http://www.ae-ei.gc.ca/eng/board/tribunal/chapter_3-3-6.shtml

4.10 მტკიცების ტვირთი

ფაქტების დადგენა მხარეთა ფუნქციას წარმოადგენს, ხოლო ტრობუნალმა საკუთარი გადანყვეტილება უნდა დააფუძნოს მხარეების - მომჩივნის და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს. სწორედ მხარეებმა უნდა ამტკიცონ და დაადასტურონ ფაქტების არსებობა, რადგან მათ მტკიცების ტვირთი ეკისრებათ. მტკიცების ტვირთი მხარეებს რელევანტური მტკიცებულებების წარდგენას ავალდებულებს, რომლის საფუძველზეც ტრიბუნალმა გადანყვეტილება უნდა მიიღოს.

თეორიულ დონეზე, ერთმანეთისგან განასხვავებენ ფაქტებს, მტკიცებულებას და კანონს. ფაქტები შეეხება ადამიანის ქცევას, სოციალურ მოვლენებს ან ბუნებრივ ფენომენს, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სამართლებრივ შედეგებს. მომჩივანმა და მოპასუხემ უნდა წარმოადგინონ ის ფაქტები, რომელსაც ეყრდნობა მათი პრეტენზიები ან პოზიცია. მხარემ უნდა წარმოადგინოს ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები ან უნდა განაცხადოს, თუ სად არის შესაძლებელი ასეთი მტკიცებულების მოპოვება. 'ფაქტი' განსხვავდება მტკიცებულებისგან. ნებისმიერ კანონიერი გადანყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ფაქტს ან ფაქტების ერთობლიობას.

ზოგადად, ადმინისტრაციულ საქმის წარმოებაში, მომჩივანს უნდა შეეძლოს საკუთარი პრეტენზიების დამტკიცება. მომჩივანს არა მხოლოდ იმ ფაქტების წარდგენის მოვალეობა აქვს, რომელსაც ეყრდნობა მისი პრეტენზიები, არამედ, ასევე, ამ ფაქტების არსებობის დადასტურების მოვალეობა. მეორეს მხრივ, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არ ეთანხმება მომჩივნის პოზიციას, მან უნდა დაამტკიცოს რომ მისი პოზიციაა სწორი. ამრიგად, მტკიცების ტვირთი, შესაძლოა, გადავიდეს ერთი მხრიდან მეორეზე. მხარე, რომელსაც ხელი მიუწვდება მტკიცებულებაზე, ვალდებულია, ეს მტკიცებულება ტრიბუნალს წარუდგინოს. ტრიბუნალს უფლება აქვს, მხარეს დაავალოს მტკიცებულების წარდგენა.

პრაქტიკაში, აღნიშნული ნიშნავს შემდეგს: მართალია ტრიბუნალს აქვს მოვალეობა, დაადგინოს ტენდერის პირობები იყო თუ არა დისკრიმინაციული ან დაირღვა თუ არა პროცედურული წესები, მომჩივნის პასუხისმგებლობაში შედის მტკიცებულებების წარდგენა საკუთარი პრეტენზიების გასამყარებლად. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ისეთ საქმეებს, სადაც მომჩივანი აცხადებს, რომ ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო პირობები არღვევს შესყიდვების მარეგულირებელ წესებს. მეორეს მხრივ, ფორმალური

დარღვევები, როგორცაა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნილ ფორმატში წარდგენა ან სათანადო დოკუმენტაციის წარუდგენლობა არ მოითხოვს დამატებით მტკიცებულებებს და, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი დარღვევის დადგენა ხორციელდება მტკიცებულების ფორმატის, შესყიდვის წესებისა და ტენდერის პირობების შეფასების გზით. ტექნიკური სახის საქმეებში, ტრიბუნალმა, შესაძლოა, საკუთარი ინიციატივით სთხოვოს ექსპერტს საჭირო ფაქტების მოძიება.

მაგალითები

1. სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმი მიუთითებს სახელშეკრულებო დოკუმენტებში ერთ-ერთ დებულებაზე, რომელიც არ არსებობს. ტრიბუნალმა შემსყიდველ ორგანიზაციას უბრალოდ უნდა ჰკითხოვს, თუ სად შეიძლება ამ დებულების მოძიება.
2. მომჩივანი აცხადებს, რომ საუკეთესო სატენდერო წინადადება შეიცავს ზედმეტად დაბალ ფასებს. ხელშეკრულება შეეხება სამუშაოს შესრულებას. ტრიბუნალმა კონსულტაცია უნდა გაიაროს ექსპერტთან იმის დასადგენად, თუ რამდენად ზედმეტად დაბალია შეთავაზებული ფასები.

3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უარყო მომჩივნის სატენდერო წინადადება. მან მომჩივანს შეატყობინა აღნიშნულს შესახებ და, ასევე, იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს ტენდერის სხვა მონაწილესთან. მომჩივანს სურს, რომ ტრიბუნალმა სატენდერო წინადადების უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება გააუქმოს. მომჩივანმა აღმოაჩინა, რომ დააკვირდა აღნიშნული მოთხოვნის გასაჩივრების ვადის გასვლამდე წარდგენა. მან ტრიბუნალს მიმართა *restitutio in integrum* მოთხოვნით და განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა მდივანმა, რომელმაც გააგზავნა არასწორი დოკუმენტი, ხოლო სწორი დოკუმენტი კი იმ დროისათვის არსებობდა. მომჩივანი აცხადებს, რომ მან განაცხადი არა მხოლოდ ფიზიკური დოკუმენტის სახით გააგზავნა, არამედ, ასევე, ელექტრონულად, დასკანერებული დოკუმენტის სახით.
4. შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს ტენდერს სამხედრო კამუფლაჟის შესაძენად. სატენდერო წინადადებებთან ერთად, ტენდერის მონაწილეებმა

ასევე, წარადგინეს, სამხედრო კამუფლაჟის ნიმუშები. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მომჩივნის წინადადება უარყო, რადგან წარმოდგენილი ნიმუში იმაზე დაბალ ტემპერატურაზე დადნა, რაც სატენდერო დოკუმენტებში იყო მითითებული. რელევანტური ტემპერატურა იყო 40° C. ტრიბუნალმა ნიმუში შესაბამისი ტემპერატურის არსებობის პირობებში გამოსცადა და დაადგინა, რომ კამუფლაჟი მითითებულზე დაბალ ტემპერატურაზე არ დნებოდა.

4.11 კონკრეტული შემთხვევა საქართველოში მოქმედი დავების განმხილველი ორგანოს პრაქტიკიდან – სეტყვის სანინააღმდეგო რაკეტების შესყიდვა

კაზუსის თემა - თანასწორი მოპყრობა და წარდგენილი წინადადების სათანადოდ შეფასება⁷⁷

ზოგადი ინფორმაცია გამოცხადებული ტენდერის შესახებ:

ტენდერის ნომერი
SPA200000687

შემსყიდველი ორგანიზაცია
STC Delta

გამოცხადების თარიღი
10.02.2020 18:50

სავარაუდო ღირებულება
2' 483' 237.00 ლარი

საბჭოს გადანყვეტილება
საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა

ტენდერის საბოლოო სტატუსი
გაუქმებული (COVID 19-თან დაკავშირებული მიზეზების გამო)

მომჩივნის არგუმენტები
მომჩივანმა მოითხოვა კონკურენტის დისკვალიფიკაცია, შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით: სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია სრულიად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის პირობებს, მათ შორის სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმად შესასყიდი სეტყვის სანინააღმდეგო რაკეტას უნდა გააჩნდეს შემდეგი პარამეტრი: „მაქსიმალური ვერტიკალური სიმაღლე 85° - არანაკლებ 6000 მეტრი“. პარამეტრის დადასტურების მიზნით სატენდერო კომისია ითხოვდა პრეტენდენტისაგან, რომ მას წარედგინა

⁷⁷ წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, გამოყენებულია საქმე დავების განხილვის საბჭოს პრაქტიკიდან, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრამდე იყო მოქმედი.

კონკრეტული დოკუმენტი კერძოდ: „ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რაკეტის ფრენის ტრაექტორიები, ზღვის დონიდან 0 –2000 მ სიმაღლემდე 250 მ-ანი ბიჯით, ამაღლების კუთხეებით 45°-დან - 85°- მდე 5°-იანი ბიჯით“. თუ კი ყურადღებით განვიხილავთ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ გრაფიკებს თვალნათლივ დავინახავთ, რომ მის მიერ შეთავაზებული სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტის ზღვის დონიდან (0 მ-დან) 85°-იანი კუთხით გასროლის შემთხვევაში რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიმაღლე არის 6000 მეტრზე დაბალი, აღნიშნული კი შესაბამისაა სატენდერო დოკუმენტაციით დაყენებულ მოთხოვნებთან.“

შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი
ორგანიზაციის არგუმენტები
 შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი სხდომაზე არ გამოცხადდა.

საბჭომ გადაწყვეტილება
 საბჭომ განმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად სატენდერო კომისია იხილავს და აფასებს თუ რამდენად შესაბამეა პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული

დოკუმენტები/ინფორმაცია შესაბამისი ტენდერის სატენდერო პირობებს.“ საბჭომ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლა პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტები და აღნიშნა, რომ წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, 850-იანი ამაღლების კუთხით, ზღვის დონიდან 0მ სიმაღლიდან სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტის მაქსიმალური ვერტიკალური სიმაღლე მართლაც ნაკლებია 6000 მ-ზე. შესაბამისად, შემოთავაზებული რაკეტა არ შეესაბამება ტენდერის მოთხოვნებს. აღნიშნულის საფუძველზე საბჭომ **სრულად დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა სატენდერო კომიტეტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.**

4.12 რეზიუმე

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის პროცესის ძირითად შედეგს წარმოადგენს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება მომჩივნისთვის, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის და ნებისმიერი სხვა მხარისათვის. გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ფაქტებიდან მომდინარე მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ვინაიდან ტრიბუნალის გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მტკიცებულებებს, მან უნდა შეასრულოს პროაქტიული როლი ხელმისაწვდომი მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების კუთხით. უაღრესად

მნიშვნელოვანია, რომ ტრიბუნალმა მოახდინოს ხელმისაწვდომი მტკიცებულებების ტიპების იდენტიფიცირება და იმ წყაროების განსაზღვრა, საიდანაც შესაძლებელია ამ მტკიცებულებების მიღება.

ზოგადად, მტკიცებულება იყოფა შემდეგ ოთხ კატეგორიად: დოკუმენტური მტკიცებულება, ჩვენება ან გარემოებითი (არაპირდაპირი) მტკიცებულება. მტკიცებულება, რომელიც წარედგინება ტრიბუნალს, ძირითადად დოკუმენტური მტკიცებულებისგან შედგება, როგორცაა წერილობითი ახსნა-განმარტებები და სატენდერო დოკუმენტაცია. ამასთან, ტრიბუნალმა, შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის ფარგლებში მხარეების, მოწმეებისა და ექსპერტების გამოკითხვის შესახებ, მათგან ჩვენების მიღების მიზნით. ამასთან, მტკიცებულება შესაძლოა იყოს პირდაპირი, რაც მოიცავს წერილობით მასალებს, მატერიალურ მტკიცებულებას (ტენდერის დოკუმენტაცია) და პირდაპირ და მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, რისი დემონსტრირებაც სურს მხარეს. მტკიცებულება, შესაძლოა, იყოს ირიბიც, ხოლო ტრიბუნალის კონტექსტში ირიბი მტკიცებულება მოიცავს ჩვენებებს, წერილობით დოკუმენტებს და ა.შ. და მასზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის მტკიცება, რისი დემონსტრირებაც სურს მხარეს. ირიბი

მტკიცებულების მაგალითებია ირიბი ჩვენება, გარემოებითი მტკიცებულება (დროზე, ადგილზე ან ადამიანებზე მითითება, ფაქტის ან მოვლენის დადასტურების მიზნით) და მსგავსი ფაქტის მტკიცებულება (ითვალისწინებს ფაქტების ან გარემოებების წარდგენას, რომელიც სადაო ფაქტის მსგავსია).

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს არაერთი მტკიცებულება, რომელზეც მხარეები მიუთითებენ საკუთარი პოზიციების დასადასტურებლად, მტკიცებულება უნდა იყოს რელევანტური, რათა ტრიბუნალის მიერ დასაშვებად იქნას მიჩნეული. რელევანტურობის საკითხს წვეტს მხოლოდ და მხოლოდ ტრიბუნალი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა მტკიცებულება პირდაპირ ან ირიბად უნდა უკავშირდებოდეს განსახილველ ფაქტს ან საკითხს და მოკვლევა ლოგიკურ დასასრულამდ უნდა მიჰყავდეს.

ამავდროულად, რელევანტურობა განსხვავდება დასაშვებობისგან. რელევანტური მტკიცებულება, შესაძლოა, დაუშვებელი აღმოჩნდეს. ტრიბუნალის მიერ მტკიცებულების დასაშვებობის და რელევანტურობის შეფასება ბუნებრივ სამართლიანობასთან (natural justice) დაკავშირებული საკითხია. თუ ტრიბუნალი დასაშვებად გამოაცხადებს

რომელიმე მხარის მტკიცებულებას, მან მეორე მხარეს უნდა მისცეს შესაძლებლობა, წარადგინოს საპირისპირო მტკიცებულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასაშვებობა განისაზღვრება მტკიცებულების წესებზე დაყრდნობით.

ვინაიდან ტრიბუნალი არის საგამოძიებო ორგანო, მან უნდა დაადგინოს საქმის გარემოებები და გადაწყვეტილება მხოლოდ წარდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ უნდა მიიღოს. შესაბამისად, პირველი ინსტანციის ტრიბუნალები აქტიურ როლს ასრულებენ მტკიცებულების ხელმისაწვდომი წყაროებიდან (მომჩივანი, შემსყიდველი ორგანიზაცია) და საკუთარი ძალისხმევით მოპოვების კუთხით.

ფაქტების დადგენა მხარეთა ფუნქციას წარმოადგენს, ხოლო ტრიბუნალმა საკუთარი გადაწყვეტილება უნდა დააფუძნოს მხარეების - მომჩივნის და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს. სწორედ მხარებმა უნდა ამტკიცონ და დაადასტურონ ფაქტების არსებობა, რადგან მათ მტკიცების ტვირთი ეკისრებათ. ზოგადად, მომჩივანს უნდა შეეძლოს საკუთარი პრეტენზიების დამტკიცება. მას არა მხოლოდ იმ ფაქტების წარდგენის მოვალეობა აქვს, რომელსაც დაყრდნობა მისი პრეტენზიები, არამედ, ასევე, ამ ფაქტების არსებობის

დადასტურების მოვალეობა. მეორეს მხრივ, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არ ეთანხმება მომჩივნის პოზიციას, მან უნდა დაამტკიცოს რომ მისი პოზიციაა სწორი. ამრიგად, მტკიცების ტვირთი, შესაძლოა, გადავიდეს ერთი მხარიდან მეორეზე. ზოგიერთ კომპლექსურ საქმეში საჭიროა არაერთი მტკიცებულების გააანალიზება და შეფასება, რათა გამოვლინდეს ნებისმიერი წინააღმდეგობა მატერიალურ ფაქტთან მიმართებაში.

დავის მხარეებს უფლება აქვთ, ხელი მიუწვდებოდეთ საქმის მასალებზე. გამონაკლისს წარმოადგენს კონფიდენციალური ინფორმაცია. ტრიბუნალს ეკისრება მოვალეობა, მხარეებს მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც ტრიბუნალმა დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და მიიღო გადაწყვეტილება. მეორეს მხრივ, ტრიბუნალი ვალდებულია, დაიცვას სენსიტიური მონაცემები. აღნიშნული ორი დაპირისპირებული მოვალეობა ასახულია ევროპულ კონვენციაშიც. კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სავალდებულოა ყველა მტკიცებულების გამჟღავნება, ხოლო ყველა მხარეს უნდა ჰქონდეს მტკიცებულების გასაბათილებლად საკუთარი არგუმენტების წარდგენის უფლება. კონვენციის მე-8 მუხლი კიცავს კომერციულ საიდუმლოებას, რომელიც

სასამართლომ არ უნდა გააჟღავნოს. აღნიშნული ორი დაპირისპირებული უფლება ისტორიულად იწვევს დაძაბულობას და დაპირისპირებას განსახილველი საქმის მხარეებს შორის და ტრიბუნალთან. მომდევნო თავში სწორედ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასა და გამჟღავნებასთან დაკავშირებულ საკითხებს განვიხილავთ.





კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა

5.1 მოკლე მიმოხილვა

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის კრიტერიუმები მნიშვნელოვანი საკითხია ნებისმიერი შემსყიდველი ორგანიზაციისა და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალისთვის. წინამდებარე თავი განიხილავს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხსა და ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის მეთოდებს - კერძოდ, კონფიდენციალურობის ტესტის გამოყენებას. იგი, ასევე, დეტალურად განიხილავს კონფიდენციალური და არა-კონფიდენციალური ინფორმაციის ტიპებს, კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომასა და მის უსაფრთხოებას. ტრიბუნალის წევრთა მიერ ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევასთან დაკავშირებული გამოწვევების საილუსტრაციოდ, წინამდებარე თავში წარმოდგენილია კონფიდენციალურობის ტესტის გამოყენების პრაქტიკული მაგალითები, სახელმწიფო შესყიდვების კონტექსტში. პირველ რიგში, განხილულია ტრიბუნალის როლი კონფიდენციალური

ინფორმაციის დაცვის კუთხით; შემდგომ, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა დავის განხილვის პროცესში; ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის გზები; კონფიდენციალურობის ტესტი; კონფიდენციალური და არა-კონფიდენციალური ინფორმაციის ძირითადი ტიპები სახელმწიფო შესყიდვების სფეროში; კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა და კონფიდენციალური ინფორმაციის ფიზიკური უსაფრთხოება. ამასთან, წინამდებარე თავში წარმოდგენილია რამოდენიმე კონკრეტული შემთხვევა, კონფიდენციალურობის ტესტის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

5.2 კონფიდენციალური ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვის პროცესში, მხარეებს მოეთხოვებათ, ტრიბუნალს წარუდგინონ ყველა ტიპის ინფორმაცია. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ტრიბუნალის მოვალეობას წარმოადგენს. ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია

ფიზიკური პირების ან საჯარო ინტერესის შესახებ, ან სენსიტიური ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება შემსყიდველი ორგანიზაციის ან ტენდერის მონაწილეთა კომერციულ ინტერესებს, კერძოდ, რომლის გამჟღავნებაც საფრთხეს შეუქმნის კონკურსს. წინამდებარე თავი განიხილავს, თუ როგორ უნდა მოეპყროს ტრიბუნალი კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციას, რომელიც დაცული უნდა იქნას ტრიბუნალის მიერ კანონის მოთხოვნების გამო, ან იმის გამო, რომ ინფორმაცია დავის რომელიმე მხარის მიერ კონფიდენციალურად ('კონფიდენციალური ინფორმაცია') არის მიჩნეული.

ტრიბუნალის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოვალეობა ნიშნავს იმას, რომ საჩივრების განხილვისა და სატენდერო დოკუმენტაციის ანალიზის პროცესში, მათ შორის, სატენდერო წინადადებებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და სხვა დოკუმენტური მტკიცებულების შესწავლის პროცესში, ტრიბუნალს უნდა შეეძლოს, განსაზღვროს, თუ რომელი ინფორმაციაა კონფიდენციალური და

შესაბამისად მოეპყროს აღნიშნულ ინფორმაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრიბუნალი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია. მან უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალური დოკუმენტების ფიზიკური უსაფრთხოება ან შეზღუდოს სხვა მხარეების მიერ კონფიდენციალურ დოკუმენტებზე წვდომა. ქვემოთ წარმოდგენილია მაგალითები იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს, თუ ტრიბუნალი ვერ დაიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

მაგალითები

- 1. თუ ტრიბუნალი ვერ შეძლებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, ამაღ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას შემსყიდველი ორგანიზაციის როლს. მომწოდებლები უარს იტყვიან სენსიტიური ინფორმაციის წარდგენაზე, რაც დააზიანებს შესყიდვის პროცესს, ან შემსყიდველი ორგანიზაციის შესაძლებლობას, აწარმოოს ეფექტური მოლაპარაკებები და გადახდილი თანხის სანაცვლოდ მიიღოს საუკეთესო საქონელი ან მომსახურება.⁷⁸*

2. დამატებით, თუ ტრიბუნალი ვერ შეძლებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, ეკონომიკური ოპერატორები შეძლებენ, მოიპოვონ ინფორმაცია კონკურენტების საქმიანი პრაქტიკის შესახებ. აღნიშნული საფრთხეს შეუქმნის სამართლიან კონკურენციას.
3. ამასთან, როდესაც ტრიბუნალი განიხილავს მოლაპარაკების პროცედურას, იგი ვალდებულია, ტენდერის მონაწილეთა სახელები შეინახოს საიდუმლოდ მანამ, სანამ შემსყიდველი ორგანიზაცია არ გამოავლენს ტენდერის გამარჯვებულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ტენდერის მონაწილეები გაურიგდნენ ერთმანეთს, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის თვის არახელსაყრელი იქნება და იარსებებს რისკი იმისა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია მოლაპარაკების დროს საუკეთესო შედეგს ვერ მიიღებს.

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, შესაძლოა, პრობლემური იყოს გადანყვეტილების მომზადებისა და მათი ტრიბუნალის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების კუთხით. გადანყვეტილების მომზადებისას, ტრიბუნალის ნევრმა უნდა გაითვალისწინოს, დასაშვებია თუ არა კონკრეტული ინფორმაციის მესამე მხარისათვის გამჟღავნება და შესაბამისად, გადანყვეტილებაში შეტანა. ზოგ შემთხვევაში, გარკვეული ინფორმაციის შეტანა შესაძლებელია გადანყვეტილების იმ ვერსიაში, რომელიც მხარეებს ეგზავნება, ხოლო გადანყვეტილების გამოქვეყნებული ვერსიიდან კი ეს ინფორმაცია ამოღებული უნდა იქნას: მაგალითად, როდესაც მხარე თანხმობას აცხადებს ინფორმაციის მეორე მხარისათვის გამჟღავნებაზე, თუმცა, ამავე ინფორმაციის მესამე მხარისათვის გამჟღავნებას არ ეთანხმება. ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპების თანახმად, მხარეებს უნდა მიეწოდოთ ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები ეფუძნება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებასაც უნდა მიეწოდოს.

⁷⁸ Freedom of Information Act (Civil Procurement) Policy and Guidance, Office of Government Commerce, 2008, გვ. 9.

დავის განხილვის კონტექსტში, კონფიდენციალური ინფორმაცია, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ინფორმაციას, რომელიც ტენდერის მონაწილეებმა გამოიყენეს თავიანთი წინადადების მოსამზადებლად - მაგალითად, ინფორმაცია უსაფრთხო ინფრასტრუქტურის შესახებ.
- სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებული განმარტივებები. მაგალითად, სამუშაოების კონტრაქტის სპეციფიკაციების შესაბამისი ფასები.
- სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია - მაგალითად, დეტალური ინფორმაცია ორიგინალი ბიზნეს მეთოდოლოგიის შესახებ.

- ხელშეკრულებაში წარმოდგენილი ინფორმაცია. მაგალითად, უსაფრთხო ობიექტის სპეციფიკაციები, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საიდუმლო ინფორმაციად არის მიჩნეული.⁷⁹

5.3 რა სახის ინფორმაციაა კონფიდენციალური?

ინფორმაცია, შესაძლოა, იყოს კონფიდენციალური, თუ:

5.3.1 კანონით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია

ზოგიერთ სახელმწიფოებში, კანონით არის გათვალისწინებული ტრიბუნალის მიერ სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოდგენილი სენსიტიური ინფორმაციის დაცვის მოვალეობა, რადგან

⁷⁹ *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007*, გვ. 8. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე. *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007*, გვ. 8. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

- ამას კანონი მოითხოვს
- ტრიბუნალის მიერ კონფიდენციალურად არის მიჩნეული
- შემსყიდველი ორგანიზაციის, ტენდერის მონაწილეების ან მომჩივნის მიერ კონფიდენციალურად არის მიჩნეული.⁸² სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა ადგენდეს, თუ რა კატეგორიის ინფორმაცია ვერ იქნება მიჩნეული კონფიდენციალურად (მაგალითად, შეთავაზებული ფასი, ტენდერის მონაწილეთა ან კონსორციუმის წევრთა ვინაობა და ა.შ.), რათა არ მოხდეს მხარის მიერ ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის უფლების ბოროტად გამოყენება.

ამ სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნება, საჯარო ინტერესს ეწინააღმდეგება.⁸⁰ კანონის საფუძველზე, კონფიდენციალურ ინფორმაციას, შესაძლოა, წარმოადგენდეს „სახელმწიფო საიდუმლოებად“ ან „პერსონალურ მონაცემებად“ მიჩნეული ინფორმაცია.

5.3.1.1 სახელმწიფო საიდუმლო

კანონმდებლობა, შესაძლოა, ადგენდეს სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის კატეგორიებს და მოითხოვდეს გარკვეული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევას. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია საიდუმლოდ უნდა იქნას მიჩნეული სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინტერესებია: დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, კონსტიტუციური წესრიგი და საგარეო ურთიერთობები. ეროვნული კანონმდებლობა, შესაძლოა, ითვალისწინებდეს ინფორმაციის დაცვის სხვადასხვა დონეებს, მაგალითად: „შეზღუდული წვდომის“, „კონფიდენციალური“, „საიდუმლო“ ან „სრულიად საიდუმლო“. ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს უსაფრთხოების ნებსები, რომელიც კონკრეტულ ინფორმაციაზე ვრცელდება. ამავდროულად, არსებობს ინფორმაციის გარკვეული კატეგორიები, რომელთა კლასიფიცირებაც დაუშვებელია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

კერძოდ, დაუშვებელია:

⁸⁰ Freedom of Information Act (Civil Procurement) Policy and Guidance, Office of Government Commerce, 2008, გვ. 9.

- კანონის დარღვევის, ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ა ს არაეფექტურობის ან შეცდომების შესახებ ინფორმაციის დამალვა;
- პირის, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვა;
- ისეთი ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმა ან მიწოდების შეფერხება, რომელიც არ საჭიროებს დაცვას, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

5.3.1.2 პერსონალური მონაცემები

გარკვეულ 'სენსიტიურ მონაცემებთან' დაკავშირებით, ტრიბუნალის წევრებმა უნდა მიმართონ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონს. კანონის თანახმად, სენსიტიური მონაცემები წარმოადგენს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ პირს, მათი რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური მოსაზრებების, პროფკავშირის წევრობის, რელიგიური ან ფილოსოფიური რწმენის, სისხლის სამართლებრივი დევნის ან მათი ჯანმრთელობისა

და სექსუალური ცხოვრების შესახებ. პერსონალური მონაცემების დაცვა უნდა მოხდეს პერსონალური მონაცემების შესახებ კანონის შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილებები საჭაროა, თუ გადაწყვეტილება პერსონალურ მონაცემებს შეიცავს, გამოქვეყნებული ვერსიიდან ეს მონაცემები ამოღებული უნდა იქნას.

5.3.2 ტრიბუნალის მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია

როდესაც ტრიბუნალი ახორციელებს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლას, რომელიც შეიცავს შემსყიდველი ორგანიზაციისა და ტენდერის მონაწილეების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ტრიბუნალმა, შესაძლოა, აღმოაჩინოს, რომ ზოგიერთი ინფორმაცია არის კონფიდენციალური, მიუხედავად იმისა, რომ მხარეების მიერ იგი ასეთად არ მიჩნეულა. იმის დასადგენად, არის თუ არა ინფორმაცია კონფიდენციალური, ტრიბუნალმა კონფიდენციალურობის ტესტი უნდა გამოიყენოს.

5.3.3 მესამე მხარეების მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია

მომჩივანი, შემსყიდველი ორგანიზაცია და საქმის განხილვის მონაწილე ნებისმიერი მხარე, როგორც წესი, კონფიდენციალურად მიიჩნევა საკუთარ

კომერციულ საიდუმლოებას. კომერციული საიდუმლო ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში ხვდება, რაც ამ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას აადვილებს კონვენციის მე-6 მუხლის გათვალისწინებით, რადგან ამ ორ უფლებას შორის ბალანსის ერთსა და იმავე დონეზე დაცვა შესაძლებელია.

ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებასაც კანონი მოითხოვს ან უკავშირდება კანონ(ებ)ის, დარღვევას, ბიზნეს ეთიკისა და სათანადო პრაქტიკის პრინციპების დარღვევას, ვერ იქნება მიჩნეული კომერციულ საიდუმლოდ. ინფორმაციის გამჟღავნება ლეგიტიმურია, თუ აღნიშნული საჭიროა საზოგადოებრივი ინტერესის დასაცავად. კონფიდენციალური ინფორმაციის სხვა ძირითადი კატეგორიები უკავშირდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს - მაგალითად, საავტორო უფლებებს, პატენტებსა და ლიცენზიებს. სამართლიანი კონკურენცია, შესაძლოა, კომერციული საიდუმლოების დაცვასაც საჭიროებდეს, ვინაიდან დავის ერთ-ერთმა მხარემ, რომელიც ეკონომიკური ოპერატორია, შესაძლოა, სცადოს იმავე ბაზარზე მომუშავე კონკურენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შედეგად, კომერციული/კონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს.

ტრიბუნალმა თითოეულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს, რამდენად სამართლიანია შემსყიდველი ორგანიზაციის ან მომჩივნის მიერ ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევა. ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ტრიბუნალი არ უნდა დაექვემდებაროს სხვა დავების განხილვის პროცესში კონფიდენციალურობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს.⁸¹ მაშინაც კი, თუ შემსყიდველი ინფორმაცია კონფიდენციალურად არის მიჩნეული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ტრიბუნალს უნდა ჰქონდეს განსხვავებული დასკვნის გამოტანის უფლება. მნიშვნელოვანია, რომ ტრიბუნალმა დაადგინოს, თუ რომელი ინფორმაციაა კონფიდენციალური. ამ მიზნით, ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს კონფიდენციალურობის ტესტი.

5.3.4 კონფიდენციალურობის ტესტი

კონფიდენციალურობის ტესტი შედგება სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული შემდეგი ოთხი კრიტერიუმისგან, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭიროა, რათა შემსყიდველი ორგანიზაციის ან ტენდერის მონაწილის კომერციული ინფორმაცია მიჩნეულ იქნას კონფიდენციალურად.

⁸¹ *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007*, გვ. 9. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

კრიტერიუმი 1: ზუსტად უნდა მიეთითოს, თუ რომელი ინფორმაცია ექვემდებარება დაცვას

ტრიბუნალმა უნდა იმჯელოს, თუ კონკრეტულად რომელი ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ექვემდებარება დაცვას და არ უნდა იქნას გამჟღავნებული.

მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებაში შეტანილი იქნას დებულება, რომლის თანახმადაც ყველა სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური, მოცემულ ტექსტს ვერ აკმაყოფილებს.

მაგალითები

1. ინფორმაციის ინდივიდუალური ნაწილები, როგორცაა, მაგალითად, ფასები, ცალკე უნდა იქნას განხილული. როგორც წესი, აღნიშნული ნაწილები კონფიდენციალურად მიიჩნევა. ამასთან, მოცემული ინფორმაცია თანმიმდევრულად უნდა იქნას მიჩნეული, როგორც კ ო ნ ფ ი დ ე უ ნ ც ი ა ლ უ რ ი . ინფორმაცია, რომელიც უკვე გამჟღავნდა სატენდერო დოკუმენტაციის ფარგლებში ან ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი (საკაჭრო რეესტრები) ვერ იქნება მიჩნეული კონფიდენციალურ ინფორმაციად, დავის განხილვის

პროცესში. შესაძლებელია, რომ ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება წარმოადგენდეს დაცულ ინფორმაციას. თუმცა, ტენდერის მონაწილეები მაინც ამზადებენ თავიანთ წინადადებებს და აწარმოებენ მოლაპარაკებას შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია ახდენს ელექტრონული სისტემის შესყიდვას, რის მიზანსაც წარმოადგენს უნივერსიტეტში კომუნიკაციის ცენტრალიზება. სისტემა უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციას, მათ შორის: სატელეფონო, ელფოსტით და ფაქსით. სისტემა, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს სატელეფონო წიგნს და Microsoft Outlook-თან დაკავშირების შესაძლებლობას, რათა მომხმარებლებმა შეძლონ სატელეფონო ზარების განხორციელება სატელეფონო წიგნის გამოყენებით. სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავს იმ კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების ჩამონათვალს, რომელსაც იყენებს შემსყიდველი ორგანიზაცია, რათა ტენდერში მონაწილე კომპანიებს ჰქონდეთ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ტექნიკური რესურსების

შესახებ და იმ არსებული სისტემების შესახებ, რომელსაც შესყიდული სისტემა უნდა დაუკავშირდეს.⁸² ტრიბუნალი არ ახდენს შემსყიდველ ორგანიზაციაში არსებული კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რადგან ეს ინფორმაცია უკვე გასაჯაროვებულია სახელმწიფო ინფორმაციის დოკუმენტებში.

კრიტერიუმი 2: ინფორმაცია უნდა იყოს კომერციულად 'სენსიტიური' და არ უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი ან დადგენადი

კონკრეტული ინფორმაცია უნდა იყოს კომერციულად 'სენსიტიური' და იგი საჯარო სივრცეში არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. მხარის მოთხოვნას კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ უნდა ჰქონდეს ობიექტური საფუძველი და ახდენდეს დემონსტრირებას იმისა, რომ ინფორმაცია არის სენსიტიური. აღნიშნული, შესაძლოა, ეხებოდეს, მაგალითად, სამშენებლო გეგმებს ან სხვა ტექნიკურ საიდუმლოს, რომელიც ტენდერის მონაწილემ მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციას გაუმჟღავნა.

მაგალითი

ტენდერის მონაწილე წარადგენს ტექნიკურ გეგმებს იმ ნაწილებთან დაკავშირებით, რომელთა მიწოდებაც უნდა განხორციელდეს. პროდუქტი შექმნა ტენდერის მონაწილემ, რომელიც ფლობს პროდუქტთან დაკავშირებულ პატენტებს. ეს ინფორმაცია კომერციული საიდუმლოს წარმოადგენს.

კრიტერიუმი 3: ინფორმაციის გამჟღავნება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ინფორმაციის მფლობელს ან სხვა მხარეს

მხარე, რომელიც კონფიდენციალურობის დაცვას ითხოვს, როგორც წესი, ვალდებულია, მიუთითოს თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს კომერციულ ინტერესებს ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში.

მაგალითი

ინტერნეტის ფასთა ჩამონათვალის გამჟღავნება, როგორც წესი, ამ ინფორმაციის მფლობელს ზიანს არ მიაყენებს. თუმცა, იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც შეეხება ტენდერის მონაწილის მოგების მარჯას, შესაძლოა, საზიანო

⁸² Bundesvergabeamt-ის მიერ ცოტა ხნის წინ განხილული საქმე (BVA 22. 1. 2013, N/0114-BVA/07/2012-24).

აღმოჩნდეს. მეორეს მხრივ, შესაძლოა, საჭირო გახდეს ამ ინფორმაციის გამჟღავნება, თუ დავის საგანს წარმოადგენს უჩვეულოდ დაბალი ფასები.

კრიტერიუმი 4: ინფორმაციის მინოდება განხორციელდა იმ პირობით, რომ დაცული იქნებოდა ინფორმაციის კონფიდენციალურობა

აღნიშნული კრიტერიუმი მოითხოვს ყველა იმ გარემოების გათვალისწინებას, რომელშიც მოხდა ინფორმაციის მინოდება. ამასთან, უნდა განისაზღვროს, არსებობდა თუ არა ორმხრივი, გამოხატული ან ნაგულისხმევი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ დაცული იქნებოდა კონფიდენციალურობა. ამ მხრივ, გარემოებების შეფასებაზე გავლენას იქონიებს სატენდერო განცხადება და ხელშეკრულების პროექტში წარმოდგენილი პირობები.



მაგალითი

თუ სატენდერო განცხადება და ხელშეკრულების პროექტი შეიცავს კონკრეტულ დებულებას კონფიდენციალურობის შესახებ, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია იყო თანახმა, მიეღო ინფორმაცია იმ პირობით, რომ დაცული იქნებოდა ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

მაგალითად, წარმოების კონკრეტული მეთოდის შესახებ ინფორმაციის შემცველი ტექნიკური დოკუმენტების ან კომპიუტერული პროგრამის კონცეფციის პროექტის წარდგენა ხდება იმ პირობით, რომ დაცული იქნება აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

5.4 კონფიდენციალური ინფორმაციის მაგალითები

ინფორმაციის კატეგორიები, რომელიც, შესაძლოა, აკმაყოფილებდეს კონფიდენციალურობის ტესტის მოთხოვნებს:

- შიდა ხარჯთაღრიცხვა ან ინფორმაცია მოგების მარჟის შესახებ

- ინფორმაცია, რომელიც ფირმის საკუთრებას წარმოადგენს (proprietary information), როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული ტექნიკური ან ბიზნეს გადაწყვეტის უზრუნველყოფის პროცესი
- ინფორმაცია ფასების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავს მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მომჩინის მიერ კონკრეტული საქონლის ან მომსახურების მიწოდების შემთხვევაში
- ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც ხდება მომწოდებლებისგან და, როგორც წესი, არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი - მაგალითად, სამომავლო პროდუქტის შესახებ ინფორმაცია, კვლევის გეგმები, ფინანსური დეტალები
- კომპლექსური სამუშაოს ფინანსური მოდელები და დეტალური მოდელები იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება ფულადი სახსრების მოძრაობის მართვა (როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, ისე მიმწოდებლის მიერ), ხელშეკრულების მოქმედების ვადაში

- სახელოვნებო, ლიტერატურული ან კულტურული საიდუმლო, მათ შორის, ფოტოები, ისტორიული ხელნაწერები ან საიდუმლო ენდემური კულტურა
- ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის, კომერციული საიდუმლო და ინტელექტუალური საკუთრების სხვა საკითხები, რომელიც უკავშირდება პოტენციური მომწოდებლის კონკურენტულ პოზიციას.⁸³

სხვაკატეგორიის ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა, ასევე აკმაყოფილებდეს კონფიდენციალურობის ტესტს, მოიცავს: კომერციული საიდუმლო და სხვა კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია, რომელიც არ არის ცნობილი ან დადგენადი; ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს კომერციულ უპირატესობას და რომლის გამჟღავნებაც დააზიანებს ტენდერის მონაწილის ან შემსყიდველი ორგანიზაციის კომერციულ ინტერესს და

დაცულია ტენდერის მონაწილის მიერ; ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა, აღქმული იქნას, როგორც კომერციული საიდუმლო და შესაბამისად, შესაძლოა, დაკვალიფიცირდეს, როგორც კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია. ტენდერის მონაწილეებს, შესაძლოა, ასევე, სხვა კომერციული ინფორმაციის დაცვაც სურდეთ. მაგალითად, ტენდერის მონაწილის გეგმები სამომავლო ინვესტიციებთან დაკავშირებით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია, რომელსაც ფლობს სახელმწიფო.

რაც შეეხება ინტელექტუალურ საკუთრებას ან სხვა კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციას, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს, ჩაითვლება თუ არა ეს ინფორმაცია კონფიდენციალურ ინფორმაციად, კონკრეტული შესყიდვის კონტექსტში. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ შეძლებს ამ შეფასების განხორციელებას, ტრიბუნალის მოვალეობაში შედის ამ ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევა, მისი დაცვის მიზნით.

⁸³ *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007, გვ. 11 (საავტორო უფლებები დაფუძვლილია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნუბართვის საფუძველზე) და Freedom of Information Act (Civil Procurement) Policy and Guidance, Office of Government Commerce, 2008, გვ. 28-30, ადაპტირებულია.*

5.5 არა-კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია

თუ ტენდერის შესახებ განცხადება ხელმისაწვდომია ტენდერის მონაწილეებისა და საზოგადოებისათვის, მასში წარმოდგენილი ინფორმაცია ვერ იქნება მიჩნეული კონფიდენციალურად.⁸⁴ ქვემოთ წარმოდგენილია იმ კომერციული ინფორმაციის მაგალითები, რომელიც, როგორც წესი, კონფიდენციალურ ინფორმაციად არ იქნება მიჩნეული:

- ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია ფართოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან
- სამუშაოს შესრულების/ მიწოდების განხორციელების გარანტიები და ფინანსური გარანტიები
- ინდემნიტეტი
- საერთო ღირებულება

- ინფორმაცია ფასდაკლების (re-bate), ლიკვიდირებული ზიანის ან საერთო ღირებულებიდან გამოქვითული თანხების შესახებ
- შესრულებული სამუშაოს შეფასების ზომები
- დებულებები, რომელიც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დააცვას
- გადახდის პირობები⁸⁵

ამავდროულად, ტრიბუნალმა აღნიშნული მაგალითები არა-კონფიდენციალურ ინფორმაციად არ უნდა მიიჩნიოს კონფიდენციალურობის ტესტის გამოყენების გარეშე.

5.6 როგორ მივიჩნიოთ ინფორმაცია კონფიდენციალურად?

⁸⁴ თუ სატენდერო წინადადებები შეიცავს ინფორმაციას, რომლის შეფასებაც ხდება კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმების გამოყენებით, გამჭვირვალობის ასპექტების თანახმად, ეს ინფორმაცია წაკითხული უნდა იქნას სატენდერო წინადადებების გახსნის დროს.

⁸⁵ *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007, გვ. 11* (საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე) და *Freedom of Information Act (Civil Procurement) Policy and Guidance, Office of Government Commerce, 2008, გვ. 28-30.*

ბოლოდროინდელ პრაქტიკაში, ყოფილა შემთხვევები, როდესაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ და მომჩივანმა კონკრეტული დოკუმენტები და ინფორმაცია კონფიდენციალურად მიიჩნიეს, ხოლო წარმოშობილი დავა შეეხებოდა ამ დოკუმენტების და ინფორმაციის გამჟღავნების საკითხს. შესაბამისად, ტრიბუნალი მზად უნდა იყოს, მოახდინოს რეაგირება მოთხოვნებზე, რომელიც დოკუმენტებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევას შეეხება და დავის მხარეები უზრუნველყოს ზოგადი მიმართულებით იმასთან დაკავშირებით, თუ რა წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

მაგალითად, ტრიბუნალს შეუძლია მხარეებს მიმართოს შემდეგი წინადადებით: თუ მათ სურთ, რომ კონკრეტული ინფორმაცია კონფიდენციალურად მიიჩნიონ, შესაბამისმა მხარემ ტრიბუნალს უნდა წარუდგინოს საკუთარი არგუმენტების ორი ვერსია - კონფიდენციალური და არა-კონფიდენციალური. კონფიდენციალური ვერსია, შესაძლოა, შეიცავდეს ყველა სახის ინფორმაციას - მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას - და მას მიენიჭოს „კონფიდენციალურის“ იარლიყი. არა-კონფიდენციალური ვერსიიდან კი ამოღებული უნდა იქნას კონფიდენციალური ინფორმაცია და მას უნდა მიენიჭოს „არა-კონფიდენციალურის“ იარლიყი.

კონფიდენციალური ვერსია უნდა შეიცავდეს მკაფიო მითითებას იმასთან დაკავშირებით, თუ დოკუმენტის რომელი ნაწილია კონფიდენციალური. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია გაფერადების, მსხვილი შრიფტის, კვადრატული ფრჩხილების და ა.შ. გამოყენებით. ტრიბუნალმა უნდა განიხილოს ტენდერის მონაწილეებისათვის განკუთვნილი მაგალითების მომზადებისა და გამოქვეყნების შესაძლებლობა.

ამასთან, ტრიბუნალს უფლება აქვს, უარი თქვას კონფიდენციალური ინფორმაციის სტატუსის მთლიანად ან ნაწილობრივ მინიჭებაზე, თუ ინფორმაცია არ აკმაყოფილებს კონფიდენციალურობის ტესტს. თუ ტრიბუნალი გადაწყვეტს, რომ ინფორმაციას არ მიანიჭოს კონფიდენციალურის სტატუსი, იმ მხარეს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას წარადგენს, უნდა მიეცეს შესაზღებლობა, განმარტოს, თუ რატომ არის მიზანშეწონილი ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევა ან მოახდინოს დოკუმენტის უკან გახმობა. ადეკვატური განმარტების წარდგენის შემთხვევაში, ტრიბუნალმა ინფორმაცია კონფიდენციალურად უნდა მიიჩნიოს. თუ არგუმენტები არ არის საკმარისი, ხოლო მხარემ არ მოახდინა ინფორმაციის ან დოკუმენტის უკან გახმობა, ასეთი ინფორმაცია, შესაძლოა, გახდეს ადმინისტრაციული ჩანაწერების შემადგენელი ნაწილი.

ამავდროულად, ტენდერის მონაწილე, სავარაუდოდ, წინადადების ან პრეტენზიის წარდგენისას ატყობინებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ კონკრეტული ინფორმაცია არის კონფიდენციალური. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია პატივს სცემს კონფიდენციალურობას, ტრიბუნალიც ვალდებულია, დაიცვას ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი გამჟღავნება აუცილებელია დავის განხილვისთვის.

5.7 კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა

კონფიდენციალური ინფორმაციის მოთხოვნების თანახმად, დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება მესამე მხარისათვის, გარდა ტრიბუნალის წევრებისა, თუ არ არსებობს ამ ინფორმაციის მფლობელი პირის ან კანონით გათვალისწინებული პირის გამოხატული ნებართვა. ამავდროულად, აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც კანონით ეკისრებათ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მოვალეობა, და იმ შემთხვევებზე, სადაც ინფორმაციის გამჟღავნება კანონით არის მოთხოვნილი. ინფორმაციის მფლობელის გამოხატული თანხმობა ტრიბუნალისათვის 'მწვანე შუქს' წარმოადგენს.

აღნიშნული პრაქტიკული ინსტრუმენტი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია გარკვეული ინფორმაციის ექსპერტისათვის გამჟღავნება. თუ ტრიბუნალი დანიშნავს ექსპერტს, იგი ტრიბუნალის ორგანო გახდება. შესაბამისად, ექსპერტს უფლება აქვს, გაეცნოს ყველა დოკუმენტს და ჰქონდეს წვდომა ყველა ინფორმაციაზე, რომელსაც ტრიბუნალის ფაილები შეიცავს - მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციაზე. ვინაიდან ექსპერტი განეკუთვნება ტრიბუნალს, იგი უნდა დაექვემდებაროს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვალეობას ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ. თუ ექსპერტი კანონით არ არის ვალდებული, დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მიზანშეწონილია, არსებობდეს გამჟღავნების შესახებ შეთანხმება. თუ საქმის განხილვის პროცესს აქვს საგამოძიებო ბუნება, ტრიბუნალის მოვალეობაში შედის, მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელი ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს მხარეებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალი გამოიყენებს კონფიდენციალურობის ტესტს და კონფიდენციალურობას დაუპირისპირებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლების პრინციპებთან დაკავშირებულ უფლებებს, რომელიც პირველ თავშია განხილული.

ამრიგად, კონფიდენციალური ინფორმაცია სხვა დოკუმენტებისგან ვიზუალურად გამორჩეული უნდა იყოს და უნდა დაილუქოს კონვერტში, ან დოკუმენტში რაიმე სხვა ფორმით უნდა იყოს იდენტიფიცირებული. ამასთან, თუ ტრიბუნალს მიმართავენ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის თხოვნით, ტრიბუნალმა ეს თხოვნა არ უნდა დააკმაყოფილოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოთხოვნის წარმდგენი პირი ხვდება იმ გამონაკლისებში, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ამასთან, შესყიდვების დოკუმენტებზე წვდომა არ უნდა ჰქონდეს მესამე პირს ან ორგანიზაციას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტრიბუნალი გადაწყვეტს, რომ დასაშვებია გარკვეული დოკუმენტების გამჟღავნება. ამასთან, კონფიდენციალური ინფორმაცია არ უნდა იყოს წარმოდგენილი ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში.

გადაწყვეტილება, შესაძლოა, მიუთითებდეს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, თუმცა, მისი შინაარსი არ უნდა იქნას გამჟღავნებული. ამასთან, ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარი, შესაძლოა, არღვევდეს საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპს, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. ეს თემა უფრო სიღრმისეულად არის განხილული წინამდებარე თავის დასასრულს წარმოდგენილ კაზუსებში.

ზოგიერთ იურისდიქციებში, კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის უფლება ენიჭება პროცესის მონაწილე მხარის ადვოკატს. ეს პირი უნდა ექვემდებარებოდეს კონფიდენციალურობის დაცვის პროფესიულ მოვალეობას და მას არ უნდა აკავშირებდეს საქმიანი ან სამართლებრივი ურთიერთობა მხარეებთან (გარდა კონკრეტული სამართლებრივი სერვისების მიწოდებისა), ვინაიდან არსებობს მცირე შესაძლებლობა იმისა, რომ ადვოკატი აღნიშნულ ინფორმაციას გამოიყენებს მისი ან სხვა მხარის სასარგებლოდ. ამავდროულად, ამ უფლების გამოყენება შესაძლებელია შუზღუდულად, ვინაიდან ადვოკატს არ ექნება ინფორმაციის კლიენტისათვის გამჟღავნების უფლება. მას მხოლოდ იმის უფლება ექნება, რომ აღნიშნული ინფორმაცია საკუთარ არგუმენტებში გამოიყენოს. აღნიშნულმა, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ადვოკატსა და მის კლიენტს შორის არსებულ ნდობას. სწორედ ამიტომ, ქვეყნების უმეტესობაში, ადვოკატს წვდომა იმავე ინფორმაციაზე აქვს, რაზეც მის კლიენტს.

5.8 ინფორმაციის უსაფრთხოება

მნიშვნელოვანია დოკუმენტების ფიზიკური უსაფრთხოება, რათა არ მოხდეს ინფორმაციის გაჟონვა. თუ ტენდერის მონაწილეებს არ ექნებათ

უსაფრთხოების მიმართ ნდობა, მათ, შესაძლოა, თავიანთ შეთავაზებებში ინფორმაცია არ წარმოადგინონ დეტალურად ან სრული მოცულობით. აღნიშნული უარყოფით შედეგებს მოუტანს შემსყიდველ ორგანიზაციას.⁸⁶

ტრიბუნალის შემთხვევაში, სხვადასხვა პრობლემებს შექმნის წარდგენილი დოკუმენტების უსაფრთხოების დაცვისა და შენახვის მექანიზმების არ არსებობა. შესაძლოა, დოკუმენტები დაიკარგოს და კომპანიებს მოუწიოთ დამატებითი ასლების წარდგენა. ამასთან, მათ, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრიბუნალის პროცესები და პროფესიონალიზმი. დამატებითი პრობლემები წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ კომერციული და კონფიდენციალური დოკუმენტების ასლები არ ინახება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ უსაფრთხო ადგილას. ამ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება დოკუმენტებისა და მათი ადგილმდებარეობისათვის თვალყურის მიდევნება. ამგვარი სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, ტრიბუნალმა უნდა შექმნას საქმის განხილვასთან

დაკავშირებული დოკუმენტების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მკაფიო ღონისძიებები. ტრიბუნალმა უნდა დაიცვას და გამოიყენოს ქვემოთ წარმოდგენილი წესები:

- ტრიბუნალმა უნდა შექმნას ორი საქალაქე - საჯარო და დაცული. საჯარო საქალაქეში დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის შეტანა.⁸⁷ თუ მხოლოდ ერთი საქალაქე არსებობს, კონფიდენციალური დოკუმენტები დალუქულ კონვერტში უნდა ინახებოდეს. თუ სხვადასხვა მხარეებს კონფიდენციალური დოკუმენტების სხვადასხვა ნაწილებზე მიუწვდებათ ხელი, გამოყენებული უნდა იქნას რამოდენიმე კონვერტი.

⁸⁶ თუ სატენდერო წინადადებები შეიცავს ინფორმაციას, რომლის შეფასებაც ხდება კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმების გამოყენებით, გამჭვირვალობის ასპექტების თანახმად, ეს ინფორმაცია წაკითხული უნდა იქნას სატენდერო წინადადებების გახსნის დროს.

⁸⁷ *Guideline, Designation, Protection, Use and Transmission of Confidential Information, Canadian International Trade Tribunal, 2009*, გვ. 4.

- დოკუმენტებზე წვდომა უნდა იყოს შეზღუდული. მათზე წვდომის უფლება მხოლოდ ავტორიზებულ პერსონალს უნდა ჰქონდეს.
- ტრიბუნალმა არ უნდა დაუშვას დოკუმენტებისა და მათი ასლების ტრიბუნალის გარეთ გატანა.⁸⁸
- ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურ დოკუმენტებზე წვდომის აღრიცხვა.

ტრიბუნალმა უნდა განიხილოს ელექტრონული უსაფრთხოების ღონისძიებებისა და დოკუმენტური პროცესების დანერგვის და ელექტრონერგიის გათიშვის შემთხვევაში, შესაბამისი სტრატეგიისა და კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობა. ტრიბუნალმა, ასევე, უნდა უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით წარდგენილი დოკუმენტების კონტროლი და ქსელში, მათ შორის, მყარ დისკებზე შენახული მონაცემების დაცვა, კონფიდენციალური

ინფორმაციის შენახვა და ავტორიზებული პირებისათვის პაროლების შექმნა.⁸⁰ დოკუმენტების ელექტრონული გადაცემის მიმართ უფრო მკაცრ მიდგომას წარმოადგენს კონფიდენციალური ინფორმაციის ფაქსის ან ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნის აკრძალვა. ელ-ფოსტა მხოლოდ საჯარო დოკუმენტების გასაგზავნად უნდა იქნას გამოყენებული.⁸¹ საჯარო დოკუმენტები არის ის დოკუმენტები, რომელიც არ შეიცავს მესამე მხარის კონფიდენციალურ ინფორმაციას. უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით, მონაცემების შენახვა უნდა მოხდეს შემნახველ საშუალებაში, რომელიც იქნება კომპიუტერისგან ცალკე და განთავსდება უსაფრთხო ადგილას. ამასთან, შესაძლოა, გამოყენებული იქნას მონაცემთა დაშიფვრის მეთოდები. დაცვის ყველაზე მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, ინფორმაციის შენახვა არ უნდა მოხდეს ელექტრონულად, არამედ, ქაღალდის ფორმატში, იმ ადგილას, რომლის დაცვა უზრუნველყოფილია უმაღლეს დონეზე.

⁸⁸ *Guidance on Ethics and Probity in Government Procurement, Financial Management Guidance No. 4, Commonwealth of Australia, 2005*, გვ. 21. სააკტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

5.9 კონფიდენციალურობა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ევროკავშირის სამართლის შესაბამისად

5.9.1 შესყიდვის ზოგადი წესები

ევროკავშირში შესყიდვების სფერო, ძირითადად, რეგულირდება 2004/18/EC დირექტივით („კომუნალური მომსახურების სექტორში შესყიდვების შესახებ დირექტივა“)⁸⁴ და 2004/18/EC დირექტივით („გენერალური დირექტივა“)⁸⁵ (ერთობლივად, „შესყიდვების დირექტივები“). შესყიდვების დირექტივები ითვალისწინებს ზოგად რეგულაციებს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით. გენერალური დირექტივის მე-6 მუხლის და კომუნალური მომსახურების სექტორში შესყიდვის დირექტივის 13(2) მუხლის თანახმად:

“შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელსაც მას მიაწვდიათ ეკონომიკური ოპერატორები და რომელიც მათ მიერ კონფიდენციალურად იქნა მიჩნეული. ასეთი ინფორმაცია მოიცავს, კერძოდ, ტექნიკურ და საწარმო საიდუმლოებას და სატენდერო შეთავაზებებს სხვა კონფიდენციალურ ასპექტებს. აღნიშნულმა ზიანი არ უნდა

მიაყენოს წინამდებარე დირექტივის დებულებებს, განსაკუთრებით მათ, რომელიც შეეხება მინიჭებული კონტრაქტების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას და კანდიდატებისა და ტენდერის მონაწილეების ინფორმირებას, 35(4) მუხლის [კომუნალური მომსახურების სექტორში შესყიდვების შესახებ დირექტივის 43-ე მუხლის] და 41-ე მუხლის [კომუნალური მომსახურების სექტორში შესყიდვების შესახებ დირექტივის 49-ე მუხლის] მოთხოვნების შესაბამისად, და უნდა შეესაბამებოდეს იმ ეროვნულ კანონმდებლობას, რომელსაც ექვემდებარება შემსყიდველი ორგანიზაცია.“

შესყიდვების დირექტივების აღნიშნულ დებულებებზე დაყრდნობით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, დაიცვას ეკონომიკური ოპერატორების (ტენდერის მონაწილეების) მიერ კონფიდენციალურ ინფორმაციად მიჩნეული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამასთან, ეროვნულ კანონმდებლობაზე მითითება გულისხმობს იმას, რომ ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლებელია, თუ აღნიშნულს მოითხოვს^{89 90 91 92 93} ეროვნული კანონმდებლობა. მაგალითად, გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოვალეობები, რომელიც დადგენილია ეროვნულ

დონზე. გარდა ზოგადი რეგულაციისა, შესყიდვების დირექტივები შეიცავს კონკრეტულ დებულებებს კონფიდენციალურობის შესახებ, რომელიც შესყიდვების კონკრეტულ ასპექტებს შეეხება. კერძოდ:

5.9.1.1 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა.

კომუნალური მომსახურების სექტორში შესყიდვების შესახებ დირექტივის 13(1) მუხლის თანახმად, „დაინტერესებული ეკონომიკური ოპერატორებისათვის ტექნიკური სპეციფიკაციების მიწოდების, ეკონომიკური ოპერატორების კვალიფიკაციისა და შერჩევის და კონტრაქტების მინიჭების კონტექსტში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, დააწესოს

მოთხოვნები იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია ხდის ხელმისაწვდომს.“

5.9.1.2 ეკონომიკური ოპერატორების მიერ წარდგენილი სენსიტიური ინფორმაციის დაცვა კონკურენტული დიალოგის ფარგლებში

გენერალური დირექტივის 29(3) მუხლის და კომუნალური მომსახურების სექტორში შესყიდვების შესახებ დირექტივის 13(2) მუხლის თანახმად, „შემსყიდველმა ორგანიზაციამ სხვა მონაწილეებს არ უნდა გაუმჟღავნოს კანდიდატის მიერ, დიალოგის ფარგლებში შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია, აღნიშნული კანდიდატის თანხმობის გარეშე.“

⁸⁹ *Guidance on Ethics and Probity in Government Procurement. Financial Management Guidance No. 4. Commonwealth of Australia. 2005, გვ. 21.* სააკტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

⁹⁰ *Guideline, Designation, Protection, Use and Transmission of Confidential Information, Canadian International Trade Tribunal, 2006, გვ. 4-5.*

⁹¹ იხ. მაგალითად, ავსტრიის კანონმდებლობა ინფორმაციის დაცვის შესახებ.

⁹² *Guideline, Designation, Protection, Use and Transmission of Confidential Information, Canadian International Trade Tribunal, 2006, გვ. 6.*

⁹³ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივა 2004/17EC, რომელიც კოორდინირებას უწევს წყლის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და საფოსტო სექტორებში შესყიდვების პროცედურებს.

⁹⁴ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივა 2004/17EC, რომელიც კოორდინირებას უწევს წყლის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და საფოსტო სექტორებში შესყიდვების პროცედურებს.

5.9.1.3 სენსიტიური ინფორმაციის დაცვა ჩარჩო შეთანხმების პროცედურის ფარგლებში.

გენერალური დირექტივის 35(4) მუხლის თანახმად: “კონტრაქტის მინიჭების ან ჩარჩო შეთანხმების გაფორმების შესახებ გარკვეული ინფორმაცია, შესაძლოა, არ გამოქვეყნდეს, თუ ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება ხელს შეუშლის სამართლის აღსრულებას ან სხვაგვარად შეზღუდვებს საჯარო ინტერესს, დააზიანებს ეკონომიკური ოპერატორების, საჯარო ან კერძო, ლეგიტიმურ ინტერესებს და, სავარაუდოდ, საფრთხეს შეუქმნის მათ შორის სამართლიან კონკურენციას.”

5.9.2 ევროკავშირის პრეცედენტული სამართალი სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონფიდენციალურობის შესახებ

ზოგადად, შესყიდვების დირექტივები არ შეიცავს მყარ სახელმძღვანელო პრინციპებს კონფიდენციალურობის საკითხებზე. შესაბამისად, ევროპული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი, ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (“ECJ”) ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც შეეხება კონფიდენციალურობის საკითხებს სახელმწიფო შესყიდვების კონტექსტში არის *Varec v Belgium*.⁹⁵

Varec v Belgium: ფაქტობრივი გარემოებები

A. ბელგიის სახელმწიფომ (შემსყიდველი ორგანიზაცია) გამოაცხადა კონკურსი „ლეოპარდის“ ტანკებისათვის მუხლუხის კვანძების მიწოდებასთან დაკავშირებით. სატენდერო წინადადება წარდგენილი იქნა ორი მომწოდებლის მიერ - *Varec* და *Diehl*. წინადადებების შეფასების შემდეგ, ბელგიის სახელმწიფომ გადანყვიტა, კონტრაქტი გაეფორმებინა *Diehl*-სთან, ვინაიდან მან მიიჩნია, რომ *Varec*-ის მიერ წარმოდგენილი წინადადება ვერ აკმაყოფილებდა ტექნიკურ კრიტერიუმებს.

B. *Varec*-მა გაასაჩივრა სატენდერო კომისიის გადანყვიტელობა და მოითხოვა, რომ დავის განხილვის ორგანოს (*the Conseil d'Etat*) სხვა მასალებთან ერთად, ასევე, გადაცემოდა *Diehl*-ის მიერ წარდგენილი წინადადება. ბელგიის სახელმწიფომ დავის განხილვის ორგანოს, მართლაც, გაუგზავნა *Diehl*-ის მიერ წარდგენილი წინადადება, თუმცა, მასში არ ყოფილა შეტანილი ის დოკუმენტები, რომელიც *Diehl*-ის დაუბრუნდა, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე.

⁹⁵ *ECJ*-ის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, *Varec (C-450/06, ECR 2008 გვ. I-581)*.

ბელგიის სახელმწიფოს თანახმად, თუ დავების განხილვის ორგანოს დასჭირდებოდა აღნიშნული ინფორმაცია, მან პირდაპირ Diehl-ს უნდა მიმართოს. ბელგიის სახელმწიფომ, ასევე, აღნიშნა, რომ Varec-სა და Diehl-ს შორის მიმდინარეობს დავა მოცემულ საწარმოო გეგმებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ.

C. Diehl-მა დავების განმხილველ ორგანოს შეატყობინა, რომ ბელგიის სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება შეიცავდა კონფიდენციალურ მონაცემებსა და ინფორმაციას, ხოლო ეს ინფორმაცია არ უნდა გახდეს მესამე მხარისათვის - მათ შორის, Varec-ისათვის ხელმისაწვდომი. Diehl-ის თანახმად, სატენდერო წინადადების გარკვეული დანართები შეიცავდა სპეციფიურ მონაცემებს საწარმოო გეგმებში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით და, ასევე, საწარმოო პროცესებთან დაკავშირებით.

D. დავების განმხილველმა ორგანომ მიიჩნია, რომ გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან „მართლმსაჯულებისა და სამართლიანი სამართალწარმოების მტკიცე ადმინისტრირების პროცესში, მოპასუხის [ბელგიის სახელმწიფოს] მიერ თანამშრომლობაზე უარის პირობებში, ერთადერთ შესაძლო სანქციას წარმოადგენს იმ ადმინისტრაციული ღონისძიების ძალადაკარგულად ცნობა,

რომლის კანონიერებაც ვერ დადგინდება inter partes სამართალწარმოების პროცესიდან დოკუმენტების გამორიცხვის გამო.“

E. ბელგიის სახელმწიფომ აღნიშნული დასკვნა გაასაჩივრა და დავების განმხილველ ორგანოს მოსთხოვა, მიეღო გადაწყვეტილება Diehl-ის კომერციული საიდუმლოების შემცველი სატენდერო დოკუმენტების კონფიდენციალურობა და დაცვაში.

F. დავების განხილვის ორგანომ სამართალწარმოება შეაჩერა და შემდეგი საკითხები გადაუგზავნა ECJ-ის, წინასწარი განჩინების გამოტანის მოთხოვნით: [89/665] დირექტივის 1(1) მუხლი, წაკითხული [93/36 დირექტივის] 15(2) მუხლთან და [2004/18 დირექტივის] მუხლთან ერთობლიობაში, უნდა იქნას ინტერპრეტირებული იმგვარად, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ სააპელაციო პროცედურებზე პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მხარეთა მიერ, შემსყიდველი ორგანიზაციის ჩათვლით, მისთვის გადაცემულ ფაილებში წარმოდგენილი კომერციული საიდუმლოების კონფიდენციალურობა და დაცვა, ხოლო ამავდროულად, მას ენიჭება უფლება, თავად შეაფასოს აღნიშნული ინფორმაცია და მხედველობაში მიიღოს იგი.’

Varec v Belgium: ECJ-ის ანალიზი

A. ECJ-მ, პირველ რიგში, მოახდინა წინამდებარე საქმეზე გენერალური დირექტივის გამოყენების ანალიზი. ამავდროულად, ვინაიდან დირექტივა იმ დროისათვის არ იყო ძალაში შესული, სასამართლომ გამოიყენა 89/665 დირექტივის დებულებები. აღნიშნული დირექტივა ცალსახად არ არეგულირებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხს. შესაბამისად, აუცილებელი გახდა, რომ ECJ-ის მიემართა დირექტივის ზოგადი დებულებებისათვის, კერძოდ კი, 1(1) მუხლისათვის:

B. ECJ-მ განაცხადა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის სამართლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ყველა წევრ სახელმწიფოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ გასცეს ინფორმაცია კონტრაქტის მინიჭების პროცედურებთან დაკავშირებით, თუ ამ ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია კონკურენციის დასაზიანებლად, მიმდინარე შესყიდვების ფარგლებში ან შესყიდვების შემდგომ პროცესებში.

C. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონტრაქტის მინიჭების პროცედურები ეფუძნება ნდობას შემსყიდველ ორგანიზაციასა და მონაწილე

ეკონომიკურ ოპერატორებს შორის. ამ ოპერატორებს უნდა შეეძლოთ ნებისმიერი რელევანტური ინფორმაციის მიწოდება შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, შესყიდვების პროცესში, და ამავდროულად, არ ჰქონდეთ შიში იმისა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებამაც, შესაძლოა, მათ ზიანი მიაყენოს, მესამე მხარეს გადასცემს. ამრიგად, 93/36 დირექტივის (ჩანაცვლად გენერალური დირექტივით) 15(2) მუხლის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან, სრულად სცენ პატივი მომწოდებელთა მიერ უზრუნველყოფილ ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

D. წარუმატებელი კანდიდატის ან ტენდერის მონაწილესათვის უარის მიზეზების შესახებ ინფორმაციის მიწოდების კონტექსტში, 93/36 დირექტივა შემსყიდველ ორგანიზაციას ანიჭებს დისკრეციას, არ გასცეს გარკვეული ინფორმაცია, თუ ამ ინფორმაციის გაცემა საფრთხეს შეუქმნის კონკრეტული საწარმოს, კერძო ან საჯარო, კომერციულ ინტერესებს, ან სავარაუდოდ, რისკის ქვეშ დააყენებს მომწოდებელთა შორის სამართლიან კონკურენციას.

E. ეფექტურობა უკიდურესად დაზიანდება, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონტრაქტის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ

აღძრულ საჩივარში, კონტრაქტის მინიჭებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია მომჩივნისათვის გახდება სრულად ხელმისაწვდომი. ასეთ ვითარებაში, უბრალოდ საჩივრის აღძვრით მომჩივანს ექნება წვდომა ინფორმაციაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კონკურენტული გარემოს ან კონკურსში მონაწილე ეკონომიკური ოპერატორების ლეგიტიმური ინტერესების დასაზიანებლად. ასეთი შესაძლებლობა, სავარაუდოდ, წაახალისებს ეკონომიკურ ოპერატორებს, აღძრან საჩივარი მხოლოდ და მხოლოდ კონკურენტის ბიზნეს საიდუმლოებაზე წვდომს მოპოვების მიზნით.

F. დავის განხილვის პროცესში, პასუხისმგებელი ორგანო ხელმძღვანელობს 93/36 დირექტივით დადგენილი მოვალეობებით, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმაციის კონფიდენციალურობის პატივისცემას შეეხება.

‘ეფექტური განხილვის’ მოთხოვნა, შესაბამისად, აღნიშნულ ორგანოს აკისრებს მოვალეობას, მიიღოს ზომები, რომელიც აუცილებელია ამ დებულებების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, დავების განხილვის პროცესში, დავების განხილვის ორგანოს უნდა შეეძლოს, მიიღოს გადანყვეტილება,

თუ საქმის მასალების რომელი ნაწილი არ უნდა გადაეცეს მხარეებს ან მათ ადვოკატებს, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი კონკურენციის ან ეკონომიკური ოპერატორების ლეგიტიმური ინტერესების დაცვასად, ევროკავშირის სამართლის მოთხოვნების შესაბამისად.

G. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ აქვს დადგენილი, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არის ის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც საქმის განხილვის სამართლიანობის შეფასებას იძლევა. თუმცა, იგი უნდა დაბალანსდეს სხვა უფლებებთან და ინტერესებთან. მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, როგორც წესი, მხარეებს უფლება აქვთ, შეისწავლონ მტკიცებულებები, გააკეთონ კომენტარი მტკიცებულებებთან დაკავშირებით და სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი არგუმენტები. ამავდროულად, ზოგ შემთხვევაში, მესამე მხარის ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით, დაუშვებელია გარკვეული ინფორმაციის მხარეებისათვის გადაცემა (იხ. Rowe and Davis v The United Kingdom [GC] no 28901/95, §61, ECHR 2000-II, და V v Finland no 40412/98, §75, ECHR 2007-...).

H. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, სამართლიანი კონკურენციის შენარჩუნება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია. შესაბამისად, დავის განხილვის პროცესში, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ მხარეებს შეუზღუდავი და აბსოლუტური წვდომა აქვთ ყველა ინფორმაციაზე, რომელიც კონტრაქტის მინიჭებას უკავშირდება. პირიქით, წვდომის უფლება უნდა დაბალანსდეს ეკონომიკური ოპერატორების უფლებასთან, რომელიც გულისხმობს მათი კონფიდენციალური ინფორმაციისა და ბიზნეს საიდუმლოების დაცვას.

I. კონფიდენციალური ინფორმაციისა და ბიზნეს საიდუმლოების დაცვის პრინციპის დაცვა უნდა აკმაყოფილებდეს ეფექტური სამართლებრივი დაცვის მოთხოვნებს და დავის მხარეების დაცვის უფლებას (იხ. საქმე C-438/04 Mobistar [2006] ECR I-6675, პუნქტი 40), ხოლო საქმის სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ განხილვისას, 234 EC მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

J. ვინაიდან გარკვეული ინფორმაციის კონკურენტისთვის გადაცემამ, შესაძლოა, სერიოზული ზიანი გამოიწვიოს, დავის განხილვის

ორგანომ, ინფორმაციის მხარისათვის გადაცემამდე, უნდა მისცეს შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს შესაძლებლობა, ინფორმაცია კონფიდენციალურად ან ბიზნეს საიდუმლოდ გამოაცხადოს (იხ. AKZO Chemie and AKZO Chemie UK v Commission, პუნქტი 29).

K. შესაბამისად, ECJ-ის პოზიციის თანახმად, „89/665 დირექტივის 1(1) მუხლი, ნაკითხული 93/36 დირექტივის 15(2) მუხლთან ერთობლიობაში, ინტერპრეტირებული უნდა იქნას შემდეგნაირად: 1(1) მუხლით გათვალისწინებული დავების განხილვის ორგანომ უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურობისა და ბიზნეს საიდუმლოების დაცვა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც შეიცავს ამ ორგანოსათვის მხარეების მიერ, განსაკუთრებით კი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაცემული მასალები; თუმცა, აღნიშნულ ორგანოს თავად შეუძლია შეაფასოს ეს ინფორმაცია და მხედველობაში მიიღოს იგი. დავების განხილვის ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რამდენად და რა პროცესით არის მიზანშეწონილი ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და საიდუმლოების დაცვა, ეფექტური სამართლებრივი დაცვისა და დავის მხარეთა დაცვის უფლების

მოთხოვნების გათვალისწინებით და, 234 EC მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, დავის სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ განხილვისას, უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.“

ამრიგად, ECJ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს კონფიდენციალური ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების დაცვის უფლებას, გამჟღავნების უფლებასთან შედარებით. გადანაცვები მოქმედებს პოტენციური პრეტენდენტების სასარგებლოდ და უზრუნველყოფს მათი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკონკურსო (სატენდერო) კომისიის მიერ მიღებული გადანაცვლების გასაჩივრება.⁹⁶ ამასთან, *Varec v Belgium* საქმეში სასამართლოს მიერ მიღებულ გადანაცვლებაზე დაყრდნობით:

- დავის განხილვის ორგანოს უნდა ჰქონდეს ნვდომა ყველა ინფორმაციაზე, მათ შორის, ინფორმაციაზე, რომელიც ტენდერის მონაწილეების

მიერ მიჩნეულია, როგორც კონფიდენციალური და კომერციული საიდუმლოება

- მესამე მხარეებს (მათ შორის, მომჩივნებს) არ უნდა ჰქონდეთ ნვდომა ისეთ ინფორმაციაზე, რომლის გამჟღავნებაც საფრთხეს შეუქმნის სამართლიან კონკურენციას
- მომჩივნის მიერ ტენდერის სხვა მონაწილეების კონფიდენციალური ინფორმაციაზე ნვდომის შეზღუდვა არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუ იგი გამართლებულია კონკურენციის დაცვის საჯარო ინტერესით
- მანამ, სანამ დავის განხილვის ორგანო სენსიტიურ ინფორმაციას გადასცემს დავის მხარეს, მან შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს უნდა მისცეს შესაძლებლობა, ინფორმაცია კონფიდენციალურად ან კომერციულ საიდუმლოდ გამოაცხადოს

⁹⁶ ECJ-ის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, *Varec (C-450/06, ECR 2008 გვ. I-581)*.

- დავის განხილვის ორგანომ უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურობისა და კომერციული საიდუმლოების დაცვა, განსაკუთრებით შემსყიდველ ორგანიზაციასთან მიმართებით
- დავის განხილვის ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რამდენად და რა პროცესით არის მიზანშეწონილი ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და საიდუმლოების დაცვა და უზრუნველყოს, რომ სამართალწარმოებამ თლიანობაში აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

5.10 კონკრეტული შემთხვევები⁹⁷

ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში განხილულია კონფიდენციალურობის ტესტის გამოყენება ისეთ

სიტუაციებში, სადაც ტენდერის მონაწილე ან შემსყიდველი ორგანიზაცია საკუთარ კომერციულ ინფორმაციას კონფიდენციალურად მიიჩნევს. კონფიდენციალურობის ტესტის გამოყენებისას, ოთხივე კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ დადგინდეს, რომ კომერციული ინფორმაცია მართლაც კონფიდენციალურია.

კრიტერიუმი 1:
ზუსტად უნდა მიეთითოს, თუ რომელი ინფორმაცია ექვემდებარება დაცვას.

კრიტერიუმი 2:
ინფორმაცია უნდა იყოს კომერციულად 'სენსიტიური' და არ უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი ან დადგენადი.

კრიტერიუმი 3:
ინფორმაციის გამჟღავნება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ინფორმაციის მფლობელს ან სხვა მხარეს.

კრიტერიუმი 4:
ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა იმ პირობით, რომ დაცული იქნებოდა ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

⁹⁷ ყველა კონკრეტული შემთხვევა ადაპტირებულია შემდეგი დოკუმენტიდან: *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007*. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეკონსტრუქციული ნებართვის საფუძველზე.

კონკრეტული შემთხვევა 1

წარმოების / მიწოდების მეთოდოლოგია

თავის წინადადებაში, ტენდერის მონაწილემ სერვისების მიწოდების გზები კონფიდენციალურ ინფორმაციად მიიჩნია. ტენდერის მონაწილე აცხადებს, რომ მან შეიმუშავა პრობლემის 'ჭკვიანური' (ორიგინალი და ინოვაციური) გადაწყვეტა და ინფორმაციის გამჟღავნება გამოიწვევს მისი კონკურენტების მიერ იმავე მეთოდოლოგიის გამოყენებას. აღნიშნული შეამცირებს მის კომერციულ ღირებულებას და უარყოფით გავლენას მოახდენს ტენდერის მონაწილის კონკურენტულ პოზიციაზე. მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია აქვთ მხოლოდ ტენდერის მონაწილესა და მის მიერ დასაქმებულ რამოდენიმე პირს. წინადადებების წარდგენისას, ტენდერის მონაწილეებს უნდა მიეთითებინათ, თუ კონკრეტულად რომელი ინფორმაციის დაცვა სურდათ.

კრიტერიუმი 1 - აკმაყოფილებს

ზუსტად არის მითითებული, თუ რომელი ინფორმაცია საჭიროებს დაცვას - ინფორმაცია სერვისების მიწოდების მეთოდის შესახებ.

კრიტერიუმი 2 - აკმაყოფილებს

ინფორმაციას აქვს კონფიდენციალური ინფორმაციის თვისება, ვინაიდან იგი ცნობილია მხოლოდ რამოდენიმე პირისათვის და 'ჭკვიანური' მეთოდის შესახებ ინფორმაციის არ-გამჟღავნება ტენდერის მონაწილეს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს.

კრიტერიუმი 3 - აკმაყოფილებს

ინფორმაციის გამჟღავნება, სავარაუდოდ, უარყოფით გავლენას იქონიებს ტენდერის მონაწილის კომერციულ ინტერესებზე, ვინაიდან კონკურენტები შეძლებენ, გამოიყენონ ან მოახდინონ ამავე მეთოდის ადაპტაცია. შედეგად, ტენდერის მონაწილეს აღარ ექნება კონკურენტული უპირატესობა.

კრიტერიუმი 4 - აკმაყოფილებს

შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტენდერის მონაწილეებს შესთავაზა, მიეთითებინათ, თუ რომელი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა სურდათ, ხოლო ტენდერის მონაწილემ მიუთითა, რომ სერვისის მიწოდების მეთოდი წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას. შესაბამისად, მან შემსყიდველ ორგანიზაციას მიანოდა მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია იმ პირობით, რომ დაცული იქნებოდა მისი კონფიდენციალურობა.⁹⁸

⁹⁸ *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007, გვ. 31.* საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეკონსტრუქციულია ნებართვის საფუძველზე.

კონკრეტული შემთხვევა 2

მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები

მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ხშირად ითვალისწინებს მიწოდებული მომსახურების შეფასების გზებს, რათა შესაბამისად განხორციელდეს ანაზღაურება. მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება თანხის გადახდა ან გადასახდელი თანხის შემცირება.

ტენდერის მონაწილემ მოითხოვა მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების კონფიდენციალურობის დაცვა იმ მოტივით, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, მისი კონკურენტები დაადგენდნენ კომპანიის ხარჯების სტრუქტურას (cost structure) და ზიანს მიაყენებდნენ მის კომერციულ ინტერესებს. მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები სპეციალურად მოცემული კონკურსისთვის იქნა შემუშავებული და მის შესახებ ინფორმაცია აქვს მხოლოდ ტენდერის მონაწილესა და შემსყიდველ ორგანიზაციას. შემსყიდველ ორგანიზაციას არც წერილობით და არც ზეპირად არ განუცხადებია, რომ მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები კონფიდენციალური ინფორმაციაა.

კრიტერიუმი 1 - აკმაყოფილებს

ზუსტად არის მითითებული, თუ რომელი ინფორმაცია საჭიროებს დაცვას - მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები.

კრიტერიუმი 2 - ვერ აკმაყოფილებს

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი, ტენდერის მონაწილის ფასების სტრუქტურის განსაზღვრა შეუძლებელია მხოლოდ ამ ინდიკატორების საფუძველზე. ეს ინდიკატორები, უბრალოდ, ტენდერის მონაწილის სამიზნე ინდიკატორებია.

კრიტერიუმი 3 - ვერ აკმაყოფილებს

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმებმა ზიანი მიაყენოს ტენდერის მონაწილეს, მე-2 კრიტერიუმთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნის გათვალისწინებით.

კრიტერიუმი 4 - ვერ აკმაყოფილებს

ამ ეტაპზე, არ არსებობს მომსახურების შეფასების კრიტერიუმების კონფიდენციალურობის დასკვნის დაკავშირებით ორმხრივი შეთანხმება.

ზემოაღნიშნული შეფასების საფუძველზე, წინამდებარე მაგალითში

⁹⁹ *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007, გვ. 31. საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.*

ნარმოდგენილი კრიტერიუმები არ ნარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. თუმცა, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ფინანსურ ჯარიმებთან ან ჯილდოებთან დაკავშირებული რაოდენობრივი მონაცემები საფასო ინფორმაციასთან არის დაკავშირებული.⁹⁹ კონფიდენციალურობის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში ნარმოიშვება, თუ სატენდერო დოკუმენტები არ განსაზღვრავს მომსახურების ხარისხსა და ჯარიმებს.

კონკრეტული შემთხვევა 3

ფასების შესახებ ინფორმაცია

ფასების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ თითოეული მოთხოვნა ინდივიდუალურად უნდა იქნას განხილული.

ზოგადად, ის ფაქტი, რომ ფასების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება მომწოდებელს პრობლემას შეუქმნის არ არის საკმარისი საფუძველი. მაგალითად, ტენდერის მონაწილემ, შესაძლოა, მოითხოვოს კონფიდენციალურობის დაცვა იმ საფუძველით, რომ მას არ სურს, ფასების შესახებ მისმა კონკურენტმა შეიტყოს. თუმცა, ამ ინფორმაციის გამჟღავნებლობამ, შესაძლოა, გაზარდოს კონკურენცია და შედეგად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ

საუკეთესო ფასი მიიღოს. მეორეს მხრივ, აღნიშნულმა, შესაძლოა, ხელი შეუშალოს კონკურენციას, რადგან კონკურენტები შეძლებენ, თავიანთი ფასები შეცვალონ გამჟღავნებული ფასების შესაბამისად.

ქვემოთ ნარმოდგენილი მაგალითები შეეხება საფასო მეთოდოლოგიის ინდივიდუალური ელემენტების კონფიდენციალურობის საკითხს. ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა, მეთოდოლოგიის კონკრეტული ელემენტი ვერ აკმაყოფილებდეს კონფიდენციალურობის კრიტერიუმს, თუმცა, მთლიანი მეთოდოლოგია საჭიროებდეს დაცვას იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს კონფიდენციალურობის ტესტს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მეთოდოლოგია, შესაძლოა, შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას, რომელიც ტენდერის მონაწილის მოგების მარჯის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

კონკრეტული შემთხვევა 3.1

საერთო ფასი

მოლაპარაკების ფარგლებში, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული მომსახურების მომწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას სთხოვს, დაიცვას შეთავაზებული საერთო (ჯამური) ფასის კონფიდენციალურობა, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, კონკურენტები შეძლებენ, წინასწარ განსაზღვრონ, თუ რა სახის

წინადადებას წარადგენს აღნიშნული ორგანიზაცია სამომავლო ტენდერებში. ტენდერის მონაწილესთან გამართული დისკუსიების დროს, შემსყიდველმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ შესაბამისი კანონის თანახმად, შემსყიდველ ორგანიზაციას მოეთხოვება ხელშეკრულების ღირებულების გამოქვეყნება. ეს ინფორმაცია ტენდერის შესახებ განცხადებაშიც იყო ხაზგასმით მითითებული. აღნიშნული პრობლემა არ შეიძლება, რომ წარმოიშვას ღია ტენდერის ფარგლებში, როდესაც ფასებს კითხულობენ ხმაიად, შეთავაზებების გახსნის დროს. ინფორმაციის შეფასება კონფიდენციალურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კრიტერიუმი 1 - აკმაყოფილებს

ზუსტად არის მითითებული, თუ რომელი ინფორმაცია საჭიროებს დაცვას - საერთო ფასი.

კრიტერიუმი 2 - ვერ აკმაყოფილებს

კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, კონტრაქტის მთლიანი ღირებულება ვერ იქნება კონფიდენციალური. მიუხედავად ტენდერის მონაწილის პრეტენზიისა, ინფორმაცია არ არის კომერციულად სენსიტიური, ვინაიდან იგი არ შეიცავს საკმარის დეტალებს, რათა კონკურენტებმა შეძლონ ტენდერის მონაწილის ხარჯების სტრუქტურისა და მოგების მარჯის

განსაზღვრა.

კრიტერიუმი 3 - ვერ აკმაყოფილებს

საერთო ფასის გამჟღავნება არ დააზიანებს ტენდერის მონაწილის კომერციულ ინტერესებს, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით. რაც შეეხება ტენდერის მონაწილის განცხადებას სამომავლო ტენდერებთან დაკავშირებით, სამომავლო ტენდერებით გათვალისწინებული მომსახურება, მომსახურების დონე და მომსახურების მიწოდების მეთოდები, შესაძლოა, განსხვავებული იყოს. შესაბამისად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საერთო ფასის გამჟღავნებით ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონკურენტებმა მიიღონ საკმარისი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც განსაზღვრავენ მომავალში აღნიშნული კომპანიის მიერ წარდგენილი წინადადებების საერთო ფასს.

კრიტერიუმი 4 - ვერ აკმაყოფილებს

ამ ეტაპისთვის, შემსყიდველი ორგანიზაცია და ტენდერის მონაწილე კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ არ შეთანხმებულან.¹⁰⁰

ამ შეფასებაზე დაყრდნობით, თუ ტრიბუნალისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს ზემოაღნიშნულ ინფორმაციას, ტრიბუნალი არ არის ვალდებული, იგი კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციად მიიჩნიოს და დაიცვას მისი კონფიდენციალურობა.

კონკრეტული შემთხვევა 3.2

ცალკეული ან რამოდენიმე მომსახურების/საქონლის ფასი

ცალკეული ან რამოდენიმე მომსახურების/საქონლის ფასი, ზოგადად, არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც. თუ ფასების შესახებ ინფორმაცია, ზოგადად, ცნობილია, იგი კონფიდენციალურ ინფორმაციად ვერ იქნება მიჩნეული. ამავდროულად, თუ იმ მომსახურების/საქონლის ფასი, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შემადგენელი ნაწილია, შეიცავს ინფორმაციას ამ მომსახურების/საქონლის ძირითადი ფასებისა და მოგების შესახებ ან სხვა კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციას, როგორცაა, მაგალითად, სპეციალური ფასდაკლებები (იხ. ქვემოთ), ტენდერის მონაწილეს უფლება აქვს, მოითხოვოს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

მარტივი მაგალითი: ტენდერის მონაწილემ ერთი ერთეულის ფასი კატალოგში გამოაქვეყნა. ამ შემთხვევაში, ფასი ვერ იქნება მიჩნეული კონფიდენციალურ ინფორმაციად.

კრიტერიუმი 1 - აკმაყოფილებს ზუსტად არის მიითვებული, თუ რომელი ინფორმაცია საჭიროებს დაცვას.

კრიტერიუმი 2 - ვერ აკმაყოფილებს ერთი ერთეულის ფასის შესახებ ინფორმაცია არის საჯარო. შესაბამისად, მისი არ-გამჟღავნება ტენდერის მონაწილეს არ მოუტანს რაიმე სარგებელს.

კრიტერიუმი 3 - ვერ აკმაყოფილებს ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინფორმაციის გამჟღავნებას ჰქონდეს რაიმე უარყოფითი გავლენა ტენდერის მონაწილის კომერციულ ინტერესებზე, ვინაიდან ფასი უკვე საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

კრიტერიუმი 4 - ვერ აკმაყოფილებს ტენდერის მონაწილესა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის არ არსებობს ორმხრივი ცალსახა შეთანხმება ერთი ერთეულის ფასის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.¹⁰¹

ამ შეფასებაზე დაყრდნობით, თუ ტრიბუნალისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს ზემოაღნიშნულ

¹⁰⁰ *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007, გვ. 32-33. სააკტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.*

¹⁰¹ *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007, გვ. 33-34. სააკტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.*

ინფორმაციას, ტრიბუნალი არ არის ვალდებული, იგი კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციად მიიჩნიოს და დაიცვას მისი კონფიდენციალურობა.

კონკრეტული შემთხვევა 3.3

ფასდაკლებები

ტენდერის მონაწილემ, შესაძლოა, მოითხოვოს ფასების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა სხვადასხვა მიზეზების გამო. მაგალითად, ტენდერის მონაწილე, შესაძლოა, შემსყიდველ ორგანიზაციას მომსახურებას/საქონელს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით აწვდიდეს.

ტენდერის მონაწილეს უფლება აქვს, მოითხოვოს ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, თუ იგი დაამტკიცებს, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, მას მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი. მაგალითად, ტენდერის მონაწილემ უნდა შეძლოს დემონსტრირება იმისა, რომ თუ სხვა კლიენტები შეიტყობენ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ, კომპანიის ფინანსურ ინტერესებს ზიანი მიადგება, ან ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის

გამჟღავნება კონკურენტებს მისცემს შესაძლებლობას, განსაზღვრონ საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულება. ფასდაკლების შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს კონფიდენციალური, რაც დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. შესაბამისად, ტრიბუნალის წევრებმა ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად უნდა განიხილონ.¹⁰²

კონკრეტული შემთხვევა 4

ტექნიკური საიდუმლოება

იმ ინფორმაციის არ-გამჟღავნება, რომელსაც ეფუძნება ტრიბუნალის გადაწყვეტილება, სამართლიანი სასამართლოს პრინციპს ეწინააღმდეგება. მაგალითისათვის, განვიხილოთ კონფიდენციალურობის ტესტის გამოყენება ECJ-ის საქმის case 'Varec v Belgium'¹⁰³ მიმართ, რომელიც ზემოთ განვიხილეთ და გავაანალიზებთ.

კრიტერიუმი 1 - აკმაყოფილებს

კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც ცალკე უნდა იქნას გამოთხოვნილი ტენდერის ერთ-ერთი მონაწილისგან.

¹⁰² *Guidance on Confidentiality in Procurement, Financial Management Guidance No. 3, Commonwealth of Australia, 2007, გვ. 34.* საავტორო უფლებები დაცულია, ავსტრალიის თანამეგობრობა, რეპროდუცირებულია ნებართვის საფუძველზე.

¹⁰³ *ECJ-ის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, Varec (C-450/06, ECR 2008 გვ. I-581).*

კრიტიკრიუმი 2 - აკმაყოფილებს

ინფორმაცია არის სენსიტიური, ვინაიდან იგი შედგება სანარმოო გეგმებისა და მეთოდის აღწერისგან, რომელიც შემუშავებულია და გამოიყენება მხოლოდ მწარმოებლის მიერ. სანარმოო გეგმებისა და მეთოდის აღწერა მომზადდა ამ კონკრეტული ტენდერისთვის და გამოიყენება მხოლოდ ტენდერის კონკრეტული მონაწილის მიერ. შესაბამისად, სანარმოო გეგმებსა და მეთოდზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ფლობს ტენდერის მონაწილე.

კრიტიკრიუმი 3 - აკმაყოფილებს

ინფორმაციის გამჟღავნებამ, შესაძლოა, არ მოახდინოს გავლენა მოცემული საქმის განხილვაზე, თუმცა, მან, შესაძლოა, მოახდინოს გავლენა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ დავის განხილვაზე.

კრიტიკრიუმი 4 - დაკმაყოფილებულია

ტენდერის სპეციფიკაციები ი თ ვ ა ლ ი ს ნ ი ნ ე ბ დ ა კონფიდენციალურობას, ხოლო ტენდერის მონაწილემ - Diehl-მა მოითხოვა წარდგენილი გეგმების უკან დაბრუნება.

მოცემული შემთხვევა აკმაყოფილებს კონფიდენციალურობის კრიტიკრიუმებს.

ინფორმაცია არის კონფიდენციალური. თუმცა, კვლავ არსებობს კონფლიქტი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის.

5.11 რეზიუმე

თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალი ვალდებულია, დაიცვას გაკრვეული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ეს განსაკუთრებით ეხება ტენდერის მონაწილეების მიერ წარდგენილ და კონფიდენციალურად მიჩნეულ ინფორმაციას. ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები ზღუდავს ინფორმაციის გამჟღავნებას, თუ ამან, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო სანარმოს ლეგიტიმურ ინტერესებს ან საფრთხე შეუქმნას მომწოდებლებს შორის სამართლიან კონკურენციას.

აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ტექნიკურ ან კომერციულ საიდუმლოებას და ტენდერში მონაწილე სანარმოს კონფიდენციალურობის ასპექტებს.¹⁰⁴ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ

¹⁰⁴ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივა 2004/18/EC საჯარო კონტრაქტების, საჯარო მიწოდების და საჯარო მომსახურების კონტრაქტების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციის შესახებ, მუხლი 6, OJ L154 of 30.4.2004, გვ. 114.

ევროკავშირის თავდაცვის დირექტივა შეიცავს ჩარჩოს კლასიფიცირებული ინფორმაციის დაცვის თაობაზე, იმას, თუ რომელი ინფორმაცია უნდა იყოს კლასიფიცირებული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს თავად წევრი სახელმწიფო, ვინაიდან უსაფრთხოება თითოეული წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ტრიბუნალს მოეთხოვება, უზრუნველყოს ინფორმაციისა და მტკიცებულების ხელმისაწვდომობა დავის მხარეებისათვის. თუმცა, ტრიბუნალის მოვალეობაში არ შედის, ინფორმაციის ტენდერის სხვა მონაწილეებისთვის ან მესამე მხარისთვის გადაცემა, რომელთაც არ აქვთ ამ ინფორმაციის შესწავლის უფლება, დავის განხილვის ფარგლებში. სხვა მხარეებს კონკურენტების სატენდერო წინადადებების შესწავლის შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, ტენდერის ის მონაწილეები, რომელთაც გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს, ტრიბუნალში აღძრავდნენ საჩივრებს, კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის მოსაპოვებლად.

შესაბამისად, ინფორმაციის დაცვა - მათ შორის, კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციისა - ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების და კონკრეტულად, მასთან დაკავშირებული დავების განხილვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე, ტრიბუნალი ვალდებულია, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მონაწილე ეკონომიკური ოპერატორების უფლებების აღსრულება. ამ მიზნის მისაღწევად, ტრიბუნალი ვალდებულია, გამოიყენოს დაცვის საშუალებები, რომელიც მომდევნო თავში არის განხილული.



დაცვის საშუალებებისადმი მიდგომა

6.1 მიმოხილვა

ეკონომიკური ოპერატორის მიერ საკუთარი უფლებების დასაცავად ტრიბუნალისათვის მიმართვის კონტექსტში, დაცვის საშუალებების მიზანია, უზრუნველყოს ეკონომიკური ოპერატორების იმ ინდივიდუალური უფლებების აღსრულება, რომელიც მომდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობიდან. შესაბამისად, დაცვის საშუალებები ძირითადად, ემსახურება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების შეცვლის მიზანს, თუ ეს გადაწყვეტილება არღვევს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას, რათა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა დასრულდეს კანონის შესაბამისად. ევროპული კანონმდებლობა იცავს ეფექტური გადასინჯვის უფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული

გადაწყვეტილება უნდა გადასინჯოს ეფექტურად და მასქიმალურად სწრაფად, თუ იგი არღვევს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ევროკავშირის კანონს ან ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ამ კანონის დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანას უზრუნველყოფს.¹⁰⁵ ამ მხრივ, 89/665 დირექტივის 1(1) მუხლისა და 1(3) მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა ჩაითვალოს ეფექტურად, როგორც მინიმუმ, ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს ინტერესი კონკრეტული კონტრაქტის მოპოვების მიმართ და რომელსაც სავარაუდო დარღვევამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს, გასაჩივრების პროცედურებზე უნდა მიუწვდებოდეს ხელი.¹⁰⁶ 89/665 დირექტივის 2a(2) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, მოქმედებს „ტენდერის შესაბამისი მონაწილის“ კონცეფცია.¹⁰⁷ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე,

¹⁰⁵ 1989 წლის 21 დეკემბრის საბჭოს 89/665/EEC დირექტივა საქონლის მიწოდების და საჯარო სამუშაოების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცედურების გამოყენების შესახებ კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის თაობაზე, მუხლი 1(1)

¹⁰⁶ ECJ-ის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, (C-355/15, ECLI:EU:C:2016:988) პუნქტი 28.

¹⁰⁷ ECJ-ის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Blietberggemeinschaft Technische Gebäudebetreuung und Caverion Österreich* (C-355/15, ECLI:EU:C:2016:988) პუნქტი 58.

დავის განხილვის ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ ვინ არის „ტენდერის შესაბამისი მონაწილე“. მაგალითად, სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის პროცესზე წვდომაზე, შესაძლოა, უარი ეთქვას ტენდერის მონაწილეს, რომელმაც გადაწყვიტა, არ მიიღოს მონაწილეობა ტენდერში იმ მიზეზით, რომ შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ნაკლებია შანსი იმისა, რომ კონტრაქტს მას მიანიჭებენ,¹⁰⁸ ან ტენდერის მონაწილეს, რომლის სატენდერო შეთავაზება ცალსახად უარყოფილი იქნა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, რის გამოც იგი ვერ იქნება „ტენდერის შესაბამისი მონაწილე“, 2a(2) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.¹⁰⁹ ამავდროულად, ECJ-ის პრაქტიკაში ყოფილა საქმეები, როდესაც სატენდერო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს ტენდერის შედეგებით უკმაყოფილო ტენდერის მონაწილე, ხოლო ამავე წარმოების ფარგლებში, ტენდერის იმ მონაწილეს,

რომელსაც კონტრაქტი მიენიჭა, შეაქვს შემხვედრი პრეტენზია. ტენდერის მონაწილე, რომელიც უკმაყოფილო იყო ტენდერის შედეგით აცხადებდა, რომ ტენდერის გამარჯვებული ვერ აკმაყოფილებდა ტენდერის დოკუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნულის პასუხად, ტენდერის გამარჯვებული მონაწილე აცხადებდა იმავეს, ტენდერის შედეგებით უკმაყოფილო მონაწილესთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, დამაფიქრებელი საკითხია ის, თუ რამდენად შეესაბამება ევროკავშირის სამართალს შემხვედრი პრეტენზიის დაკმაყოფილება და მომჩივნის პრეტენზიის უარყოფა locus standi საფუძველზე. აღნიშნულ კონტექსტში, ECJ-იმ დაასკვნა, რომ „დომინოს მიდგომა“ (domino approach) არასწორია. ECJ-ის განჩინების თანახმად, 89/665 დირექტივის 1(3) მუხლი, რომელიც სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან (locus standi) დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს, დავის

¹⁰⁸ ECJ-ის 2018 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, *AMT Azienda Trasporti e Mobilita and Others* (C-328/17, ECLI:EU:C:2018:958) პუნქტი 20.

¹⁰⁹ ECJ-ის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Bietergemeinschaft Technische Gebäudebetreuung und Caverion Österreich* (C-355/15, ECLI:EU:C:2016:988) პუნქტი 35.

განმხილველ ორგანოს ავალდებულებს, განიხილოს როგორც საჩივარი, ისე შემხვედრი პრეტენზია, მიუხედავად ტენდერის შედეგისა, ვინაიდან ტენდერის თითოეულ მონაწილეს აქვს უფლება, განაცხადოს, რომ მას აქვს ლეგიტიმური ინტერესი მეორე მონაწილის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების უარყოფის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს კონტრაქტების მხოლოდ ტენდერის კანონიერი მონაწილეებისათვის მინიჭებას.¹¹⁰

დაცვის ეფექტურ საშუალებებზე უფლება, ასევე, გულისხმობს გასაჩივრების უფლებას. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხვდება 2014/24 დირექტივის მატერიალური მოქმედების ფარგლებში და აქვს შესაძლებლობა, გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები, წარმოადგენს გადაწყვეტილებას, რომელიც ექვემდებარება გადახედვას, 89/665 დირექტივის 1(1) მუხლის მნიშვნელობის

ფარგლებში. ამ მხრივ, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია გადაწყვეტს, არ მოახდინოს კონტრაქტის მინიჭების პროცედურის ინიცირება იმ მოტივით, რომ მოცემული კონტრაქტი, შემსყიდველი ორგანიზაციის შეფასებით, არ ხვდება ევროკავშირის შესაბამისი წესების მოქმედების ფარგლებში, ეს გადაწყვეტილება მაინც ექვემდებარება გადასინჯვას სასამართლოს მიერ.¹¹¹ ამასთან, ECJ-ის თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტილება, რომელიც ტენდერის მონაწილეს აძლევს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს შესყიდვის პროცესში, არ ექვემდებარება დამოუკიდებელ გადასინჯვას სასამართლოს მიერ, ეწინააღმდეგება 89/665 დირექტივის 1(1) მუხლსა და 2(1) მუხლის (a) და (b) პუნქტებს.¹¹²

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური გასაჩივრების უფლების პრინციპთან თავსებადია ეროვნული კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი სარჩელის დასაშვებობა ექვემდებარება მომჩივნის მიერ

¹¹⁰ ECJ-ის 2013 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, *Fastweb (C-100/12, ECLI:EU:C:2013:448)* პუნქტი 34.

¹¹¹ ECJ-ის 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Anodiki Services EPE (C-260/17, ECLI:EU:C:2018:864)* პუნქტი 44-45.

¹¹² ECJ-ის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება, *Marina del Mediterraneo (C-391/15, ECLI:EU:C:2017:268)* პუნქტი 37.

შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წარდგენილი „სათანადო ქცევის“ გარანტიას, თუ მოხდება ამ გარანტიის ანაზღაურება მომჩივნისთვის, სარჩელის შედეგისა და მიუხედავად.¹¹³ ეფექტური გასაჩივრების უფლების პრინციპთან, ასევე, თავსებადია კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო ბაჟს ადმინისტრაციულ სასამართლოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით საჩივრის აღძვრისთვის.¹¹⁴

ამასთან, წინამდებარე თავი ყურადღებას ამახვილებს ტრიბუნალისათვის ხელმისაწვდომ დაცვის საშუალებებზე და უფრო კონკრეტულად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედი დაცვის განხილვის ორგანოებისათვის ხელმისაწვდომ დაცვის საშუალებებზე. თავში დეტალურად არის აღწერილი დაცვის ინდივიდუალური საშუალებების მიზნები და ის სიტუაციები, სადაც გამოიყენება დაცვის კონკრეტული საშუალება. წინამდებარე თავი, პირველ რიგში, ჩამოთვლის და განმარტავს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალისთვის ხელმისაწვდომ

დაცვის საშუალებებს და უზრუნველყოფს მაგალითებს, მთავარი საკითხებისა და დასკვნების საილუსტრაციოდ.

6.2 დაცვის საშუალებების ტიპები

დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები წარმოდგენილია GPA-ში¹¹⁵ და ევროკავშირის დირექტივებში დაცვის საშუალებების შესახებ. ევროკავშირის დირექტივები შეიცავს კონცეფციას, რომლის თანახმადაც პრეტენდენტს ან ტენდერის მონაწილეს შეუძლია, გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. სუბიექტური უფლებების აღსრულების მიზნით, ტენდერის მონაწილეს შეუძლია დაცვის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება. GPA-ს მე-20 მუხლის მეშვიდე პუნქტი და დაცვის საშუალებების შესახებ ევროპული დირექტივის 2(1) მუხლი ითვალისწინებს დროებით ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სავარაუდო დარღვევის გამოსწორება და შემდგომი ზიანის თავიდან აცილება. ამასთან, GPA-ს მე-20 მუხლის მეშვიდე პუნქტი ითვალისწინებს

¹¹³ ECJ-ის 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Star Storage and others (C-439/14, C-488/14, ECLI:EU:C:2016:688)* პუნქტი 63.

¹¹⁴ ECJ-ის 2015 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Orizzonte Salute (C-61/14, ECLI:EU:C:2015:655)* პუნქტი 79.

¹¹⁵ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმება.

საჩივრის საფუძვლიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, GPA-ს დარღვევის გამოსწორებასა და კომპენსაციას განცდილი ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთან, დაცვის საშუალებების შესახებ ევროპული დირექტივის 2(1) მუხლი ითვალისწინებს უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას და განცდილი ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მინიჭების შესაძლებლობას. ამრიგად, GPA-ს და დაცვის საშუალებების შესახებ ევროპულ დირექტივას საერთო აქვს დაცვის სამი საშუალება: დროებითი ღონისძიებები, გადაწყვეტილების გაუქმება და ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდში, დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივა ითვალისწინებს ხელშეკრულების გაბათილებას და ალტერნატიულ სანქციებს იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი სრულად არ გაუქმდება. ვინაიდან დაცვის საშუალებების შესახებ ევროკავშირის დირექტივების მიზანია ევროკავშირში GPA-ს განხორციელება, ხოლო ამ ტიპის დაცვის საშუალებები არის უფრო ფართო მოქმედების, ისინი უფრო დეტალურად არის განხილული. ევროკავშირში ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებებია:

- შუალედური ღონისძიებები
- შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების გაუქმება
- კონტრაქტის გაბათილება
- ალტერნატიული სასჯელი
- ზიანის ანაზღაურება¹¹⁶

დაცვის საშუალებები ტრიბუნალს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინოს შემსყიდველი ორგანიზაციის ქცევაში ხარვეზების კორექტირება. მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალი შემსყიდველ ორგანიზაციას ვერ ჩაანაცვლებს და ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელია გამარჯვებული პრეტენდენტი და ვერ შეარჩევს კონტრაქტის მინიჭების შესაბამის პროცედურას, ტრიბუნალს უფლება აქვს, უარყოს შემსყიდველი ორგანიზაციის ნებისმიერი ქმედება, რომელიც არღვევს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს. ამრიგად, ტრიბუნალს აქვს ირიბი გავლენა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელებაზე.

¹¹⁶ დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის 2(1), 2d და 2f მუხლები; დაცვის საშუალების შესახებ დირექტივის 2d და 2f მუხლები; თავდაცვის შესახებ დირექტივის 56(1), 60 და 62 მუხლები.

იმისათვის, რომ ტრიბუნალმა სათანადოდ შეასრულოს საკუთარი როლი, ტრიბუნალის წევრები უნდა აცნობიერებდნენ, თუ რა ადგილს იკავებს ტრიბუნალი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში და შესაბამისად უნდა მიუდგინენ დაცვის საშუალებებს. ტრიბუნალი არ წარმოადგენს ზე-შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების მიღება შეუძლია. გადანყვეტილების გაუქმებით ტრიბუნალს შეუძლია, შემსყიდველ ორგანიზაციას აიძულოს ახალი, კანონიერი გადანყვეტილების მიღება და შესყიდვების პროცესის გამოსწორება. ამავდროულად, დარღვევის გამოსწორების მიზნით, დაცვის საშუალების შერჩევა ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის პროცედურის შესაბამისად.

მაგალითები

1. კონტრაქტის დოკუმენტების გასაჩივრების შემთხვევაში, საჭიროა დროებითი ღონისძიების გამოყენება, რათა ტენდერის მონაწილეებმა არ წარადგინონ სატენდერო წინადადებები, ვინაიდან ექვევქვეშ დგას კონტრაქტის დოკუმენტების კანონიერება. შესაბამისად, კონტრაქტის დოკუმენტები ნაწილობრივ ან მთლიანად უნდა გააბათილდეს.

2. სატენდერო წინადადების უარყოფის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, შესყიდვის პროცესი უნდა დარჩეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ტენდერის მონაწილეს შესყიდვაში მონაწილეობის მიღების გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. თუ აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონო აღმოჩნდება, იგი უნდა გაუქმდეს.
3. კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, კონტრაქტის მინიჭების პროცესი უნდა შეწყდეს, რათა შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილების გაუქმება.
4. თუ ეკონომიკური ოპერატორი აღმოაჩენს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ კონტრაქტი გააფორმა სატენდერო განცხადების წინასწარ გამოქვეყნების გარეშე, ტრიბუნალმა ან სასამართლომ უნდა გააბათილოს კონტრაქტი, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს გადაწყვეტილება, რომელსაც ტრიბუნალი ან სასამართლო გააუქმებს.

6.3 დროებითი ღონისძიებები

დროებითი ღონისძიებების გამოყენება დამოკიდებულია დავების განხილვის ეროვნულ დონეზე არსებულ სისტემაზე. თუ საჩივარს ავტომატურად აქვს სუსპენზიური ეფექტი შესყიდვის პროცედურასთან მიმართებით, დროებითი ღონისძიება აღარ იქნება საჭირო, ვინაიდან შესყიდვის პროცედურა შეჩერდება დავების განხილვის ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე და ვერ გამოიწვევს რაიმე ზიანს. მეორეს მხრივ, აღნიშნული სისტემის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ დარღვევების გამოსწორება არ შეუძლია თავად შემსყიდველ ორგანიზაციას, რაც, აშკარა შეცდომების არსებობის შემთხვევაში, დავის განხილვის პროცესს უფრო ხანმოკლეს გახდის.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი არ ითვალისწინებს დაცვის ასეთ საშუალებას. კერძოდ, კანონის 23⁷ (9) მუხლის თანახმად, გასაჩივრებული სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცედურები საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე ავტომატურად

ჩერდება. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია არ მიიღოს გადაწყვეტილება ან არ განახორციელოს ქმედება გასაჩივრებულ სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურებთან დაკავშირებული საჩივრის განხილვის ვადაში.

აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს შესყიდვის პროცედურის ავტომატურ 'გაყინვას', რაც დაცვის საშუალებების შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან შესაბამისობაშია. აღნიშნული მომჩივანს შესაძლებლობას აძლევს, შეაჩეროს შესყიდვის პროცესი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალი მის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მომჩივანს კონტრაქტის მიღების რეალური შანსი ექნება. აღნიშნულ პირობებში, დროებითი ღონისძიების, როგორც დაცვის ცალკე საშუალების გათვალისწინება, ზედმეტია.¹¹⁷

6.3.1 რას წარმოადგენს დროებითი ღონისძიება?

დროებითი ღონისძიებას აქვს რამოდენიმე მიზანი, ესენია:

¹¹⁷ შედარებისათვის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოლდოვას კანონმდებლობის თანახმად, საჩივრის წარდგენის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას ეკრძალება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. ამავედროულად, მოლდოვას კანონმდებლობა ითვალისწინებს დროებითი ღონისძიების მოთხოვნის შესაძლებლობას, თუმცა, აღნიშნულ შესაძლებლობას იშვიათად იყენებენ.

- ზიანის პრევენცია მანამ, სანამ დავის განხილვის ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეუქცევადი ფაქტების შექმნის პრევენცია¹¹⁸
- დავის განხილვის ეფექტურობის უზრუნველყოფა

ამავდროულად, დროებითი ღონისძიება არ წარმოადგენს დაცვის საშუალებას. დროებითი ღონისძიება ახდენს მომჩივნის უფლებების აღსრულებას, თუმცა, დავის განხილვის ეფექტურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება. დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის 2(1) მუხლის¹¹⁹ თანახმად, დავის განხილვისას დროებითი ღონისძიების გამოყენება ხდება შუალედური პროცედურების სახით. შესაბამისად, დროებითი ღონისძიების მიზანს არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების შესრულება,¹²⁰ არამედ, ისინი გამოიყენება დავის განხილველი

ორგანოს მიერ, შესყიდვის შესახებ კანონის სავარაუდო დარღვევის გამოსასწორებლად ან შესაბამისი პირის მიერ შესაბამისი ინტერესისათვის შემდგომი ზიანის მიყენების საპრევენციოდ - მაგალითად, მომჩივნის ინტერესისათვის.

დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის თანახმად, დავის განხილველი ორგანო დროებითი ღონისძიებას იყენებს საქმის არსებითი განხილვის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

მაგალითი

შემსყიდველი ორგანიზაცია აპირებს, კონტრაქტის მინიჭების პროცედურის მეორე ეტაპზე გადავიდეს, თუმცა, მან წარმოდგენილი წინადადებები საკვალიფიკაციო კრიტერიუმების მიხედვით არ შეაფასა, ხოლო აღნიშნულისთაობაზე წარდგენილი საჩივარი არ იწვევს პროცედურის ავტომატურად შეჩერებას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მომჩივანს შეატყობინა, რომ იგი

¹¹⁸ მაგალითად, კონტრაქტის მინიჭება მანამ, სანამ დავის განხილველი ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას გასაჩივრებელი გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ. შედეგად, გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლებელი იქნება.

¹¹⁹ დირექტივა 2007/66/EC, რომლითაც შესწორდა საბჭოს დირექტივები 89/665/EEC და 92/13/EEC საჯარო კონტრაქტების მინიჭებასთან დაკავშირებული გადასინჯვის პროცედურების ეფექტურობის გაუმჯობესების შესახებ.

¹²⁰ ECJ-ის 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Combinatie Spijker Infrabouw/De Jonge Konstruktie and others (C-568/08, ECR 2010 p. I-12655)* პუნქტი 61.

მეორე ეტაპზე ვერ გადავიდა. დავების განმხილველმა ორგანომ შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აუკრძალოს ტენდერის მონაწილეებისგან წინადადებების წარდგენის მოთხოვნა. თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ასეთი მოთხოვნები უკვე გააკრძალა, დავების განმხილველმა ორგანომ უნდა გამოიყენოს შუალედური ღონისძიება, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას აუკრძალავს წარდგენილი წინადადებების განხილვას და შეაჩერებს ტენდერის მიმდინარეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე ეტაპის დაწყება იქნება შეუქცევადი და დაცვის ერთადერთ საშუალებად დარჩება ტენდერის გაუქმება.

დავების განმხილველ ორგანოს შეუძლია, გაითვალისწინოს საჩივრის წარმატების პერსპექტივა. შესაბამისად, მას შეუძლია, უარი თქვას დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე, თუ აშკარაა, რომ საჩივარი იქნება წარუმატებელი.¹²¹ ამავდროულად, დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ტრიბუნალის ნევრებმა უნდა დასვან შემდეგი კითხვები:

- რა წარმოადგენს სავარაუდო დარღვევას?
- რომელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ არის საჩივარი აღძრული?
- რა ზიანი ემუქრება მომჩივანს, ან მიაღმა თუ არა უკვე მას ეს ზიანი?
- როგორია საჩივრის წარმატების პერსპექტივა?
- რა ინტერესი აქვს მომჩივანს დროებითი ღონისძიებების გამოყენების მიმართ?
- რა ინტერესი აქვს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის პროცესის გაგრძელების მიმართ?
- რა ინტერესები აქვთ სხვა პრეტენდენტებს ან ტენდერის მონაწილეებს დროებითი ღონისძიებების გამოყენების ან არ გამოყენების მიმართ?
- რაში მდგომარეობს საზოგადოების ინტერესი? მიაღება თუ არა ზიანი საზოგადოების ინტერესს დროებითი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში?

¹²¹ ECJ-ის 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Combinatie Spijker Infrabouw/De Jonge Konstruktie and others (C-568/08, ECR 2010 p. I-12655)* პუნქტი 61.

- რა მოხდება, თუ ტრიბუნალი დროებით ღონისძიებას გამოიყენებს?
- რა გავლენა ექნება დროებით ღონისძიებას შემსყიდველ ორგანიზაციაზე, ტენდერის სხვა მონაწილეებზე და მომჩივანზე?
- შემსყიდველი ორგანიზაციის გასაჩივრებელი ქმედება არის თუ არა შეუქცევადი?
- ვინმეს მიადგება ზიანი დროებითი ღონისძიების გამოყენების ან შესყიდვის პროცედურის გაგრძელების შემთხვევაში? თუ კი, რა მოცულობისაა ეს ზიანი?

მიზანშეწონილია ამ ინფორმაციის მომჩივნისგან მიღება. თუ ეს შესაძლებელია, ინფორმაციის მოთხოვნა უნდა მოხდეს პროცედურულ კანონში არსებული დებულების საფუძველზე. თითოეულმა მხარემ, როგორც მინიმუმ, საკუთარი ინტერესები უნდა წარმოადგინოს და მიუთითოს იმ ზიანზე, რომელიც მას ემუქრება ან უკვე მიადგა. თუ მხარეები ასე არ მოიქცევიან, დავების განმხილველმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს მათ ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა, მოკლე ვადაში.

აღნიშნული ანალიზი ზოგ შემთხვევაში რთულია და შეუძლებელიც კი. თუმცა, ტრიბუნალს შეუძლია, საკუთარი დისკრეცია გამოიყენოს და პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვებს, რათა შემსყიდველ ორგანიზაციას და ტენდერის მონაწილეებს ააცილოს ტენდერის შეწყვეტისა და გაჭიანურების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენა.

დისკრეციის გამოყენებისას, ტრიბუნალმა საკუთარი გადაწყვეტილება უნდა დააფუძნოს შესყიდვების ძირითად პრინციპებსა და სწრაფი და ეფექტური დაცვის საშუალებების პრინციპებს. ამავდროულად, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციისა და საჯარო ინტერესები, შესაძლოა, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს, ვინაიდან საჯარო ინტერესს წარმოადგენს კონტრაქტის საუკეთესო პრეტენდენტისთვის მინიჭება. ამასთან, მომჩივანს აქვს სუბიექტური უფლებები, რომელიც შესყიდვების შესახებ კანონიდან მომდინარეობს, რომელთა აღსრულებაც შესაძლებელია მხოლოდ სადავო გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენით. შესაბამისად, ტრიბუნალმა უნდა დააბალანსოს ყველა ინტერესები და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

6.3.2 რა სახის დროებითი ღონისძიებების გამოყენებაა შესაძლებელი?

დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის 2(1) მუხლის თანახმად, შესაძლებელია შემდეგი დროებითი ღონისძიებების გამოყენება:

- ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს სავარაუდო დარღვევის გამოსწორებას ან ზიანის მიყენების თავიდან აცილებას. მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების იმპლემენტაციის შეწყვეტა ან კონტრაქტის მინიჭების მთლიანი პროცედურის შეწყვეტა.¹²²
- შუალედური ღონისძიების გამოცემა არ უნდა იყოს დამოკიდებული მომჩივნის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე, არამედ, მისი

გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მანამ, სანამ მომჩივანი მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას.¹²³

- შუალედური ღონისძიება უნდა იყოს ადექვატური, აუცილებელი და შესაფერისი სავარაუდო დარღვევის გამოსასწორებლად ან ზიანის თავიდან ასაცილებლად. შუალედური ღონისძიება ყველაზე ნაკლებ ტვირთს უნდა უწესებდეს შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა შეეძლოს შესყიდვის პროცედურის ფარგლებში იმოქმედოს შეძლებისდაგვარად და მაქსიმალურად ნაკლებად იქნას შეზღუდული. ის, თუ რომელი შუალედური ღონისძიების გამოყენებაა საჭირო, განისაზღვრება შესყიდვის პროცედურის მიმდინარე ეტაპის შესაბამისად.

¹²² დაცვის საშუალების შესახებ დირექტივის 2(1)ა მუხლი, კომუნალური მომსახურების სექტორში დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის 2(1)ა მუხლი, თავდაცვის შესახებ დირექტივის 56(1)ა მუხლი; *Public Procurement Training for IPA Beneficiaries, Module F, Sigma, 2010, გვ. 11.*

¹²³ ECJ-ის 1996 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება, *Commission/Greece (C-236/95, ECR 1996, p. I-4459)* პუნქტი 11, და 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება, *Commission/Spain (C-214/00, ECR 2003, p. I-4667)* პუნქტი 98.

ქვემოთ წარმოდგენილია შუალედური ღონისძიების გავლენის მაგალითები:

მაგალითები

1. თუ მომჩივანი ასაჩივრებს კონტრაქტის დოკუმენტებს და ტრიბუნალის მიერ კონტრაქტის დოკუმენტების გაბათილებას ითხოვს, აუცილებელია, რომ მომჩივანს ჰქონდეს შესაძლებლობა, სატენდერო წინადადება წარადგინოს შესწორებული სატენდერო დოკუმენტების საფუძველზე. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ უნდა გახსნას მიღებული წინადადებები, ხოლო წინადადებების წარდგენის პერიოდი უნდა შეჩერდეს.
2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მომჩივანს ატყობინებს, რომ იგი ვერ გადავიდა ტენდერის მომდევნო ეტაპზე, ხოლო მეორე ეტაპის მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, აუცილებელი იქნება, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას აეკრძალოს კანდიდატებისგან წინადადებების მიღება.

3. თუ მომჩივნის წინადადება შემსყიდველმა ორგანიზაციამ უარყო, თუმცა, შემსყიდველ ორგანიზაციას არ გამოუცია კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინება, შუალედური ღონისძიება არ იქნება საჭირო, ვინაიდან ტენდერის მონაწილეს კვლავ შეეძლება შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიღება. თუ მომჩივნის წინადადების უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება გაუქმდა, მომჩივანს შეუძლია გაასაჩივროს კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, თუ ამ გადაწყვეტილების მიღება მოხდება დავის განხილვის დასრულებამდე.
4. თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ გამოსცა კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინება, ხოლო მომდევნო ნაბიჯს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონტრაქტის მინიჭება, აუცილებელია, აიკრძალოს კონტრაქტის მინიჭება.

6.3.3 შუალედურ ღონისძიებებთან დაკავშირებული პროცედურა

შუალედურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ პროცედურებს არ არეგულირებს დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივა, ვინაიდან დირექტივის მიზანია დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დანესება. ამავდროულად, უნდა არსებობდეს 'უმოქმედობის' გარკვეული პერიოდი, რათა ტენდერის მონაწილეს შუალედური ღონისძიების მოთხოვნის დრო ჰქონდეს.¹²⁴ ვინაიდან შუალედური ღონისძიების მიზანია, დავის დროებითი და სწრაფი გადაწყვეტის უზრუნველყოფა, ვადები, როგორც წესი, არის მჭიდრო. სწორედ ამიტომ, პროცედურული წესები - მაგალითად, იმ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომელიც მომჩივანმა უნდა წარადგინოს ან დავის განმხილველმა ორგანომ უნდა მოიპოვოს შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედების შეუქცევადობასთან დაკავშირებით - უნდა იყოს მსუბუქი.¹²⁵

შუალედური ღონისძიების მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებია:

- უნდა არსებობდეს prima facie საქმე, რომელიც მიუთითებს დარღვევის არსებობაზე
- უნდა მოხდეს დემონსტრირება იმისა, რომ ზიანი, რომელიც ტენდერის მონაწილეს მიადგება შუალედური ღონისძიების მიუღებლობის შემთხვევაში, არის გამოუსწორებელი ან, როგორც მინიმუმ, სერიოზული
- არ უნდა არსებობდეს სხვა ინტერესები, რომელიც გადანონის შუალედური ღონისძიების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების კერძო ინტერესს.¹²⁶

ზოგადად, დროებითი ღონისძიების გამოცემამდე არ არის დრო ზეპირი მოსმენის გასამართად. ECHR-ის მე-6 მუხლი არ მოითხოვს ზეპირი მოსმენის გამართვას, ვინაიდან აღნიშნული პროცედურა არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას საქმის არსებით გარემოებებზე. იგივე ეხება სხვა პროცედურულ გარანტიებს.

¹²⁴ 2004 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება, *Commission/Spain (C-444/06, ECR 2008, p. I-2045)* პუნქტი 39.

¹²⁵ *Public Procurement Training for IPA Beneficiaries, Module F, Sigma, 2010, გვ. 10.*

¹²⁶ *The Effectiveness of Bidder Remedies for Enforcing the EC Public Procurement Rules: a Case Study of the Public Works Sector in the United Kingdom and Greece, Despina Pachnou, PhD Theses, 2003, გვ. 72.*

შესაბამისად, არ არის აუცილებელი, რომ მოხდეს მოსაზრებების გაცვლა, ტრიბუნალმა გამოიყენოს წერილობით მტკიცებულებებთან ერთად სხვა მტკიცებულებები და მოქმედებდეს მტკიცებულებების შესახებ წესები.¹²⁷ ამავედროულად, შესაძლებელია, რომ წინასწარი გადაწყვეტილება საბოლოო გადაწყვეტილებისგან განსხვავებული იყოს.

6.4 გადაწყვეტილების გაუქმება

6.4.1 რას ნიშნავს გაუქმება?

დაცვის აღნიშნული საშუალება ითვალისწინებს შემსყიდველი ორგანიზაციის უკანონო გადაწყვეტილების ანუღირებას და ძალადაკარგულად გამოცხადებას ან უკანონო გადაწყვეტილების სხვაგვარად შესწორებას.

ევროკავშირის სამართალში, გაუქმება მომჩივანმა უნდა მოითხოვოს. თუ დაცვის განმხილველი ტრიბუნალი ან ორგანო დაასკვნის, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ დაარღვია შესყიდვის მარეგულირებელი წესები, ტრიბუნალს აქვს უფლება, თავად აირჩიოს ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებები,

რომელიც გადაწყვეტილების გაუქმებას გულისხმობს. ამავედროულად, მომჩივანს არ აქვს უფლება, გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვოს მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია გააფორმებს ხელშეკრულებას.

გადაწყვეტილება არის შემსყიდველი ორგანიზაციის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მინიმალურ საჯაროობას აღწევს, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება არის გამოქვეყნებული ან იგი სხვაგვარად გასცდა შემსყიდველი ორგანიზაციის ფარგლებს.¹²⁸ ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება შესყიდვის შესახებ კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ გასაჩივრდეს.¹²⁹ ერთ-ერთ საქმეში ECJ-მ დაადგინა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება ეროვნულ დონეზე მოქმედი დებულებები, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილება, რომელიც ტენდერის მოაწილეს შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს, არ ექვემდებარება სასამართლოს მიერ დამოუკიდებელ გადასინჯვას.¹³⁰ სხვა საქმეებში ECJ-მ, ასევე, დაადგინა, რომ ეკონომიკურ

¹²⁷ ECJ-ის 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Combinatie Spijker Infrabouw/De Jonge Konstruktie and others (C-568/08, ECR 2010, p. I-12.655)* პ. 59.

¹²⁸ ECJ-ის 2005 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება, *Stadt Halle (C-26/03, ECR 2005, გვ. 1-1)* პუნქტი 39.

¹²⁹ ECJ-ის 2003 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება, *GAT(C-315/01, ECR 2003 გვ. I-6351)* პუნქტი 52.

¹³⁰ ECJ-ის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება, *Marina del Mediterraneo and others (C-391/15, ECLI:EU:C:2017:268)* პუნქტი 37.

ოპერატორს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება სატენდერო განცხადების არ-გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ან ფორმალური შესყიდვის პროცედურის არ გამოყენებასთან დაკავშირებით.^{131 132 133}

საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, დავების განხილვის საბჭოს არსენალში გათვალისწინებულია გაუქმების შესაძლებლობა. კერძოდ, კანონის 23¹⁰(9) b) მუხლის თანახმად, საბჭოს უფლება აქვს, შემსყიდველ ორგანიზაციას მიღებული გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება მოსთხოვოს, თუ დაადგენს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონს ეწინააღმდეგება.

6.4.2 რა შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტილების გაუქმების, როგორც დაცვის საშუალების გამოყენება?

ევროკავშირის სამართალში, ტრიბუნალს უფლება აქვს, გამოიყენოს შემდეგი დაცვის საშუალებები, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმებას უკავშირდება:

- დისკრიმინაციული ტექნიკური, ეკონომიკური ან ფინანსური სპეციფიკაციების ამოღება სატენდერო განცხადებიდან, სატენდერო დოკუმენტებიდან და ნებისმიერი სხვა დოკუმენტიდან
- შემსყიდველი ორგანიზაციის უკანონო გადაწყვეტილების ანულირება ან კონტრაქტის მინიჭების პროცედურის ძალადაკარგულება
- უკანონო დოკუმენტში ან შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებაში პოზიტიური შესწორების შეტანა

დაცვის აღნიშნული საშუალებები ტრიბუნალს უნდა აძლევდეს გარკვეული - თუმცა, შეზღუდული - კონტროლის განხორციელების საშუალებას შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ

¹³¹ ECJ-ის 2005 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება, Stadt Halle (C-26/03, ECR 2005, გვ. I-1) პუნქტი 33.

¹³² მაგალითად, მთლიანი ტენდერის გაუქმების შესახებ ორდერი იმ შემთხვევაში, თუ ტენდერი არღვევს შესყიდვების მარეგულირებელ წესებს, ტენდერის დოკუმენტებში წარმოდგენილი უკანონო პუნქტის გაუქმება ან უკანონოდ უარყოფილი მომჩივნის აღდგენა.

¹³³ დაცვის საშუალების შესახებ დირექტივის 2(1)a მუხლი, კომუნალური მომსახურების სექტორში დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის 2(1)a მუხლი, თავდაცვის შესახებ დირექტივის 56(1) a მუხლი; Public Procurement Training for IPA Beneficiaries, Module F, Sigma, 2010, გვ. 13

დისკრეციის გამოყენებაზე - მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ბოროტად გამოიყენა საკუთარი დისკრეცია ტენდერის პროცედურის შერჩევის, ტენდერის მონაწილის დისკვალიფიკაციის ან ხელშეკრულების სპეციფიკაციების ჩამოყალიბების პროცესში. აღნიშნული როლი შეესაბამება დაცვის საშუალების შესახებ დირექტივის მიზანს, რომელიც დაცვის განმხილველ ორგანოებს საშუალებას აძლევს, დაადგინოს, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება რამდენად დასაბუთებულია ან გამყარებულია მტკიცებულებით. ამავედროულად, ტრიბუნალის როლს არ წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების 'ხელახლა მიღება', რაც შემსყიდველი ორგანიზაციის დისკრეციის მოქმედების სფეროში შედის.

გონივრულობის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცედურების კონტექსტში. გონივრულობა გულისხმობს კონტრაქტის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი პრეტენდენტისათვის მინიჭებას. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის დისკრეცია ფართოა, ვინაიდან იგი იღებს გადაწყვეტილებას

და იყენებს კრიტერიუმებს ყველაზე ხელსაყრელი შეთავაზების გამოსავლენად, რაც ზრდის დისკრეციის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ამავედროულად, აღნიშნული შეფასება უნდა შემოიფარგლებოდეს „გონივრულობის“ ტესტით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფასებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს სპეკულაციური წარმოება, რომლის მიზანიც არის დაცვის განმხილველი ორგანო დაარწმუნოს, გამოიცნოს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება.¹³⁴ გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებული დაცვის საშუალების არჩევამდე, ტრიბუნალის წევრებმა შემდეგ კითხვებს უნდა უპასუხონ:

- შემსყიდველმა ორგანიზაციამ დაარღვია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი?
- რამდენად სერიოზულია დარღვევა? დარღვევა მატერიალურ გავლენას ახდენს კანონის ძირითად პრინციპებზე და/ან ამცირებს ტენდერის მონაწილეთა შესაძლებლობას, წარმატებით მიიღონ

¹³⁴ Public Procurement Training for IPA Beneficiaries, Module F, Sigma, 2010, გვ. 14.

მონაწილეობა კონტრაქტის მინიჭების პროცედურაში?

- დარღვევას აქვს არსებითი გავლენა შესყიდვის პროცედურის შედეგებზე? შესაძლებელია, რომ კონტრაქტი სხვა პრეტენდენტს მინიჭებოდა?
- რა გზით შეიძლება ამ დარღვევის გამოსწორება, რათა ტენდერის მონაწილეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, წარმატებით მიიღონ მონაწილეობა კონტრაქტის მინიჭების პროცედურაში? რა სახის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ტრიბუნალმა დარღვევის აღკვეთის მიზნით?

ამასთან, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს დარღვევის ტიპი და ის, თუ შესყიდვის რომელ ეტაპზე ჰქონდა დარღვევას ადგილი. დარღვევა, რომელიც გამოვლინდა შესყიდვის ადრეულ ეტაპებზე, შესაძლებელია რომ გამოსწორდეს. მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების ანულორება და/ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ინსტრუქციების გამოცემა, რათა მან შეცვალოს ტენდერის დოკუმენტაცია ან

გადახედოს საკუთარ გადაწყვეტილებას, ტრიბუნალის მიგნებების შესაბამისად. ხშირად, შესყიდვის ბოლო ეტაპებზე აღმოჩენილი დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია შესყიდვის წინა ეტაპებზე „დაბრუნებით“. ამ დარღვევების გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ კონტრაქტის მინიჭების მთლიანი პროცედურის გაუქმებით.

6.4.3 როგორია შესაბამისი პროცედურა?

გადაწყვეტილების გაუქმების პროცედურა დამოკიდებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე. ეროვნული კანონმდებლობა ადგენს საჩივრის შეტანის ვადებსა და შემსყიდველი ორგანიზაციისა და სხვა პრეტენდენტებისა თუ ტენდერის მონაწილეებისათვის შეტყობინების გაგზავნის წესებს. კანონმდებლობა, შესაძლოა, ითვალისწინებდეს საჩივრის შემსყიდველ ორგანიზაციაში შეტანას და იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს დაცვის სათანადო საშუალებას, მომჩივანს საჩივარი დავის განმხილველ ორგანოში შეაქვს. მოცდის (standstill) პერიოდში შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აეკრძალოს კონტრაქტის მინიჭება. კანონმდებლობა, შესაძლოა, ითვალისწინებდეს მომჩივნის მიერ საჩივრის პირდაპირ დავის განმხილველ ორგანოში შეტანას. ამ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა, შესაძლოა,

ითვალისწინებდეს მომჩივნის მიერ საჩივრის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმირების მოვალეობას.

მომჩივანმა კონკრეტულად უნდა მიუთითოს, თუ დაცვის რომელ საშუალებას მოითხოვს. ეროვნულ კანონმდებლობაზე დამოკიდებული, თუ რამდენად სავალდებულოა ეს მოთხოვნა ტრიბუნალისთვის. შესაძლებელია, ტრიბუნალს ჰქონდეს უფლებამოსილება, თავად აარჩიოს დაცვის საშუალება, რომელიც მოცემულ საქმეში ყველაზე შესაფერისად მიაჩნია.

საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, დაცვის საშუალებების აღსრულებას ითხოვს მომჩივანი - როგორც წესი, ტენდერის დაზარალებული მონაწილე. აღნიშნული კანონის 23¹⁰(7) მუხლის თანახმად, საბჭო საჩივარს იხილავს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში. ამავდროულად, გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს იმ დარღვევაზე, რომელიც ჩადენილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ან ქმედების განხორციელებისას და საჩივარში აღნიშნული არ არის.

6.4.4 როდის უნდა იქნას გამოყენებული დაცვის საშუალება, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმებას მოიცავს?

კონტრაქტის მინიჭების პროცედურის კანონიერებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების გაუქმება სასარგებლო დაცვის საშუალებაა, ვინაიდან მას შეუძლია დარღვევის გამოსწორება იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალი საკუთარ უფლებამოსილებას გონივრულად გამოიყენებს.¹³⁵ დაცვის საშუალება, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმებას მოიცავს, იცავს მომჩივნის უფლებებს, თუ მომჩივანი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვების მარეგულირებელი წესების დარღვევის დემონსტრირებას შეძლებს. აღნიშნული დაცვის საშუალება ყველაზე ძლიერი საშუალებაა, ვინაიდან იგი შესყიდვების პროცედურაში ჩარევას და შესწორების განხორციელებას ითვალისწინებს. შესაბამისად, დაცვის საშუალებები, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმებას გულისხმობს, სპეციფიკაციების საფუძველზე საუკეთესო წინადადების შერჩევის მიზანს ემსახურება, რაც საჯარო ინტერესშია. აღნიშნული დაცვის საშუალების გამოყენება შემსყიდველ ორგანიზაციას მოგვიანებით კომპენსაციის გადახდას ააცილებს თავიდან.

¹³⁵ Public Procurement Training for IPA Beneficiaries, Module F, Sigma, 2010, გვ. 14.

6.4.4.1 კონტრაქტის მინიჭების პროცედურის გაუქმება

ტრიბუნალმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კონტრაქტის მინიჭების პროცედურის გაუქმების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ უფრო მსუბუქი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევის გამოსწორებას და აღნიშნული ერთადერთი გონივრული შესაძლებლობაა ტენდერში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ეს ძირითადად ვრცელდება ისეთ სიტუაციებზე, სადაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევა თავიდანვე ახდენს გავლენას კონტრაქტის მინიჭების პროცედურაზე.

მაგალითები

1. შეირჩა არასწორი პროცედურა.
2. შეირჩა შესყიდვის არასწორი მეთოდი.
3. შეირჩა არაგონივრული ს ა კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ო კრიტერიუმები.
4. შეუძლებელია, რომ პროცედურა წინა ეტაპს დაუბრუნდეს. მაგალითად, კონტრაქტის მინიჭების ეტაპიდან საკვალიფიკაციო ეტაპზე დაბრუნება.

5. სატენდერო წინადადებების წარდგენის შემდეგ გამოვლინდა, რომ კონტრაქტის დოკუმენტები არღვევს შესყიდვების მარეგულირებელ წესებს ან არის ბუნდოვანი. მაგალითად, არ არის მკაფიოდ აღწერილი ტენდერის საგანი, ფასებთან დაკავშირებული კონტექსტი (pricing background) და ტენდერის მინიჭების კრიტერიუმები. შედეგად, ტენდერის მონაწილეებს არაქვთ შესაძლებლობა, წარადგინონ შესაბამისი წინადადებები.

6. შეუძლებელია წინადადებების შეფასება სახელმწიფო შესყიდვების პრინციპების შესაბამისად, რაც, ასევე, შეუძლებელს ხდის კონტრაქტის კანონის შესაბამისად მინიჭებას.

7. შემსყიდველ ორგანიზაციას მოლაპარაკების პროცედურაში სურს, რომ ტენდერის ყველა მონაწილემ მოილაპარაკოს ხელშეკრულების ერთმანეთში გაყოფის შესახებ.

6.4.4.2 ინსტრუქციები შემსყიდველი ორგანიზაციების მიმართ

ინსტრუქციები, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევის აღმოფხვრის მიზანს

ემსახურება, გამოიყენება ისეთ სიტუაციებში, სადაც ტრიბუნალმა წარმატებით დაამტკიცა, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ დაარღვია კანონი. ამავდროულად, ეს არ არის არსებითი კანონდარღვევა და არ მოითხოვს შემსყიდველი ორგანიზაციის გადანაცვლებების ან კონტრაქტის მინიჭების პროცედურის ანულირებას, ხოლო დაცვის საშუალების ადექვატურად უზრუნველყოფა მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია.

მაგალითები

1. ტრიბუნალი გამოსცემს ინსტრუქციებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ, რომლის თანახმადაც სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადა უნდა გაზანზღვრიდეს. აღნიშნული გამოწვეულია ტექნიკური სპეციფიკაციების დაგვიანებით წარდგენით, რის გამოც ტენდერის მონაწილეებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო მოემზადებინათ ადექვატური წინადადებები. ვადის გადაწევა, შესაძლოა, აუცილებელი იყოს იმ შემთხვევაში, თუ წინადადების მომზადებისთვის რეალურად გათვალისწინებული

დრო კანონით გათვალისწინებულზე ან გონივრულზე მოკლეა.

2. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უარყო მომჩივნის სატენდერო წინადადება ისე, რომ მას არ გაუთვალისწინებია მომჩივნის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტი. ამ შემთხვევაში, ტრიბუნალი მოახდენს უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას და მომჩივანი შეძლებს შესყიდვაში მონაწილეობის მიღებას.

3. ტრიბუნალი შემსყიდველ ორგანიზაციას დაავალებს, მოახდინოს სატენდერო წინადადებების ხელახლა შეფასება, რადგან შემსყიდველმა ორგანიზაციამ წარმოდგენილი დაბალი ფასები არ შეაფასა სათანადო პროცედურის საფუძველზე. თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ უკვე გამოსცა კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, ტრიბუნალს მოუწევს, გადაწყვეტილება გააუქმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მოახდენს კონტრაქტის მინიჭებას.

პრაქტიკაში 'ინსტრუქციები' იშვიათად გამოიყენება ცალკე დაცვის საშუალების სახით, არამედ, ხშირად მას თან ახლავს სხვა დაცვის საშუალებები. ეს საშუალებები, შეიძლება იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების ანულირება, რომელიც ხშირ შემთხვევაში საჭიროა მანამ, სანამ შემსყიდველი ორგანიზაცია ინსტრუქციების საფუძველზე მოახდენს ახალი გადანყვეტილების მიღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესყიდველ ორგანიზაციას მოუნევს, რომ უკან ნაიღოს თავისი გადანყვეტილება.

საქართველოში დავების განხილვის საბჭოს უფლება აქვს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ გამოსცეს ინსტრუქციები. აღნიშნული გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 2310(9) ა) მუხლით, რომლის თანახმადაც საბჭო უფლებამოსილია შემსყიდველ ორგანიზაციას მის არასწორ ქმედებაზე მიუთითოს და შესყიდვის პროცედურების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება მოსთხოვოს.

6.4.4.3 შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების ანულირება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევის შემთხვევაში, დაცვის ტიპურ საშუალებას წარმოადგენს ტრიბუნალის გადანყვეტილება

შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების ანულირების ან ტენდერის სპეციფიკაციების გაუქმების შესახებ. ასეთი გადანყვეტილება, როგორც წესი, უკავშირდება დაცვის საშუალებას, რომელიც მოიცავს ინსტრუქციებს ტენდერის დოკუმენტაციაში გარკვეული ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, დავების განმხილველი ორგანო არ არის შემსყიდველი ორგანიზაცია. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებების განხორციელება მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია.

ტრიბუნალს უფლება აქვს, გამოიყენოს დაცვის რამოდენიმე საშუალება შემსყიდველი ორგანიზაციის ანულირების ან ტენდერის სპეციფიკაციების გაუქმების შემდეგ. ესენია:

- ახალი საკვალიფიკაციო კრიტერიუმების დადგენა ან შესყიდვის იმ ნაწილის გამეორება, რომელიც შეეხება კრიტერიუმების გამოცხადებას
- ახალი განცხადების გამოქვეყნება

- მონაწილეობის შესახებ განცხადებების ხელახლა შეფასება, თუ ამ კუთხით დაშვებული იქნა რაიმე შეცდომა¹³⁶
- მომჩივნის წინადადების ხელახლა შეფასება, თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მისი წინადადება შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევით შეაფასა
- ტ ე ნ დ ე რ ი ს მონაწილეებისათვის ახალი წინადადებების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევის გამოსწორების მიზნით
- უკვე წარდგენილ წინადადებებში შესწორების შეტანის შესაძლებლობის მიცემა და ამ მიზნით, დამატებითი პერიოდის გამოყოფა

- ტენდერის საგნის სათანადოდ განსაზღვრა და კონტრაქტის მინიჭების პროცედურის გამოორება იმ ეტაპიდან
- წინადადებების წარდგენამდე ეტაპზე დაბრუნება, რათა ტენდერის მონაწილეებს ჰქონდეთ ტენდერის შესწორებული დოკუმენტაციის საფუძველზე წინადადებების მომზადების შესაძლებლობა¹³⁷
- წარდგენილი წინადადებების შეფასება ტრიბუნალის ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ე ბ ი ს გათვალისწინებით
- წინადადების შეფასების გამოორება, თუ შეფასებაში აღინიშნა ხარვეზი, ხოლო შეფასების დოკუმენტაცია არის არაგონივრული¹³⁸
- მიუხედავად მონაწილე პ რ ე ტ ე ნ დ ე ნ ტ ე ბ ი ს რაოდენობისა ან იმ პ რ ე ტ ე ნ დ ე ნ ტ ე ბ ი ს

¹³⁶ მაგალითად, შესრულებული სამუშაოების სერტიფიკატი, რათა შეზღუდული პროცედურის ფარგლებში, კრეტენდენტს ჰქონდეს წინადადების წარდგენის უფლება.

¹³⁷ ე.ი. შესასყიდი საქონლის ან მომსახურების ტიპთან ან პირობებთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს დისკრიმინაციულ მოთხოვნებს.

¹³⁸ ბუნდოვანი, არასაკმარისი განმარტებები, შემსყიდველი ორგანიზაციის დაუხაზუთაგელი გადაწყვეტილება.

რაოდენობისა, რომელთაც საჩივარი აღძრეს,¹³⁹ იმ მომჩივნისათვის, რომლის წინადადების უარყოფაც მოხდა კანონის შესაბამისად, ტენდერის სხვა მონაწილეთა იმ წინადადებების შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობის მინიჭება, რომელთა უარყოფაც, ასევე, უნდა მომხდარიყო.¹⁴⁰ შედეგად, ტენდერის სხვა მონაწილეები ვერ შეძლებენ კონტრაქტის მიღებას.¹⁴¹

დავების განმხილველმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, რომ კონტრაქტის საგნის ან საკვალიფიკაციო

კრიტერიუმების შეცვლამ, შესაძლოა, გამოიწვიოს განსხვავებული ეკონომიკური ოპერატორების დაინტერესება, რაც აუცილებელს გახდის შესყიდვის პროცედურის ხელახლა, თავიდან დაწყებას. შესაბამისად, პროცედურა უნდა ანულირდეს.¹⁴² რაც შეეხება კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმებს, ნებისმიერი ცვლილება გამოიწვევს შესყიდვის პროცედურის ანულირებას.¹⁴³

6.4.4.4 საქართველოში დავების განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მაგალითი¹⁴⁴ – ურბანული მოხმარების სკამების შესყიდვა

თემა - პროპორციულობის პრინციპი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ზოგადი ინფორმაცია შესყიდვის შესახებ:

¹³⁹ ECJ-ის 2019 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Lombardi (C-333/18, ECLI:EU:C:2019:675)* პუნქტი 34.

¹⁴⁰ თუმცა, იხ. ECJ-ის 2003 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება, *Hackermuller (C-249/01, ECR 2003, p. I-6319)*, ტრიბუნალმა, შესაძლოა, უარყოს საჩივარი, თუ მომჩივნის წინადადების უარყოფა მოხდა კანონიერად და მის ინტერესებს ზიანი არ მიდგომია.

¹⁴¹ თუმცა, იხ. ECJ-ის 2003 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება, *Hackermuller (C-249/01, ECR 2003, გვ. I-6319)*. ტრიბუნალმა, შესაძლოა, უარყოს საჩივარი, თუ მომჩივნის წინადადების უარყოფა მოხდა კანონიერად და მის ინტერესებს ზიანი არ მიდგომია.

¹⁴² ECJ-ის 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება, *presstext Nachrichtenagentur (C-454/06, ECR 2008, I-4401)* პუნქტი 34.

¹⁴³ ECJ-ის 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, *EVN and Wienstrom (C-448/01, ECR 2003, I-14.527)* პუნქტი 94.

¹⁴⁴ კონკრეტული შემთხვევის სახით გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება

შესყიდვის ნომერი

NAT190025274

შემსყიდველი ორგანიზაცია

Tbilisi City Hall

გამოცხადების თარიღი

20.12.2019 22:19

სავარაუდო ღირებულება

1'880'969.00 GEL

საბჭოს გადაწყვეტილება

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ

საბოლოო სტატუსი

გაუქმებული

მომჩივნის არგუმენტები

მომჩივანი აცხადებდა - "სატენდერო პირობების 2.2.1 მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ, ჩამოყალიბებულია ისე, რომ იგი არღვევს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს. კანონის თანახმად, მოთხოვნები, რომელთაც განსაზღვრავს სატენდერო კომისია, უნდა გამომდინარეობდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან, უნდა იყოს არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებასა და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

მომჩივნის არგუმენტების თანახმად, ტენდერის შემდეგი მოთხოვნები კანონს ეწინააღმდეგებოდა: „შემოთავაზებული საქონლის მწარმოებლ(ებ)ის მიერ

წარმოებული გარე მოხმარების ურბანული სკამები 2017 წლის 01 იანვრიდან უნდა იყოს მიწოდებული ევროკავშირის ქვეყნებში, თითოეული მწარმოებლის შემთხვევაში არანაკლებ 350000 ლარის ღირებულებით.“ მომჩივანი აცხადებდა: „ურბანული მოხმარების სკამებთან მიმართებაში ამგვარი გამოცდილების მოთხოვნა გადაჭარბებულია, რადგან იგი არ წარმოადგენს რთულ მექანიზმს და მათი დამზადება საქართველოშიც შესაძლებელია. როდესაც სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პროდუქციის მასალების ISO 12944-2 (საღებავი) და ISO 3834 (ლითონის კონსტრუქციები) ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები, რითაც დაცული იქნება ხარისხის გარანტია, წარმოუდგენელია მას კიდევ დამატებით თხოვდნენ ევროკავშირის ქვეყნებთან მიწოდების გამოცდილებას.“

ამასთან, მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ტექნიკური სპეციფიკაციები ქმნიდა უსამართლო დაბრკოლებებს და ეკონომიკურ ოპერატორებს თანაბარი წვდომით არ უზრუნველყოფდა: „ტექნიკურ დავალებაში ესკიზები და ზომები ისეა მოცემული რომ მორგებულია ერთ კონკრეტულ კომპანიას, ზომის ცდომილებას ±1მმ -შიც კი არ უშვებს და მოცემული აქვს ზუსტი ზომები შეათასავდის სიზუსტით,

პირობითად, სამკუთხედი სკამის სიგრძე 3395,865 მმ; სამკუთხედი სკამის სიგანე 4775,364 მმ; ასევე ხის სკამის სიმაღლე: 773,292 მმ; დასაჯდომის სიმაღლე: 457,191 მმ; დასაჯდომი ადგილის სიღრმე: 410,305მმ; სიგანე მთლიანად: 688,958 მმ. ჩვენთვის ცნობილია, რომ მსგავსი დიზაინის, სიზუსტის და ვიზუალის სკამებს აწარმოებს მხოლოდ ერთი იტალიური კომპანია LTD „LAB23“, რომელსაც „საავტორო ნიშანი დაცულია.“

შემსყიდველი ორგანიზაციის არგუმენტები:

დავების განხილვის საბჭოს შეხვედრაზე, რომელზეც აღნიშნული საქმე განიხილებოდა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ წარმოადგინა შემდეგი საპირისპირო არგუმენტები: „საჩივრიდან გამომდინარე აქცენტი გაკეთებულია გამოცდილების შესახებ მოთხოვნაზე და მწარმოებელზე. ის, რომ სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავს ISO სერტიფიკატებთან დაკავშირებით მოთხოვნებს არანაირად არ გამოირიცხავს იმას, რომ სატენდერო კომისიას არ აქვს უფლება გამოიყენოს გამოცდილების მექანიზმი. ის რომ ზუსტი ზომებია მითითებული, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სატენდერო პირობები კონკრეტულ კომპანიაზეა მორგებული. ეს არის დასაზღაფრებელი პროდუქცია და შესაბამისად რა ზომებიც არის დადგენილი ის უნდა დაამზადოს მწარმოებელმა.“

დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება

დავების განხილვის საბჭომ განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მიხედვით:

1. სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი.
2. მოთხოვნები, რომელთაც განსაზღვრავს სატენდერო კომისია, უნდა გამომდინარეობდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან, უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებასა და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

3. პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით.“

საბჭომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მკანონის მიზანია, მათ შორის: „სახელმწიფო საქონლებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განვებისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება“. ამავდროულად, საბჭომ აღნიშნა, რომ „ბუნდოვანია თუ რამდენადაა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველო კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული პრინციპები.“

და ბოლოს, საბჭომ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სატენდერო კომისიას დაავალა „გადასინჯოს მიღებული გადაწყვეტილება, იმსჯელოს იმ საკითხის შესახებ, თუ კონკრეტულად რა მიზნის

მისაღწევად არის მოთხოვნილი და რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილია აღნიშნული მოთხოვნებით დასახული მიზნის მიღწევა და მიიღოს არგუმენტირებული გადაწყვეტილება სატენდერო დოკუმენტაციის სადავოდ გამხდარი მოთხოვნების ჩამოყალიბებასთან / ფორმულირებასთან დაკავშირებით.“

6.5 მოცდის პერიოდი

დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის თანახმად, საჩივარი არ აჩერებს შესყიდვების მიმდინარეობას. შესაბამისად, მოცდის პერიოდის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა, გააფორმოს ხელშეკრულება წარმატებულ პრეტენდენტთან საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მოცდის პერიოდის მიზანია, ტენდერის მონაწილეებს მისცეს შესაძლებლობა, შეაფასონ გადაწყვეტილების კანონიერება და აღძრან საჩივარი.¹⁴⁵ ამრიგად, მოცდის პერიოდი ეფექტური დაცვის საშუალების პრინციპის შედეგს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ ტენდერის მონაწილეებს ეფექტურად შეეძლოთ შემსყიდველი ორგანიზაციის

¹⁴⁵ ECJ-ის 1999 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Alcatel Austria and others (C-81/98, ECR 1999, I-7.671)* პუნქტი 40.

მიერ კონტრაქტის მინიჭებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების ეფექტურად გასაჩივრება, დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივა ადგენს მოცდის პერიოდს გადანყვეტილების მიღებასა და წარმატებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებას შორის.¹⁴⁶ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მოცდის პერიოდში არ გააფორმოს ხელშეკრულება. დირექტივის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, შესაძლოა, თავი შეიკავონ მოცდის პერიოდის უზრუნველყოფით, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში; კერძოდ:

- თუ შესყიდვის დირექტივები¹⁴⁷ არ მოითხოვს შესყიდვის შესახებ განცხადების წინასწარ გამოქვეყნებას
- თუ კონტრაქტის მინიჭების ეტაპზე დარჩენილია მხოლოდ 1 პრეტენდენტი

- თუ კონტრაქტი ეფუძნება ჩარჩო შეთანხმებას ან სპეციფიურ კონტრაქტს, რომელიც ეფუძნება¹⁴⁸ დინამიური შესყიდვის სისტემას
- თუ მოცდის პერიოდი შეადგენს მინიმუმ 10 დღეს კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადანყვეტილების მიღების დღიდან.

6.6 კონტრაქტის ბათილობა

კონტრაქტის ბათილად ცნობის მიზანია შესყიდვების მარეგულირებელი ფუნდამენტური წესების დარღვევის სერიოზულ შემთხვევებთან დაკავშირებით სანქციის დაწესება. კონტრაქტის ბათილად ცნობა შემსყიდველ ორგანიზაციას და კონტრაქტორს არ აძლევს საშუალებას, მიიღონ სარგებელი უკანონო ქმედების შედეგად. ამავდროულად, კონტრაქტის არამართლზომიერად გაფორმებასა და კონტრაქტის ბათილად ცნობად შორის პერიოდში, შესაძლოა, შეიცვალოს გარემოებები. შესაბამისად, ბუნდოვანია,

¹⁴⁶ დაცვის საშუალების შესახებ დირექტივის მუხლი 2a; კომუნალური მომსახურებების სექტორში დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის მუხლი 2a; თავდაცვის შესახებ დირექტივის მუხლი 60.

¹⁴⁷ დირექტივები 2004/17/EC, 2004/18/EC EC და 2009/81/EC ადგენს შესყიდვების შესახებ არსებით რეგულაციებს შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის, კომუნალური მომსახურებების სექტორში ხელშეკრულებებისთვის და თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულებებისთვის.

¹⁴⁸ ვადები განსაზღვრულია GPA-ს XX(5) მუხლში

შემსყიდველ ორგანიზაციას კვლავ ექნება თუ არა ახალი შესყიდვისთვის საჭირო თანხები ან კვლავ ესაჭიროება თუ არა იმავე მომსახურების/საქონლის შესყიდვა, თუ შეიცვალა მისი გეგმები. შესაბამისად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კონტრაქტი ბაზარზე დაბრუნდება მოკლე ვადაში.

6.6.1 რას ნიშნავს კონტრაქტის ბათილობა?

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, კონტრაქტის ბათილად გამოცხადება შეუძლია სასამართლოს და დავის განმხილველ ორგანოს. იმის მიხედვით, თუ რა სახის კანონი მოქმედებს ეროვნულ დონეზე, სასამართლომ ან დავის განმხილველმა ორგანომ, შესაძლოა, მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

- კონტრაქტი გათვალისწინებული მოვალეობების რეტროაქტიული გაუქმება
- კონტრაქტი გათვალისწინებული იმ მოვალეობების გაუქმება, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა

იმ მოვალეობების გაუქმების შემთხვევაში, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, დავის განმხილველი ორგანო ვალდებულია, შემსყიდველ ორგანიზაციას დააკისროს ჯარიმები.¹⁴⁹

6.6.2 ვის შეუძლია მოითხოვოს კონტრაქტის ბათილობა?

ნებისმიერ პირს, რომელიც დაინტერესებულია კონკრეტული კონტრაქტის მოპოვებით და რომელმაც განიცადა ზიანი ან, შესაძლოა, განიცადოს ზიანი დარღვევის შედეგად, შეუძლია მოითხოვოს კონტრაქტის ბათილობა. კონტრაქტის ბათილობა შეუძლია პირს, რომელსაც არ მიეცა ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა. იმის დადგენა, რომ აღნიშნული პირი ტენდერს მოიგებდა არ არის აუცილებელი.

6.6.3 როდის უნდა გამოაცხადოს სასამართლომ ან დავის განმხილველმა ორგანომ ხელშეკრულება ბათილად?

6.6.3.1 ზოგადი წესი

დაცვის საშუალებების შესახებ ევროკავშირის დირექტივის თანახმად, კონტრაქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს შემდეგ შემთხვევებში:

¹⁴⁹ დაცვის საშუალების შესახებ დირექტივის მუხლი 2d; კომუნალური მომსახურებების სექტორში დაცვის საშუალების შესახებ დირექტივის მუხლი 2d; თავდაცვის შესახებ დირექტივის მუხლი 60.

1. არ გამოქვეყნებულა ტენდერის შესახებ განცხადება. კონტრაქტის მინიჭება მოხდა პირდაპირ, ტენდერის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სავალდებულება შესყიდვების მარეგულირებლის წესების თანახმად. თუმცა, ECJ-ის გადაწყვეტილების მიხედვით, თუ კონტრაქტის მინიჭება მოხდა ტენდერის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე და აღნიშნული დაუშვებელია 2004/18/EC დირექტივის თანახმად, კონტრაქტი არ უნდა იქნას ბათილად მიჩნეული, თუ არსებობს 89/665 დირექტივის 2d(4) მუხლით გათვალისწინებული პირობები, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისს კონტრაქტის გაბათილებასთან დაკავშირებით.¹⁵⁰
2. მოცდის პერიოდთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა. კონტრაქტის მინიჭება მოხდა მოცდის პერიოდთან დაკავშირებული

მოთხოვნების დარღვევით, თუ ამ დარღვევამ:

- ტენდერის მონაწილეს არ მისცა წინასახელშეკრულებო უ რ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ი ს შემთხვევაში ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებების - დროებითი ღონისძიებების გამოცემა და შემსყიდველი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს გადაწყვეტილების გაუქმება - გამოყენების შესაძლებლობა.
- არსებითად დაარღვია დაცვის საშუალებების მარეგულირებელი წესები შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ვინაიდან მან კონტრაქტის მინიჭება მოახდინა მანამ, სანამ დავის განმხილველი ორგანო მიიღებდა გადაწყვეტილებას დროებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ, რის შედეგადაც დავის განმხილველმა ორგანომ ვერ შეძლო დროებითი ღონისძიების გამოყენება.

¹⁵⁰ ECJ-ის 2014 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Fastweb (C-19/13, ECLI:EU:C:2014:2194)* პ. 39, 54.

- გავლენა მოახდინა ტენდერის მონაწილის შესაძლებლობაზე, გაესაჩივრებინა ტენდერის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება
3. პროცედურული წესების დაუცველობა. კონტრაქტის მინიჭება მოხდა იმ წესების დარღვევით, რომელიც ვრცელდება ჩარჩო შეთანხმებაზე ან დინამიური შესყიდვის სისტემაზე, ხოლო ჩარჩო ხელშეკრულების ან დინამიური შესყიდვის სისტემის ღირებულება აღემატება შესაბამის ზღვრულ ღირებულებას, რომელიც განსაზღვრულია შესყიდვების მარეგულირებელი წესებით.

კონტრაქტის ბათილობა გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, სადაც შემსყიდველი ორგანიზაცია არღვევს შესყიდვის პროცედურების ფუნდამენტურ პრინციპებს. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გარეშე ჩატარებული ტენდერი ან

ხელშეკრულების გაფორმება მოცდის პერიოდში ცალსახად წარმოადგენს ფუნდამენტური პრინციპების დარღვევას.

კონტრაქტის მინიჭება ჩარჩო შეთანხმების ან დინამიური შესყიდვის სისტემის საფუძველზე, შესყიდვების მარეგულირებელი წესების დარღვევით, სახელმწიფო შესყიდვების ფუნდამენტური პრინციპების ნაკლებად სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს, რადგან, შესაძლოა, პრობლემა მდგომარეობდეს სატენდერო წინადადებების შეფასების პროცესში უბრალოდ ქულების არასწორი ჯამის გამოყენებაში.

6.6.3.2 გამონაკლისი

დავის განმხილველ ორგანოს არ აქვს უფლება, კონტრაქტი გაბათილებულად გამოაცხადოს, თუ არსებობს აღმატებული ზოგადი ინტერესი, რომელიც კონტრაქტის არსებობას მოითხოვს. ამავდროულად, აღნიშნული დისკრეციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის ვითარებაში.¹⁵¹ მაგალითად, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი და ზოგადი ინტერესი. სუფთა ფინანსური ინტერესები, შესაძლოა, მხედველობაში იქნას მიღებული, თუ ეს

¹⁵¹ დაცვის საშუალების შესახებ დირექტივის მუხლი 2d(3); კომუნალური მომსახურებების სექტორში დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის მუხლი 2d(3); თავდაცვის შესახებ დირექტივის მუხლი 60(3).

ინტერესები ინვესს არაპროპორციულ შედეგებს. თუ თავდაცვის ან უსაფრთხოების სფეროში შესყიდვის განხორციელებისას, სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა ინტერესებმა, შესაძლოა, გაამართლოს კონტრაქტის გაბათულებულად გამოცხადებისგან თავის შეკავება. ამ მხრივ, დავის განმხილველმა ორგანომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს თითოეული საქმის გარემოებები.

6.6.4 ბათილობის გავლენა

ზოგადი პრინციპის სახით, დავის განმხილველმა ორგანომ ან სასამართლომ კონტრაქტის ანულირება უნდა მოახდინოს რეტროაქტიულად. შემსყიდველი ორგანიზაცია და კონტრაქტორი უბრუნდება ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ პოზიციას. ზოგ შემთხვევაში, აღნიშნულმა, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს, რადგან შეუძლებელია შესრულებული სამუშაოს, მიწოდებული საქონლის ან მომსახურების უკან დაბრუნება.

მაგალითი

1. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოახდინა დასუფთავების მომსახურების შესყიდვა, თუმცა, მას ტენდერის შესახებ განცხადება წინასწარ არ გამოუქვეყნებია.

კონტრაქტის რეტროაქტიულ ანულირებამდე მომსახურების მიწოდება გარკვეული პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა. პრობლემები წარმოიშვა შესრულებული მომსახურებისთვის საფასურის გადახდის დროს, ვინაიდან დადგენილი ფასი აღარ არსებობს.


2. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოახდინა სახლის ასაშენებლად სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, თუმცა მას ტენდერის შესახებ განცხადება წინასწარ არ გამოუქვეყნებია. სარდაფის დასრულების შემდეგ, კონტრაქტის რეტროაქტიული ანულირება მოხდა. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სამუშაოების გასაგრძელებლად ახალი შესყიდვა უნდა განახორციელოს. შესაბამისად, აშენებული სარდაფის მიმართ არ არსებობს ხელშეკრულება, ვალდებულებები ან დადგენილი ფასი. სამუშაოების გასაგრძელებლად, სხვა ეკონომიკურ ოპერატორს მოუწევს დააშენოს აღნიშნული სარდაფზე, რომელიც მას არ აუშენებია. ამან, შესაძლოა, გარკვეული სირთულეები შექმნას ისეთი ეკონომიკური

ოპერატორის მოძებნის კუთხით, რომელიც თანახმა იქნება უზრუნველყოს მთლიანი ხელშეკრულების შესრულება, ფასების გაზრდის გარეშე.

3. დაზიანებული მტვირთავის ჩანაცვლების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძინა ახალი მტვირთავი, რომელიც დამწვარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად გამოიყენება. მტვირთავი აუცილებელია კომუნალური მომსახურების უწყვეტად მიწოდებისთვის. შემსყიდველმა ორგანიზაციამ დიდი დრო მოაწოდო მტვირთავის შესყიდვას. ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს რეტროაქტიულად ანულირების შემთხვევაში, კომუნალური მომსახურების მიწოდება შეფერხდება.

4. სოციალური სადაზღვევო კომპანიების ასოციაციამ მოახდინა ჩარხო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს შესყიდვა, მედიკამენტების მონხმარების თაობაზე მონაცემების შესაგროვებლად საჭირო კომპიუტერული პროგრამების შეძენის მიზნით. ასოციაციამ შესყიდვის პროცედურის გარეშე შეარჩია სამი კომპანია,

რომელიც ქმნის კომპიუტერულ პროგრამებს სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებსათვის. კონტრაქტის რეტროაქტიულად ანულირების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მიწოდებული მომსახურების დაბრუნება, რაც ამ შემთხვევაში რთული მისაღწევია. კონტრაქტი ანულირდა მის განხორციელებამდე, თუმცა, შემსყიდველი ორგანიზაცია აგრძელებდა კონტრაქტების მინიჭებას ჩარხო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც იმ ეტაპისათვის აღარ არსებობდა.



აღნიშნული შედეგების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია კონტრაქტის იმ ნაწილის ანულირება, რომელიც ანულირების მომენტისთვის არ არის შესრულებული, თუმცა, ეს ნიშნავს იმას, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ და კონტრაქტორმა უკვე მიიღეს სარგებელი უკანონო ქმედების შედეგად, რა შემთხვევაშიც მათ სანქციები უნდა დაეკისროთ.

6.6.5 ალტერნატიული სანქცია

თუ კონტრაქტის ანულირება არ ხდება რეტროაქტიულად, შესაძლებელია ალტერნატიული სანქციის დაკისრება. ალტერნატიული სანქცია უნდა იყოს „ეფექტური, პროპორციული და პრევენციული ხასიათის“.130 ალტერნატიული სანქცია მსგავსია სანქციებისა, რომელიც კარტელური შეთანხმებების სამართალში გამოიყენება, ვინაიდან მათ მიზანს არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, არამედ, ისინი გამოიყენება შესყიდვების პრინციპების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში.

ალტერნატიული სანქციის ერთ-ერთი მაგალითია ინდივიდუალური საქმის გარემოებების (მაგალითად, შესყიდვების

მარეგულირებელი წესების დარღვევის სიმძიმისა და შედეგად მიღებული სარგებელის) გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ჯარიმის დაკისრება. ამავდროულად, ჯარიმის გადახდა არ უნდა მოხდეს იმ ორგანოსთვის, რომელსაც განეკუთვნება შემსყიდველი ორგანიზაცია, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, უბრალოდ მოხდება თანხის ბიუჯეტის ერთი მიმართულებიდან მეორე მიმართულებაში გადატანა და არ ექნება პრევენციული ხასიათი. შესაბამისად, თანხის გადახდა უნდა მოხდეს სხვა ორგანოსათვის, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციისგან დამოუკიდებელია. ავსტრიული პრაქტიკის თანახმად, თანხის გადარიცხვა ხდება სოციალური ან ბიზნეს განვითარების მიზნებისთვის შექმნილ ფონდებში.

6.7 ზიანის ანაზღაურება

დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის თანახმად, ადგილობრივი კანონმდებლობა, შესაძლოა, ითვალისწინებდეს ზიანის ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის უკანონო.¹⁵² ევროკავშირის სამართალში, წევრი სახელმწიფო განსაზღვრავს იმ ორგანოს,

¹⁵² დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის მუხლი 2(1)(c); კომუნალური მომსახურებების სექტორში დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის მუხლი 21(1)(d); თავდაცვის შესახებ დირექტივის მუხლი 56(1).

რომელიც ეკონომიკურ ოპერატორს ანიჭებს შესყიდვების წესების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

ზოგადად, დავების განმხიველი ორგანოს უფლებამოსილება შემოიფარგლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონის დარღვევის დადასტურებით. დავების განმხილველი ორგანო მხოლოდ ადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებების უკანონობას. იგი არ განსაზღვრავს კომპენსაციის რაოდენობას და არ ევალება, დაადგინოს მომჩივნის მიერ განცდილი ზიანი. კომპენსაციის რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნით, მომჩივანმა უნდა დაადასტუროს სასამართლოში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევა, განცდილი ზიანი და დარღვევასა და ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა. დარღვევა დგინდება დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. შესაბამისად, მომჩივანმა „მხოლოდ“ უნდა დაადასტუროს, რომ მან დარღვევის შედეგად განიცადა ზიანი.

ზიანის ანაზღაურების სახით, მომჩივანი, შესაძლოა, ითხოვდეს თანხას, რომელიც სატენდერო წინადადების მოსამზადებლად ან ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დასჭირდა, ან სატენდერო წინადადების უარყოფის შედეგად დაკარგული შემოსავლის ანაზღაურებას. მომჩივანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ კონკრეტულად რას მოითხოვს ზიანის ანაზღაურების კონტექსტში.

დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის თანახმად, სატენდერო წინადადების მოსამზადებლად ან ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დახარჯული თანხის მოთხოვნისთვის საკმარისია, მომჩივანმა დაამტკიცოს დარღვევა და ის, რომ მას კონტრაქტის მოგების რეალური შანსი ჰქონდა.¹⁵³ დაკარგული შემოსავლის ანაზღაურების მისაღებად, მომჩივანმა უნდა დაადასტუროს, რომ იგი მოიგებდა კონტრაქტს იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერს კანონის შესაბამისად ჩაატარებდა. რთულია დადასტურება იმისა, რომ მომჩივანი მოიგებდა კონტრაქტს, რადგან მომჩივანს ვერ ექნება სრული ინფორმაცია ჩატარებული შესყიდვის შესახებ.

¹⁵³ კომუნალური მომსახურების სექტორში დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივის მუხლი 2(7).

დაცვის ამ საშუალებას ხშირად არ იყენებენ, ვინაიდან რთული საკითხია კომპენსაციის მინიჭება.¹⁵⁴ მეორეს მხრივ, ზიანის ანაზღაურების წარმატებული მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფაქტორია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევის საპრევენციოდ. ზოგ შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერატორები, რომელთაც სასამართლოში დავა წარმატებით დაასრულეს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ერიდებიან.¹⁵⁵

ECJ-ის პრეცედენტული სამართლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, ვადის ათვლა უნდა მოხდეს იმ დღიდან, როდესაც მომჩივანმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა სავარაუდო დარღვევის შესახებ. ერთ-ერთ საქმეში ECJ-მ განაცხადა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა არ გამორიცხავს ეროვნულ დონეზე ისეთი დებულების არსებობას, რომლის თანახმადაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე დაადგინდა შესყიდვის შესახებ კანონის დარღვევა. ამავდროულად, ევროკავშირის

სამართალი და კერძოდ, ეფექტურობის პრინციპი გამორიცხავს ისეთი ეროვნული კანონმდებლობის არსებობას, რომლის თანახმადაც სასამართლოსათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა ექვემდებარება შესყიდვის პროცედურის დარღვევის დადგენის წინაპირობას.¹⁵⁶

6.8 რეზიუმე

დაცვის საშუალებების მთავარ მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური ოპერატორების იმ ინდივიდუალური უფლებების აღსრულების უზრუნველყოფა, რომელიც მომდინარეობს შესყიდვის შესახებ კანონიდან. დაცვის საშუალებების გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური ოპერატორი სამართლებრივ დაცვას ითხოვს. ამავდროულად, შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების ბუნების გათვალისწინებით, ეკონომიკურმა ოპერატორებმა სწრაფად უნდა მიმართონ ტრიბუნალს დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით. დაცვის საშუალებების ძირითადი მიზანია შემსყიდველი ორგანიზაციის იმ გადაწყვეტილების შეცვლა, რომელიც

¹⁵⁴ *Public Procurement Training for IPA Beneficiaries, Module F, Sigma, 2010, გვ. 19.*

¹⁵⁵ *მაგალითად, იხ. ECJ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, 1999 წლის 28 ოქტომბერი, Alcatel Austria and others (C-81/98, ECR 1999, I-7.671).*

¹⁵⁶ *ECJ-ის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, Medeval (C-440/13, ECLI:EU:C:2014:2435) პუნქტი 36, 46.*

არღვევს შესყიდვების შესახებ კანონმდებლობას, რათა შესყიდვა ჩატარდეს კანონის შესაბამისად.

ევროკავშირში ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებებია: დროებითი ღონისძიებები - წინასწარი განჩინება, რომლის მიზანს წარმოადგენს სავარაუდო დარღვევის გამოსწორება ან შემდგომი ზიანის მიყენების თავიდან აცილება; გადაწყვეტილების გაუქმება - რომლის მიზანსაც წარმოადგენს შესყიდვების პროცედურაში არსებული დარღვევების გამოსწორება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების გაუქმების გზით; კონტრაქტის ბათილობა - კონტრაქტის რეტროაქტიული ანუღირება, შესყიდვების მარეგულირებელი წესების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში; ალტერნატიული სანქციები - შესყიდვების პრინციპების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში; და ზიანის ანაზღაურება, რომლის მოთხოვნაც ხდება კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვების მარეგულირებელი წესების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში.

ამავდროულად, თუ სახელმწიფოს სურს, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ეფექტური

კონტროლი, გამოყენებული უნდა იქნას სხვა საშუალებები - მაგალითად, შესაძლებელი უნდა იყოს შესყიდვების პროცედურების ex officio შემოწმება ან კონტრაქტით დაინტერესებული მხარის საჩივრის განხილვა და სამართლებრივი დევნის აღძვრა დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში. ამასთან, შესაძლებელია, რომ ex post კონტროლი განახორციელოს აუდიტორთა სასამართლომ.¹⁵⁷

დამატებით, სახელმწიფოებმა პროფესიულ ასოციაციებს, შესაძლოა, მისცენ ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტების გასაჩივრების შესაძლებლობა. ტრიბუნალის გადაწყვეტილება დაცვის საშუალებების გამოყენების თაობაზე წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცესის მნიშვნელოვან შედეგს. დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის განხილვამდე, ტრიბუნალმა, პირველ რიგში, უნდა გამოიყენოს საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღებისა და ქმედების განხორციელების უფლება. ტრიბუნალის დისკრეციული უფლებამოსილება დეტალურად არის განხილული მომდევნო თავში.

¹⁵⁷ Ex post კონტროლს ახორციელებს აუდიტორთა სასამართლო ყველა წევრ სახელმწიფოში.

დისკრეცია

7.1 მოკლე მიმოხილვა

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილველი ტრიბუნალს ენიჭება გარკვეული დისკრეცია. კერძოდ, ტრიბუნალის წევრებს აქვთ უფლება, სამართლებრივი ძალის მქონე სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებებს შორის აარჩიონ კონკრეტული საქმისათვის ყველაზე შესაფერისი. ტრიბუნალის წევრებს შეუძლიათ, საკუთარი შეხედულების ან არჩევნის შესაბამისად მიიღონ გადაწყვეტილება და განახორციელონ ქმედება, ვინაიდან ფაქტების მიმართ სამართლის შეფარდება ყოველთვის არ წარმოადგენს სწორ პასუხს. წინამდებარე თავში განხილულია სიტუაციები, რომელშიც ტრიბუნალის წევრებს დისკრეციის გამოყენება შეუძლიათ. ამავე თავში, ასევე, განხილულია ის ფაქტორები და ძირითადი ნაბიჯები, რომელიც დისკრეციის განხორციელებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. წინამდებარე თავის ზოგადი თეორიული საფუძველი მოიცავს დისკრეციის გამოყენების ძირითად პრინციპებსა და წესებს, და დისკრეციის გამოყენებას ევროპის საბჭოს რეკომენდაციების ჩრჩილში. პრინციპები და რეკომენდაციები ასახავს საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, რომელიც საერთო სამართლის ქვეყნებში შემუშავდა. ამ პრინციპებისა და რეკომენდაციების ხაზგასასმელად წარმოდგენილია არაერთი პრაქტიკული მაგალითი, რომელიც

მიზნად ისახავს იმ ფუნქციონალური ნაბიჯების ილუსტრირებას, რომელიც დისკრეციის განხორციელებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. მაგალითების მიზანია, ასევე, ტრიბუნალის წევრებს დაეხმაროს ზეპირი მოსმენის ჩატარების ან მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში ან დაცვის საშუალების შერჩევის პროცესში. დასაწყისში დისკრეციის თემა განხილულია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის სფეროში არსებული მდგომარეობის ჩრჩილში.

7.2 რა არის დისკრეცია?

დისკრეცია წარმოადგენს საკუთარი შეხედულებისამებრ ან არჩევნის შესაბამისად მოქმედების ან გადაწყვეტილების მიღების უფლებას.¹⁵⁸ No. R (80) 2 რეკომენდაციაში, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას (შემდგომში, „რეკომენდაცია“), წარმოდგენილია დისკრეციის განმარტება, რომელიც ევროპის საბჭოში მოქმედებს: უფლებამოსილება, რომელიც ტრიბუნალს უტოვებს გარკვეულ მოქნილობას გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით და შესაძლებლობას აძლევს, სამართლებრივი ძალის მქონე სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებებს შორის აირჩიოს კონკრეტული საქმისათვის

ყველაზე შესაფერისი გადაწყვეტილება. აღნიშნული პრინციპების იმპლემენტაციის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას კარგი და ეფექტური ადმინისტრირების მოთხოვნები და მესამე მხარეებისა და საზოგადოების ინტერესები.¹⁵⁹

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა ამ სფეროში სპეციფიურ წესებს არ შეიცავს. შესაბამისად, დეტალური დებულებები უნდა განისაზღვროს ეროვნულ დონეზე, ექვივალენტურობისა და ეფექტურობის პრინციპების შესაბამისად. 89/665¹⁶⁰ და 2004/18¹⁶¹ დირექტივების თანახმად, დაცვის საშუალებების მოქმედების სფერო ითვალისწინებს ქმედების კანონიერების და არა ქმედების მიზანშეწონილობის შემოწმებას. კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის ტესტი არ უნდა შემოიფარგლებოდეს იმის განხილვით,

იყო თუ არა შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებები თვითნებური. მეორეს მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს, შესაძლოა, ანიჭებდეს უფრო ფართო უფლებამოსილებას, ღონისძიების მიზანშეწონილობის შეფასების მიზნით.¹⁶²

მაგალითად, ECJ-ის გადაწყვეტილების თანახმად, ეროვნულ დონეზე მოქმედი კანონმდებლობის მიერ უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად უნდა გაითვალისწინონ კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა და სასამართლო კონტროლის განმახორციელებელმა ორგანოებმა ის ფაქტი, რომ ექსპერტის შესაძლო მიკერძოებამ გავლენა მოახდინა კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაზე.¹⁶³

¹⁵⁸ <http://dictionary.reference.com/browse/discretion>.

¹⁵⁹ რეკომენდაცია No. R (80) 2, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას, მინისტრთა კომიტეტი, 1980 წლის 11 მარტი, ევროპის საბჭო; <https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2009056&SecMode=1&DocId=667512&Usage=2>.

¹⁶⁰ 1989 წლის 21 დეკემბრის საბჭოს 89/665/EEC დირექტივა საქონლის მიწოდების და საჯარო სამუშაოების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცედურების გამოყენების შესახებ კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის თაობაზე.

¹⁶¹ ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივა 2004/18/EC საჯარო კონტრაქტების, საჯარო მიწოდების და საჯარო მომსახურების კონტრაქტების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციის შესახებ.

¹⁶² ECJ-ის 2014 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Croce Amica One Italia* (C-440/13, ECLI:EU:C:2014:2435) პუნქტები 41-46.

¹⁶³ ECJ-ის 2015 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება, *Evigilo* (C-538/13, ECLI:EU:C:2015:166) პუნქტები 41-46.

7.3 დისკრეციის გამოყენება

სამართლის ფაქტებისადმი შეფარდება ყოველთვის არ იძლევა სწორ პასუხს. აღნიშნულთან ერთად საჭიროა იმის განსაზღვრა, თუ სამართლის შესაძლო შეფარდებებიდან რომელია ყველაზე სამართლიანი და გონივრული, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.¹⁶⁴ დისკრეცია გონივრულობის ფარგლებში, კეთილსინდისიერად და სათანადო საფუძველზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს. დისკრეცია არ უნდა განხორციელდეს შეუსაბამო მიზნებისთვის ან არარელევანტური საკითხების გათვალისწინებით, როგორცაა პირადი რწმენა და ღირებულებები.¹⁶⁵

7.3.1 რეკომენდაცია

ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში წარმოდგენილია ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც ტრიბუნალმა პატივი უნდა სცეს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას. კერძოდ, ამ პრინციპების თანახმად, ტრიბუნალი:

7.3.1.1 არ ემსახურება სხვა მიზანს, გარდა იმ მიზნისა, რისთვისაც მას ენიჭება ეს უფლებამოსილება (დისკრეციული უფლებამოსილების მიზანი)

ამ პრინციპის თანახმად, ტრიბუნალმა უნდა იხელმძღვანელოს იმ მიზნებით, რის გამოც მას ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება. თუმცა, თუ გადაწყვეტილებას აქვს მეორეული შედეგები, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნულ მიზნებს, ეს მეორეული შედეგები არ უნდა იქნას გათვალისწინებული მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას.¹⁶⁶

7.3.1.2 იცავს ობიექტურობას და მიუკერძოებლობას, მხედველობაში იღებს მხოლოდ იმ ფაქტორებს, რომელიც კონკრეტული საქმისთვის რელევანტურია (ობიექტურობა და მიუკერძოებლობა)

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ობიექტურობა და მიუკერძოებლობა მოიცავს მოვალეობას, რომლის თანახმადაც ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტულ

¹⁶⁴ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 53.

¹⁶⁵ B. McLachlin, Rules and Discretion in the Governance of Canada, 56 Sask L. Rev., 1992, გვ. 174.

¹⁶⁶ რეკომენდაცია No. R (80) 2, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას, მინისტრთა კომიტეტი, 1980 წლის 11 მარტი, ევროპის საბჭო, პუნქტი 17.

საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი და თითოეული მათგანი სათანადოდ უნდა შეაფასოს. არ უნდა მოხდეს რომელიმე ფაქტორის არასაკმარისად გათვალისწინება ან უგულებელყოფა ან ისეთი საკითხების გათვალისწინება, რომელსაც არ აქვს რაიმე კავშირი ტრიბუნალის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან.

ტერმინი „ფაქტორები“ მოიცავს როგორც ფაქტებს, ისე გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლებს. 'რელევანტური ფაქტორები' შედგება ფაქტებისგან, საკითხებისგან და სამართლებრივი საფუძვლისგან, რომელიც ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტულ საქმეში.

ტრიბუნალი უნდა გაეცნოს, საჭიროების შემთხვევაში - საკუთარი ინიციატივით, იმ ფაქტორებს, რომელიც ტრიბუნალს მიაჩნია, რომ კონკრეტული საქმისთვის რელევანტურია. მაგალითად, შესაბამისი დოკუმენტები, დავის მხარეებისგან ან მესამე მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია ან ექსპერტის დასკვნები.¹⁶⁷

7.3.1.3 იცავს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს და ახდენს დისკრიმინაციის თავიდან აცილებას (კანონის წინაშე თანასწორობა)

ამ პრინციპის მიზანია უსამართლო დისკრიმინაციის თავიდან აცილება, რათა მსგავს de facto ან de jure მდგომარეობაში მყოფმა პირებმა ისარგებლონ მსგავსი მოპყრობით.

იმ შემთხვევაში, თუ განსხვავებულ მოპყრობას სათანადო საფუძველი აქვს და ობიექტურად არის გამართლებული დასახული მიზნის გათვალისწინებით, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი დარღვეულად არ ჩაითვლება. უსამართლო დისკრიმინაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს გონივრული გამართლება, გათვალისწინებული ღონისძიების მიზნიდან და შედეგებიდან გამომდინარე.

აღნიშნული პრინციპი არ გამორიცხავს ტრიბუნალის მიერ მიდგომის შეცვლის შესაძლებლობას, საზოგადო ინტერესებზე დაყრდნობით ან იმის გამო, რომ მანამდე გამოყენებული მიდგომა იყო უკანონო ან შეუსაბამო.¹⁶⁸

¹⁶⁷ რეკომენდაცია No. R (80) 2, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას, მინისტრთა კომიტეტი, 1980 წლის 11 მარტი, ევროპის საბჭო, პუნქტები 19-21.

¹⁶⁸ რეკომენდაცია No. R (80) 2, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას, მინისტრთა კომიტეტი, 1980 წლის 11 მარტი, ევროპის საბჭო, პუნქტები 22-23.

7.3.1.4 ინარჩუნებს სათანადო ბალანსს ადამიანის უფლებებზე, თავისუფლებებზე და ინტერესებზე გადანყვეტილების უარყოფით გავლენასა და გადანყვეტილების მიზანს შორის (პროპორციულობა)

აღნიშნული პრინციპი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილება ახდენს გავლენას პირის უფლებებზე, თავისუფლებებზე და ინტერესებზე. მისი მიზანია ბალანსის დაცვა დაპირისპირებულ ინტერესებს შორის - მაგალითად, საჯარო ინტერესსა და პირის კერძო ინტერესს შორის. ეს პრინციპი ხაზს უსვამს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების მქონე ტრიბუნალმა პირს არ უნდა დააკისროს ტვირთი, რომელიც დასახული მიზნიდან გამომდინარე, გადაჭარბებულად იქნება მიჩნეული.¹⁶⁹

7.3.1.5 გადანყვეტილებას იღებს გონივრულ ვადაში, განსახილველი საკითხის გათვალისწინებით (გონივრული ვადა)

ამ პრინციპის მიზანია, მხარეები დაიცვას ტრიბუნალის თვითნებობისგან, დავის განხილვის ვადებთან დაკავშირებით.

შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ერთ-ერთი პრინციპია დავის გაჭიანურების გარეშე განხილვა. ვინაიდან შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვა მოიცავს წინასახელშეკრულებო გადანყვეტილებებსაც, აუცილებელია, რომ გადანყვეტილება მიღებული იქნას სწრაფად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესყიდვის პროცედურის დროულად გაგრძელება შეუძლებელი იქნება.

7.3.1.6 თანმიმდევრულად იყენებს ზოგად ადმინისტრაციულ სახელმძღვანელო პრინციპებს და ამავედროულად, ითვალისწინებს თითოეული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს (თანმიმდევრულობა)

ეს პრინციპი ხაზს უსვამს ადმინისტრაციულ პრაქტიკაში თანმიმდევრულობის მნიშვნელობას. აღნიშნული პრინციპი თანასწორობის ზოგად პრინციპს უკავშირდება და მისი მიზანია განჭვრეტადობის უზრუნველყოფა. ამავედროულად, პრინციპი ხაზს უსვამს თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებების განხილვის მნიშვნელობას.¹⁷⁰

¹⁶⁹ რეკომენდაცია No. R (80) 2, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას, მინისტრთა კომიტეტი, 1980 წლის 11 მარტი, ევროპის საბჭო, პუნქტი 24.

¹⁷⁰ რეკომენდაცია No. R (80) 2, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას, მინისტრთა კომიტეტი, 1980 წლის 11 მარტი, ევროპის საბჭო, პუნქტი 30.

7.3.2 ზოგადი რეკომენდაციები ტრიბუნალისთვის

ტრიბუნალის მიერ ყოველდღიური საქმიანობის პროცესში დისკრეციის გამოყენებასთან დაკავშირებით, რეკომენდირებულია რამოდენიმე წესის დაცვა, ესენია:

- კანონის მიზნის პატივისცემა
- მხოლოდ რელევანტური ფაქტორების გათვალისწინება
- დისკრეციის გამოყენებისთვის ლოგიკური არგუმენტების წარმოდგენა
- თანმიმდევრულობა
- პირადი მიკერძოებების უგულებელყოფა
- კანონის მიზნის პატივისცემა
- მხოლოდ რელევანტური ფაქტორების გათვალისწინება
- ლოგიკური არგუმენტების წარდგენა დისკრეციის გამოყენებასთან დაკავშირებით
- თანმიმდევრულობა
- პირადი წინასწარგანწყობების უგულებელყოფა
- ერთ-ერთი ვარიანტის არჩევა

- თითოეული ვარიანტის განხილვა
- მართლზომიერების მნიშვნელობა აღემატება თანმიმდევრულობის მნიშვნელობას
- კოლეგებთან განხილვა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრა სექციაში განხილულია და განმარტებულია თითოეული წესი.

7.3.2.1 კანონის მიზნის პატივისცემა

დისკრეცია უნდა განხორციელდეს კანონის ფარგლებში. გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს კანონის ფორმულირებას, მის მიზანს და განზრახვას.¹⁷¹ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე დისკრეციის გამოყენებისას, ტრიბუნალის გადაწყვეტილებებმა პატივი უნდა სცეს შესყიდვების ძირითად პრინციპებს. ეს პრინციპებია:

7.3.2.1.1 თანაბარი მოპყრობა

იდენტურ სიტუაციაში მყოფი პირები უნდა დაექვემდებარონ იდენტურ მოპყრობას, ხოლო განსხვავებულ სიტუაციაში მყოფი პირები კი განსხვავებულს.

¹⁷¹ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 53.

მაგალითი

თუ ტენდერის ორი პრეტენდენტი წარადგენს იდენტურ დოკუმენტებს მეორე ეტაპზე გადასასვლელად, ორივე დოკუმენტი მიღებული უნდა იქნას, თუ ეს დოკუმენტები აკმაყოფილებს ტენდერის კრიტერიუმებს, ან თუ არ აკმაყოფილებს - ორივე პრეტენდენტს უარი უნდა ეთქვას დოკუმენტების მიღებაზე. თუ ტრიბუნალი დაასკვნის, რომ უნდა გამოირიცხოს ორივე პრეტენდენტი, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს სათანადო დოკუმენტების წარდგენა, ტრიბუნალმა უნდა გააუქმოს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება სატენდერო წინადადების კვალიფიციურობის შეფასებასთან დაკავშირებით და შემსყიდველ ორგანოს დაავალოს ახალი შეფასების მომზადება.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო მომჩივნის დოკუმენტების სათანადოდ შეფასება, რის გამოც ტენდერის მონაწილე მეორე ეტაპზე ვერ გადავიდა, ტრიბუნალმა

შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა დაავალოს ტენდერის მონაწილის მეორე ეტაპზე გადაყვანა, ან თუ მეორე ეტაპზე გამომსვლელი პრეტენდენტების რაოდენობა შეზღუდულია, შემსყიდველმა ორგანიზაციამ პრეტენდენტების შერჩევის პროცესი განმეორებით უნდა ჩაატაროს.

7.3.2.1.2 დისკრიმინაციის აკრძალვა

დაუშვებელია ტენდერის მონაწილეთა დისკრიმინაცია ეროვნული კუთვნილების გამო.¹⁷² დისკრიმინაცია, შესაძლოა, იყოს პირდაპირი და მოიცავდეს სხვა ეროვნების მონაწილეთა გამოირიცხვას, ან ირიბი და გულისხმობდეს ისეთი პირობების ნაყენებას, რომელსაც მხოლოდ კონკრეტული ეროვნების წარმომადგენლები აკმაყოფილებენ, ან ტენდერის შესახებ განცხადებაში მიუთითებდეს, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის დაინტერესებული სხვა ეროვნების პრეტენდენტებით.¹⁷³ ამ თვალსაზრისით, რელევიანტური ტენდერის მონაწილეების პოტენციური დისკრიმინაციაც.¹⁷⁴

¹⁷² ECJ-ის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, *Co.Na.Me.* (C-231/03, ECR 2005, p. 1-7.287) პ. 19.

¹⁷³ ECJ-ის 2007 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, (C-507/03, ECR 2007, p. 1-9.777) პ. 31.

¹⁷⁴ ECJ-ის 2005 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Parking Brixen* (C-458/03, ECR 2005, p. 1-8.585) პ. 55.

მაგალითი

შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტენდერიდან არ უნდა გამორიცხოს პრეტენდენტები კონკრეტული ქალაქიდან ან რეგიონიდან. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალმა უნდა გააუქმოს დისკრიმინაციული პირობა ან მთლიანი ტენდერი, თუ დისკრიმინაციული პირობის გაუქმება შეუძლებელია.

შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს ადგილობრივ დონეზე წარმოებული მასალების, საქონლის, ადგილობრივი მუშახელის ან მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებას. დავების განმხილველმა ორგანომ უნდა გააუქმოს ეს პირობა ან ტენდერი, თუ დისკრიმინაციული პირობის გაუქმება შეუძლებელია.¹⁷⁵

7.3.2.1.3 გამჭვირვალობა

ტენდერის ნებისმიერი პოტენციური მონაწილის სასარგებლოდ, საჯაროობის უზრუნველყოფა იმ დონით, რაც საკმარისი იქნება კონკურენციის უზრუნველსაყოფად და შესყიდვის პროცედურების მიუკერძოებლობა.¹⁷⁶ გამჭვირვალობა მეორადი პრინციპია, რომელიც პირველადი პრინციპებიდან მომდინარეობს. მაგალითად, თანასწორი მოპყრობა,¹⁷⁷ დისკრიმინაციის აკრძალვა¹⁷⁸ ან TFEU-ს პრინციპები¹⁷⁹, რომელიც ტენდერის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, დაინახონ, თუ რამდენად სრულდება ეს პრინციპები.¹⁸⁰ გამჭვირვალობის მიზანია ტენდერის მონაწილეების დაცვა შემსყიდველი ორგანიზაციის თვითნებური ქმედებებისგან.¹⁸¹

გამჭვირვალობის პრინციპი მოიცავს არა მხოლოდ ტენდერის შესახებ განცხადების¹⁸², არამედ, ასევე,

¹⁷⁵ ECJ-ის 1993 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, *Commission/Denmark (C-243/89, ECR 1993 p. I-3.353)*.

¹⁷⁶ ECJ-ის 2000 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Telaustria (C-324/98, ECR 2000, p. I-10.745)*, paragraph 62.

¹⁷⁷ ECJ-ის 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება, *SAG Slowensko (C-599/10, ჯერ არ გამოქვეყნებულა სასამართლოს ანგარიშებში)* პ. 25.

¹⁷⁸ ECJ-ის 2010 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, *Commission/Spain (C-423/07, ECR 2010, p. I-3.429)* პ. 75.

¹⁷⁹ ECJ-ის 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Engelmann (C-64/08, ECR 2010 p. I-8.219)* პ. 49.

¹⁸⁰ ECJ-ის 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება, *Unitron Scandinavia and 3-S (C-275/98, ECR 1999, p. I-8.291)* პ. 31;

¹⁸¹ ECJ-ის 1982 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, *Transporoute (76/81, ECR 1982, გვ. 417)*.

¹⁸² ECJ-ის 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, *ANAV (C-410/04, ECR 2006, p. I- 3.303)* პ. 22.

შერჩევას¹⁸³ და კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმების¹⁸⁴ ¹⁸⁵ წინასწარ გამოქვეყნების მოვალეობას. „გამჭვირვალობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ტენდერის ყველა პირობა და დეტალური წესები მკაფიოდ, ზუსტად და არაორაზროვნად არის ფორმულირებული ტენდერის შესახებ განცხადებაში ან სატენდერო დოკუმენტებში, რათა, პირველ რიგში, გონივრულობის ფარგლებში ინფორმირებული ტენდერის ყველა მონაწილეს, რომელიც იჩინს ჩვეულებრივ ყურადღებას, ზუსტად ესმის მათი მნიშვნელობა და ერთნაირად ახდენს მათ ინტერპრეტაციას, ხოლო მეორე რიგში, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, დაადგინოს წარდგენილი ტენდერები აკმაყოფილებს თუ არა კრიტერიუმებს, რომლებიც შესაბამის კონტრაქტზე ვრცელდება.“ შემსყიდველმა ორგანიზაციამ, ასევე, უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილებები.¹⁸⁶

მაგალითები

ინფორმაცია ტენდერის გამოცხადების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტენდერის ყველა მონაწილისთვის, შესყიდვის პროცედურის შესაბამისად, და უნდა შეიცავდეს ყველა შესაბამის მოთხოვნას. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია დაარღვევს ამ მოვალეობას, ტრიბუნალმა უნდა გააუქმოს მთლიანი ტენდერი.

შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს, რომ მოთხოვნილ საქონელს ჰქონდეს CE ნიშანი, რაც აღნიშნავს სამედიცინო მოწყობილობების შესახებ დირექტივასთან შესაბამისობას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ ერთ-ერთი წინადადება უარყო იმის გამო, რომ ექიმების განცხადებით, პროდუქცია შეუსაბამოა, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს CE ნიშანი. ტრიბუნალმა გადაწყვეტილება უნდა გააუქმოს, ვინაიდან პროდუქცია აკმაყოფილებს სპეციფიკაციებში გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

¹⁸³ ECJ-ის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *SIAC Construction (C-19/00, ECR 2001, p. I-7.725)* პუნქტები 21 და 43.

¹⁸⁴ ECJ-ის 1988 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Beentjes (31/87, ECR 1988, p. 4.635)* პუნქტები 31 და 36; 2000 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Commission/France (C-225/98, ECR 2000, p. I-7.445)* პუნქტი 51; და 2002 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Concordia Bus Finland (C-513/99, ECR 2002, p. I-7.213)* პ. 62.

¹⁸⁵ ECJ-ის 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება, *Commission/Netherlands (C-368/10, ჯერ არ გამოქვეყნებულა სასამართლოს ანგარიშებში)* პუნქტი 109.

¹⁸⁶ ECJ-ის 2002 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, *HI (C-92/00, ECR 2002, p. I-5.553)* პუნქტი 45 და 2005 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება, *Stadt Halle (C-26/03, ECR 2005, p. I-1)* პუნქტი 39.

7.3.2.1.4 პროპორციულობა

საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა იყოს ტენდერის საგნის შესაფერისი. ტენდერის კრიტერიუმების პროპორციულობის შეფასებისას, ტრიბუნალმა უნდა გააანალიზოს ამ კრიტერიუმების შესაბამისობა კონკრეტული ტენდერის გათვალისწინებით, ნაცვლად ზოგადი შესაბამისობისა.

მაგალითი

დასუფთავების მომსახურების ტენდერი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შორის არ უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, რომელიც ტენდერის ღირებულებას აჭარბებს. თუ ტრიბუნალი დაადგენს, რომ საკვალიფიკაციო კრიტერიუმები არღვევს პროპორციულობის პრინციპს, მან უნდა გააუქმოს ასეთი კრიტერიუმები ან მთლიანი ტენდერი, თუ ამ კრიტერიუმების არსებობამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ტენდერის მონაწილეთა რაოდენობაზე.

ძირითადი პრინციპების გამოყენების პროცესში, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს კონტრაქტის მინიჭების პროცედურის ტიპი, კონტრაქტის მინიჭების პროცედურის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების

ფორმა, საკვალიფიკაციო და შერჩევის კრიტერიუმები, შესასყიდი მომსახურება, საქონელი ან სამუშაოები და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის სავარაუდო დარღვევის არსებობის საკითხი.

7.3.2.2 მხოლოდ რელევანტური ფაქტორების გათვალისწინება

ტრიბუნალის ნევრებმა არჩევანის გაკეთებისას მხოლოდ რელევანტური ფაქტორები უნდა გაითვალისწინონ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტორები, რომელიც შეესაბამება საკანონმდებლო აქტის მიზანსა და ფორმულირებას. ტრიბუნალის ნევრებმა მხედველობაში არ უნდა მიიღონ შეუსაბამო ან არარელევანტური ფაქტორები.^{162 163} საჩივრების განხილვის პროცესში, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული შესყიდვის ფაქტობრივი გარემოებები. ტრიბუნალმა მხედველობაში უნდა მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება შემსყიდველ ორგანიზაციასთან და მომჩივანთან მანამდე ურთიერთობას. დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგჯერ მხარეები არარელევანტურ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც რელევანტური ფაქტორებიდან ყურადღების გადატანის მიზანს ემსახურება.

**7.3.2.3 ლოგიკური არგუმენტების
ნარდგენა დისკრეციის
გამოყენებასთან დაკავშირებით**

ტრიბუნალმა საკუთარი გადანყვეტილებები უნდა დააფუძნოს ისეთ მასალას, რომელთა ლოგიკურად დემონსტრირება არის შესაძლებელი და რომელიც უზრუნველყოფს გადანყვეტილების დასაბუთებას.^{187 188 189} ისეთ სიტუაციაში, სადაც ტრიბუნალმა უნდა მიიღოს მთლიანი ტენდერის ან ტენდერის ერთი ან ორი მოთხოვნის გაუქმების შესახებ გადანყვეტილება, ტრიბუნალმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება და/ან არგუმენტები საკუთარი გადანყვეტილების დასაბუთების მიზნით. ეს დასაბუთება უნდა იყოს მკაფიო და გონივრული და გამჭვირვალედ უნდა იქნას წარმოდგენილი.

7.3.2.4 თანმიმდევრულობა

მსგავს შემთხვევებს ტრიბუნალი ერთნაირად უნდა მიუდგეს. არ უნდა მოხდეს ადამიანების დისკრიმინაცია არასათანადო საფუძვლით. ტრიბუნალმა უნდა მისდინოს მის პრაქტიკას, თუ მიღებული გადანყვეტილებები კანონის შესაბამისია.

მაგალითი

თუ ტრიბუნალი გადაწყვეტს, ალადგინოს დისკვალიფიკირებული ტენდერის მონაწილე, ის მიზეზები, რის საფუძველზეც ტრიბუნალი ახდენს დისკვალიფიკირებული მონაწილის აღდგენას, უნდა გავრცელდეს ტენდერის ყველა მონაწილეზე, რომელიც ასაჩივრებს ტენდერის მონაწილის დისკვალიფიკაციის შესახებ მიღებულ მსგავს გადაწყვეტილებას.

**7.3.2.5 პირადი წინასწარგანწყობების
უგულებელყოფა**

დისკრეციის განხორციელება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად. არაკეთილსინდისიერი საქციელია, როდესაც ტრიბუნალის წევრი ახდენს დაწესებული მოთხოვნის უგულებელყოფას შეუსაბამო მიზეზით. მაგალითად, თუ ტრიბუნალის წევრის მიერ დისკრეციის განხორციელებაზე გავლენას ახდენს გარე ზემოქმედება ან პირადი დამოკიდებულება რომელიმე მხარის მიმართ, მის მიერ გაკეთებული

¹⁸⁷ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ 53.
¹⁸⁸ B. McLachlin, Rules and Discretion in the Governance of Canada, 56 Sask L. Rev., 1992, გვ. 173.
¹⁸⁹ Exercising discretion, Guiding Development - Practice Notes, New South Wales, 2001, გვ. 3.
¹⁹⁰ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 53.

არჩევანი არა მხოლოდ არარელევანტურ ფაქტორს ეყრდნობა, არამედ, ასევე, არაკეთილსინდისიერია.¹⁹¹ საჩივრის განხილვის პროცესში, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტულ შესყიდვასთან დაკავშირებული ფაქტები.

7.3.2.6 ერთ-ერთი ვარიანტის არჩევა

დისკრეციის გამოყენების შესაძლებლობა არ უნდა იქნას უგულებელყოფილი. ტრიბუნალის წევრს მოეთხოვება ხელმისაწვდომი ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევა.¹⁹²

7.3.2.7 თითოეული ვარიანტის გათვალისწინება

ტრიბუნალის წევრმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ფაქტორი, რომელიც რელევანტურია საკუთარი დისკრეციის ფარგლებში არჩევნის გაკეთების მიზნით. ტრიბუნალის წევრმა საკუთარი დისკრეცია არ უნდა შეზღუდოს. თუ კანონი ტრიბუნალს არჩევნის გაკეთების შესაძლებლობით უზრუნველყოფს, ტრიბუნალმა არ უნდა თქვას უარი თითოეული ვარიანტის განხილვაზე.¹⁹³

7.3.2.8 მართლობიერების მნიშვნელობა ალემატება თანმიმდევრულობის მნიშვნელობას

საჭიროა სხვა ვარიანტების გათვალისწინებამაშინაცკი, თუესიწვევს ტრიბუნალის გადაწყვეტილებების არათანმიმდევრულობას. მაგალითად, იმის გამო, რომ ტრიბუნალი წარსულში უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ერთ-ერთ ვარიანტს ან რომელიმე ხელმისაწვდომ ვარიანტს საერთოდ არ განიხილავდა.

ამასთან, ტრიბუნალის მიდგომა იმ შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ, რომელიც ტრიბუნალს დროულად არ წარუდგენს სატენდერო დოკუმენტაციას, უნდა იყოს თანმიმდევრული. თუმცა, გასათვალისწინებელია გარკვეული ფაქტორები - მაგალითად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ თუ ცალსახად თქვა უარი დოკუმენტაციის ტრიბუნალისთვის წარდგენაზე - ტრიბუნალს შეუძლია, სხვა ვარიანტი აარჩიოს, თუ კანონი ამის შესაძლებლობას იძლევა.

¹⁹¹ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 53.

¹⁹² A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 54.

¹⁹³ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 54.

7.3.2.9 კოლეგებთან განხილვა

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული საქმე განსახილველად გადაეცემა ტრიბუნალის ინდივიდუალურ წევრს, გადაწყვეტილების მიღების შიდა პროცესი ხშირად მოიცავს დისკუსიებს ტრიბუნალის ყველა წევრს შორის, საქმის არსებითი გარემოებების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. სასურველია, რომ ტრიბუნალის წევრებმა ერთმანეთში მოითათბირონ და შეაფასონ სხვადასხვა ხელმისაწვდომი ვარიანტები, წესდების მიზნის შესაბამისად და თითოეული ზემოთ წარმოდგენილი სექციის მიზნის გათვალისწინებით.

7.4 დისკრეციის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები¹⁹⁴

1. **დარწმუნდით, რომ ტრიბუნალს აქვს შესაბამისი უფლებამოსილება.** გაეცანით შესაბამის კანონმდებლობას და დარწმუნდით, რომ ტრიბუნალის წევრს უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ან განახორციელოს შესაბამისი ქმედება.

2. **მიჰყევით საკანონმდებლო ან ადმინისტრაციულ პროცედურებს.** მნიშვნელოვანია, რომ ტრიბუნალის წევრებმა, რომლებიც დისკრეციის განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელი, შეასრულონ შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პროცედურები. მაგალითად, შესაძლოა, არსებობდეს გარკვეული წინაპირობები ისეთი დისკრეციის განსახორციელებლად, როგორცაა, მაგალითად მომჩივნისგან მტკიცებულების მოთხოვნა ან დისკუსია ტრიბუნალის წევრებს შორის, კოლეგიის შეხვედრაზე.

3. **მოიპოვეთ ინფორმაცია და დაადგინეთ ფაქტები.** დისკრეციის განხორციელებამდე აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება და ფაქტების დადგენა. ზოგიერთი ფაქტი, შესაძლოა, საჩივართან ერთად იყოს წარმოდგენილი, ხოლო ზოგიერთის მოპოვება შესაძლებელია გამოკითხვის ან გამოძიების გზით.

4. **მტკიცებულების შეფასება.** მნიშვნელოვანია, რომ მტკიცებულების შეფასების საფუძველზე განისაზღვროს

¹⁹⁴ ადაპტირებულია წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, წყარო: *Exercise of Discretion in Administrative Decision-Making, Ombudsman Western Australia, 2009, გვ. 4.*

რელევანტური საკითხები და ძირითადი ფაქტები. ძირითადი ფაქტი არის ფაქტი, რომლის არსებობა ან არ არსებობა გადანყვეტილებაზე გავლენას მოახდენს. მტკიცებულება უნდა იყოს ტრიბუნალის მიერ განსახილველი საკითხის მიმართ რელევანტური და ზუსტი, რათა მის საფუძველზე მოხდეს არსებითი მნიშვნელობის ფაქტების დადგენა. მტკიცებულების შეფასებისას, ტრიბუნალის წევრმა უნდა უგულებელყოს ყველა ის საკითხი, რომელიც არარელევანტურია.

5. **განიხილეთ მტკიცების სტანდარტის გამოყენების საკითხი.** ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პროცესის მონაწილე მხარეები ვალდებულები არიან, დაამტკიცონ ის ფაქტები, რომელსაც ემყარება მათი პრეტენზიები.
6. **მოიქეციეთ გონივრულად, სამართლიანად და ინტერესთა კონფლიქტის გარეშე.** ტრიბუნალის წევრები უნდა იქცეოდნენ გონივრულად, ქმედების განხორციელების ან გადანყვეტილების მიღების პროცესში. მათი ქცევა უნდა იყოს მიუკერძოებელი და მათ არ უნდა განიხილონ ისეთი საქმეები, სადაც, შესაძლოა, არსებობდეს რეალური ან ამკარა ინტერესთა კონფლიქტი.

7. **გაითვალისწინეთ პროცედურული სამართლიანობის წესები.** ქმედების განხორციელებამდე ან გადანყვეტილების მიღებამდე, ტრიბუნალის წევრმა უნდა უზრუნველყოს პროცედურული სამართლიანობა ყველა იმ პირის მიმართ, რომელზეც, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს შედეგმა.
8. **გაითვალისწინეთ საქმის არსებითი მხარე და იმსჯელეთ.** ტრიბუნალის წევრებს შეუძლიათ, იხელმძღვანელონ არსებული პოლიტიკის მიმართულებებით, ტრიბუნალის ან სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებებით; თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ტრიბუნალმა გაითვალისწინოს ინდივიდუალური საქმის არსებითი მხარე და იმსჯელოს მოცემულ საკითხზე.
9. **დაასაბუთეთ გადანყვეტილება.** ტრიბუნალის წევრები ვალდებულები არიან, დაასაბუთონ საკუთარი გადანყვეტილება.
10. **შექმენით და აწარმოეთ ჩანაწერები.** უაღრესად მნიშვნელოვანია პროცესის მიმდინარეობისას გათვალისწინებული საკითხების, მტკიცებულებების შეფასებისა და გადანყვეტილების დასაბუთების შესახებ ჩანაწერების შექმნა და წარმოება.

7.5 დისკრეცია პრაქტიკულ სიტუაციებში

როგორც წესი, ტრიბუნალს ენიჭება დისკრეცია გარკვეულ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ:

- დროებითი განკარგულების მიღება
- საჩივართან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა
- გადაწყვეტილების მიღება ზეპირი მოსმენის გამართვის თაობაზე
- გადაწყვეტილების მიღება ექსპერტისგან ან ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლისგან მტკიცებულების მოთხოვნის თაობაზე
- გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევის შემთხვევაში, დაცვის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით¹⁹⁵

7.5.1 დროებითი განკარგულების მიღება

ტრიბუნალს უფლება აქვს, მიიღოს დროებითი განკარგულება. გადაწყვეტილების მიღებამდე, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს რამოდენიმე საკითხი, კერძოდ:

- ინტერესთა ბალანსი
- ღონისძიებები, რომელიც აუცილებელი და შესაფერისია
- დროებითი განკარგულების მოქმედების ვადის განსაზღვრა

7.5.1.1 ინტერესთა ბალანსი

7.5.1.1.1 სავარაუდო ზიანი

რა სავარაუდო ზიანი ემუქრება მომჩივანს, რომელიც საჭიროებს დროებითი განკარგულების მიღებას მანამ, სანამ ტრიბუნალი დაასრულებს საქმის განხილვას?

მაგალითები

1. შემსყიდველმა ორგანიზაციამ გამოსცა გადაწყვეტილება კონტრაქტის მინიჭების თაობაზე. კონტრაქტის მინიჭება

¹⁹⁵ მაგალითად, კონტრაქტის მინიჭების პროცედურის, წინადადების შეფასების, კონტრაქტის პირობების ან საკვალიფიკაციო კრიტერიუმების გაუქმება.

შესაძლებელია მოცდის პერიოდის გასვლის შემდეგ. საჩივარს არ აქვს სუსპენზიური ეფექტი და იგი არ აჩერებს შესყიდვის პროცედურის მიმდინარეობას. მომჩივანს, შესაძლოა, მიადგეს ზიანი კონტრაქტის დაკარგვის სახით. შესაბამისად, ტრიბუნალმა არ უნდა დაუშვას შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონტრაქტის გაფორმება საჩივრის განხილვის დასრულებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივრის განხილვა იქნება არაეფექტური, რადგან ტრიბუნალს არ აქვს კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილება. შესაბამისად, ტრიბუნალმა, როგორც მინიმუმ, შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა უკრძალოს კონტრაქტის გაფორმება.

2. შემსყიდველმა ორგანიზაციამ გამოსცა გადაწყვეტილება სატენდერო წინადადების უარყოფის თაობაზე. კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული. მომჩივანს არ ემუქრება კონტრაქტის დაკარგვის ზიანი, ვინაიდან შემსყიდველ ორგანიზაციას ჯერ არ გამოუცვია კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა

გაეგზავნოს მომჩივანს, რის შემდეგაც მას ექნება შესაძლებლობა, გაასაჩივროს იგი. ამრიგად, შესყიდვის ამ კონკრეტულ ეტაპზე არ არის აუცილებელი დროებითი ღონისძიების გამოყენება.

7.5.1.1.2 საჩივრის წარმატების პერსპექტივა

რამდენად აქვს მომჩივანს წარმატების შანსი? ტრიბუნალმა წინასწარ უნდა შეაფასოს საჩივარი, რათა დაადგინოს, რამდენად აქვს მომჩივანს წარმატების შანსი. თუ ნაკლებად სავარაუდოა, რომ საჩივარი იქნება წარმატებული, ტრიბუნალმა არ უნდა მიიღოს დროებითი განკარგულება.

მაგალითი

შემსყიდველ ორგანიზაციას სურდა, შეეძინა მოწყობილობა საავადმყოფოებისთვის. მომჩივანმა მას ახალი საქონლის ნაცვლად მეორადი საქონელი შესთავაზა. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უარყო მისი წინადადება. მომჩივანმა მოითხოვა დროებითი ღონისძიება. თუ ტენდერის დოკუმენტები შეიცავს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი და არა მეორადი, მომჩივანს არ აქვს მოგების შანსი. ტრიბუნალმა აღნიშნული გარემოება უნდა გაითვალისწინოს დროებითი ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

7.5.1.1.3 მხარეთა ინტერესები

ტრიბუნალმა უნდა განსაზღვროს მხარეთა ინტერესები, მაგალითად:

- რა ინტერესი აქვს მომჩივანს დროებითი ღონისძიებების მიმართ?
- რა ინტერესი აქვს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის პროცედურის გაგრძელების მიმართ?

ტრიბუნალმა უნდა დააბალანსოს ეს ინტერესები და საჩივრის წარმატების პერსპექტივა, რათა დაადგინოს დროებითი ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა. თუ ტრიბუნალი დაადგენს, რომ დროებითი ღონისძიების მიღება არ არის მიზანშეწონილი, დისკრეციის განხორციელების პროცესში მას შეუძლია, გამოტოვოს ნაბიჯი 2 და 3.

- რა ინტერესი აქვს სხვა მხარეებს დროებითი ღონისძიების გამოცემის ან არ გამოცემის მიმართ?
- არსებობს რაიმე საჯარო ინტერესი და განსხვავდება თუ არა იგი შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებისგან?

მაგალითები

1. შემსყიდველმა ორგანიზაციამ B-ს სასარგებლოდ გამოსცა გადაწყვეტილება კონტრაქტის მინიჭების თაობაზე. მომჩივანი - A დაინტერესებულია კონტრაქტის მოგებით. მან გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება და ამასთან, მოითხოვა დროებითი ღონისძიება. საჩივარი დასაბუთებული ჩანს. არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული საჯარო ინტერესი კონტრაქტის სწრაფად გაფორმებაში, თუმცა, არსებობს საჯარო ინტერესი საუკეთესო სატენდერო წინადადების გამოვლენაში, კონტრაქტის სპეციფიკაციებისა და კანონის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივნის ინტერესები დროებითი ღონისძიების გამოცემის მიმართ აღემატება შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს კონტრაქტის მინიჭებასთან დაკავშირებით. ტრიბუნალმა შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აუკრძალოს კონტრაქტის გაფორმება.
2. შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვის პროცედურა დაიწყო და სატენდერო დოკუმენტები გაუგზავნა კანდიდატებს. ერთ-ერთმა პრეტენდენტმა დაადგინა, რომ სატენდერო დოკუმენტები დისკრიმინაციულ დებულებებს

შეიცავს. პრეტენდენტმა დავების განმხილველ ორგანოს მიმართა და მოითხოვა დროებითი ღონისძიება. მის ინტერესებში შედის შესყიდვის კანონის შესაბამის პროცედურაში მონაწილეობა. პრეტენდენტს სურს, სატენდერო წინადადება წარადგინოს კანონის შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე. ამავროულად, იწურება წინადადებების წარდგენის დრო და წინადადებების მიღება სავარაუდოდ დასრულდება მანამ, სანამ ტრიბუნალი გადაწყვეტილებას მიიღებს. პრეტენდენტს აშკარა ინტერესი აქვს დროებითი ღონისძიების მიმართ, რადგან აღნიშნული მას მისცემს შესაძლებლობას, სატენდერო წინადადება წარადგინოს კანონის შესაბამისი სატენდერო დოკუმენტების საფუძველზე. ვინაიდან პრეტენდენტის საჩივარი არის დასაბუთებული, ტრიბუნალმა უნდა გამოსცეს დროებითი ღონისძიება, რადგან მომჩივნის ინტერესი, მონაწილეობა მიიღოს კანონის შესაბამის შესყიდვის პროცედურაში, აღემატება შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესს, გააგრძელოს შესყიდვის პროცედურა. დროებითი ღონისძიება შემსყიდველ ორგანიზაციას

აუკრძალავს წინადადებების გახსნას და შეაჩერებს წინადადებების წარდგენის ვადის დენას. შესაბამისად, მომჩივანს არ მოუწევს სატენდერო წინადადების წარდგენა დისკრიმინაციული დოკუმენტების საფუძველზე. დავის განხილვის შემდგომ, მომჩივანს ექნება დრო, რომ წარადგინოს თავისი წინადადება.

3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოახდინა ვაქცინის შეძენა, რადგან იგი პანდემიას მოელის. ტენდერის ერთ-ერთმა მონაწილემ დაადგინა, რომ სატენდერო დოკუმენტები დისკრიმინაციულია და აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა დავების განმხილველ ორგანოს. შემსყიდველმა ორგანიზაციამ დროებითი ღონისძიების მოთხოვნაზე საპასუხოდ განაცხადა, რომ მოსახლეობის ეკიდემიისგან დაცვა ვაქცინაციის პროცესის დაწყების დაწყებას მოითხოვდა. თუ პანდემიის საფრთხე დასაბუთებულია, ტრიბუნალმა არ უნდა მიიღოს დროებითი ღონისძიება, რადგან არსებობს სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის საჯარო ინტერესი, რომელიც აღემატება მომჩივნის ინტერესს.

7.5.1.2 აუცილებელი და შესაფერისი ღონისძიებები

ტრიბუნალმა უნდა მოახდინოს იმ ღონისძიების იდენტიფიცირება, რომელიც აუცილებელია ზიანის თავიდან ასაცილებლად. ტრიბუნალმა უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ამ მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს. ამავდროულად, გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს ინდივიდუალური სიტუაციის შესაფერისი, რაც დამოკიდებულია შესყიდვის მიმდინარე ეტაპზე და ტენდერის მონაწილის პოზიციაზე. ღონისძიება ყველაზე ნაკლებ ტვირთს უნდა უწესებდეს შემსყიდველ ორგანიზაციას.

მაგალითი

1. მომჩივანმა კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივრა. მომდევნო ნაბიჯი მდგომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონტრაქტის გაფორმებაში. შესაფერისი ღონისძიებას წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის კონტრაქტის გაფორმების აკრძალვა.
2. მომჩივანი ითხოვს სატენდერო დოკუმენტების გადახედვას. სატენდერო წინადადებების წარსადგენად დაწესებული ვადა ამოიწურება მანამ, სანამ ტრიბუნალი დაასრულებს

საჩივრის განხილვას. აუცილებელი ღონისძიება მდგომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის სატენდერო წინადადებების გახსნის აკრძალვაში და წინადადებების წარდგენის ვადის დენის შეჩერებაში, რათა აღნიშნული გაგრძელდეს საჩივრის განხილვის დასრულების შემდგომ.

3. მომჩივანი ასაჩივრებს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც იგი შესყიდვის მეორე ეტაპზე ვერ გადავიდა. იმისათვის, რომ მომჩივანმა არ დაკარგოს ტენდერში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, ხოლო ტენდერის მონაწილეებს წინადადებების მოსამზადებლად ერთი და იგივე დრო ჰქონდეთ, ტრიბუნალმა შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აუკრძალოს წინადადებების მიღება. აღნიშნული წარმოადგენს აუცილებელ ღონისძიებას და ყველაზე ნაკლებ ტვირთს უწესებს შემსყიდველ ორგანიზაციას, ვინაიდან ეს ღონისძიება ერთადერთია, რომელიც მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს და შემსყიდველ ორგანიზაციას აძლევს გადაწყვეტილების გადახედვისა და შეცვლის შესაძლებლობას.

7.5.1.3 მოქმედების ვადა

დროებითი განკარგულება უნდა განსაზღვრავდეს დროებითი ღონისძიების მოქმედების ვადას. ეს ვადა უნდა გრძელდებოდეს საჩივრის განხილვის დასრულებამდე. შესაბამისად, დროებითი განკარგულების მოქმედების ვადა, შესაძლოა, იყოს ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის იდენტური ან გრძელდებოდეს საჩივრის განხილვის დასრულებამდე.

7.5.2 საჩივართან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა

საჩივართან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან ამით განისაზღვრება ტრიბუნალის მიერ დავის განხილვისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საკითხები“ წარმოადგენს მომჩივანსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის არსებული დავის რეალურ არსს. ტრიბუნალმა უნდა განსაზღვროს, თუ რას შეეხება დავა. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციაში წარმოდგენილი განმარტების შესაბამისად, ამ მხრივ, ტრიბუნალი არ ახორციელებს დისკრეციას და არ აკეთებს არჩევანს წარმოდგენილ ვარიანტებს შორის, ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს ის ზოგიერთი პრინციპი, რომელიც per se დისკრეციაზე ვრცელდება.

საჩივარში და საჩივრის პასუხში წარმოდგენილი იქნება ის საკითხები, რომელიც მხარეებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა ტრიბუნალის უფლებაა და ტრიბუნალის მიერ საჩივრის განხილვა არ შემოიფარგლება მხოლოდ საჩივარში წამოჭრილი საკითხებით. ამავედროულად, ტრიბუნალის უფლებამოსილება იზღუდება კონტრაქტის მინიჭების კონკრეტული პროცედურის გარემოებებით და შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით. ტრიბუნალმა უნდა გამოავლინოს რელევანტური ფაქტორები და გადაწყვეტილება მიიღოს მათზე დაყრდნობით. ტრიბუნალმა გულდასმით უნდა შეაფასოს, თუ რამდენად არღვევს შემსყიდველი ორგანიზაციის გასაჩივრებული ქმედებები და გადაწყვეტილებები შესყიდვების შესახებ კანონმდებლობას, ან რამდენად შეესაბამება შესყიდვის პროცედურები შესყიდვების შესახებ კანონმდებლობას. ამ მიზნით, ტრიბუნალს, შესაძლოა, მოუწიოს იმ საკითხების განხილვა, რომელიც საჩივარში არ არის წამოჭრილი. ნებისმიერ შემთხვევაში, ტრიბუნალმა საკუთარი დასკვნა მკაფიოდ უნდა დაასაბუთოს. ასეთი შეფასება არ უნდა იყოს თვითნებური და თანმიმდევრულად უნდა იქნას გამოყენებული დავების განხილვის პროცესში.

7.5.3 გადანყვეტილება ზეპირი მოსმენის გამართვის თაობაზე

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ტრიბუნალმა უნდა გამართოს ზეპირი მოსმენა. თუმცა, ზეპირი მოსმენა ყოველთვის არ წარმოადგენს აუცილებლობას და გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია მისი გამოტოვება. ზეპირი მოსმენის გამართვის თაობაზე გადანყვეტილების მიღებისას, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. აღნიშნული, როგორც წესი, მოითხოვს ზეპირ მოსმენას.

საქმის **სირთულე.** თუ საქმის მასალებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი გადანყვეტილების მისაღებად, ტრიბუნალს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენა გამოტოვოს.

- გადანყვეტილების **ტიპი.** თუ გადანყვეტილება მიიღება მხოლოდ პროცედურული ასპექტების თაობაზე, როგორცაა გარე ექსპერტის დანიშვნა, ზეპირი მოსმენა არ არის აუცილებელი.
- რამდენად აუცილებელია ზეპირი მოსმენის გამართვა მხარეთა **მოსასმენად.**

- რა **სარგებელს** მიიღებს ტრიბუნალი ზეპირი მოსმენის გამართვით? ტრიბუნალმა ზეპირი მოსმენა უნდა შეადაროს ახსნა - გამართებების წერილობით წარდგენას.
- აუცილებელია **მონმეთა** მოსმენა?
- ექსპერტმა წარადგინა საკუთარი **ექსპერტული მოსაზრება** და მოუწვევს მას ამ მოსაზრების დაცვა მხარეების წინაშე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს ზეპირი მოსმენის გამართვამ **პროცედურულ ვადებზე**, რომელსაც ტრიბუნალმა პატივი უნდა სცეს? საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპისთვის, არის თუ არა ზეპირი მოსმენის გამართვა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პროცესის სწრაფად წარმართვა?

ის მიზეზები, რის გამოც ტრიბუნალმა მიიღო გადანყვეტილება ზეპირი მოსმენის არ გამართვის თაობაზე, მკაფიოდ უნდა იქნას ფორმულირებული და უნდა ითვალისწინებდეს ყველა რელევანტურ ასპექტს.

7.5.4 მტკიცებულების მოთხოვნის შესახებ გადანყვეტილება

ტრიბუნალმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული მტკიცების სტანდარტი და რამდენად შესაძლებელია ტრიბუნალისათვის ხელმისაწვდომ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დასაბუთებული და სამართლიანი გადანყვეტილების მიღება. ეროვნული კანონმდებლობა ადგენს მტკიცების სტანდარტს. თუმცა, ტრიბუნალს, შეუძლია, დაეყრდნოს ზოგად დოქტრინას, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო და საერთო სამართლის ქვეყნებში და რომელიც მტკიცების ორ სტანდარტს ითვალისწინებს:

- **მტკიცებულების უპირატესი მნიშვნელობა.** მტკიცებულების წონა განისაზღვრება არა იმ მოწმეთა რაოდენობით, რომელიც ფაქტს ადასტურებს, არამედ, მტკიცებულების სარწმუნო ძალით.
- **მკაფიო და დამაჯერებელი მტკიცებულება.** მტკიცებულება მაღალი ალბათობით ან სარწმუნოდ ასაბუთებს ამა თუ იმ მოვლენის ან ფაქტის არსებობას. ეს

უფრო მეტი ტვირთია, ვიდრე მტკიცებულების უპირატესი მნიშვნელობის სტანდარტი, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო პროცესების უმრავლესობაში, მაგრამ უფრო ნაკლებია, ვიდრე გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულების სტანდარტი, რომელიც გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრიბუნალს უფლება აქვს, მოითხოვოს ნებისმიერი მტკიცებულება, მათ შორის, ექსპერტის ჩვენება ან ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი შემსყიდველი ორგანიზაციისგან ან განსახილველი საქმის მხარეებისგან. ამავდროულად, მტკიცებულების მოთხოვნის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს მტკიცებულების რელევანტურობა და, ასევე, მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭირო დრო და ფინანსური რესურსი.

იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალმა უნდა უპასუხოს კითხვებს, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, მან კონსულტაცია უნდა გაააროს ექსპერტთან. ტრიბუნალმა მოწმეების სახით უნდა გამოკითხოს შესყიდვის მონაწილეები იმ შემთხვევაში, თუ

წარმოიშვება კითხვები, რომელსაც მხოლოდ ექსპერტს შეუძლია უპასუხოს. თუ ტენდერის მონაწილეებს უნდა წარედგინათ ნიმუშები და ამ ნიმუშების ხარისხი დგას ეჭვქვეშ, ტრიბუნალმა ნიმუშები უნდა შეაფასოს.

დამატებითი მტკიცებულების მოპოვება, შესაძლოა, გარკვეულ დროსთან და დანახარჯებთან იყოს კავშირში, თუმცა, ტრიბუნალმა იგი მაინც უნდა მოითხოვოს, რადგან აღნიშნული გააუმჯობესებს გადაწყვეტილების ხარისხს და ხშირად, ეს ერთადერთი გზაა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფაქტების გამოსავლენად.

ექსპერტის დანიშვნამდე, ტრიბუნალმა მხარეებს უნდა მოუსმინოს. მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, წარმოადგინონ თავიანთი პოზიცია ექსპერტთან და იმ კითხვებთან დაკავშირებით, რომელსაც ტრიბუნალი ექსპერტს დაუსვამს. ამავდროულად, ტრიბუნალი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა ექსპერტის დანიშვნა.

მაგალითი

1. *შემსყიდველ ორგანიზაციას სურს იპოვნოს ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც მდინარეებს ასუფთავებს. სულ ორი წინადადება იქნა წარდგენილი. ერთ-ერთი წინადადება ეკუთვნის*

ტენდერის მონაწილეთა ჯგუფს, რომლებიც ბაზრის 90%-ს აკონტროლებენ.

2. *მომჩივანი აცხადებს, რომ გამარჯვებულნი წინადადება შეიცავს უჩვეულოდ დაბალ ფასებს. ტრიბუნალის არც ერთ წევრს არ აქვს საჭირო ცოდნა ბაზრის შესახებ. შესაბამისად, მათ კონსულტაცია უნდა გაიარონ ექსპერტთან და ისე შეაფასონ წარმოდგენილი ფასები.*

3. *მომჩივანი აცხადებს, რომ გამარჯვებულ წინადადებაში რეკომენდატორების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, ვინაიდან შესაბამის პირს ჩამოთვლილი დავალებები არ შეუსრულებია. აღნიშნულის გარკვევის ყველაზე ადვილი გზას წარმოადგენს თავად ამ პირის მოწმის სახით გამოკითხვა.*

7.5.5 გადაწყვეტილება დაცვის საშუალების შესახებ

მტკიცებულების შეფასების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ, ტრიბუნალმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის არსებითი მხარის შესახებ. ტრიბუნალს არ აქვს დისკრეცია დაადგინოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევა და ის,

თუ რამდენად ცალსახად ამტკიცებს აღნიშნულს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

ტრიბუნალს აქვს სატენდერო დოკუმენტების ინტერპრეტაციის დისკრეცია. ამავდროულად, ტრიბუნალს აქვს გარკვეული დისკრეცია მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ დაცვის რომელი საშუალებაა გამოყენებადი კონკრეტულ საქმეში. ამ მხრივ, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს რამოდენიმე ელემენტი, კერძოდ: შემსყიდველი ორგანიზაციის გასაჩივრებული გადაწყვეტილება, შესყიდვის რომელ ეტაპზე ახდენს შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევა გავლენას და დარღვევის სიმძიმე. კანონთან შესაბამისობის გარდა, ტრიბუნალმა, ასევე, უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა კანონის დარღვევას არსებითი გავლენა შესყიდვის შედეგზე.

მაგალითი

მომჩივანი შესყიდვაში მესამე ადგილზე გავიდა. მომჩივანი აცხადებდა, რომ პირველ და მეორე ადგილზე გასული წინადადებები არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. შემსყიდველმა

ორგანიზაციამ წინადადებების შეფასებაში შეცდომა დაუშვა. კერძოდ, მეორე ადგილზე გასული წინადადება მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, განსწავლვით პირველ ადგილზე გასული წინადადებისგან, რომელიც სატენდერო დოკუმენტებში წარმოდგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა რომც დაერღვია და არ მოეხდინა მეორე ადგილზე გასული სატენდერო წინადადების უარყოფა, ამ კანონდარღვევას არ აქვს რაიმე გავლენა შესყიდვის შედეგზე, რადგან ეს არ ცვლის ტენდერის გამარჯვებულ მონაწილეს.

7.6 საქართველოში დავების განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მაგალითი¹⁹⁶ – არქიტექტურული მომსახურების შესყიდვა

თემა - ტენდერის მოთხოვნების და ვადების გასაჩივრება

ზოგადი ინფორმაცია შესყიდვის შესახებ:

¹⁹⁶ კონკრეტული შემთხვევის სახით გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება.

შესყიდვის ნომერი
NAT190020895

შემსყიდველი ორგანიზაცია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტი

გამოცხადების თარიღი
01.11.2019 18:26

სავარაუდო ღირებულება
516`914.00 ლარი

გადაწყვეტილება
არ დაკმაყოფილდა

შესყიდვის სტატუსი
შენყვეტილია

მომჩინის არგუმენტები

მომჩინი ანოთხვადის კვალიფიკაციის გაუმჯობესებას და აცხადებდა: სატენდერო კომისიის მიერ ჩვენ განგვესაზღვრა ვადა 2020 წლის 13 იანვრის ჩათვლით ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამასაბუთებელი დოკუმენტის წარსადგენად. ამასთან მოთხოვნილი იყო, რომ დოკუმენტი დადასტურებული უნდა ყოფილიყო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე სხვა აკრედიტებული ორგანოს მიერ. მოთხოვნის შესრულების მიზნით მივმართეთ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტს“ და შ.პ.ს „ინტელექტ აუდიტი“-ს ფასწარმოქმნის

ადეკვატურობის დამადასტურებელი დასკვნის შესადგენად. ინსპექტირების ორგანოების მიერ უარი იქნა განცხადებული აღნიშნული დასკვნის შედგენაზე (მტკიცებულებები თან ერთვის). უარის მიზეზად მითითებულია, რომ „საქართველოში მოქმედ ნორმებსა და წესებში არ მოიპოვება წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული მომსახურების ნორმები. შესაბამისად, მოთხოვნის შესრულება შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ 2020 წლის 13 იანვარს მივმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სატენდერო კომისიას, ვაცნობეთ აღნიშნული გარემოებების შესახებ და ვაცნობეთ, რომ ჩვენი კომპანია მზად არის მაღალკვალიფიციურ დონეზე შეასრულოს ტენდერ NAT – 190020895 – ით გათვალისწინებული სამუშაოები. თუმცა, სატენდერო კომისიამ მიიღო სადაო გადაწყვეტილება ჩვენი დისკვალიფიკაციის შესახებ. დავების საბჭოსგან ვითხოვთ, გაუქმდეს ჩვენი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება. თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ იცის და მიგვითითებს, სად შეიძლება გაკეთდეს ამ ტიპის საექსპერტო დასკვნა, მაშინ ჩვენი კომპანია მზადაა მივიდეს და გააკეთოს შესაბამისი დასკვნა.“

შემსყიდველი ორგანიზაციის
არგუმენტები

სხდომაზე შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელმა წარადგინა შემდეგი საპირისპირო არგუმენტები: „პრეტენდენტი ტენდერში მონაწილეობით დაეთანხმა სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. იგი კონკრეტულ შემთხვევაში ასაჩივრებს ჩვენს გადაწყვეტილებას. დაზუსტების ეტაპზე, ვთხოვეთ ამ დასკვნის წარმოდგენა, რაც არ იქნა წარმოდგენილი და რაც გახდა კომპანიის დისკვალიფიკაციის მიზეზი. გვგონია, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფინანსური კვლევის ფარგლებში შესაძლებელია ამ მომსახურების შესრულება. ეს არის უბრალო მომსახურება, რომლის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენა არის ძალიან ადვილი

დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება:

საბჭომ განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად „სატენდერო კომისია იხილავს და აფასებს თუ რამდენად შეესაბამება პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ტექნიკური

დოკუმენტაცია შესაბამისი ტენდერის სატენდერო განცხადებაში და

სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს.“ საბჭომ აღნიშნა, რომ სატენდერო/საკონკურსო პირობების ჩანაწერის გასაჩივრება შესაძლებელია ელექტრონული ტენდერისთვის / კონკურსისთვის სტატუსის „გამოცხადებულია“ მინიჭებიდან სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე. შესაბამისად, საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს NAT190020895 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების გაუქმების საკითხთან მიმართებით. საბჭომ აღნიშნა: „პრეტენდენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი დოკუმენტი. შესაბამისად, სატენდერო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას.“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

7.7 რეზიუმე

ტრიბუნალის წევრებს უფლება აქვთ, საქმეში წარმოჭრილ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღონ და ქმედება განახორციელონ საკუთარი შეხედულების და არჩევნის შესაბამისად. მათ აღნიშნული დისკრეცია ენიჭებათ იმის

გათვალისწინებით, რომ ისტორიულად, სამართლის შეფარდებას ყოველთვის სწორ პასუხამდე არ მივყავართ. ამრიგად, ტრიბუნალის წევრებს აქვთ გარკვეული მოქნილობა, რაც მათ საშუალებას აძლევს, სამართლებრივად დასაშვებ გადაწყვეტილებებს შორის აარჩიონ ყველაზე შესაფერისი. ამასთან, აღნიშნული პრინციპების განხორციელების პროცესში ტრიბუნალი განსაზღვრავს, თუ სამართლის შეფარდების რომელი შესაძლო გზა არის ყველაზე სამართლიანი და გონივრული, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს და პატივი უნდა სცეს სხვადასხვა პრინციპებს მანამ, სანამ იგი გააკეთებს დასკვნას და გამოსცემს რეკომენდაციას. ეს პრინციპები უზრუნველყოფს იმას, რომ ტრიბუნალმა დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნითაც მიენიჭა მას ეს უფლებამოსილება; უზრუნველყოს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა - მხოლოდ საქმისადმი რელევანტური ფაქტორების გათვალისწინებით; დაიცვას კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი და ამ მიზნით, თავი აარიდოს უსამართლო დისკრიმინაციას; დაიცვას სათანადო ბალანსი სხვების უფლებებზე, თავისუფლებებზე ან ინტერესებზე

გადაწყვეტილების გავლენასა და გადაწყვეტილების მიზანს შორის; გადაწყვეტილება მიიღოს გონივრულ ვადაში, განსახილველი საკითხების გათვალისწინებით; თანმიმდევრულად გამოიყენოს ადმინისტრაციული სახელმძღვანელო პრინციპები და, ამავდროულად, გაითვალისწინოს თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებები.

ამასთან, ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას, მიზანშეწონილია, რომ ტრიბუნალმა მისდიოს რამოდენიმე ზოგად რეკომენდაციას. კერძოდ, რეკომენდებულია, რომ ტრიბუნალის წევრებმა პატივი სცენ კანონის მიზანს; გაითვალისწინონ რელევანტური ფაქტორები არჩევნის გაკეთების პროცესში; წარმოადგინონ სამართლებრივი არგუმენტები დისკრეციის გამოყენებასთან დაკავშირებით; მსგავსი საქმეების მიმართ გამოიყენონ მსგავსი მიდგომა; უგულებელყონ პირადი წინასწარგანწყობები; გაითვალისწინონ ყველა ხელმისაწვდომი ვარიანტი და არჩევანი შეაჩერონ ერთზე; და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საკითხი განიხილონ კოლეგებთან.

ამასთან, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს რამოდენიმე ლოგიკური ნაბიჯი დისკრეციის განხორციელებისას. ეს ნაბიჯები წარმოადგენს ერთგვარ საკონტროლო

ჩამონათვალს (ჩეკლისტს) ტრიბუნალის წევრებისთვის და გულისხმობს: ტრიბუნალის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის გაცნობას, რათა ტრიბუნალი დარწმუნდეს, რომ მას აქვს შესაბამისი უფლებამოსილება; ტრიბუნალის მიერ გამოქვეყნებული კანონებისა და ადმინისტრაციული პროცედურების დაცვას; ტრიბუნალის მიერ რელევანტური ინფორმაციის მოძიებას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, მოპოვებული მტკიცებულების ანალიზს და შეფასებას და ძირითადი ფაქტების იდენტიფიცირებას.

ტრიბუნალმა, ასევე, უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი მტკიცების სტანდარტი, მოიქცეს გონივრულად და სამართლიანად და პროცედურული სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი. ამასთან, ტრიბუნალმა უნდა განიხილოს საქმის არსებითი მხარე და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნული პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტებია გათვალისწინებული საკითხების შესახებ ჩანაწერების შექმნა და წარმოება, მტკიცებულებებისათვის სათანადო წონის მინიჭება და გადაწყვეტილებების დასაბუთება.

ამასთან, თითოეულ ტრიბუნალს ენიჭება დისკრეცია რამოდენიმე ძირითად საკითხთან დაკავშირებით, ესენია:

შუალედური განკარგულების მიღების საკითხი; საჩივართან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა; ზეპირი მოსმენის გამართვის საკითხი; ექსპერტისგან ან ადგილობრივი თუ ცენტრალური სახელმწიფო ორგანოსთან მტკიცებულების მოთხოვნა; და დაცვის საშუალების შესახებ გადაწყვეტილების მიღება - მაგალითად, კონტრაქტის მინიჭების პროცედურის, კონტრაქტის შეფასების, ტენდერის პირობებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების გაუქმება.

შუალედური განკარგულების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნას რამოდენიმე ასპექტი, ესენია: მხარეთა ინტერესების დაბალანსება, ზიანის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი და შესაფერისი ღონისძიებების განსაზღვრა, დროებითი ღონისძიების მოქმედების ვადის განსაზღვრა და დროებითი განკარგულების გამოქვეყნება. საჩივართან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი განსაზღვრავს, თუ რომელ ფაქტორებს ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ტრიბუნალის მიერ საქმის განხილვის პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს 'საკითხები' წარმოადგენს მომჩივანსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის არსებული დავის არსს.

ზეპირი მოსმენის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპი, საქმის კომპლექსურობა და რამდენად აუცილებელია ზეპირი მოსმენის გამართვა მხარეთა მოსასმენად. ექსპერტისგან ან ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლებისგან მტკიცებულების გამოთხოვისას, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, დაკმაყოფილდა თუ არა მტკიცების სტანდარტი და შესაძლებელია თუ არა დასაბუთებული და სამართლიანი გადანყვეტილების მიღება ხელმისაწვდომ ფაქტებზე დაყრდნობით.

ყველა იმ აუცილებელი ნაბიჯის განხილვის შემდეგ, რომელიც ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს გადანყვეტილების მიღების პროცესში, განვიხილოთ გადანყვეტილების ტექსტის მომზადება, რომელიც მომდევნო ეტაპს წარმოადგენს. გადანყვეტილება უნდა მომზადდეს ისეთ ფორმატში, რომელიც მისი საჯაროდ წარდგენისა და გამოქვეყნების შესაძლებლობას იძლევა, რათა საზოგადოებამ დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება გადანყვეტილების შესახებ. მომდევნო თავი განიხილავს გადანყვეტილების ტექსტის მომზადებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.





გადანყვეტილების ტექსტის მომზადება

8.1 მიმოხილვა

გადანყვეტილების ტექსტის მომზადება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალის ყველაზე მნიშვნელოვან დავალებას წარმოადგენს. გამოქვეყნებული გადანყვეტილება ფართო საზოგადოებას ანვდის ინფორმაციას ტრიბუნალის სიმტკიცისა და მისი წევრების ანალიტიკური უნარების შესახებ, რამაც ტრიბუნალს შესაძლებლობა მისცა, გაეკეთებინა სამართლიანი დასკვნა წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და ძირითად ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. წინამდებარე თავში წარმოდგენილია გადანყვეტილების ტექსტის მომზადების რამოდენიმე მიდგომა. გარდა გადანყვეტილების ძირითადი სტრუქტურისა, ტრიბუნალის წევრებმა, ასევე, უნდა გაითვალისწინონ აღიარებული სტრუქტურის გამოყენების მნიშვნელობა, ალტერნატიული სათაურებისა და წერის სხვადასხვა სტილის გამოყენების საკითხი და გადანყვეტილების პროექტის შესწორების/გადახედვის მეთოდები. აღნიშნული ინდივიდუალური სფეროები დეტალურად არის განხილული წინამდებარე თავში, შესაბამის

მაგალითებთან ერთად. მე-8 თავი, პირველ რიგში, განიხილავს, თუ როგორ უნდა მივუდგეთ გადანყვეტილების ტექსტის მომზადებას, ხოლო შემდგომ კი გაგვაცნობს გადანყვეტილების სტრუქტურის რამოდენიმე ტიპს, რომელიც პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება.

8.2 როგორ მივუდგეთ გადანყვეტილების ტექსტის მომზადებას?

გადანყვეტილების ტექსტი უნდა მომზადდეს ტრიბუნალის შესაბამისი პასუხისმგებელი წევრის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ტრიბუნალის აღნიშნულ წევრზე დამოკიდებული, თუ რამდენადაა საჭირო დამატებითი თანამშრომლების ჩართვა, მაგალითად, კვლევისა და წინასწარი სამართლებრივი ანალიზის მოსამზადებლად. დამატებითი თანამშრომლების ჩართვას, ასევე, განსაზღვრავს საქმის სირთულე და ტრიბუნალის წევრისა და თანამშრომლების დატვირთულობა.

მანამ, სანამ ავტორი (ან ავტორები) დაიწყებს გადანყვეტილების ტექსტზე მუშაობას, იგი უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ

რა უნდა გამოხატოს გადანყვეტილებამ და როგორ; გადანყვეტილების მოცულობა და ადრესატი. პირველ რიგში, უნდა მოხდეს საჩივრის და საქმის განხილვისას წარმოდგენილი სხვა ახსნა-განმარტებების, მათ შორის, ზეპირი მოსმენის შედეგების გათვალისწინება და შეჯამება.

მეორე, ყურადღება უნდა გამახვილდეს არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივ გარემოებებზე და ტრიბუნალის მიერ გადასანყვეტ საკითხებზე, შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად. და ბოლოს, საჭიროა დასკვნის გაკეთება. ამავდროულად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ტრიბუნალის წევრებს არ აქვთ უფლება, შეცვალონ გადანყვეტილება დაცვის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გადანყვეტილების ტექსტის შედგენისათვის მზადება აუცილებელი პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს გადანყვეტილების მონახაზს ან პირველად საფუძველს.

მოსაზრებების ორგანიზების მიზნით, ავტორ(ებ)მა უნდა მოამზადოს

მნიშვნელოვანი ფაქტებისა და საკითხების მონახაზი. ამ მონახაზის მოსამზადებლად საუკეთესო დროა საჩივრისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტების პირველადი შესწავლა. მონახაზი გადანყვეტილების არსს ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა აყალიბდეს და შემდეგ ძირითად საკითხებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას:

- საჩივრის პროცედურაში განხილვის წამოჭრილი საკითხ(ებ)ი
- იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები
- შესაბამისი სამართალი
- სამართლის შეფარდება გადანყვეტილების მისაღებად¹⁹⁷

¹⁹⁷ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 152.

8.3 გადაწყვეტილების სტრუქტურა

ევროპული სასამართლოს პრინციპების თანახმად, ტრიბუნალმა უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილება, ხოლო დასაბუთება უნდა იყოს მკაფიო და უნდა მოიცავდეს სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების განმარტებას. ამავდროულად, ვინაიდან წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია ტრიბუნალის წევრთა უზრუნველყოფა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებით, ქვემოთ წარმოდგენილი და აღწერილია სხვადასხვა სტრუქტურის მაგალითები. გადაწყვეტილების სამი რეკომენდებული სტრუქტურა და მათი ინდივიდუალური შემადგენელი ნაწილები წარმოადგენს მკაფიო, ლაკონურ და საუკეთესო მაგალითებს სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი დავების განმხილველი ორგანოების პრაქტიკიდან.

მაგალითი 1

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეკომენდებული სტრუქტურა (მაგალითი სამოქალაქო სამართლის ქვეყნებიდან):

- შესავალი

- დავების განმხილველი ორგანოს მიერ გადასაწყვეტი საკითხების იდენტიფიკაცია
- საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებების აღწერა
- შესაბამისი კანონმდებლობის აღწერა
- ანალიზი
- ინსტრუქციები

მაგალითი 2

სტრუქტურა, რომელსაც იყენებს ECJ და ევროკავშირის საერთო სასამართლო (EGC).

- საძიებო სიტყვები
- ს ა მ ა რ თ ა ლ წ ა რ მ ე ბ ი ს მხარეები და სხვა მონაწილეები
- ჟიურის შემადგენლობა
- შესავალი
- შესაბამისი კანონმდებლობა
- ფაქტობრივი გარემოებები
- წარმოდგენილი კითხვები ან პრეტენზიები .
- დასაშვებობა
- ანალიზი
- ვერდიქტი

მაგალითი 3

Bundesvergabeamt-ის (სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ორგანო ავსტრიაში) რეკომენდებული სტრუქტურა

- საძიებო სიტყვები
- განმხილველი ორგანო
- სამართალწარმოების მხარეთა ვინაობა და მათი როლი
- დავის საგანი
- ვერდიქტი
- საჩივრისა და წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების მოკლე მიმოხილვა
- ზეპირი განხილვის შედეგის მოკლე მიმოხილვა
- ფაქტობრივი გარემოებები
- ანალიზი

აღნიშნული მაგალითების მიზანია, ტრიბუნალის წევრებს შეუქმნას წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინონ საკუთარი გადაწყვეტილების სტრუქტურება. ყველა სტრუქტურა შედგება ერთი და იგივე ელემენტებისგან, რომელიც სხვადასხვა თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი. მომდევნო ქვე-სექციებში დეტალურად არის განხილული ზემოთ წარმოდგენილი ინდივიდუალური ელემენტები.

8.3.1 შესავალი

შესავლის მიზანია, მკითხველს შეუქმნას წარმოდგენა განსახილველი საჩივრის შესახებ. შესავალი მოკლედ აღწერს საქმეს, გასაჩივრებულ სატენდერო პროცედურას, დავის საგანს. ამასთან, შესავალი უნდა აღწერდეს გადაწყვეტილებას, რომელიც მიუთითებს შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედების შედეგად ჩადენილ დარღვევაზე, თუ საჩივარი დადასტურდა, ან მომჩივნის მიერ მითითებული დარღვევის არ არსებობაზე.

შესავალი, ასევე, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ტრიბუნალის შემადგენლობისა და იურისდიქციის შესახებ, მონაწილე მხარეებისა და გადასაწყვეტი საკითხების შესახებ. თუმცა, თუ გადასაწყვეტი საკითხები არის კომპლექსური, უმჯობესია, ისინი ცალკე სექციაში იყოს წარმოდგენილი. 181 შესავალი არის საქმის ან საჩივრის მოკლე შინაარსი.

გადაწყვეტილების ავტორი ვერ მოამზადებს შესავალ ნაწილს, თუ მას დასკვნა არ ეცოდინება. ზოგჯერ, გადაწყვეტილების ავტორს არ ექნება ინფორმაცია განსახილველი საკითხებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ მანამ, სანამ არ მომზადდება თითოეული საკითხის სამართლებრივი ანალიზი. 182 შესავლის საბოლოო ვერსია, უმჯობესია, მომზადდეს მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებას მიეცემა საბოლოო სახე, გაირკვევა განსახილველი საკითხები, მომზადდება დასკვნები და ანალიზი, რომელიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას.¹⁸³

ტიპური შესავლის მაგალითი

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No. [...] აქტის შესწორებული ვერსიის [...] სექციის თანახმად, დავების განმხილველმა ტრიბუნალმა, 2011 წლის [...] ინიცირებულ წარმოებაში, რომელიც შეეხება „მუნიციპალიტეტისათვის ფინანსური მომსახურების მიწოდების“ შესახებ შესყიდვასთან დაკავშირებით [...] -ის მიერ აღძრულ No. [...] საჩივარს, სადაც მომჩივანი ითხოვს სატენდერო წინადადების შეფასების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის გადანაცვლების ბათილად ცნობას დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევის გამო, მიიღო შემდეგი გადანაცვითება:

- წარმოებაში იქნას მიღებული [...] -ის საჩივარი No. [...] „მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ა თ ვ ი ს ფინანსური მომსახურების მიწოდების“ შესახებ შესყიდვასთან დაკავშირებით;
- დაევალოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო წინადადების შეფასების შესახებ გადანაცვითების გაბათილება, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევის გამო, რომელიც კრძალავს შერჩევითი კრიტერიუმის გამოყენებას ტენდერის სხვადასხვა მონაწილეების მიმართ.“

ან

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No. [...] აქტის შესწორებული ვერსიის [...] სექციის თანახმად, დავების განმხილველმა ტრიბუნალმა, 2011 წლის [...] ინიცირებულ წარმოებაში, რომელიც შეეხება „[...] სახელმწიფო უწყებისთვის ლეპტოპების, დესკტოპებისა და მონიტორების მიწოდების“ შესყიდვასთან დაკავშირებით [...] -ის მიერ აღძრულ No. [...] საჩივარს, სადაც მომჩივანი ითხოვს სატენდერო მოთხოვნების ბათილად ცნობას მათი შემზღუდავი ბუნების გამო, რაც არღვევს პროპორციულობის პრინციპს, მიიღო შემდეგი გადანაცვითება:

- წარმოებაში იქნას მიღებული [...] -ის საჩივარი No. [...] „[...] სახელმწიფო უწყებისთვის ლეპტოპების, დესკტოპებისა და მონიტორების მიწოდების“ შესყიდვასთან დაკავშირებით;
- შემსყიდველ ორგანიზაციას დაევალოს ლეპტოპების, დესკტოპებისა და მონიტორების კონკრეტული მწარმოებლის შესახებ მოთხოვნის გაბათილება, ვინაიდან ასეთი მოთხოვნა არის დაუსაბუთებელი და ზედმეტად შემზღუდავი, რადგან შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო, წარმოედგინა აღნიშნული მოთხოვნის გონივრული დასაბუთება, და დაადგინოს ახალი ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც შესაბამეა შემსყიდველი ორგანიზაციის ლეგიტიმურ საჭიროებებს.“

ან

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No. [...] აქტის შესწორებული ვერსიის [...] სექციის თანახმად, დავების განმხილველმა ტრიბუნალმა, 2011 წლის [...] ინიცირებულ წარმოებაში, რომელიც შეეხება „[...] სამინისტროსათვის სამშენებლო სამუშაოების“ შესყიდვასთან დაკავშირებით [...] -ის მიერ აღძრულ No. [...] საჩივარს, სადაც მომჩივანი ითხოვს დაბალი ფასის გამო მომჩივნის წინადადების უარყოფის თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებების გაბათილებას, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

- წარმოებაში იქნას მიღებული [...] -ის საჩივარი No. [...] „[...] სამინისტროსათვის სამშენებლო სამუშაოების“ შესყიდვასთან დაკავშირებით;
- არ დაკმაყოფილდეს საჩივარი, რომლის თანახმადაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო, გონივრულად შეეფასებინა მომჩივნის დაბალი ფასი. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოახდინოს მომჩივნის მიერ წარდგენილი წინადადების უარყოფა, თუ ფასი არის „არაგონივრულად“ დაბალი, რაც მიუთითებს იმას, რომ ტენდერის მონაწილემ ვერ გაიაზრა პროგრამის კომპლექსურობა და რისკები, ხოლო ჩანანერებით

დასტურდება, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ განიხილა მომჩივნის დაბალი ფასი და ეს საკითხი წამოჭრა მომჩივანთან განსახილველად.“

ECJ-ის მაგალითი:

(სახელმწიფო შესყიდვები
- დირექტივა 2004/18/EC
- კონტრაქტის მინიჭების პროცედურები - შეზღუდული ტენდერი - წინადადების შეფასება - შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინადადებებთან დაკავშირებით განმარტებების მოთხოვნა - პირობები)

საქმე C-[...],

წინასწარი განჩინების მოთხოვნა [...] მუხლის საფუძველზე, ((წევრი სახელმწიფოს)) [სასამართლო]-დან, [...] გადაწყვეტილებით, რომელიც სასამართლომ მიიღო [...],

[...],

[...],

v

[...],

ი ნ ტ ე რ ვ ე ნ ც ი ი ს
განმახორციელებელი მხარე:

[...],

სასამართლო (მეოთხე პალატა),

შედგება: [...] (მომხსენებელი),
პალატის პრეზიდენტი, [...], [...], [...] და
[...], მოსამართლეები,

გენერალური ადვოკატი: [...],

მდივანი: [...], ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურის
საფუძველზე და 2011 წლის 14
დეკემბერს გამართული მოსმენის
შემდგომ, იმ არგუმენტების
განხილვის შემდგომ, რომელიც
წარმოდგენილი იქნა:

- [...], [...], [...], [...] და [...], ადვოკატები,
- [...], [...] და [...], ადვოკატები,
- [...], [...], წარმომადგენელი,
- [...], [...] და [...], ადვოკატები
- [...] -ის მთავრობა, [...],
წარმომადგენელი,
- ევროპული კომისია, [...] და [...],
წარმომადგენლები

გენერალური ადვოკატის მოსმენის
შემდგომ, მიიღო შემდგომი
გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება

1. წინასწარი განჩინების
მოთხოვნა შეეხება სამუშაოების,
საქონლის მიწოდებისა
და მომსახურების საჯარო
ხელშეკრულების დასადავად
გამარჯვებულის გამოვლენის
პროცედურების კოორდინაციის
შესახებ ევროპული
პარლამენტის და საბჭოს 2004
წლის 31 მარტის 2004/18/EC
დირექტივის [...], [...] და [...] მუხლების
ინტერპრეტაციას (OJ
2004 L 134, გვ. 114).
2. აღნიშნული მოთხოვნა
უკავშირდება დავას [...] (სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო; ‘[...]’) და იმ
საწარმოებს შორის,
რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს
[...] (‘[...]’)-ის (კომერციული
საწარმო, რომელსაც სრულად
აკონტროლებს სახელმწიფო)
მიერ 2007 წელს გამოცხადებულ
ტენდერში, რომელიც
შეეხებოდა მომსახურების
შესყიდვას გარკვეულ გზებსა
და ავტომაგისტრალებზე
მოსაკრებლის შეგროვებასთან
დაკავშირებით.“

ევროპული საერთო სასამართლოს მაგალითი

(სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება - ტენდერის პროცედურა - საინფორმაციო ტექნოლოგიური სერვისების მიწოდება - კასკადური პროცედურის საშუალებით ტენდერის მონაწილის მეორე კონტრაქტორად შერჩევა - ანულირების მოთხოვნა - დისკვალიფიკაციის საფუძვლები - ინტერესთა კონფლიქტი - გადაწყვეტილების საფუძვლების მითითების მოვალეობა - ამკარა ხარვეზი შეფასებაში - თანასწორი მოპყრობა - არა-სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა)

საქმე T-...,

[...], დაფუძნებულია [...], წარმოადგენს [...] და [...], ადვოკატები

მომჩივანი,

v

ევროპული კომისია, თავდაპირველად წარმოდგენილია [...] და [...], წარმომადგენლები, დახმარებას უწევს [...], ადვოკატი, ხოლო შემდგომ [...] დახმარებას უწევს [...] და [...], ადვოკატები

მოპასუხე,

საჩივარში მოთხოვნილია (i) კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების ანულირება, რომელიც შეეხება მომჩივნის შერჩევას მეორე კონტრაქტორის სახით, მე-2 და მე-3 ლოტებთან დაკავშირებით, „შტატისტიკური ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სფეროში გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში, რომელიც შეეხება საკონსულტაციო და განვითარების მომსახურების შესყიდვას, სტატისტიკური მონაცემების და მეტამონაცემების გაზიარების ფორმატთან დაკავშირებით ([...]) (OJ [...]), და ყველა შემდგომი და დაკავშირებული გადაწყვეტილებების ანულირება, მათ შორის, ტენდერის სხვა მონაწილეებისათვის კონტრაქტის მიჩიჭების თაობაზე, და (ii) ზიანის ანაზღაურება

საერთო სასამართლო (მერვე პალატა),

შემადგენლობა: [...], პრეზიდენტი, [...] და [...] (მომხსენებელი), მოსამართლეები,

მდივანი: [...],

წერილობითი პროცედურის გათვალისწინებით და [...] გამართული მოსმენის შემდგომ, სასამართლომ მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

საჩივარში წამოჭრილი საკითხების შეჯამება, შესაძლოა, არაპრაქტიკული აღმოჩნდეს, თუ ეს საკითხები არის არაერთი ან კომპლექსური. ასეთ შემთხვევაში, სასურველია, შესავალში არ მოხდეს საჩივარში წამოჭრილი საკითხების შეჯამება. აღნიშნულის სანაცვლოდ, ეს საკითხები შესაბამის სექციაში (საკითხთა სექცია) უნდა იქნას წარმოდგენილი, ან შესავალში მხოლოდ საძიებო სიტყვები უნდა იქნას გამოყენებული, ხოლო დეტალური აღწერა გათვალისწინებული უნდა

იქნას საკითხთა სექციაში. შესავლის მოშზადებისას, რეკომენდებულია, რომ ავტორმა:

- არ მიუთითოს ზედმეტი დეტალები თარიღებთან, დროსთან, ადგილებთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით
- არ გამოიყენოს გრძელი წინადადებები საკითხების აღწერის მიზნით
- არ მოახდინოს მომჩივნის ციტირება და არ გამოიყენოს სხვა სამართლებრივი ფრაზები
- შესავალი უნდა იყოს მოკლე
- გადაწყვეტილება მკაფიოდ და ვიზუალურად აღქმადი ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი

8.3.2 საკითხების აღწერა

გადასაწყვეტი საკითხების განსაზღვრა წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს.

საკითხთა ფორმულირება განსაზღვრავს არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივ გარემოებებს და შესაბამის სამართლებრივ პრინციპებს. ტრიბუნალის წევრებს არ მოეთხოვებათ საჩივარში წარმოდგენილი საკითხების

განხილვა, თუ რომელიმე მათგანს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა შედეგისთვის, ან გამოიყენონ მომჩივნის მიერ მითითებული სამართლებრივი კვალიფიკაცია.¹⁹⁸ ტრიბუნალის წევრებს აქვთ უფლებამოსილება, თავად აღწერონ საკითხები, მაშინაც კი, თუ აღნიშნული განსხვავდება საჩივარში წარმოდგენილი საკითხების აღწერისგან.

ტრიბუნალის წევრის მოვალეობაა, გადაწყვიტოს წამოჭრილი საკითხები

და ანალიზში შეიტანოს შესაბამისი შესწორებები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტრიბუნალმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ აქვს მომჩივნისგან განსხვავებული მოსაზრება რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, თუ რომელ ქმედებას ან გადაწყვეტილებას ხდის სადავოდ მომჩივანი, ამ გადაწყვეტილების ან ქმედების საფუძვლები და რატომ არის ისინი სადავო.¹⁹⁹ უნდა მოხდეს თითოეული საკითხის მკაფიოდ გამოყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება არ იქნება მკაფიო და დამაჯერებელი. ამავდროულად, გადაწყვეტილება, შესაძლოა, არა მხოლოდ მომჩივნის მიერ წამოჭრილ საკითხებს შეეხებოდეს, არამედ, ასევე, იმ საკითხებს, რომელიც ტრიბუნალის მოსაზრებით, დისპოზიციური და მნიშვნელოვანია.

ის საკითხები, რომელთა განხილვაც ტრიბუნალის მოსაზრებით არ არის აუცილებელი, თუმცამათზე დაჟინებულად მიუთითებს მომჩივანი, მხოლოდ აუცილებლობის ფარგლებში უნდა იქნას განხილული, რათა დადასტურდეს, რომ მოხდა მათი გათვალისწინება.²⁰⁰ ქვემოთ

წარმოდგენილია სამი მაგალითი იმ საქმეებისა, სადაც გარკვეული საკითხების გამოტოვება შესაძლებელია.

მაგალითები

1. მომჩივნის დისკვალიფიკაცია მოხდა წინადადების დაგვიანებით წარდგენის გამო. შესაბამისად, მომჩივნის წინადადება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არ განხილულა. მომჩივანმა ტრიბუნალს მიმართა საჩივრით და წარუდგინა არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა მოხდეს მისი წინადადების განხილვა. ვინაიდან შესყიდვების მ ა რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ე ლ ი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წინადადებების წარსადგენად დადგენილი ვადის გადაწევას, ტრიბუნალის წევრმა უნდა განიხილოს მხოლოდ და მხოლოდ წინადადების დაგვიანებით წარდგენის საკითხი. ნებისმიერი სხვა საკითხის განხილვა გადაწყვეტილებას ნაკლებად დამაჯერებელს გაჩნდის.

¹⁹⁸ *Judicial Writing Manual, Federal Judicial Center, 1991, გვ. 14.*

¹⁹⁹ *A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 152.*

²⁰⁰ *Judicial Writing Manual, Federal Judicial Center, 1991, გვ. 17.*

2. მომჩივნის დისკვალიფიკაცია მოხდა იმის გამო, რომ მან საკვალიფიკაციო კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა. მომჩივანი აცხადებს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ დოკუმენტი სათანადოდ ვერ შეაფასა, ხოლო საკვალიფიკაციო კრიტერიუმები არის დისკრიმინაციული. ვინაიდან საკვალიფიკაციო კრიტერიუმების გასაჩივრების ვადა უკვე გასულია, ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მომჩივნის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტების შეფასების საკითხი, თუმცა, მან არ უნდა შეაფასოს თავად კრიტერიუმები.

3. წინადადების წარდგენის შემდგომ, მომჩივანი ვერ გადავიდა მეორე (მოლაპარაკების) ეტაპზე. სატენდერო დოკუმენტაციის თანხმად, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, შესყიდვა განახორციელოს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. შემსყიდველმა ორგანიზაციამ კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება გაუგზავნა ტენდერის მონაწილეებს.

მომჩივანი ითხოვს ტრიბუნალის მიერ კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას. იგი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მეორე ეტაპზე ვერ გადავიდა და ტენდერის შერჩეული მონაწილის მიერ შეთავაზებულ ტექნიკურ გადაწყვეტას. ტრიბუნალმა არ უნდა განიხილოს ხელშეკრულების ტექნიკური მახასიათებლები, ვინაიდან მათი გასაჩივრების ვადა გასულია.

მომდევნო ნაბიჯი გულისხმობს შესაბამისი მარეგულირებელი კანონის და დავის გადანაცვრების გზის იდენტიფიცირებას.²⁰¹ ქვეყნების უმრავლესობაში, სახელმწიფო შესყიდვებს მხოლოდ ერთი კანონი არეგულირებს.

საკითხებზე მითითება, შესაძლოა, უსწრებდეს ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას. ამ შემთხვევაში, მკითხველი უფრო უკეთ აღიქვავს ფაქტობრივ გარემოებებს და შეძლებს, გაიანზოოს არსებითი მნიშვნელობის ფაქტები.²⁰² საკითხებზე მითითება განსხვავდება

²⁰¹ A Manual for Ontario Adjudicators, Society for Ontario Adjudicators and Regulators, 2000, გვ. 153.

²⁰² Judicial Writing Manual, Federal Judicial Center, 1991, გვ. 10.

²⁰³ Judicial Writing Manual, Federal Judicial Center, 1991, გვ. 11.

მხარეთა პრეტენზიებზე მითითებისგან. რაც შეეხება მხარეთა პრეტენზიებს, ტრიბუნალმა არ უნდა მოახდინოს მათი ვრცელი განცხადებების გამოორება.²⁰³ ქვემოთნარმოდგენილია ხუთი მაგალითი, რომელიც შეიცავს ტრიბუნალის მიერ განსახილველ საკითხებს.

მაგალითები

1. ტრიბუნალმა უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად საკმარისია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის საგნის აღწერა, რათა ტენდერის მონაწილეებმა ადეკვატურად შეაფასონ კონტრაქტის შესასრულებლად განსახორციელებელი სამუშაო. იმ შემთხვევაში, თუ აღწერა არ არის საკმარისი, ტრიბუნალმა უნდა მოახდინოს მთლიანი ტენდერის ანულირება.
2. ტრიბუნალმა უნდა იმსჯელოს, არღვევს თუ არა ტენდერის შესახებ განცხადებაში წარმოდგენილი ტექნიკური სპეციფიკაციები ტექნიკურ ნორმებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს სპეციფიკაციები ტენდერის პირობების შემადგენელი ნაწილი ვერ იქნება. თუ დარღვევა დადასტურდა, ტრიბუნალმა უნდა მოახდინოს შესაბამისი კრიტერიუმების გაუქმება.
3. ტრიბუნალმა უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად დასაშვებია შესყიდვის მეთოდის სახით მოლაპარაკების პროცედურის გამოყენება, განცხადების გამოქვეყნების გარეშე, როდესაც საქმე ეხება 100,000 ევროზე მეტი ღირებულების მქონე მომსახურების მიწოდებას. თუ ტრიბუნალი დაადგენს, რომ აღნიშნული დაუშვებელია, ტენდერი უნდა შეწყდეს.
4. ტრიბუნალმა უნდა იმსჯელოს მომჩივნის წინადადების უარყოფის თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხზე. თუ ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, იგი უნდა ანულირდეს, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელახლა უნდა შეაფასოს მომჩივნის წინადადება.
5. ტრიბუნალმა უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული პრეტენდენტი. თუ ტრიბუნალი დაადგენს, რომ გამარჯვებული პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

8.3.3 არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების აღწერა

არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების აღწერა მოიცავს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად. ვინაიდან გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს და მან, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ტენდერის მონაწილეებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების სამომავლო ქცევაზე, გადაწყვეტილებაში სრულად უნდა იქნას აღწერილი არსებითი მნიშვნელობის ფაქტები, რათა მესამე მხარემ შეძლოს, გაიზაროს ტენდერისა და საჩივრის ბუნება.

საკითხების ზუსტად განსაზღვრა შეამცირებს იმ ფაქტების რაოდენობას, რომელიც აღწერილი უნდა იქნას გადაწყვეტილებაში. აღნიშნულის სანაცვლოდ, გადაწყვეტილება ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ რელევანტურ ფაქტებზე. ამრიგად, გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფაქტები, ხოლო არა-რელევანტური ფაქტები გამოტოვებული უნდა იქნას. ავტორმა არ უნდა მიბაძოს მხარეების მიერ გამოყენებულ სტრუქტურას, არამედ, საკუთარი სტრუქტურა უნდა შეიმუშავოს. როგორც წესი, სასურველია, ფაქტები ქრონოლოგიურად იქნას წარმოდგენილი. შესაძლებელია

გარკვეული ნაწილების გადმოტანა სატენდერო დოკუმენტიდან, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებებიდან, წერილებიდან ან იმეილებიდან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ინტერპრეტაციისთვის და გააზრებისთვის აუცილებელია ამ დოკუმენტიდან ზუსტი ფორმულირების ნაკითხვა.

ავტორ(ებ)მა უნდა მიუთითონ, თუ რომელი მტკიცებულება ადასტურებს წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და აღწერონ, თუ რატომ მომდინარეობს ეს ფაქტობრივი გარემოებები ხელმისაწვდომი მტკიცებულებებიდან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულება.

8.3.4 შესაბამისი კანონმდებლობის მიმოხილვა

არ არის საჭირო, რომ გადაწყვეტილების ტექსტი შეიცავდეს სპეციალურ სექციას კანონმდებლობის შესახებ. ტრიბუნალების უმეტესობა ანალიზის სექციაში მიუთითებს, თუ რომელი კანონმდებლობა იქნა გამოყენებული და რა წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველს. თუმცა, ზოგიერთი ტრიბუნალი ცალკე სექციას უთმობს კანონმდებლობას, სადაც შეფასებულია მომჩივნის მიერ დასაშვებობის კრიტერიუმების

დაკმაყოფილება (რაც მნიშვნელოვანია, თუ დასაშვებობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს აწესებს) და სხვა ფორმალური საკითხები, როგორცაა, მაგალითად, ვადების დაცვა.²⁰⁴ ამ სექციაში, ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს კანონთან დაკავშირებული საკითხები. ეს საკითხები, შესაძლოა, იყოს ფართო და მოიცავდეს განსჯადობის საკითხს და საჩივრის მიერ შესაბამისი ფორმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

8.3.5 ანალიზი - სამართლის შეფარდება

8.3.5.1 ზოგადი ანალიზი

ანალიზი გადაწყვეტილების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. იგი უნდა ახდენდეს იმის დემონსტრირებას, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილება არის დასაბუთებული და ლოგიკური. იგი მხარეებს უნდა არწმუნებდეს ტრიბუნალის დასკვნების სისწორეში, მსჯელობის გზით და არა არგუმენტების ან დარწმუნების გზით. მიუხედავად იმისა, რომ არ არის აუცილებელი, გადაწყვეტილება მხარეთა

თითოეულ არგუმენტს პასუხობდეს, ანალიზი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ წაგებული მხარე დარწმუნდეს, მისი ძირითადი არგუმენტები სრულად იქნა გათვალისწინებული.²⁰⁵

ტრიბუნალზეა დამოკიდებული, თუ რა თანმიმდევრობით განიხილავს საჩივართან დაკავშირებულ საკითხებს. ტრიბუნალმა უნდა განიხილოს მხოლოდ ის საკითხები, რომელიც საქმისათვის რელევანტურია და რომელზეც მიუთითებს შესავალი ნაწილი (გადაწყვეტილების პირველი ნაწილი). რამოდენიმე საკითხის არსებობის შემთხვევაში, ისინი ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა იქნას განხილული.²⁰⁶ ზოგადად, პირველ რიგში, გადაწყვეტილება განიხილავს იურისდიქციის და საჩივრის დასაშვებობის საკითხებს. მაგალითად, აქვს თუ არა ტრიბუნალს საჩივრის გადაწყვეტის უფლებამოსილება, არის თუ არა საჩივარი მის იურისდიქციაში, საჩივრის შეტანამდე მიმართა თუ არა მომჩივანმა შემსყიდველ ორგანიზაციას, დაცული იქნა თუ არა საჩივრის შეტანის ვადები, რამდენად აკმაყოფილებს საჩივარი შესაბამის მოთხოვნებს და ა.შ.

²⁰⁴ მაგალითად, იხ. ECJ-ის გადაწყვეტილება, 2009 წლის 23 დეკემბერი, *Commission/Ireland (C-455/08, ECR 2009 p. I-225*, და ECJ-ის გადაწყვეტილება, 2010 წლის 28 იანვარი, *Uniplex (UK, (C-406/08, ECR 2010 p. I-817)*.

²⁰⁵ *Judicial Writing Manual, Federal Judicial Center, 1991*, გვ. 10.

²⁰⁶ *J.C. Raymond, The Architecture of Argument, The Judicial Review: Journal of the Judicial Commission of New South Wales, 7, 2004*, გვ. 46.

საჭიროების შემთხვევაში, ტრიბუნალმა, შესაძლოა, ასევე, მიუთითოს მის წინა გადაწყვეტილებებზე, რომელიც წინამდებარე საქმისთვის რელევანტურია. ვინაიდან ტრიბუნალების მიერ გადაწყვეტილების მიღება არ ეფუძნება პრეცედენტებს, ტრიბუნალმა წინა გადაწყვეტილებებზე მითითება უნდა გამოიყენოს გადაწყვეტილებაში უკვე წარმოდგენილი არგუმენტების გასამყარებლად. მეორეს მხრივ, რეკომენდებულია, რომ ტრიბუნალმა მსგავს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენოს ერთი და იგივე მიდგომა და აღნიშნულის დემონსტრირება მოახდინოს წინა გადაწყვეტილებებზე მითითებით.²⁰⁷ ეს გადაწყვეტილებები, თავის მხრივ, გამოყენებული უნდა იქნას ეკონომიკური ოპერატორებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, სახელმძღვანელოდ.

8.3.5.2 ანალიზის მომზადება

ტრიბუნალმა უნდა შექმნას გადაწყვეტილების მომზადების საკუთარი უნიკალური სტრუქტურა. თუ გადაწყვეტილების სტრუქტურა მიჰყვება მომჩივნის ან შემსყიდველი

ორგანიზაციის არგუმენტებს, გადაწყვეტილება, შესაძლოა, ბუნდოვანი გაახდეს და დაიკარგოს ტრიბუნალის არგუმენტები. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია, რომ ტრიბუნალმა თავად შექმნას საჩივართან დაკავშირებული საკითხების ლოგიკური ჩარჩო და ამ ჩარჩოში გარკვეული სივრცე გამოყოს მხარეთა არგუმენტებისთვის.²⁰⁸ მნიშვნელოვანია, რომ ტრიბუნალმა შეაფასოს ყველა ის არგუმენტი, რომელიც განსახილველ საკითხს უკავშირდება.

8.3.5.3 ანალიზის სტრუქტურა

სასურველია, რომ ანალიზის სტრუქტურა იყოს მკაფიო, მაგალითად:

1. მომჩივნის არგუმენტ(ებ)ი.
2. შემსყიდველი ორგანიზაციის არგუმენტ(ებ)ი.
3. დავის სხვა მხარეთა არგუმენტები
4. დასკვნა/დასკვნები

²⁰⁷ იმისათვის, რომ ერთი და იგივე საკითხები ერთნაირად იქნას გადაწყვეტილი, სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად.

²⁰⁸ Edward Berry, *Writing Reasons, A Handbook for Judges*, E-M Press, 2007, გვ. 53.

მხარეთა არგუმენტები უნდა იყოს მოკლედ წარმოდგენილი, რადგან ანალიზის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის ტრიბუნალის დასკვნა. ამავდროულად, მხარეებმა უნდა დაინახონ, რომ ტრიბუნალმა მათი არგუმენტები სამართლიანად და მყარად შეაფასა. ზოგადად, არგუმენტების სტრუქტურა უნდა იყოს შემდეგნაირი:

1. ერთმა მხარემ განაცხადა X.
2. მეორე მხარემ განაცხადა Y.
3. ტრიბუნალმა განაცხადა X (ან Y, ან, საერთოდ, Z).²⁰⁹

მაგალითი

- მომჩივანი: წინადადების უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება იყო არასწორი. შემსყიდველ ორგანიზაციას ტენდერის მონაწილისათვის უნდა ეთხოვა ახსნა-განმარტებების წარდგენა ფასებთან დაკავშირებით.
- შემსყიდველი ორგანიზაცია: არ იყო აუცილებელი, მომჩივნისთვის ფასებთან

დაკავშირებით ახსნა-განმარტების წარდგენის თხოვნა, რადგან ფასები იყო უჩვეულოდ დაბალი, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ტენდერის სხვა მონაწილეების მიერ წარმოდგენილი ფასებისგან, ხოლო ამ განსხვავების ახსნას მომჩივანი ვერ შეძლებდა.

- დასკვნა: ტრიბუნალის მოვალეობაში არ შედის წინადადებების შეფასება. მომჩივნის წინადადებასა და სხვა წინადადებებს შორის არსებული ფასთა სხვაობა იმდენად მაღალი იყო, რომ ამან წარმოშო ეჭვები უჩვეულოდ დაბალ ფასებთან დაკავშირებით. ამავდროულად, შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა მიემართა წინააღმდეგობრივი პროცედურისთვის (*contradictory procedure*), დაბალი ფასების შესაფასებლად. უჩვეულოდ დაბალი ფასის შესახებ პრეტენზიის გადაწყვეტა შეუძლებელია შესყიდვის დოკუმენტების საფუძველზე, არამედ, შემსყიდველმა ორგანიზაციამ აღნიშნული უნდა შეაფასოს წინააღმდეგობრივი პროცედურის გამოყენებით.

²⁰⁹ J.C. Raymond, *The Architecture of Argument, The Judicial Review: Journal of the Judicial Commission of New South Wales*, 7, 2004, გვ. 45.

არ არის აუცილებელი, რომ ტრიბუნალმა გაიმეოროს მხარეების არგუმენტები, თუ იგი მოკლედ მიმოიხილავს საჩივარს და მხარეთა მიერ წარდგენილ ახსნა-განმარტებებს. საკმარისია დავის საგნის განხილვა და ტრიბუნალის მიერ იდენტიფიცირებულ რელევანტურ საკითხზე პასუხის გაცემა.

დასკვნის გაკეთება განსხვავდება ფაქტების მითითებისგან. თუ მხარეებს განსხვავებული პოზიცია აქვთ მტკიცებულებებთან და ფაქტებთან დაკავშირებით, ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს მხარეთა არგუმენტები მანამ, სანამ მიუთითებს ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელსაც ეფუძნება გადაწყვეტილება. ავტორს სრულად უნდა ესმოდეს, რომ ფაქტები დასკვნის საფუძველია, თუმცა, ისინი დასკვნის საგანს არ წარმოადგენს.

დასკვნა გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ტრიბუნალისათვის არ აქვს სავალდებულო ძალა რომელიმე მხარის მოსაზრებას, არამედ, იგი თავად განსაზღვრავს საკითხის გადაწყვეტის გზას. დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს მითითებულ ფაქტებს. ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ფასდება დასკვნა ითვალისწინებს შემდეგს: დასკვნა უნდა მომდინარეობდეს

ფაქტებისგან და ლოგიკის წესების გამოყენების საფუძველზე სამართლის შეფარდებისგან.

ამასთან, დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. თუ ტრიბუნალი საკუთარ დისკრეციას იყენებს, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების მიზეზები მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი. შესაბამისად, არ არის მნიშვნელოვანი, რომ ტრიბუნალი მხარეთა არგუმენტებს მისდევდეს, რადგან მხარეთა მიზანია, ტრიბუნალი დაარწმუნონ თავიანთი პოზიციის სისწორეში და დაიცვან თავიანთი პოზიცია. ტრიბუნალის წევრმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ საჩივრის და ახსნა-განმარტებების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ტრიბუნალის დარწმუნება, მაშინ, როდესაც ტრიბუნალის მიზანია არა სუბიექტური პოზიციის დაცვა, არამედ, ობიექტური მოსაზრების ჩამოყალიბება.

ამრიგად, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებები, მაგრამ გააკეთოს საკუთარი დასკვნები. აღნიშნული უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებს და მომდინარეობდეს სამართლის შეფარდებიდან. დასკვნის მომზადების პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ ტრიბუნალის წევრმა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- მიუთითოს შესაბამის კანონზე
- მიუთითოს რელევანტურ ფაქტებზე
- გააკეთოს დასკვნა სამართლის ფაქტებთან შეფარდებასთან დაკავშირებით

ამავდროულად, ლაკონური არ ნიშნავს მოკლეს. კერძოდ, მოკლე უკავშირდება სიტყვების 'დაზოგვას', ხოლო ლაკონური კი თითოეული სიტყვისათვის მნიშვნელობის მინიჭებას. ზოგიერთ შემთხვევაში, მკითხველს უფრო მეტი სიტყვა სჭირდება, რათა გაიაზროს რთული კონცეფცია ან დაეთანხმოს რთულ გადანწყვეტილებას.²¹⁰ რჩევები ლაკონურად წერასთან დაკავშირებით:

8.4 სტილი და გადახედვა

8.4.1 ლაკონური გადანწყვეტილება

კარგი გადანწყვეტილება ჩამოყალიბებულია ლაკონურად. კარგად გააზრებული გადანწყვეტილებები, როგორც წესი, უფრო მოკლეა, ვიდრე ნაჩქარევად მომზადებული გადანწყვეტილებები. კერძოდ, ნაჩქარევად მომზადებული გადანწყვეტილება, შესაძლოა, შეიცავდეს ბევრ ბალასტს და წინადადებებს, რომელიც გადანწყვეტილებას რაიმე ღირებულებას ან სარგებელს არ სძენს. გადანწყვეტილების მომზადებისას საჭიროა სიფრთხილე და ყურადღება, რათა ასეთი შედეგი თავიდან იქნას აცილებული. ლაკონური გადანწყვეტილების მისაღებად, შესაძლოა, საჭირო იყოს ტექსტის რამოდენიმეჯერ გადახედვა.

- შემოკლეთ მტკიცებულებები და ფაქტები. წარმოადგინეთ მხოლოდ იმ სამართლებრივი პ რ ო ბ ლ ე მ ი ს თ ვ ი ს რელევანტური მტკიცებულება, რომელიც საჩივრის საგანს წარმოადგენს
- გამოიყენეთ ციტატები იმ შემთხვევაში, თუ მოკლე მითითება ან პერიფრაზი არასაკმარისია. ციტატის გამოყენება საჭიროა, თუ არსებითი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტში წარმოდგენილ ზუსტ სიტყვებს - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე

²¹⁰ Edward Berry, *Writing Reasons, A Handbook for Judges*, E-M Press, 2007, გვ. 66.

ეხება კანონმდებლობას და ტენდერის დოკუმენტებს - და, ასევე, თუ ორიგინალი უფრო მკაფიო და ლაკონურია, ვიდრე პერიფრაზი.

- არ მიუთითოთ ის, რაც ისედაც აშკარაა
- არ გამოიყენოთ ბევრი ციტატა
- არ განმარტოთ კარგად ცნობილი სამართლებრივი პრინციპები. სამართლებრივი პრინციპები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოიყვანეთ.
- მარტივი არგუმენტები არ საჭიროებს ვრცელ განმარტებას.
- მოერიდეთ გამეორებას
- მოერიდეთ ვნებითი გვარის გამოყენებას
- მოერიდეთ ორმაგ უარყოფას
- მოერიდეთ სამართლებრივ ჟარგონს
- გრძელი წინადადებები პატარა წინადადებებად დაყავით, რომელთა გააზრებაც უფრო ადვილია.

- გადახედვის დროს ყურადღება მიაქციეთ განსახილველ საკითხებს, ფაქტებს, ციტატებს, არგუმენტებს და მაქსიმალურად ლაკონურად ჩამოაყალიბეთ ისინი. აღნიშნულის მოცულობა დამოკიდებული იქნება საქმეში განსახილველ საკითხებზე. გადახედვის დროს მნიშვნელოვანი საკითხია იმის იდენტიფიცირება, თუ რომელი ტექსტის ამოღებაა შესაძლებელი არგუმენტების დაზიანებისა და დასუსტების გარეშე.²¹¹

ტრიბუნალის წევრს, შესაძლოა, საქმის შედეგი არ მოსწონდეს, თუმცა, იგი ვალდებულია გადანყვეტილება შეადგინოს ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონის შესაბამისად.

8.4.2 აბზაცი

ერთი აბზაცი ერთ იდეას უნდა ასახავდეს. მასში წარმოდგენილი მოსაზრებები უნდა იყოს ერთიანი

²¹¹ Following Edward Berry, *Writing Reasons, A Handbook for Judges*, E-M Press, 2007, გვ. 66-68.

და თანმიმდევრული და ეფექტურად უნდა უკავშირდებოდეს წინა და მომდევნო აბზაცებს. აბზაცი ნელ-ნელა უნდა ვითარდებოდეს.²¹² რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აბზაცის დასაწყისში ძირითადი საკითხი უნდა იყოს წარმოდგენილი, რათა მკითხველს შეეძლოს წარმოდგენა აბზაცის შინაარსზე. მომდევნო სექციაში მოყვანილია გადაწყვეტილების მაგალითი, რომელშიც ტექსტი რამოდენიმე აბზაცად არის დაყოფილი.

მაგალითები

1. 'შიუხედავად იმისა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს დისკრეცია, განსაზღვროს საკუთარი საჭიროებები და მათი დაკმაყოფილების საუკეთესო გზები, შემსყიდველ ორგანიზაციას შემზღუდავი მოთხოვნების გათვალისწინება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საჭიროა მისი ლეგიტიმური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შემზღუდავი მოთხოვნების დასაბუთების ადეკვატურობა მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად გონივრულია შემსყიდველი ორგანიზაციის

ახსნა-განმარტება, ე.ი. ახსნა-განმარტება რამდენად 'აიტანს' ლოგიკურ შემოწმებას.'

2. 'რაც შეეხება კომპიუტერებისა და მონიტორების ერთი მწარმოებლის შესახებ მოთხოვნას, შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს, რომ მას აქვს ლეგიტიმური საჭიროება, მოახდინოს საინფორმაციო ტექნოლოგიური მოთხოვნების სტანდარტიზება. კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს, რომ სტანდარტიზაცია შეამცირებს შემსყიდველი ორგანიზაციის საოპერაციო ხარჯებს და უზრუნველყოფს საერთო გარემოს, რაც, როგორც წესი, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა.'

3. 'მომჩივანი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ერთი მწარმოებლის სტანდარტიზებული კომპიუტერები და მონიტორები შეამცირებს შემსყიდველი ორგანიზაციების ხარჯებს და სხვა ხელშესახებ სარგებელს მოუტანს მას. მომჩივანი აცხადებს, რომ აღნიშნული

²¹² Edward Berry, *Writing Reasons, A Handbook for Judges*, E-M Press, 2007, გვ. 76.

მოთხოვნით მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული თვალსაზრისით არის ხელსაყრელი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.’

4. 'ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ჩანაწერები არ შეიცავს ანალიზს ან დოკუმენტაციას, რომელიც მხარს უჭერს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სტანდარტიზაციის შესახებ წამოყენებულ მოთხოვნის დასაბუთებას. აღნიშნული მოთხოვნის გასამყარებლად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტის მენეჯერის ახსნა-განმარტება. თუმცა, პროექტის მენეჯერი არ მიუთითებს რაიმე ანალიზზე ან კვლევაზე, რომლის თანახმადაც სტანდარტიზაციის მოთხოვნა აუცილებელია კონკრეტული სარგებელის მისაღებად. დოკუმენტაციის ან ახსნა-განმარტებების გარეშე, რომელიც დაადასტურებს, რომ კონკურსში

გათვალისწინებული შეზღუდვა ხელს უწყობს კონკრეტული სარგებელის მიღებას, ტრიბუნალი ვერ მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება აღნიშნულ შეზღუდვასთან დაკავშირებით არის გონივრული.

8.4.3 სათაურების გამოყენება

თუ გადანყვეტილება მხოლოდ 2-3 გვერდია, სათაურები არ არის საჭირო. ვრცელი ტექსტის შემთხვევაში კი უაღრესად მნიშვნელოვანია სათაურები, განსაკუთრებით იმ მკითხველებისთვის, რომლებიც ტრიბუნალის გადანყვეტილებებს სწრაფად კითხულობენ.^{213 214} თუ გადანყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს, სათაურები საჭირო ინფორმაციის სწრაფად მოძიებას და გადანყვეტილების არსის სამომავლოდ გამოყენებას უწყობს ხელს.

არსებობს სათაურების ორი ტიპი: ზოგადი და სპეციფიური. ზოგადი სათაურები წარმოდგენილია ნებისმიერი ტიპის გადანყვეტილებაში

²¹³ GAO-ს გადაწყვეტილება საქმეში NCS Technologies, Inc., 2010 წლის 8 ნოემბერი. გადაწყვეტილების გამოყენებული მონაკვეთები ადაპტირებულია წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნების შესაბამისად.

²¹⁴ J.C. Raymond, *The Architecture of Argument, The Judicial Review: Journal of the Judicial Commission of New South Wales*, 7, 2004, გვ. 47.

და მოიცავს: შესავალი, განსახილველი საკითხები, ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, შესაბამისი კანონმდებლობა, ანალიზი და დასკვნები. ეს სათაურები მკითხველს საშუალებას აძლევს, ადვილად მოძებნოს მისთვის საინტერესო სექცია. ამავდროულად, ზოგადი სათაურები არის ბუნდოვანი, რადგან მკითხველს არ აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას მოცემული საქმის შესახებ. შესაბამისად, უმჯობესია ისეთი სათაურების გამოყენება, რომელიც კონკრეტული გადაწყვეტილების შინაარსს ასახავს. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სპეციფიური და ზოგადი სათაურების გაერთიანებით.²¹⁵

მაგალითი

ტიპური სათაურები შესყიდვების საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც წინადადების შეფასებას შეეხება.

1. **შესავალი** (თუ გსურთ, რომ გქონდეთ შესავალი სექცია)
2. **განსახილველი საკითხები** (თუ გსურთ, რომ გქონდეთ განსახილველი საკითხების სექცია)
3. **ფაქტობრივი გარემოებები**

4. **შესაბამისი კანონმდებლობა** (თუ გსურთ, რომ გქონდეთ შესაბამისი კანონმდებლობის სექცია) ტრიბუნალის იურისდიქცია საჩივრის დასაშვებობა

5. **ანალიზი** (ან მსჯელობა) წინადადების დასაშვებობის კრიტერიუმები კრიტერიუმები ფასის შესაფასებლად ტენდერის მონაწილეთა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი

სპეციფიური სათაურები, შესაძლოა, იყოს კიდევ უფრო ზუსტი და მიუთითებდეს კონკრეტულ საკანონმდებლო დებულებაზე ან საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

8.4.4 გადახედვა

გადაწყვეტილების პირველადი ვერსიის მომზადების შემდეგ საჭიროა მისი გადახედვა, რათა გადაწყვეტილება აკმაყოფილებდეს ყველა შესაბამის კრიტერიუმს. ქვემოთ წარმოდგენილია სხვადასხვა ეტაპები, რომელიც გადაწყვეტილების გადახედვის დროს აღნიშნული მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

²¹⁵ Edward Berry, *Writing Reasons, A Handbook for Judges*, E-M Press, 2007, გვ. 47.

პრაქტიკაში, მოსამართლეები და ტრიბუნალის წევრები, ხშირად, ისეთი გადაწყვეტილების მომზადებამდე, რომელიც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, გადაწყვეტილების გადახედვას ახდენენ ორ-სამჯერ.

პირველი ეტაპი

დაფიქრდით თქვენს აუდიტორიაზე. რამდენად დამაჯერებელია გადაწყვეტილება შემსყიდველი ორგანიზაციისთვის და მომჩივნისთვის? რამდენად მკაფიოა იგი სხვა შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ტენდერის მონაწილეებისათვის, რომლებიც მსგავს პრობლემებს აწყდებიან?

მეორე ეტაპი

წაკითხეთ შესავალი. დასვით შემდეგი კითხვები:

- მოვახდინე მხარეთა იდენტიფიცირება?
- მოვახდინე საქმის ბუნების იდენტიფიცირება?
- მივუთითე განსახილველ საკითხზე ან საკითხებზე?

თუ ამ კითხვებზე პასუხი არის უარყოფითი, საჭიროა მეტი ანალიზი და გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

მესამე ეტაპი

მთლიანი გადაწყვეტილება სწრაფად გადაიკითხეთ. თქვენს თავს ჰკითხეთ, რამდენად ეფექტურია გადაწყვეტილების სხვადასხვა სექციების თანმიმდევრობა. მაგალითად:

- რამდენად მკაფიოა ზოგადად, გადაწყვეტილების სტრუქტურა?
- რამდენად ლოგიკური და დამაჯერებელია არგუმენტების თანმიმდევრობა?
- რამდენად ეფექტურია განსახილველი საკითხების შესახებ სექციის სათაური?
- რამდენად საჭიროა ცალკე სექცია მტკიცებულებებზე?
- სტრუქტურა პირდაპირ უკავშირებს მტკიცებულებას განსახილველ საკითხებს?

მეოთხე ეტაპი

განსახილველ საკითხებზე მითითებისა და გადაწყვეტილების სტრუქტურის მომზადების შემდეგ, შესაძლებელია, ამოიღოთ ტექსტის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც გადაწყვეტილებას არაფერს მატებს. დასვით შემდეგი კითხვები:

- საჭიროზე მეტი ფაქტები ხომ არ წარმოვადგინე?

- ზედმეტად ხომ არ გავამახვილე ყურადღება მეორეულ საკითხებზე?
- ბევრი ხომ არ ვწერე ისეთი საკითხების შესახებ, რომელიც ისედაც აშკარაა?
- ზედმეტი ციტატები ხომ არ მოვიყვანე?
- რამდენად ეფექტურია აბზაცების სტრუქტურა?

მეხუთე ეტაპი

საჭიროების შემთხვევაში, შეიტანეთ ცვლილებები გადანყვეტილების ტექსტში. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რამდენად მკაფიოდ არის საკითხები წარმოდგენილი, არგუმენტების სტრუქტურასა და ლაკონურობაზე.

მეექვსე ეტაპი

დარწმუნდით ტექსტის გამართულობაში - მაგალითად, შეამოკლეთ ზედმეტად გრძელი წინადადებები.²¹⁶

მეშვიდე ეტაპი

და ბოლოს, შეამოწმეთ მართლწერა.

8.5 რეზიუმე

თითოეული გადანყვეტილება უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს მთლიანად ტრიბუნალის ან ტრიბუნალის მიერ ნომინირებული წევრის ხელმძღვანელობის ქვეშ. იმისათვის, რომ გადანყვეტილების ტექსტი ზუსტად ასახავდეს ტრიბუნალის მოსაზრებებს და ტრიბუნალის წევრების მიერ საგულდაგულოდ შესრულებულ სამუშაოს გადანყვეტილების მისაღებად, საჭიროა მტკიცე მეთოდოლოგიის გამოყენება გადანყვეტილების ტექსტის მოსამზადებლად, დასამტკიცებლად და გამოსაქვეყნებლად. ტექსტის მომზადების დაწყებამდე, ავტორი უნდა დაფიქრდეს, თუ რას უნდა გამოხატავდეს გადანყვეტილება და როგორ. აზრების ორგანიზების მიზნით, ავტორ(ებ)მა უნდა მოამზადოს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების და განსახილველი საკითხების მონახაზი, რომელიც უნდა მოიცავდეს: ძირითად საკითხს ან საკითხებს; ხელმისაწვდომი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს; შესაბამისი კანონმდებლობის აღწერას და ამ კანონმდებლობის ფაქტებთან შეფარდებას, რის შედეგადაც მიღებულ იქნა გადანყვეტილება.

²¹⁶ ადაპტირებულია, წყარო: Edward Berry, *Writing Reasons, A Handbook for Judges*, E-M Press, 2007, გვ. 150-152.

წინამდებარე თავში წარმოდგენილია გადაწყვეტილების სტრუქტურის რამოდენიმე ვარიანტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრუქტურები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ნებისმიერ სტრუქტურას საერთო უნდა ჰქონდეს შემდეგი ელემენტები: შესავალი - მკითხველს წარმოდგენას უქმნის დავისა და დავის მხარეების შესახებ; დავის საგანი - საქმისა და გადაწყვეტილების პროცედურული ასპექტები; განსახილველი საკითხები - არსებითი ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი სამართლებრივი პრინციპები; საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებების აღწერა - გადაწყვეტილება საკმარისად უნდა აღწერდეს საქმეს, რათა ნებისმიერმა მხარემ შეძლოს, გაიაზროს ტენდერისა და საჩივრის ბუნება; შესაბამისი კანონმდებლობის მიმოხილვა - დააკმაყოფილა თუ არა მომჩივანმა დასაშვებობის კრიტერიუმები; ანალიზი - დემონსტრირება იმისა, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილება ეფუძნება მსჯელობას და ლოგიკას. მან მხარეები უნდა დაარწმუნოს ტრიბუნალის გადაწყვეტილების სისწორეში; და ინსტრუქციები - ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ტრიბუნალს სურს, რომ გადასცეს მკითხველს.

ტრიბუნალმა გადაწყვეტილების მომზადებისას ყურადღება უნდა მიაქციოს წერის სტილს.

მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება იყოს ლაკონური და ყოველ სიტყვას ჰქონდეს მნიშვნელობა. საჭიროა გადაწყვეტილების რამდენჯერმე გადახედვა, რის ძირითად მიზანსაც ლაკონურობა უნდა წარმოადგენდეს. პირმა, რომელიც ახორციელებს გადაწყვეტილების პროექტის გადახედვას, უნდა გაითვალისწინოს განსახილველი საკითხები, ფაქტები, ციტატები და არგუმენტები, რომელთა მოცულობაც დამოკიდებული იქნება საჩივართან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე. გადახედვისას მნიშვნელოვანია იმ ტექსტის იდენტიფიცირება, რომლის ამოღებაც შესაძლებელია ისე, რომ ძირითად არგუმენტს არ მიადგეს ზიანი. ავტორს და ტრიბუნალის წევრებს, შესაძლოა, გადაწყვეტილების შედეგი არ მოსწონდეთ, თუმცა, ისინი ვალდებული არიან, გადაწყვეტილება შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონის საფუძველზე მოამზადონ. გადაწყვეტილების გადასინჯვის ბოლო ეტაპზე უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად აკმაყოფილებს გადაწყვეტილების ტექსტი ძირითად კრიტერიუმებს და რამდენად გამოხატავს სათქმელს. პრაქტიკაში, მოსამართლეები და ტრიბუნალის წევრები, ხშირად, ისეთი გადაწყვეტილების მომზადებამდე, რომელიც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, გადაწყვეტილების გადახედვას ახდენენ ორ-სამჯერ.



დანართი I

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული დაცვის სამართლებრივი სისტემის მიმოხილვა

წინამდებარე დანართში თავმოყრილია ინფორმაცია საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული დაცვის სამართლებრივი სისტემის შესახებ. დანართი აღწერს 2020 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედ დავების განხილვის ორგანოს (DRB) და ახალ ორგანოს, რომელიც 2021 წლის 4 იანვრიდან მოქმედებს. იგი, ასევე, მიმოიხილავს დაცვის საშუალებების სფეროში საქართველოში განხორციელებული რეფორმების თანმიმდევრობას.

1. სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში: სამართლებრივი ჩარჩო და შესყიდვების ელექტრონული სისტემა

1.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი

(შემდგომში, „კანონი“) პირველად 1998 წელს იქნა მიღებული, UNCITRAL-ის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოდელური კანონის საფუძველზე. კანონი ითვალისწინებდა ქალაქებზე დაფუძნებულ სახელმწიფო შესყიდვების სისტემას. წლების მანძილზე გაიზარდა საზოგადოების მოთხოვნა სახელმწიფო შესყიდვების მოდერნიზაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველოში აქტუალური გახდა შესყიდვების სისტემის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად განახლების საკითხი.

შესყიდვების სისტემაში კომპლექსური ცვლილებები განხორციელდა 2010 წელს, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის („e-Procurement სისტემა“) დანერგვასთან ერთად. ასევე, განხორციელდა ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში.²¹⁷ ამან ხელი შეუწყო სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის ზრდას, სამართლიან კონკურენციას და მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფციის რისკი.

²¹⁷ 2005 წლის 20 აპრილის კანონი, No 1388-IS

e-Procurement სისტემა ხელს უწყობს კორუფციასთან ბრძოლას, რადგან იგი უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მაღალ დონეს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ინიცირებიდან და დაგეგმვიდან კონტრაქტის მინიჭებამდე და ხელმოწერამდე, კერძოდ:

- შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი ელექტრონულად (მაგალითად, ტენდერის შესახებ განცხადება, სატენდერო დოკუმენტები, სატენდერო კომიტეტის მიერ მიღებული ყველა გადანყვეტილება და ა.შ.). e-Procurement სისტემის საშუალებით, ასევე, ხდება წინადადებების წარდგენა და ხელშეკრულებების ხელმოწერა;
- გაიზარდა საჯარო ბიუჯეტირების პროცესის მონიტორინგის ეფექტურობა. შემსყიდველ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, **e-Procurement სისტემაში** გამოაქვეყნონ შესყიდვების ყოველწლიური გეგმა²¹⁸;
- შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომია არ არეგისტრირებულ მომხმარებლებს (ბიზნესმენები, მოქალაქეები, არა-

სამთავრობო ორგანიზაციები, მედია ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი). ამრიგად, შესყიდვების პროცესზე მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ საჯარო მოხელეებისთვის, არამედ, ასევე, სისტემის ვიზიტორებისთვის;

- სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ელექტრონული სერვისების დაწერვა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია სასარგებლო eGovernment სერვისების დაწერვის გზაზე. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გამარტივების, ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებულ იხარჯების შემცირების და გეოგრაფიული უთანასწორობის აღმოფხვრის შედეგად გაიზარდა კონკურენცია და მნიშვნელოვნად შემცირდა მთავრობის ხარჯები.

კიდევ ერთ გადამწყვეტ ნაბიჯს კორუფციის რისკის შემცირების კუთხით წარმოადგენს **დავების განხილვის საბჭოს (DRB)** შექმნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, რომელიც **ნებისმიერ კომპანიას აძლევს შესაძლებლობას, გაასაჩივროს ტენდერის შედეგები.** დავების განხილვის საბჭოს მიერ

²¹⁸ წინა ფისკალური წლის 20 ნოემბრამდე

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ საერთაშორისო პრაქტიკისთვისაც უნიკალური მოვლენაა. ამგვარმა მიდგომამ უზრუნველყო სამოქალაქო სექტორის მხრიდან პირდაპირი ზედამხედველობა დავების განხილვის ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ზოგადად, წლების მანძილზე, DRB სარგებლობდა მაღალი დონის ნდობით ბიზნესებისა და არა-სამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. თუმცა, მისი ინსტიტუციური მოწყობა, გარკვეულწილად, სადაო იყო, ვინაიდან საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, ერთის მხრივ, დავების განხილვის ფუნქცია, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრის, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგისა და კონსულტირების ფუნქციები ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ინსტიტუციურ დონეზე. 2010 წელს, DRB-ის შექმნისას, ყველა ფუნქციის ერთ ორგანოში კონცენტრირება,

სავარაუდოდ, ყველაზე ეფექტური გზა იყო რეფორმების სფეროში სწრაფი პროგრესის მისაღწევად. ამავდროულად, მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც შესყიდვების სისტემა გახდა უფრო სტაბილური, უფრო ნათლად გამოჩნდა აღნიშნული ფუნქციების გამიჯვნის საჭიროება.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში მიმდინარე რეფორმები უკავშირდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების საჭიროებას, რაც გათვალისწინებულია **ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით**²¹⁹. ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, რომელსაც 2014 წელს მოეწერა ხელი, საქართველომ აიღო ვალდებულება, **2022 წლის სექტემბრამდე** ხუთ ეტაპად მოახდინოს ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დირექტივების მოთხოვნების იმპლემენტაცია²²⁰. დაახლოების პროცესზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. წინამდებარე

²¹⁹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 30.8.2014.

²²⁰ სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე: [http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/StrategyActionPlan/DCFTA_RoadMap_ENG_29-03-16-\(002\).pdf.aspx](http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/StrategyActionPlan/DCFTA_RoadMap_ENG_29-03-16-(002).pdf.aspx)

სახელმძღვანელოზე მუშაობის მომენტისთვის, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტირებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი მოვალეობების ნაწილი. კერძოდ, კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ხაზს უსვამს თანაბარი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპებს და ზრდის სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადებს. ასევე, განხორციელდა შესწორებები დავების განხილვის ახალი ადმინისტრაციული ორგანოს შესაქმნელად (რომელიც დეტალურად არის განხილული მოგვიანებით).

საქართველო, ასევე, იმყოფება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებასთან მიერთების პროცესში (WTO GPA).²²¹ შეთანხმებასთან მიერთების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს შეთანხმების მინიმალური სამართლებრივი სტანდარტების დაკმაყოფილება, მათ შორის, იმ მოთხოვნებისა, რომელიც უკავშირდება

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულ დაცვის საშუალებებს. ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ევროკავშირის დირექტივები (მათ შორის, დაცვის საშუალებების შესახებ დირექტივები) მიჩნეულია, რომ WTO GPA-ს შეესაბამება, მათი იმპლემენტაცია დე-ფაქტოდ უზრუნველყოფს ამ უკანასკნელთან შესაბამისობას. აღნიშნული საკითხების გათვალისწინება მიზანშეწონილია WTO GPA-სთან მიერთების პროცესში.²²²

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა გამოქვეყნებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე²²³ www.spa.ge.

1.2. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა და შესყიდვების პროცედურები

2019 წელს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ძირითადი მარკენებლები იყო:

²²¹ https://www.wto.org/english/tratop_e/gproc_e/gp_gpa_e.htm

²²² https://www.wto.org/english/tratop_e/gproc_e/memobs_e.htm

²²³ <http://procurement.gov.ge/ELibrary/LegalActs.aspx>

ცხრილი 1: სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ციფრებში (2019)²²⁴

საჯარო შესყიდვების საერთო მოცულობა	5,3 მილიარდი ლარი
კონკურენტული, ღია ელექტრონული ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დახარჯული თანხა	4,4 მილიარდი ლარი (82,4%)
სისტემაში დარეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციების რაოდენობა	4 474
eProcurement სისტემაში გამოცხადებული ტენდერების საერთო რაოდენობა	34 216
პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა	2,05
ადგილობრივ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოცულობა და წილი	3,86 მილიარდი (97%)

შესყიდვის ტიპები. შესყიდვების შესახებ კანონი ითვალისწინებს შემდეგ პროცედურებს:

- (i) ელექტრონული ტენდერი
- (ii) კონკურსი
- (iii) კონსოლიდირებული ტენდერი
- (iv) გამარტივებული შესყიდვა

აღნიშნულ ჩამონათვალში, ელექტრონული ტენდერი, კონკურსი და კონსოლიდირებული ტენდერი კონკურენტული პროცედურებია, ე.ი. მათში მონაწილეობის მისაღებად წინადადების წარდგენა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ ეკონომიკურ ოპერატორს.

იმ შემთხვევაში, თუ **შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულება წელიწადში აღემატება 5 000 ლარს**, გამოყენებული უნდა იქნას რომელიმე კონკურენტული პროცედურა. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, გამოაცხადოს **ელექტრონული ტენდერი ან კონკურსი**. ელექტრონული ტენდერის ჩატარება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. თითოეულ მეთოდს აქვს თავისი აბრევიატურა ტენდერის უნიკალურ ნომერში. მე-2 ცხრილში წარმოდგენილია ამ პროცედურების ძირითადი მახასიათებლები.

²²⁴ წყარო: eProcurement სისტემა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის ანგარიში.

ცხრილი 2: სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის ძირითადი მახასიათებლები

კონკურენტული პროცედურის აბრევიატურა	მოკლე აღწერა
SPA	<p>პროცედურა ელექტრონული რევერსიული აუქციონით. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ პრეტენდენტს, რომელმაც წარადგინა წინადადება. აუქციონის დასრულების შემდეგ, სისტემა აჩენს პრეტენდენტების ვინაობას და სატენდერო წინადადებებს. კანონი ითვალისწინებს სატენდერო წინადადებების შეფასებას რიგითობის მიხედვით.</p>
NAT	<p>პროცედურა ელექტრონული რევერსიული აუქციონის გარეშე. ავტომატური რანჟირების სისტემის გამოყენებით (სისტემაში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასების შედარება), e-Procurement სისტემა (ფასების შედარებით) ავტომატურად ავლენს პრეტენდენტების რიგითობას და აჩენს სისტემაში მხოლოდ იმ პრეტენდენტის ვინაობას და სატენდერო წინადადებას, რომელიც რანჟირებაში საუკეთესოა. შემდეგი პრეტენდენტის ვინაობა ხილვადი ხდება მხოლოდ წინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში.</p>
DAP	<p>პროცედურა ელექტრონული რევერსიული აუქციონის გარეშე. ყველა პრეტენდენტის ვინაობა და ტექნიკური წინადადება სისტემაში გამოჩნდება წინადადებების წარდგენის დასრულებისთანავე. ფინანსური წინადადებები გამოჩნდება ტექნიკური წინადადებების შეფასების შემდეგ. რიგითობის მიხედვით შეფასება გათვალისწინებულია მხოლოდ ფინანსური წინადადებების შემთხვევაში.</p>
TEP	<p>ორეტაპიანი პროცედურა ონლაინ რევერსიული აუქციონით, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია პრეტენდენტებს, რომელთაც გაიარეს პრეკვალიფიკაცია. კანონი ითვალისწინებს პრეტენდენტთა მინიმალურ რაოდენობას (ხუთი პრეტენდენტი პირველ ეტაპზე და ორი აუქციონზე) და ფინანსური წინადადებების შეფასებას რიგითობის მიხედვით.</p>

MEP	NAT-ის მსგავსია, თუმცა, გამოიყენება შეფასების მრავლობითი კრიტერიუმები. ავტომატური რანჟირების სისტემა თვითდეკლარირებული მაჩვენებლებით განსაზღვრავს პრეტენდენტების რანჟირებას. პრეტენდენტთა რიგითობა დამოკიდებულია არა მხოლოდ სატენდერო წინადადებების ფასზე, არამედ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სხვა კრიტერიუმებზე და მათ ხვედრით წონებზე. დასაშვებია მხოლოდ თვლადი კრიტერიუმების გამოყენება.
CNT	კონკურსი - პროცედურა, რომლის დროსაც დასაშვებია მხოლოდ უთვლადი კრიტერიუმების გამოყენება. ეს პროცედურა გამოიყენება მხოლოდ საპროექტი, არქიტექტურული, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისას. პრეტენდენტების ვინაობა და ტექნიკური წინადადებები სისტემაში ჩანს წინადადებების წარდგენის დასრულებისთანავე. ტექნიკური წინადადებების შეფასება ხდება ფინანსური წინადადებების შეფასების გარეშე. ფინანსური წინადადებები ჩნდება ტექნიკური წინადადებების შეფასების შემდგომ. პრეტენდენტების რანჟირება ხდება ავტომატურად, ტექნიკურ ქულებზე, ფასებზე და მათ ხვედრით წონებზე დაყრდნობით.

თითულ კონკურენტულ პროცედურას რამოდენიმე ეტაპი (სტატუსი) აქვს, რომელიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული და გამოიყენება e-Procurement სისტემაში. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი მოკლედ აღწერს შესყიდვის სხვადასხვა სტატუსებსა და იმ ქმედებებს, რომელიც დაშვებულია კონკრეტული სტატუსის შემთხვევაში.

ცხრილი 3: შესყიდვის სხვადასხვა სტატუსების (ეტაპების) აღწერა

სტატუსი	მოკლე აღწერა
ტენდერი გამოცხადებულია	ეს სტატუსი მოიცავს ტენდერის პროცესს გამოცხადებიდან წინადადებების მიღების დაწყებამდე. მხოლოდ ამ ეტაპზე აქვს უფლება შემსყიდველ ორგანიზაციას, განახორციელოს ცვლილებები ტენდერის შესახებ განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნა და ტენდერის მოთხოვნების გასაჩივრება მხოლოდ ამ ეტაპზეა შესაძლებელი.

წინადადებების მიღება დაწყებულია	მოიცავს პროცესს, რომლის დროსაც მომწოდებელი წარადგენს წინადადებას და მონაწილეობას იღებს ტენდერში. სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა, დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნა და ტენდერის პირობების გასაჩივრება შეუძლებელია.
შერჩევა/შეფასება	ამ ეტაპზე ხდება ტექნიკური წინადადებების შეფასება და სატენდერო კომიტეტის სხდომის ოქმისა და შესაბამისი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვა.
გამარჯვებული გამოვლენილია	სატენდერო კომიტეტი ადგენს, რომ ერთ-ერთმა პრეტენდენტმა დააკმაყოფილა ტენდერის ყველა მოთხოვნა. შესაბამისი ოქმის ატვირთვა ხდება e-Procurement სისტემაში.
მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება	სტატუსი მოცდის პერიოდში.
ხელშეკრულება დადებულია	საბოლოო სტატუსი, რომლის მინიჭებაც ხდება მოცდის პერიოდის გასვლის შემდეგ და შემსყიდველი ორგანიზაციის ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ გამარჯვებულთან დადებული ხელშეკრულების სისტემაში ატვირთვის შემდეგ.
ტენდერი არ შედგა	საბოლოო სტატუსი, რომლის მინიჭებაც ხდება წინადადებების წარდგენის პერიოდის გასვლის შემდეგ და იმ შემთხვევაში, არც ერთი პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარდგენილი სატენდერო წინადადება.
ტენდერი შეწყვეტილია	საბოლოო სტატუსი, ენიჭება ტენდერს მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიიღებს გადაწყვეტილებას შესყიდვის შეწყვეტის შესახებ და შესაბამის გადაწყვეტილებას ატვირთავს e-Procurement სისტემაში.
დასრულებულია უარყოფითი შედეგით	საბოლოო სტატუსი, ენიჭება ტენდერს მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია მოახდენს ყველა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, ტექნიკური ან საკვალიფიკაციო მიზეზების საფუძველზე და შესაბამის გადაწყვეტილებას ატვირთავს e-Procurement სისტემაში.

კონსოლიდირებული ტენდერი გულისხმობს ცენტრალიზებულად განხორციელებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ (მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ამჟამად წარმოადგენს ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს),²²⁵ ამ პროცედურების უმრავლესობა ითვალისწინებს **ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებას ერთ მომწოდებელთან, ერთი წლის ვადით**. სტანდარტულ პროცედურებთან შედარებით, კონსოლიდირებულ ტენდერებზე განსხვავებული წესები ვრცელდება (მაგ. მონაწილეობის მაღალი საფასური). უნდა აღინიშნოს, რომ კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში, **სატენდერო კომიტეტის გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრებას (2021 წლამდე)** ტენდერის მონაწილეების ან კანდიდატების მიერ.

გამარტივებული შესყიდვა. არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, რომელზეც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

კანონი არ ვრცელდება და გარკვეული შემთხვევები, სადაც გამოიყენება ე.წ. გამარტივებული შესყიდვა (გამარტივებული შესყიდვა არის განცხადების წინასწარ გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების ექვივალენტური, რომელსაც ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ²²⁶).

შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვების გამოყენება შესაძლებელია, როდესაც:

- (i) კონკრეტულ შესყიდვაზე კანონი არ ვრცელდება (მაგალითად, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს);
- (ii) დაბალი ღირებულების შესყიდვის შემთხვევაში, და
- (iii) საგამონაკლისო შემთხვევებში (მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობა).

დაბალი ღირებულების შესყიდვის შემთხვევაში, შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების **ღირებულება ერთ**

²²⁵ სააგენტოს ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 2019 წელში იყო 419 მილიონი ლარი.

²²⁶ ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/25 წელის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და საფოსტო სექტორებში მომუშავე დაწესებულებების მიერ შესყიდვების განხორციელების შესახებ.

ნელინადში არ უნდა აღმატებოდეს 5 000 ლარს, ხოლო ერთგვაროვნება განისაზღვრება CPV კოდის პირველი სამი ციფრით, CPV-ის ძირითად ლექსიკონში (CPV-ჯგუფები).

შესყიდვების შესახებ კანონის მე-101 მუხლი **განსაზღვრავს საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვით.** 2015 წლიდან, ზოგიერთი მათგანი (მაგ. გადაუდებელი აუცილებლობა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობას საჭიროებს. E-Procurement სისტემაში არის სპეციალური მოდული (ე.წ. SMP მოდული), რომელიც შექმნილია შემსყიდველ ორგანიზაციასა და სააგენტოს შორის კომუნიკაციის/თანხმობის მიღების მიზნებისთვის. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უპასუხოს კონკრეტულ კითხვებს მოდულში, ხოლო სააგენტო განაცხადს განიხილავს არა უადრეს ორი და არა უმეტეს სამი დღის მანძილზე და ამავე მოდულის გამოყენებით იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ. შემსყიდველ ორგანიზაციასა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შორის კომუნიკაცია e-Procurement სისტემის ნებისმიერ მომხმარებლისათვის არის ხელმისაწვდომი. ნებისმიერი

ხელშეკრულება, რომელიც ე.წ. გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი შესყიდვაზე არ ვრცელდება), უნდა გამოქვეყნდეს CMR მოდულში. მისი ნახვა და ჩამოტვირთვა ნებისმიერ რეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია.

ჩარჩო შეთანხმებები, რომელსაც ითვალისწინებს UNCITRAL-ის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოდულური კანონი და ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დირექტივები ამჟამად არ გამოიყენება. ჩარჩო ხელშეკრულების ერთადერთი ტიპი, რომლის გამოყენებაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, არის ჩარჩო ხელშეკრულება ერთ მომწოდებელთან, რომელიც გამოიყენება რამოდენიმე მომსახურების შესყიდვისთვის (მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება, მოვლა-პატრონობა და სხვა დაკავშირებული სერვისები). CPV კოდები, რომელის შესყიდვის ხელშეკრულების საგანს აღნიშნავს, კანონმდებლობაში არის წარმოდგენილი.

შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და შესაბამის ტექნიკურ დოკუმენტაციას აქვეყნებს e-Procurement სისტემაში, მარტივი პროცედურის საშუალებით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია იპოვნოს განცხადება

შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესახებ, რომლითაც იგი არის დაინტერესებული. კერძოდ, მას შეუძლია გამოიყენოს მულტიფუნქციონალური საძიებო ველები, ჩამოტვირთოს სატენდერო დოკუმენტაცია, დარეგისტრირდეს e-Procurement სისტემაში (ყოველივე ზემოაღნიშნული არის უფასო) და წარადგინოს წინადადება. შემსყიდველ ორგანოზაციას მოეთხოვება თავისი გადაწყვეტილებების (სატენდერო კომიტეტის სხდომის ოქმების) ატვირთვა. გაფორმებული ხელშეკრულებების გამოქვეყნება ხდება e-Procurement სისტემაში (რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი რეგისტრირებული მომხმარებლისთვის, უფასოდ და შეუზღუდავად). ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მაღალ დონეს.

2. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული დაცვის სამართლებრივი სისტემა: რეფორმები და სამომავლო გზა

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა მაშინ, როდესაც საქართველოში ხორციელდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული დაცვის სამართლებრივი სისტემის რეფორმა. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში 2020 წლის 2 ივლისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიქმნა დაგეგმვის

განმხილველი ახალი ადმინისტრაციული ორგანო - დავების განხილვის საბჭო (DRC). საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, DRC სრულფასოვან ფუნქციონირებას იწყებს 2021 წლის 1 იანვრიდან. მანამდე შენარჩუნდება დავების განხილვის არსებული ორგანო. იმისათვის, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოს მკითხველებს ჰქონდეს შესაძლებლობა, ერთმანეთს შეადარონ დავების განხილვის ახალი და მანამდე არსებული გარემო და მიიღონ ინფორმაცია რეფორმის კონტექსტისა და თანმიმდევრობის შესახებ, ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია დავების განხილვის როგორც მოქმედი, ისე ახალი საბჭოს შესახებ.

2.1. დავების განხილვის ორგანო, რომელიც 2021 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს

DRB არის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი სპეციალიზებული ორგანო, რომლის საქმიანობასაც არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N1 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ.

შემადგენლობა. აღსანიშნავია, რომ საბჭოს აქვს **ორგვარი შემადგენლობა, რაც დამოკიდებულია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე:**

1. ძირითადად, საბჭოს შემადგენლობაში შედის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამი წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისი პროფილის სამი წარმომადგენელი;

2. ამავდროულად, თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს²²⁷, საბჭოს შემადგენლობაში, დამატებით, შედიან შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციის სააგენტოს (შემდგომში – კონკურენციის სააგენტო), საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის თითო წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური წრეების შესაბამისი პროფილის ერთი წარმომადგენელი.

საბჭოში სააგენტოს ერთი წარმომადგენელი სააგენტოს თავმჯდომარე. სააგენტოს დარჩენილ ორ წარმომადგენელს სააგენტოს თანამშრომელთაგან 1 წლის ვადით განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარე. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან სამი წარმომადგენელი საბჭოს წევრად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეირჩევა როტაციის პრინციპით, 1 წლის ვადი და მხოლოდ არჩევნების წესით. საბჭოს საქმიანობის წესის თანახმად, საბჭოს წევრისათვის აუცილებელია სამართლის, ეკონომიკის ან ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ქონა და საქართველოს სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა.

გასაჩივრება. კანონი ერთმანეთისაგან განარჩევს საჩივრებს:

- (i) წინადადებების წარდგენის ეტაპზე (შეფასების დაწყებამდე) და
- (ii) წინადადებების განხილვისა და შეფასების ეტაპზე (ხელშეკრულების დადებამდე).

წინადადებების წარდგენის ეტაპზე, ნებისმიერ პირს (რომელიც მომწოდებლის სახით არის რეგისტრირებული e-Procurement სისტემაში) უფლება აქვს, წარადგინოს საჩივარი, ხოლო საჩივრის წარდგენა არის უფასო.

²²⁷ 5 548 000 ევრო სამუშაოს შემთხვევაში და 144 000 ევრო საქონლის და მომსახურების შემთხვევაში.

წინადადებების განხილვისა და შეფასების ეტაპზე, შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ პრეტენდენტებს (კომპანიებს, რომელთაც წარადგინეს თავიანთი წინადადება), ხოლო საჩივრის წარდგენა არის ფასიანი (შესყიდვის ღირებულების 2%, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა და არაუმეტეს 500 ლარისა).

შემდეგი გადაწყვეტილებები **გასაჩივრებას არ ექვემდებარება:**

- შესყიდვის შერჩევას; პროცედურის
- შესყიდვის გაუქმებას; პროცედურის
- შესყიდვის შერეებას (საჩივრის გამო); პროცედურის
- უთვლადი შეფასებას, კრიტერიუმების კონკურსის შემთხვევაში.

საჩივრის წარდგენის ვადები. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს გასაჩივრების კონკრეტულ ვადებს.



ცხრილი 4: გასაჩივრების ვადები და მოცდის პერიოდი

საჩივარი ტენდერის პირობების/ მოთხოვნების შესახებ (მაგ. ტენდერის მოთხოვნების არაპროპორციულობა)	სტატუსი „ტენდერი გამოცხადებულია“ (წინადადებების წარდგენის ბოლო ვადის ამონურვამდე)
გადაწყვეტილება / ქმედება წინადადებების შეფასების ეტაპზე	გადაწყვეტილების სისტემაში ატვირთვიდან/ ქმედების განხორციელებიდან 5 დღის ვადაში.
მოცდის პერიოდი (ხელშეკრულების ხელმოწერამდე)	სამი სამუშაო დღე

საჩივრების წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, e-Procurement სისტემის სპეციალური მოდულის გამოყენების გზით.

მას შემდეგ, რაც საჩივარი დასაშვებად გამოცხადება (საბჭოს აპარატის მიერ), **შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება, მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება ან განახორციელოს რაიმე ქმედება საჩივრის განხილვის ვადაში.** შესყიდვის პროცედურები ჩერდება პრეტენდენტ(ებ)ისთვისაც.

გადაწყვეტილებები. DRB გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

DRB-ის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე (რომელიც ამავდროულად არის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე).

სხდომა ტარდება სააგენტოში და დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. სხდომის გამართვა შესაძლებელია ვიდეოკონფერენციის საშუალებითაც. საქმის გარემოებებიდან

გამომდინარე, შესაძლოა, სხდომაზე მინვეული იქნას სპეციალისტი, ექსპერტი და თარჯიმანი, შესაბამისი მხარის მოთხოვნით ან საბჭოს ინიციატივით.

საბჭოს საქმიანობის ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს სააგენტო. ამ მიზნით, სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფი ასრულებს საბჭოს აპარატის ფუნქციებს. აპარატის მოვალეობები, არსებითად, მხარდაჭერითია - კერძოდ, საჩივრის დასაშვებობის განხილვა, სხდომის ორგანიზება, სხდომის ოქმის მომზადება და ა.შ.

ზოგადად, **საბჭოში შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების** (მაგალითად, პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ) ან **ქმედების** (მაგალითად, ტენდერის მოთხოვნებთან დაკავშირებული კითხვების პასუხგაუცემლობა) გასაჩივრება.

საბჭო ვალდებულია, გამართოს სხდომა და მიიღოს გადანყვეტილება **საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში**. გადანყვეტილების მიღებისას საბჭო ვალდებულია, იხელმძღვანელოს ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული დებულებებით, რომელიც საჯარო ხელშეკრულების დადებას არეგულირებს.

საჩივრისა და საქმის გარემოებების დეტალური განხილვის შედეგად, საბჭო იღებს გადანყვეტილებას:

- საჩივრის **სრულად დაკმაყოფილებაზე**;
- საჩივრის **ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე**;
- საჩივრის არ დაკმაყოფილების შესახებ.


საჩივრის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია:

- შემსყიდველ ორგანიზაციას მის არასწორ ქმედებაზე მიუთითოს და შესყიდვის პროცედურების/ შერჩევის პროცესის პროცედურების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება მოსთხოვოს;
- შემსყიდველ ორგანიზაციას მიღებული გადანყვეტილების გადასინჯვა ან გაუქმება მოსთხოვოს;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო მ დ ე ბ ლ ო ბ ი თ** განსაზღვრული შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

საბჭოს გადანყვეტილება მიღებისთანავე ქვეყნდება ელექტრონულ მოდულში. 1..... საბჭოს გადანყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება სავალდებულოა. საბჭოს გადანყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.


N1 დიაგრამაზე ასახულია საბჭოში წარდგენილი საჩივრების რაოდენობები წლების მიხედვით. N2 დიაგრამაზე წარმოდგენილია ინფორმაცია საჩივრების საბოლოო შედეგების შესახებ, 2019 წლის მონაცემები.

დიაგრამა 1: საბჭოში წარდგენილი საჩივრების რაოდენობები



წყარო: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის ანგარიში.

დიაგრამა 2: საჩივრების საბოლოო შედეგები (2019 წელი)



წყარო: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის ანგარიში.

2.2. დავების განხილვის ახალი ორგანო (ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან)

2.2.1. ინსტიტუციური მოწყობა

დავების განხილვის საბჭო (DRC) არის ახალი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კანონის საფუძველზე შექმნილი საბჭო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის მიზანია დავების სწრაფად, ეფექტურად და სამართლიანად გადაწყვეტა. კანონის თანახმად, საბჭო განცალკევებულია ყველა ორგანოსგან/პირისგან, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კანონით, საბჭოს რეგლამენტიცა და სხვა ნორმატიული აქტებით. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო საბჭოსთვის უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის ადგილს, ბიუჯეტს და აპარატს.

2.2.2. საბჭოს წევრები, მათი დანიშვნა და განთავისუფლება

საბჭოს შემადგენლობა. საბჭო შედგება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ 5 წლის ვადით დანიშნული 5 წევრისგან. ერთიდა იგივე პირი საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ორჯერ. საბჭოს წევრი სახელმწიფო მოსამსახურეა. ქვემოთ წარმოდგენილია საბჭოს საბჭოს წევრის მიმართ არსებული მინიმალური მოთხოვნები:

1. საქართველოს მოქალაქეობა;
2. ნასამართლობის არ ქონა;
3. უმაღლესი განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით;
4. მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

ამასთან, საბჭოს წევრთა არანაკლებ ნახევარს უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სამართალში.

არ შეიძლება საბჭოს წევრი:

1. დასაქმებული იყოს სხვა საჯარო დაწესებულებაში ან/და კერძო დაწესებულებაში;

2. ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, პედაგოგიური საქმიანობისა ან/და შემოქმედებითი საქმიანობისა;
3. კონსულტაციას უწევდეს შესყიდვის პროცესში მონაწილე მხარეებს, მათ შორის, შემსყიდველ ორგანიზაციას და შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს;
4. იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან/და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

შერჩევის პროცესი და დანიშვნა. საბჭოს წევრობის კანდიდატა შერჩევის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ქმნის დამოუკიდებელ შესარჩევ კომისიას, რომელშიც სხვაწევრებთან ერთად, შედიან საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეები. საბჭოს წევრობის კანდიდატა ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში შერჩევის მიზნით შესარჩევი კომისია აცხადებს საჯარო კონკურსს საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს საშუალებით (hr.gov.ge პორტალის გამოყენების გზით). კონკურსში მონაწილეობის უფლება

აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საბჭოს წევრობის კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა კონკურსის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღის ვადა. განაცხადების მიღების შემდეგ, არაუგვიანეს 20 დღისა შესარჩევი კომისია იმ პირთაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ საბჭოს წევრობისთვის ამ კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეარჩევს საბჭოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე ორჯერ მეტ კანდიდატს (10 პირს). შესარჩევი კომისია შერჩეულ კანდიდატებს დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი 10 დღის ვადაში ნიშნავს საბჭოს წევრს/წევრებს ან უარს ამბობს მის/მათ დანიშვნაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესარჩევი კომისია ხელახლა აცხადებს კონკურსს.

განთავისუფლება. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება მისი ვადის გასვლისას, ან შემდეგ რომელიმე შემთხვევაში:

1. პირადი განცხადების წარდგენა;
2. გარდაცვალება;
3. სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

4. სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
5. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
6. სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
7. კანონით განსაზღვრული შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;
8. ბოლო 12 თვეში 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში უფლებამოსილი და განუხორციელებლობა და სამედიცინო დასკვნის არსებობა, რომლითაც დასტურდება, რომ საბჭოს წევრი მომავალშიც ვერ შეძლებს უფლებამოსილების განხორციელებას.

საბჭოს წევრს უფლება აქვს, მანდატის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

2.2.3. საბჭოს წევრების ანაზღაურება

საბჭოს წევრს ეძლევა შრომის ანაზღაურება. საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ტოლფასი ოდენობით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგო – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ტოლფასი ოდენობით, ხოლო საბჭოს სხვა წევრის თანამდებობრივი სარგო – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ტოლფასი ოდენობით.

2.2.4. საბჭოს ბიუჯეტი, აპარატი და მატერიალური ბაზა

საბჭო ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კონკურენციის სააგენტოსთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან, იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციების შესრულებას და მის დამოუკიდებლობას.

კანონის თანახმად, საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საბჭოს ჰყავს აპარატი. საბჭოს აპარატის თანამშრომელთა რიცხოვნობას და შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე. საბჭოს აპარატის

დებულებასა და სტრუქტურას კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის წარდგინებით, სამართლებრივი აქტებით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საბჭოს აპარატი კონკურენციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია (დეპარტამენტი). ეს უკანასკნელი საბჭოს უზრუნველყოფს აპარატივით და საჭირო მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით.

2.2.5. საბჭოსთვის განკუთვნილი სპეციალური ელექტრონული მოდული

საბჭოს საქმიანობის ეფექტიანად და საჯაროდ წარმართვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ფუნქციონირებას საბჭოსთვის განკუთვნილი სპეციალური ელექტრონული მოდული (შემდგომ – ელექტრონული მოდული). ელექტრონულ მოდულში ქვეყნდება საბჭოსთვის წარდგენილი საჩივრები, მათთვის დართული დოკუმენტები, საჩივრებზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული სხვა მასალები, აგრეთვე კანონითა და საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია. ელექტრონული

მოდული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ნაწილია. ელექტრონული მოდულის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სააგენტო. ელექტრონულ მოდულში არსებული ინფორმაცია საჯაროა, გარდა იმ პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნებას არ ექვემდებარება.

2.2.6. საბჭოს საქმიანობის ორგანიზება

საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს რეგლამენტით. რეგლამენტის პროექტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით (საბჭოს რეგლამენტი მიღებულია მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით)²²⁸.

2.2.7. ანგარიშგება

საბჭოს თავმჯდომარე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მარტისა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და სააგენტოს წარუდგენს საბჭოს გასული წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. ამ ინფორმაციაში მიეთითება სტატისტიკური მონაცემები და ანალიზი, ძირითადი ტენდენციები, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში –

²²⁸ <http://procurement.gov.ge/getattachment/Davebi/826-dadgenilebit-davebis-sabchos-reglamenti.pdf.aspx>

ცხრილი 5: გადანყვეტილებები, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას და გასაჩივრების ვადები

როგორც შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს, ისე პრეტენდენტს აქვს გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება:

No	მომჩივნის ტიპი	გასაჩივრებული გადანყვეტილების ტიპი	საჩივრის წარდგენის ბოლო ვადა
1	შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი და პრეტენდენტი	გადანყვეტილება/ქმედება, რომელიც დაკავშირებულია სატენდერო/საკონკურსო განცხადებასთან და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციასთან	სატენდერო / საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყებამდე
2	შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი და პრეტენდენტი	ნებისმიერი გადანყვეტილება / ქმედება, რომელიც არ ექცევა 1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მიღებულია / განხორციელებულია სატენდერო / საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყებამდე	გადანყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 10 დღისა; ქმედების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მაგრამ მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ხელშეკრულების დადებამდე
3	შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი და პრეტენდენტი	გადანყვეტილება, რომლითაც საბჭოს გადანყვეტილების საუძველზე გადაისინჯა 1 ან 2 პუნქტით გათვალისწინებული გადანყვეტილება	გადანყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 10 დღისა; ქმედების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მაგრამ მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ხელშეკრულების დადებამდე

4	პრეტენდენტი	სატენდერო / საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყების შემდეგ მიღებული / განხორციელებული გადანაცვეტილება / ქმედება, რომელიც არ ექცევა 1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში	გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 10 დღისა; ქმედების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მაგრამ მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ხელშეკრულების დადებაამდე
5	შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით რეგისტრირებული პირი	გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელებისას შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს და საჩივარი ეხება გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.	გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 10 დღისა

საბჭოს საჩივარი წარედგინება მხოლოდ ელექტრონულად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. საჩივრის ფორმა და წარდგენის წესი განისაზღვრება საბჭოს რეგლამენტით.

3.2. საჩივრის დაუშვებლად ცნობა

საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, საბჭო განიხილავს საჩივრის დასაშვებობის საკითხს. **საბჭო საჩივარს დაუშვებლად ცნობს, თუ:**

1. იგი არაუფლებამოსილმა პირმა წარადგინა;
2. მისი წარდგენის ვადა გავიდა ან საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვის დროისთვის უკვე დადებულია ხელშეკრულება;
3. იგი არ ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის/უფლებამოსილი ორგანოს/შესარჩევი კომისიის გადანყვეტილებას/ქმედებას;
4. შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის/უფლებამოსილი ორგანოს/შესარჩევი კომისიის შესაბამისი გადანყვეტილება/ქმედება, ამ კანონის შესაბამისად, საბჭოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
5. დავის საგანი არ არსებობს;
6. საბჭოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

7. არსებობს საბჭოს გადანყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
8. მასში მითითებული საკითხი სასამართლოს განსჯადია;
9. სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

თუ საჩივარი არ შეესაბამება კანონით და საბჭოს რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ არ არსებობს საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველი, საბჭო მომჩივანს აძლევს 1 სამუშაო დღის ვადას საჩივრის დასაზუსტებლად. თუ მომჩივანი არ დააზუსტებს საჩივარს, საჩივარი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად დაუშვებლად იქნება ცნობილი. თუ მომჩივანი არასრულყოფილად დააზუსტებს საჩივარს, იგი დაუშვებლად იქნება ცნობილი. თუ მომჩივანი დაზუსტებულ საჩივარს წარადგენს, საბჭო დაზუსტებული საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა განიხილავს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

საბჭო სარივარს დაუშვებლად ცნობს იმ შემთხვევაშიც, თუ სარივრის დაუშვებლად ცნობის საფუძვლის არსებობა მისი დასაშვებად ცნობის შემდეგ გაირკვევა. სარივრის დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ, საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით ქვეყნდება e-Procurement სისტემის სპეციალურ მოდულში.

3.3. სარივრის წარდგენის გავლენა შესყიდვის პროცედურაზე

გასაჩივრებელი სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურები სარივრის დასაშვებად ცნობისთანავე ავტომატურად ჩერდება. სარივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია/სატენდერო კომისია/უფლებამოსილი ორგანო/შესარჩევი კომისია ვალდებულია არ მიიღოს გადაწყვეტილება ან არ განახორციელოს ქმედება გასაჩივრებულ სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურებთან დაკავშირებული სარივრის განხილვის ვადაში. შემსყიდველი ორგანიზაცია/სატენდერო კომისია/უფლებამოსილი ორგანო/შესარჩევი კომისია ასევე ვალდებულია იმავე საკითხზე არ გამოაცხადოს ან შეაჩეროს გამოცხადებული ხელახალი სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურები (არსებობის

შემთხვევაში). შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით განახორციელოს შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას.

მომრიგანს უფლება აქვს, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს წერილობით გამოიხმოს სარივარი. ამ შემთხვევაში სარივარი აღარ განიხილება. მომრიგანის მიერ სარივრის გამოხმობის შესახებ ინფორმაცია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით ქვეყნდება e-Procurement სისტემის ელექტრონულ მოდულში.

3.4. სარივრის წარდგენის საფასური

სარივრის წარდგენა ეფუძნება „სადეპოზიტო საფასურის“ მიდგომას. სარივრის წარდგენის საფასურის ოდენობაა:

1. **სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული სარივრის შემთხვევაში** (გარდა სარივრებისა, რომელიც ეხება სატენდერო დოკუმენტებს ან ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილებას წინადადებების წარდგენის ვადის გასვლამდე) –

სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%, ხოლო გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში – გამარტივებული შესყიდვის ღირებულების 2%, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა და არაუმეტეს 1000 ლარისა;

2. საჯარო და კერძო თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს პროექტთან დაკავშირებული საჩივრის შემთხვევაში – ამ პროექტის სავარაუდო ღირებულების 0,15%, მაგრამ არანაკლებ 22 000 ლარისა და არაუმეტეს 150 000 ლარისა.

საჩივრის წარდგენის საფასური **ბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება.** თუ მომჩივანმა გამოიხმო საჩივარი, საჩივრის წარდგენის საფასური ბრუნდება:

- ა) სრული ოდენობით – თუ საჩივარი გამოხმობილია საბჭოს სხდომის გამართვამდე;
- ბ) ნახევარი ოდენობით – თუ საჩივარი გამოხმობილია საბჭოს სხდომაზე ან მისი გამართვის შემდეგ.

საჩივრის წარდგენის საფასურის გადახდისა და დაბრუნების წესები განისაზღვრება საბჭოს რეგლამენტით.

3.5. საჩივრების განხილვა საბჭოს მიერ

საჩივრის განხილვის ვადა. საბჭომ საჩივარი უნდა განიხილოს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვერ ესწრება, საბჭოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით.

საბჭო საჩივარს იხილავს ღია სხდომაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბჭოს სხდომაზე იმართება ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც საბჭო უსმენს მხარეებსა და დაინტერესებულ პირებს (არსებობის შემთხვევაში). საბჭოს სხდომაზე საჩივრის განხილვის დღესა და საათს საბჭოს აპარატის წარდგინებით ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე. ეს ინფორმაცია ეცნობებათ მხარეებსა და დაინტერესებულ პირებს (არსებობის შემთხვევაში). დადგენილი წესით მოწვეულ მხარეთა და დაინტერესებულ პირთა საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას.

ეკორუმი. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი.

ღონისძიებები ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. დავების განხილვის საბჭოს წევრი საჩივრის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, თუ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. ეს საფუძველებია:

- ტრიბუნალის წევრი თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;
- საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
- იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
- შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
- თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან სანქსდებო კაპიტალის წილს იმ სანარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
- საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

ასეთ შემთხვევაში, საბჭოს წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილების შესახებ. ამასთანავე, მხარესა და დაინტერესებულ პირს უფლება აქვთ, საბჭოს სხდომის დასრულებამდე წერილობით წარადგინონ შუამდგომლობა საბჭოს წევრის აცილების შესახებ. საბჭოს წევრის აცილების საკითხს მის დაუსწრებლად წყვეტენ საბჭოს სხვა წევრები ხმების უმრავლესობით. საბჭოს სხვა წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საბჭოს წევრი აცილებულად ითვლება.

მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებას, არ აქვს რაიმე წინასწარ განსაზღვრული დამამტკიცებელი ღირებულება. საბჭოს წევრი წარდგენილ მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

საბჭო საჩივარს იხილავს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში. გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს იმ დარღვევაზე, რომელიც ჩადენილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ან ქმედების განხორციელებისას და საჩივარში აღნიშნული არ არის.

გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით.

საბჭოს წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა. საბჭოს წევრს უფლება არ აქვს, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთება ამ გადაწყვეტილებას. საბჭოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს საბჭოს სხდომაზე დამსწრე და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე საბჭოს ყველა წევრი, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე საბჭოს წევრი. საბჭოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა შედგებოდეს შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან. საბჭოს გადაწყვეტილება მიღებისთანავე ქვეყნდება ელექტრონულ მოდულში, საჯაროა და მხარისა და დაინტერესებული პირისთვის (არსებობის შემთხვევაში) ჩაბარებულად ითვლება. საბჭოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება სავალდებულოა. მისი შესრულებლობა ინვესტორის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.



მადლიერების გამოხატვა

EBRD მადლობას უხდის პროექტის საზედამხედველო კომიტეტის წევრებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სახელმძღვანელოს დაგეგმვაში, მომზადებაში, შემუშავებასა და რედაქტირებაში.

მათი ჩართულობის შედეგად გაიზარდა პროექტის ზოგადი მნიშვნელობა, საშუალო და გრძელვადიანი შედეგები. საზედამხედველო კომიტეტის და სახელმძღვანელოზე მომუშავე ფართო გუნდის წევრთა დრო და ძალისხმევა, რომელიც მათ სახელმძღვანელოს შექმნისა და გამოქვეყნების პროცესს მოახმარეს, ხაზს უსვამს ყველა კონსულტანტის და კონტრობუტორის სურვილს, მხარი დაუჭირონ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში რეფორმის წინსვლას იმ ქვეყნებში, სადაც ბანკი ოპერირებს.

2015 წელს, წინამდებარე სახელმძღვანელოს თავდაპირველი ვერსიის ინგლისურ ენაზე შემუშავების პროცესს EBRD-ის მხრიდან ხელმძღვანელობდნენ ელიზა ნივიადომსკა, მთავარი მრჩეველი და ალან კოლმანი, უფროსი მრჩეველი, სამართლებრივი ტრანზიციის პროგრამა, გენერალური მრჩეველის ოფისი. წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა ალბანეთსა და უკრაინაში EBRD-ის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში, White & Case-ის წარმომადგენლებთან

სილვია ბელოვიჩევასთან, პიტერ ჰოდალთან, მაქსიმ კობზევთან და ჟურაჟ ნემეკთან, ავსტრიის ფედერალური შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარესთან, მაიკლ საქსთან და მოსამართლესთან ჰუბერ რიზნერთან, პოლონეთის ეროვნული სააპელაციო პალატის წარმომადგენლებთან კლაუდია ზიზიტოვსკა-მარიარზთან (თავმჯდომარე), ბოგდან არტიმოვიჩთან და მაფგორბატა სტერცივიკ-ბიაფეკთან თანამშრომლობის საფუძველზე, უილიამ ა.ჰენერტინგტონის (რედაქტორი) დახმარებით. წინამდებარე სახელმძღვანელოს დაგეგმვა, შემუშავება და გამოქვეყნება დაფინანსებულია EBRD-ის სლოვაკეთის რესპუბლიკის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის მიერ.

წინამდებარე სახელმძღვანელოს თავდაპირველი ვერსიის ლოკალიზება საქართველოსთვის განხორციელდა 2021 წელს, სახელმწიფო შესყიდვების საერთაშორისო კონსულტანტების, ანდრეი როგაჩისა და ერიკს მეზალისის მიერ, ხოლო ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნა ანი მებრეველმა. სახელმძღვანელო

გადახედილია სამართლებრივი ტრანზიციის პროგრამის მრჩევლის იულია შაპალოვას, UNCITRAL-ის ტექნიკური დახმარების სექტორის ხელმძღვანელოს კაროლინ ნიკოლასის და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის, კახა დემეტრაშვილის მიერ. სახელმძღვანელოს ქართული ვერსიის მომზადება და გამოცემა დაფინანსებულია EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდის მიერ.

ავტორებს სურთ, გამოხატონ მადლიერება ბანკის იურიდიული ტრანზიციის პროგრამის და მთავარი ეკონომისტის ოფისის წარმომადგენლების მიმართ, რომელთა მხარდაჭერაც წინამდებარე სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში შეუფასებელია.

© European Bank for Reconstruction and Development, 2021 წ.

სავტორო უფლებები დაცულია. წინამდებარე სახელმძღვანელოს შინაარსი ასახავს ინდივიდუალური ავტორების მოსაზრებებს და იგი, შესაძლოა, არ ასახავდეს ავტორთა დამსაქმებლების, იურიდიული

ფირმების, რედაქტორების, EBRD-ის გენერალური მრჩევლის ოფისის, EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტის ან, ზოგადად, EBRD-ის მოსაზრებებს. წინამდებარე დოკუმენტის არც ერთი ნაწილი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც იურიდიული კონსულტაცია.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილის რეპროდუცირება ან გავრცელება რაიმე ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ასლის გადაღებით და ჩანერით, სავტორო უფლებების მფლობელის წერილობითი ნებართვის გარეშე. წერილობითი ნებართვის მოპოვება უნდა მოხდეს წინამდებარე გამოცემის საძიებო სისტემაში რაიმე სახით შენახვამდე.

European Bank for Reconstruction and Development One Exchange Square London EC2A 2JN United Kingdom ტელ.: +44 20 7338 6000 ფაქსი: +44 20 7338 6100 SWIFT: EBRDGB2L გამოქვეყნების ნებართვის მისაღებად მიმართეთ: pubsdesk@ebrd.com

<http://www.ebrd.com/what-we-do/sectors/legal-reform/public-procurement>

European Bank for Reconstruction and Development
One Exchange Square
London
EC2A 2JN
United Kingdom

ტელ.: +44 20 7338 6000
ფაქსი: +44 20 7338 6100
SWIFT: EBRDGB2L

გამოქვეყნების ნებართვის მისაღებად მიმართეთ: pubsdesk@ebrd.com
<http://www.ebrd.com/what-we-do/sectors/legal-reform/public-procurement>

 **European Bank**
for Reconstruction and Development